159.9(075.8)
გ-20

# განათლების ფსიქოლოგია.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

# განათლების ფსიქოლოგია

დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური
უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის



თბილისი
2005

15:371(075.8)
გ-20

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

# განათლების ფსიქოლოგია

(დამხმარე სახელმძღვანელო
პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის)

თბილისი
2005

00537

დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია ს.ს.ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის წევრების მიერ.

წიგნში განხილულია განათლების ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები. იგი მოიცავს 5 განყოფილებას: შესავალი განათლების ფსიქოლოგიაში (I–III თავები), მოსწავლის ფსიქიკური განვითარება (IV–VII თავები), სწავლის თეორია და პრაქტიკა (VIII–XIII თავები), კლასის მართვა (XIV თავი) და შეფასება (XV თავი).

ტექსტები ისეა ორგანიზებული,რომ ბაზისურ ინფორმაციასთან ერთად აღწერილია საინტერესო შემთხვევები სასკოლო ცხოვრებიდან, მოცემულია სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაოები. თითოეულ თავს თან ერთვის პერსონალური დღიური, ხოლო წიგნს – შეფასების ფურცელი. ტექსტები შედგენილია განათლების ფსიქოლოგიაში არსებული უახლესი მონაცემების გათვალისწინებით. შესავალი და თითოეული თავის ეპიგრაფი კი მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის დ. უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფციის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და განათლების ფსიქოლოგიით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის.


რედაქტორი დოც. მ. ჯაფარიძე

რეცენზენტი პროფ. მ. ყოლბაია

# წინასიტყვაობის მაგიერ

ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას პედაგოგიკისა და პედაგოგის დახმარება წარმოადგენს. ამას არავინ უარყოფს, არც პედაგოგი, არც ფსიქოლოგი <...> პედაგოგიკას იშვიათად აქვს საქმე ისეთ საკითხთან, რომლის წარმატებით გადაწყვეტა სათანადო ფსიქოლოგიური მასალის გათვალისწინების გარეშე შეიძლებოდეს; პედაგოგიკა, მაშასადამე, ვერც ერთს ასეთ საკითხს ვერ გადაჭრის სათანადოდ, თუ მას ეს ფსიქოლოგიური მასალა არ ექნა ხელთ, თუ იგი მოკლებული იქნა ფსიქიკის იმ მხარის კანონზომიერებათა ცოდნას, რომლის აღზრდის საკითხიც დგას ამჟამად მის წინაშე <...> თუ ამ დებულებას მხედველობაში ვიქონიებთ, მაშინ ცხადი შეიქმნება ისიც, თუ რა არის [illegible] პედაგოგიური ფსიქოლოგია, რა ამოცანები შეიძლება იდგეს მის წინაშე <...> პედაგოგიური ფსიქოლოგია, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიაა და პედაგოგიური დებულებების დამუშავებას მას ვერავინ დაავალებს. პედაგოგიურ ფსიქოლოგიას მხოლოდ იმიტომ ეწოდება პედაგოგიური, რომ იგი სწავლა – აღზრდის თვალსაზრისით უშუალოდ მნიშვნელოვანი პროცესებისა და ფაქტების ფსიქოლოგიურ კვლევას აწარმოებს: იგი აგროვებს იმ ფსიქოლოგიურ მასალას, რომლის უშუალო გათვალისწინების გარეშეც პედაგოგიკა თავის საკითხებს წარმატებით ვერ გადაწყვეტდა. პედაგოგიური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ის დარგია, რომელიც უშუალო სამსახურს უწევს პედაგოგიკას – თეორიულსა და პრაქტიკულს – რამდენადაც სწორედ იმ კონკრეტული საკითხების ფსიქოლოგიურ მასალას აგროვებს, რომელიც სწავლა-აღზრდის პრობლემების წრეში შედის.

მაგრამ უწევს კი თანამედროვე პედაგოგიური ფსიქოლოგია დახმარებას პედაგოგიკას? აძლევს მას იმ პროცესების ნამდვილი ფსიქოლოგიური ბუნების ცოდნას, რომელიც მას აინტერესებს? უნდა ითქვას, რომ პედაგოგიკა სრულიად არაა კმაყოფილი იმით, რასაც მას ფსიქოლოგია აწვდის <...> რა არის ამის მიზეზი? პასუხი ცნობილია, ტრადიციულია: ფსიქოლოგია აბსტრაქტული მეცნიერებაა, იგი წარმოადგენს არა ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის ფსიქოლოგიას, არამედ მისი ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების ფსიქოლოგიას. პედაგოგიკას კი კონკრეტული, ცოცხალი არსების მოქმედების კანონზომიერებათა ცოდნა ესაჭიროება <...> ამოცანა ცხადია და უდაო: კონკრეტული ცოცხალი ადამიანის, აქტიური პიროვნების ფსიქოლოგია უნდა შეიქმნას. <...> უსუბიექტო, განყენებული ფუნქციების ფსიქოლოგიამ ადგილი უნდა დაუთმოს აქტიური სუბიექტის, მოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიას <...> პედაგოგი ფსიქიკაზე – აზროვნებაზე, თუ ემოციაზე როდი მოქმედებს უშუალოდ, არამედ პირველ რიგში მოზარდის პიროვნებაზე და მისი ფსიქიკური განვითარების შესაძლებლობას უწინარეს ყოვლისა ამით უზრუნველყოფს. პედაგოგიკას ცოცხალი აქტიური პიროვნების ფსიქოლოგია გაუწევს ნამდვილ დახმარებას. ეს უდაოა. მაგრამ ასეთი ფსიქოლოგია თავისი სრული სახით ჯერ კიდევ მომავლის საქმეა <...>

პედაგოგს საკმარისი ფსიქოლოგიური განათლება უნდა ჰქონდეს, რომ მან შესძლოს ფსიქოლოგიის მდიდარ მასალაში სწორედ გარკვევა და იქ სწორედ იმის დანახვა, რაც მართლა სასარგებლოა მისთვის. დღესდღეობით კი, სამწუხაროდ, პედაგოგიკა და პედაგოგი ამ მხრივ ჭეშმარიტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება; ფსიქოლოგიური მომზადების დაბალი დონის გამო, მან არც კი იცის, თუ რას წარმოადგენს ფსიქოლოგია განვითარების თანამედროვე ეტაპზე, და რა არის მასში ისეთი, რისი გამოყენებაც მართლა სასარგებლო იქნებოდა. მოკლედ, მან არ იცის საკმარისი ფსიქოლოგია და, მაშასადამე, ვერც გამოიყენებს მას. ფსიქოლოგია მისთვის უსარგებლო მეცნიერებაა, მაგრამ იმიტომ არა, რომ იგი მართლა

ასეთია ობიექტურად, არამედ იმიტომ, რომ მას სათანადოდ ვერ იყენებენ. რასაკვირველია, ტრადიციული, განყენებული, უსიცოცხლო ფსიქოლოგია პრინციპულად შეუძლებელია საკმარისად აკმაყოფილებდეს მას. მაგრამ ეს მდგომარეობა არ შეიცვლება არც მაშინ, როდესაც ძველი ფსიქოლოგიის ადგილს ახალი ფსიქოლოგია დაიჭერს, თუ პედაგოგის ფსიქოლოგიური მომზადების დონე იგივე დარჩება <...>

პედაგოგიკაც უწევს დახმარებას ფსიქოლოგიას: პედაგოგიური ზეგავლენის წარმატებითი პრაქტიკა და მისი სწორი თეორია ადამიანის ფსიქიკური განვითარების საფუძვლებს გვაცნობენ და ამით ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის – ფსიქიკური განვითარების პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობენ. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ იგინი მოწყვეტილნი როდი არიან ერთიერთს; იგინი ეხმარებიან ერთმანეთს.

დ. უზნაძე

ნაწყვეტები სტატიიდან

„ფსიქოლოგია და პედაგოგიკა"

# შ ი ნ ა ა რ ს ი


| | | |
|---|---|---|
| თავი I. | განათლების ფსიქოლოგია: სწავლება და სწავლა (მ. ჯაფარიძე) | 6 |
| თავი II. | კვლევა და განათლების ფსიქოლოგია (მ. ჯაფარიძე) | 17 |
| თავი III. | განვითარების ზოგადი პრინციპები (მ. ჯაფარიძე) | 29 |
| თავი IV. | მრავალფეროვნება კლასში: კულტურა, გენდერი (მ. ჯაფარიძე, თ. ტურაშვილი) | 36 |
| თავი V. | კოგნიტური განვითარება (ნ. კიკნაველიძე) | 48 |
| თავი VI. | ფსიქოსოციალური და ზნეობრივი განვითარება (ნ. კიკნაველიძე, თ. ლომაძე) | 57 |
| თავი VII. | განსაკუთრებული მოსწავლეები (მ. წერეთელი) | 66 |
| თავი VIII. | ბიჰევიორიზმი და სოციალური დასწავლის თეორია (მ. ჯაფარიძე, თ. ბოკუჩავა) | 81 |
| თავი IX. | აზროვნება და მეხსიერება – კოგნიტური სტრატეგიები (მ. ჯაფარიძე, ნ. თომაძე) | 90 |
| თავი X. | სწავლებისადმი კოგნიტური მიდგომა (თ. თიაბაშვილი) | 102 |
| თავი XI. | სწავლებისადმი ჰუმანისტური მიდგომა (მ. წერეთელი, ლ. სულხანიშვილი) | 113 |
| თავი XII. | ინტელექტი და შემოქმედებითობა /კრეატულობა/ (ნ. იმედაძე) | 124 |
| თავი XIII. | მოტივაცია და სასწავლო პროცესი (ნ. იმედაძე, ქ. ჯაში) | 133 |
| თავი XIV. | კლასის მართვა: ორგანიზაცია, კონტროლი (ლ. ქსოვრელაშვილი) | 146 |
| თავი XV. | პედაგოგიური მიზნები და შეფასება (ც. ცერცვაძე) | 157 |
| გამოყენებული ლიტერატურა | | 172 |

# თავი I

## განათლების ფსიქოლოგია: სწავლება და სწავლა

სკოლა უნდა იყოს ცხოვრების,
ცხოვრებისთვის და ცხოვრების მიერ ნაშენი.
დ. უზნაძე

ნუცა ნერვიულობდა. ფეხები უკანკალებდა, გული გამალებით უცემდა. ამაოდ ცდილობდა თავი დაეწყნარებინა, ორი დღის შემდეგ პირველად შეაღებდა კლასის კარებს. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, მით უფრო მატულობდა მღელვარებაც. ორი დღის წინ მასწავლებელთა კრებასაც დაესწრო. კოლექტივმა გულთბილად მიიღო, დირექტორმაც დეტალურად აუხსნა, სად იყო მისი კლასი, როგორები იყვნენ მისი მოსწავლეები.

"კი ბატონო, ეს მე ვარ, 22 წლის ახალგაზრდა, ენერგიით სავსე გოგო, წარმატებით დავამთავრე უნივერსიტეტი, მიუხედავად ამისა საშინლად ვნერვიულობ, ნეტა მალე გათენდებოდეს 1 სექტემბერი, ეგებ დავისვენო," – ფიქრობდა ის.

ხვალ კი დირექტორთან სპეციალური შეხვედრა აქვს. დირექტორი შეპირდა, რომ მას კლასში მომუშავე გამოცდილ მასწავლებლებსაც შეახვედრებდა. ნუცას მიაჩნია, რომ მათი დახმარება აუცილებლად დასჭირდება. პედაგოგიური პრაქტიკის დროს მან რამდენიმე გაკვეთილი ჩაატარა, მაგრამ ახლა სულ სხვა სიტუაციაა. უკვე რეალურად იწყებს მასწავლებლობას და მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე უნდა იყოს. ნუცას ძალიან უყვარს თავისი პროფესია, ბავშვები. "რას შევეკითხები გამოცდილ მასწავლებელს?! არ მინდა შემამჩნიონ შეშინებული რომ ვარ, მაგრამ ის კი უნდა გამოვიკითხო, რა პრობლემებს აწყდებიან მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში".

შეხვედრა პირველ საათზე შედგა. ღვაწლმოსილი პედაგოგები კეთილგანწყობილნი შეხვდნენ ნუცას. ბატონმა ნიკამ თქვა: "წელს რამდენიმე ახალგაზრდა მასწავლებელი მივიღეთ. ჩვენი პოპულაციაც შეიცვალა, გაახალგაზრდავდა კოლექტივი. ბევრი რამ თქვენგანაც უნდა ვისწავლოთ, ვიცით, რომ თქვენი მომზადება განსხვავდება ჩვენი, ტრადიციული მომზადებისგან. ისე, რომ სასწავლო ცვლასაც გავაქვს. ეს კარგია. ჩვენი უპირატესობა კი ის არის, რომ უკეთ ვიცნობთ მოსწავლეებს. დაგვისვით შეკითხვები, სიამოვნებით გიპასუხებთ."

"ჩემზე, როგორც მასწავლებელზე ბევრს ვფიქრობ, მაგრამ თვითონ სასწავლო პროცესი ნორმალურად მიდის თუ არა, როგორ უნდა მივხვდე?" – იკითხა ნუცამ." სიმართლე გითხრა, პირველად მესმის ასეთი სერიოზული შეკითხვა დამწყები მასწავლებლისგან" – თქვა დირექტორმა და განაგრძო: "ჩემი აზრით, მთავარია შეეცადო გაუგო მოსწავლეებს. მხოლოდ ფაქტებზე ნუ მოახდენ რეაგირებას." სხვა მასწავლებლებმაც მისცეს რჩევები ნუცას: შეეცადე მასალა ახსნა მოსწავლეთა დონის გათვალისწინებით, მაქსიმალურად შეეცადე ცხადად აუხსნა მოვლენები, დაუსვი მოსწავლეებს ღია დაბოლოებიანი შეკითხვები, რათა შემოქმედებითად მიუდგნენ პრობლემებს. იფიქრე მოტივაციაზე, ბავშვებს ხომ სხვადასხვა რამ აინტერესებთ. დაუსვი საკუთარ თავს შეკითხვა: როგორ მოვახერხო მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო პროცესში, როგორ დავაინტერესო ისინი? – "თუ ეძიებ, იპოვნი კიდეც" – თქვა ერთ-ერთმა მასწავლებელმა.

## ძირითადი საკითხები

- განათლების ფსიქოლოგია
- ძირითადი ცნებების განმარტება
- სწავლება, როგორც ხელოვნება და როგორც მეცნიერება
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება
- ეფექტური სწავლება და წარმატებული მოსწავლეები
- მასწავლებლობა, როგორც კარიერა

სწავლება გაცილებით უფრო რთული პროცესია, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა. პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესში მასწავლებელს მრავალ შეკითხვაზე უხდება პასუხის გაცემა. ამ პასუხების მოძიებაში უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია განათლების ფსიქოლოგიას.

ყველაზე ზოგადი განმარტებით, განათლების ფსიქოლოგია არის მოსწავლის განვითარების, სწავლება-სწავლის პროცესის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის

შესწავლაში ფსიქოლოგიური მონაპოვრის გამოყენება. იგი არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ქცევას სწავლის პროცესში, მის განვითარებას და მოტივაციას, პიროვნულ თვისებებს, დისციპლინას და კლასის მართვის სხვადასხვა ასპექტებს.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს მსჯელობა განათლების ფსიქოლოგიის ნებისმიერ პრობლემაზე, საჭიროა განიმარტოს რამდენიმე ძირითადი ცნება:

**დასწავლა** – ეს არის გარემოს ზემოქმედებით განპირობებული განვითარების პროცესი, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მიერ გამოცდილების შეძენას ან გავარჯიშებას.

**სწავლება** – წარმოადგენს პიროვნებათშორის (ინტერაქტიურ) საქმიანობას. იგი კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და სოციოკულტურული გამოცდილების გადაცემაა სპეციალურად ორგანიზებულ პირობებში.

**სწავლა** – არის სუბიექტის აქტივობა, რომლის დროსაც ხდება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლება.

**ინსტრუქტირება** – ეს არის მასწავლებლის მიერ ცნობიერად და წინასწარ განზრახვით მიღებული გადაწყვეტილებების და მოქმედებების ერთობლიობა, რომლის მიზანია სწავლისა და სწავლების შესაძლებლობების გაზრდა. იგი მოიცავს საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესის ყველა კომპონენტს. ინსტრუქტირებას შეიძლება ვუწოდოთ სწავლება/სწავლა/მეცადინეობის პროცესი.

შევეცადოთ კონკრეტული მაგალითებით გავხადოთ ნათელი, თუ რა სახის შეკითხვებზე უნდა გასცეს პასუხი განათლების ფსიქოლოგიამ, ასე მაგალითად: როდის არის მოსწავლე მზად ამა თუ იმ გამოცდილების შესაძენად? უნდა განისაზღვროს დრო და სიტუაცია, მაგ., წერა – კითხვის სწავლებისთვის; არსებობს თუ არა სწავლების გარკვეული ხერხები, რომელთა გამოყენებაც ეფექტურს გახდის სხვადასხვა თავისებურების მქონე მოსწავლეთა სწავლებას? რა დახმარებას გაგვიწევს სწავლის თეორიები პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობაში? როგორ შევადგინოთ ტესტები? როგორ უზრუნველვყოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია? რას გვეუბნებიან გამოკვლევები კლასის მართვის შესახებ და სხვა მრავალი.

რამდენიმე ჩამოთვლილი საკითხიც კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა დიდი დახმარების გაწევა შეუძლია განათლების ფსიქოლოგიას. იგი მასწავლებლისათვის საბაზო დისციპლინას წარმოადგენს, ეხმარება მას გახდეს ნამდვილი პროფესიონალი.

## სწავლება, როგორც ხელოვნება და როგორც მეცნიერება

სწავლებას, შეიძლება ითქვას, რომ ორგვარი სტატუსი გააჩნია – ხელოვნებისა და მეცნიერების. რას გულისხმობს სწავლების ხელოვნება? იგი ფართო შინაარსის შემცველი ცნებაა და ზოგადად შემდეგს გულისხმობს: როდესაც ჩვეულებრივი საშუალებები საკმარისი არ არის ამა თუ იმ პედაგოგიური პრობლემის გადასაჭრელად, მასწავლებელს უნდა შესწევდეს უნარი მიმართოს ორიგინალურ ხერხებსა და საშუალებებს. უფრო კონკრეტულად, მასწავლებელი უნდა იყენებდეს სასწავლო პროცესის ეფექტური მართვის მიზნით ისეთ საშუალებებს, როგორიცაა სხეულის ენა, ინტონაცია, პაუზა, თვალის კონტაქტი. იგი უნდა იყოს მგრძნობიარე მოსწავლეების მიმართ, კარგად უნდა გრძნობდეს კლასის ატმოსფეროს, ემოციურ კლიმატს, იყენებდეს იუმორს და სხვა.

რას გულისხმობს სწავლება, როგორც მეცნიერება? მასწავლებელთა უმეტესობა ეთანხმება დროის მოთხოვნას – იყოს მკვლევარი. ისინი განსაზღვრავენ სასწავლო მიზნებს, ირჩევენ სტრატეგიებს, აფასებენ მონაცემებს, მსჯელობენ შედეგებზე, წამოაყენებენ

ჰიპოთეზებს, აკეთებენ დასკვნებს, არკვევენ დამოკიდებულებებს მოსწავლეთა შორის და სხვა.

მაღალი დონის სწავლება ორივე სტატუსის ურთიერთშერწყმას გულისხმობს. ეს კი უფრო მეტია, ვიდრე ის, რასაც მოიცავს თითოეული მათგანი. დღეს ლაპარაკია სწავლების ხელოვნების მეცნიერული საფუძვლების განსაზღვრაზე. სწავლება, როგორც ხელოვნება უნდა ეყრდნობოდეს კვლევას, რომელიც ისეთივე სანდო უნდა იყოს, როგორც მეცნიერება.

თანამედროვე ვითარება განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს მასწავლებელს. არავინ დავობს იმაზე, რომ მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს თავისი საგანი, სწავლების მეთოდები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მასწავლებელი უნდა ფლობდეს უახლესი მონაცემების შესახებ ინფორმაციას, ეს კი მისგან მუდმივ დამოუკიდებელ ძიებას მოითხოვს, როგორც ამბობენ იგი მუდმივი შემსწავლელია. თუ მასწავლებელი თვლის, რომ მან უკვე ისწავლა ყველაფერი ის, რაც სჭირდება, ეს მის პროფესიულ კრიზისზე მიუთითებს.

## მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება

სწავლების ტრადიციული გაგება შემდეგს გულისხმობს: მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, მოსწავლეები იმახსოვრებენ მას. ამ პროცესში მასწავლებელი ძალზე აქტიურია, იგი პასუხისმგებელია მთელი კლასის სწავლასა და ქცევაზე. თუ წარმოვიდგენთ საკლასო ოთახში მიმდინარე დიალოგის ამსახველ სქემას, ისრები მასწავლებლისგან კონკრეტული მოსწავლეებისაკენ იქნება მიმართული და მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში მოსწავლიდან მასწავლებლისკენ. უმეტესად მასწავლებელი საუბრობს, მის მიერ დასმული შეკითხვები დახურული ტიპისაა და მოითხოვს პასუხს "კი" ან "არა". მასწავლებლის მაგიდა ოთახის წინა ნაწილში განთავსებული ყველაზე გამოკვეთილი ატრიბუტია. ვინ ითვლება ამ პროცესში მთავარ ფიგურად? რასაკვირველია მასწავლებელი. ასეთ სწავლებას **დირექტიულს** უწოდებენ.

დღეს, როდესაც მიმდინარეობს სასკოლო რეფორმა, საუბრობენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების შესახებ. როგორია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება? ეს არის სასწავლო გარემო, რომელიც გზას უხსნის მოსწავლეთა ურთიერთობასა და ურთიერთქმედებას, ცოდნას მოსწავლე თვითონ აშენებს სწავლის პროცესში მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში, პროგრამა ემხრობა სწავლების ინდივიდუალიზაციას, მოსწავლეები თავისუფლად იკვლევენ იდეებს, სვამენ შეკითხვებს, ეუფლებიან ცოდნასთან ერთად უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს, პასუხისმგებელნი არიან თავიანთ ქცევაზე, სწავლაზე და ა. შ. ამ მოდელს სწავლებისადმი ***კონსტრუქტულ*** მიდგომას უწოდებენ (იხ. ცხრილი №1).

სწავლების უნარ-ჩვევების შეძენა მეტად რთული პროცესია, მაგრამ მისი დაუფლება, რასაკვირველია, შესაძლებელია. პიროვნება, რომელიც მასწავლებლობისთვის ემზადება, უნდა პასუხობდეს მრავალ მოთხოვნას, მაგალითად ასეთს:

- ავლენდეს სწავლის უნარს
- იყოს კომპეტენტური აკადემიურ დისციპლინაში
- აცნობიერებდეს, რომ ის არის საზოგადოების ყველაზე დიდი იმედი
- შეეძლოს ეფექტური სწავლება
- ჰქონდეს სათანადო მოტივაცია, ენერგია, მართვის უნარი და სხვა.

ცხრილი 1. დირექტიული სწავლების და კონსტრუქტივიზმის შეპირისპირება

| | დირექტიული სწავლება | კონსტრუქტივიზმი |
|---|---|---|
| **ზოგიერთი ტერმინი** | მასწავლებელზე ორიენტირებული, ტრადიციული, დიდაქტიკური | მოსწავლეზე ორიენტირებული, პროგრესული, რეფლექსიური, ჰუმანისტური |
| **დასწავლის მეტაფორები** | შეთვისება | მონაწილეობა |
| **სწავლების მეთოდები** | ლექცია, ახსნა, დემონსტრირება, დარიგება, ხელმძღვანელობა | სწავლება აღმოჩენების გზით, ერთობლივი დასწავლა, კოგნიტური მოსწავლეობა, დასწავლის სტილი |
| **მასწავლებლის მოდელები** | მასწავლებელი როგორც ორგანიზატორი; მასწავლებელი როგორც ხელმძღვანელი | მასწავლებელი როგორც თერაპევტი; მასწავლებელი როგორც დამხმარე |
| **ზოგიერთი მონათესავე თეორიები** | ბიჰევიორისტული თეორიები(სკინერი) ოზიბელის კოგნიტური თეორია | პიაჟეს და ბრუნერის კოგნიტური თეორიები, დიუის შეხედულებები |

განათლების ფსიქოლოგიაში გამოყოფენ მასწავლებლის 3 ძირითად მოდელს:

1. **ორგანიზაციული** – მასწავლებელი აქ მთავარი ფიგურაა და პასუხისმგებელია სწავლების მთელ პროცესზე. ეს არის ზემოთ განხილული სწავლების დირექტიული მეთოდი. ამ სტილის მასწავლებელი კარგად სტრუქტურირებულ რაციონალურ გაკვეთილებს ამზადებს და ატარებს.

2. **თერაპიული** – მასწავლებელი არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზატორია, არამედ იგი ზრუნავს მოსწავლეების ფიზიკურ და ფსიქიურ ჯანმრთელობაზე, დადებითი პიროვნული განწყობების ჩამოყალიბებაზე.

3. **ლიბერალური** – მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეებს სტრატეგიულ აზროვნებას, ანუ როგორ ისწავლოს და როგორ გამოიყენოს თავისი ცოდნა.

## ეფექტური სკოლები და წარმატებული მასწავლებლები

სკოლა იმდენად არის ეფექტური, რამდენადაც იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური მასწავლებლებით. ეს ზოგადად, ახლა კი გავეცნოთ ეფექტური სკოლის ზოგიერთ მახასიათებელს, რომლებიც უკანასკნელ წლებში იქნა განსაზღვრული, კერძოდ:

- სასწავლო პროცესის კარგი მეთოდური მართვა
- ღირსეული ხელმძღვანელი, ცნობილი თავისი ნათელი, სწორი, თანამიმდევრული იდეებითა და გადაწყვეტილებებით.
- კოლეგიალური ურთიერთობები მასწავლებლებს შორის
- სწავლება, რომელიც ხელს უწყობს სიახლის აღმოჩენას
- მასწავლებლის რეალური, მაგრამ მაღალი მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ.
- მოსწავლეთა წინსვლის ხშირი შეფასება – მონიტორინგი და სხვა.

ძალზე მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: ვასწავლით კი მოსწავლეებს დღეს იმას, რაც მომავალში გამოადგებათ?

წარმატებულ მასწავლებელს შემდეგი პარამეტრებით ახასიათებენ:

- *სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაციის უნარი:* მას აქვს კარგად სტრუქტურირებული კურიკულუმი (სასწავლო პროგრამა), ისახავს მაღალ მიზნებს, რასაც ავლენს კიდეც მოსწავლეებთან ურთიერთობაში. უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სწავლების პროცესში, მათ მიერ პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ სწავლაზე.

- *საკლასო ოთახის მართვის უნარი:* იგი იყენებს ნათლად ჩამოყალიბებულ წესებს და პოზიტიურ განმამტკიცებლებს, ხელს უწყობს მოსწავლეთა პასუხისმგებლობას საკუთარ ქცევაზე და ა. შ.

- *პიროვნული მახასიათებლები:* ორგანიზებულია, ამოცანაზე ორიენტირებული, კომპეტენტური, ითვალისწინებს მოსწავლეთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებებს, ენთუზიასტია, საკუთარ თავში დარწმუნებული, კეთილგანწყობილი, თბილი, მზრუნველი და ა. შ

## მასწავლებლობა, როგორც კარიერა

მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა. იგი სტრესული საქმიანობაა, ხოლო სტრესს ხშირად თან სდევს აპათია, გაუცხოება, ცინიზმი, ნერვული დაძაბულობა და სხვა არასასურველი შედეგები. ასეთ შემთხვევაში ხშირად ლაპარაკობენ მასწავლებლის პროფესიულ გადაწვაზე. სკოლაში სტრესის გამომწვევი უამრავი მიზეზი არსებობს: სხვადასხვა მოტივაციისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, დროისა და რესურსების დეფიციტი, მცირე ხელფასი, კონტროლის მექანიზმები, ზედმეტი ინფორმაციით სავსე სასწავლო პროგრამები, ტექნიკური უზრუნველყოფის დეფიციტი, დიდი პასუხისმგებლობა ბავშვების, მშობლების, სკოლის, საზოგადოების, ქვეყნის წინაშე. მთავარი მაინც ერთია-მასწავლებელს არ შეუძლია ყველაფერი ასწავლოს მოსწავლეს. საჭიროა მოსწავლემ მეტი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე.

არ არის გასაკვირი, რომ დამწყებ მასწავლებელს გაცილებით მეტი სირთულეები ხვდება სკოლაში, ვიდრე გამოცდილს. მეცნიერები ამის ოთხ მიზეზს ასახელებენ:

1. დამწყები მასწავლებლები ცდილობენ მიბაძონ თავიანთ ყოფილ მასწავლებელს, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ სწავლებისადმი გამოიმუშაონ საკუთარი, პერსონალური მიდგომა.

2. დამწყები მასწავლებლები დიდი სიფრთხილით და ერთგვარად უხალისოდ ერთვებიან გამოცდილ მასწავლებლებთან კონტაქტში. (იგივე შეიძლება ითქვას გამოცდილ მასწავლებლებზეც). მათ არა აქვთ სათანადო მორალური მხარდაჭერა და ვერ იღებენ საჭირო რჩევებს.

3. ახალბედებს უჭირთ თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობაში გამოყენება, რის გამოც მათ ეს ცოდნა თანდათან ავიწყდებათ ან შეგნებულად იყენებენ.

4. დამწყები მასწავლებლები კარგა ხანს ვერ ახერხებენ სწავლებისადმი სწორი ტექნოლოგიების შერჩევას, რის გამოც მათი საქმიანობა ნაკლებად შთამბეჭდავია.

მომავალ მასწავლებლებს კარგად უნდა ახსოვდეთ ისიც, რომ მათი ხელფასი არასოდეს არ იქნება სპორტსმენის ან შოუბიზნესის წარმომადგენლის ხელფასის ტოლი. მასწავლებლობის გზაზე მრავალი დაბრკოლება არსებობს. ეს არის საკმაოდ დაძაბული და რთული პროფესიაა, მიუხედავად ამისა, ბევრს უყვარს ეს პროფესია და მთელი ცხოვრების მანძილზე მასწავლებლად მუშაობს.

## საკონტროლო კითხვები

- რატომ არის მნიშვნელოვანი მასწავლებლისთვის ფსიქოლოგიის ცოდნა?
- რას გულისხმობს დირექტიული სწავლება?რას გულისხმობს სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა?
- რას გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება?
- რა სირთულეებს ხვდება სკოლაში ახალბედა მასწავლებელი?
- "რატომ ავირჩიე მასწავლებლის პროფესია?"- მიუთითეთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი და ორი კიდევ სხვა. მოსაზრება ჩაწერეთ აქვე(მოცულობას მნიშვნელობა არა აქვს)

---

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

# მიუწერეთ ცნებებს მნიშვნელობა

**დასწავლა** – ეს არის ქცევის შედარებით მუდმივი ცვლილების პროცესი, რომელიც გულისხმობს ინდივიდის მიერ გამოცდილების შეძენას ან ვარჯიშს.

**სწავლება** – მასწავლებლის პროფესიონალური (ინსტრუქციული) საქმიანობა. იგი გულისხმობს მის მიერ დაგეგმილ სწავლას და სისტემატურ გამოცდილების გადაცემას ორგანიზებულ ფორმით.

**სწავლა** – არის სუბიექტის აქტივობა, რომლის მიზანს ხდება ცოდნის მიერ დაგეგმილი სწავლის და უნარ-ჩვევების დაუფლება.

**ინსტრუქტირება** – ეს არის მასწავლებლის მიერ ცნობიერი და მიზანმიმართული მოსწავლეთა და მოქმედებების ორგანიზება, რომლის მიზანია სწავლის და სწავლების ეფექტურობის ზრდა. იგი მოიცავს საქმის ორგანიზებას, მოსწავლის ყველა კომპონენტს. ინსტრუქციული პროცესი სწავლის/სწავლების პროცესია.

გთხოვთ ჩამოწეროთ 10, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს?

1. უნდა იყოს საქმის მცოდნე
2. მოსწავლეების სიყვარული
3. კარგი სპეციალისტი
4. საქმის ცოდნის მქონე
5. კომპეტენტური
6. ორგანიზებული
7. ტაქტიანი
8. ...
9. კეთილგანწყობილი
10. ...

შეეცადეთ თქვენს მიერ ჩამოთვლილი თვისებები დააჯგუფოთ, ცალკე პიროვნული მახასიათებლები, ცალკე პროფესიული.

# ტესტი

## "რა დონეზე ფლობ პედაგოგიურ უნარ-ჩვევებს?"

(შეაფასეთ თითოეული უნარის მიხედვით საკუთარი თავი 1 დან 5 ქულის ჩათვლით. ქულები შეკრიბეთ)

1. აკადემიური (საგნის ცოდნა)
2. დიდაქტიკური(მასალის გასაგებად ახსნა)
3. პერცეპტული(მოსწავლის სულიერ სამყაროში წვდომა) -ემოციური ინტელექტი
4. მეტყველებითი(მეტყველების კულტურა)
5. კომუნიკაციური(ურთიერთობის.. )
6. ორგანიზაციული(სასწავლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტების მართვა)
7. ავტორიტარული(საჭიროების შემთხვევაში ძალაუფლების გამოყენება)
8. დიაგნოსტიკური(დაადგინო - რა შემთხვევასთან გაქვთ საქმე)
9. პროგნოსტული(განსაზღვრო რა ზემოქმედება რა შესაძლო შედეგს გამოიწვევს)
10. სუგესტური(შთააგონო მოსწავლე შენი საქმიანობით)

20 – 24 ქულა – სწორად აირჩიეთ პროფესია?

25 – 29 ქულა – უდიდესი შრომა მოგიწევთ, თუ მასწავლებლობა გადაწყვიტეთ.

30 – 34 ქულა – მონაცემები გაქვთ, თანდათან აიმაღლოთ კვალიფიკაცია.

35 – 39 ქულა – არაფერი არ გჭირდებათ, ჩამოყალიბებული პროფესიონალი ხართ.

40 – 44 ქულა – უმაღლეს კვალიფიკაციას ფლობთ.

45 – 50 ქულა – არაადეკვატური, ზედმეტად მაღალი თვითშეფასება გახასიათებთ.

# დანართი

## მასწავლებლის როლი

### (შეპირისპირება)

ქვემოთ ნაჩვენები მახასიათებლები გვიჩვენებს განსხვავებას იმ ორ მასწავლებელს შორის, რომელთაგან ერთის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს მოსწავლეები შემდეგი სასწავლო წლისათვის, ხოლო მეორე კი თავის ამოცანას იმაში ხედავს, რომ შექმნას მყარი საფუძველი ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც მომავალში იქნება საზოგადოების სრულყოფილი აქტიური წევრი, ექნება საკუთარი თავის რწმენა, არ იქნება გულგრილი სხვების მიმართ, იქნება ინიციატივიანი და შეეძლება მოვლენების მართვა სასურველი მიმართულებით, პრობლემების გადაჭრა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება.

| ახალი ტიპის მასწავლებელი | ჩვეული ყაიდის მასწავლებელი |
| --- | --- |
| 1. სწავლების პროცესში იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას. სწავლების პროცესში თავს აღიქვამს მოსწავლის დამხმარედ | 1. სჯერა მხოლოდ მთელ ჯგუფთან ერთდროული მუშაობის. |
| 2. არის ისეთი სწავლების შინაარსის მომხრე, რომელიც ეფუძნება მოსწავლის ინტერესებს, ცოდნასა და განვითარების დონეს. | 2. იყენებს სწავლების მოძველებული შინაარს, არ ითვალისწინებს, ან თითქმის არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომასა და ბავშვის ინტერესებს. |
| 3. ეყრდნობა ისეთი სწავლების შინაარსს, რომელიც ითვალისწიებს ყველა სახის განვითარებას: ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურსა და ინტელექტუალურს. | 3. სიტყვიერად ყურადღება ექცევა განვითარებასთან შესაბამისობის ფაქტორებს, მაგრამ სწავლების შინაარსი არ ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ემოციურ საჭიროებას და თითოეული მოსწავლის განვითარების დონეს. |
| 4. სჯერა, რომ ინდივიდუალიზაციაზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეში თვითდაჯერებულობისა და საკუთარი თავის მიმართ დადებითი შეფასების ჩამოყალიბებას. | 4. უგულვებელყოფს ინდივიდუალიზირებული სწავლების შინაარს. ამის გამო მოსწავლეები ხშირად განიცდიან მარცხს, ეს კი ცუდად მოქმედებს მათ მიერ საკუთარი თავის შეფასებაზე. |
| 5. თვლის, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში დამოუკიდებელი სწავლის, ცვლილებებთან შეგუებისა და სიახლის ათვისების უნარის ჩამოყალიბებას. | 5. აქვს მიზანი: მოამზადოს მოსწავლეები შემდეგი სასწავლო წლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მათ შემდეგ წელს დასჭირდებათ, რის გამოც გეგმავს მოსწავლის განვითარებისადმი შეუსაბამო აქტივობებს. |

| | |
|---|---|
| 6. ახორციელებს პრაქტიკულ აქტივობებს თვალსაჩინო მასალების გამოყენებით, რათა განავითაროს მოსწავლეებში პრობლემის გადაწყვეტის, კრიტიკული აზროვნებისა და ცნებათა უფრო ღრმა შემეცნების უნარი. | 6. იყენებს სწავლების შინაარს, რომელიც ეყრდნობა აბსტრაქტულ მასალებს. |
| 7. თვლის, რომ ინფორმაცია, ცნებები უნდა განმტკიცდეს გამოცდილებით, კვლევითა და ექსპერიმენტით ინტერესის ყველა სფეროში, ნაცნობიდან გადადის ახალსა და უცნობზე. | 7. იყენებს ზეპირობის მეთოდს, შეზღუდულს ცნებებითა და მასალებით. |
| 8. უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია სწორ პასუხამდე მისვლის პროცესი, ვიდრე თვითონ სწორი პასუხი. | 8. ყურადღებას ამახვილებს შედეგზე და ერთადერთ "სწორ პასუხზე". |
| 9. სტიმულს აძლევს მოსწავლეს გააკეთოს საკუთარი არჩევანი. | 9. თვითონ იღებს ყველა გადაწყვეტილებას, თუ ვინ რა უნდა გააკეთოს საკლასო ოთახში. |
| 10. ეთანხმება აზრს, რომ მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკლასო ოთახში მოქმედი ქცევის წესების ჩამოყალიბებაში. | 10. ადგენს წესებს მოსწავლეთათვის. |
| 11. ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარის, წარმოსახვისა და ინდივიდუალურობის (ორიგინალურობის) განვითარებას. | 11. პატივს სცემს მორჩილების პრინციპს. მასწავლებელი მისაბაძი ნიმუშია. ყველა ერთდროულად ერთიდაიგივეს აკეთებს, შემოქმედებითობა იხშობა. |
| 12. სჯერა თითოეულ მოსწავლეში ჩადებული პოტენციალის და ამას მათ აგრძნობინებს. | 12. ეყრდნობა მხოლოდ ტრადიციული შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ხანდახან სუბიექტური და წინასწარ ჩამოყალიბებულია. |
| 13. თვლის, რომ მისი მუშაობის შემფასებელი სწორედ ის სიხარული და ინტერესია, რომლითაც მოსწავლეები სწავლობენ. | 13. მატერიალური წახალისების მომხრეა (ვარსკვლავები, კანფეტები და ა.შ.). |
| 14. მოსწავლეების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნად მიაჩნია ოჯახი. ეძებს გზებს სასწავლო პროცესში ოჯახის ჩასართველად. ამ მიზნით იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: ოჯახში ვიზიტს, მშობლებს იწვევს საკლასო ოთახში... | 14. მომხრეა მშობლების მინიმალური ჩართვის. მაგ; მშობლები შეიძლება დაპატიჟებული იქნენ წარმოდგენაზე ან მაშინ, როდესაც მოსწავლეს რაიმე პრობლემა აქვს. |

# პერსონალური დღიური

1. ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის ________________________________________
________________________________________________________________________
________________________________________________________________________
________________________________________________________________________

2. განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ______________________________
________________________________________________________________________
________________________________________________________________________
________________________________________________________________________

3. კითხვები, რომელიც გამიჩნდა ________________________________________________
________________________________________________________________________
________________________________________________________________________
________________________________________________________________________

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი II

## კვლევა და განათლების ფსიქოლოგია

> მე არ ვფიქრობ, რომ ექსპერიმენტს ისეთი შემოქმედებითი მნიშვნელობა ჰქონდეს ფსიქოლოგიაში, როგორც ბუნებისმეტყველებაში.. მაგრამ მე მაინც ექსპერიმენტული პედაგოგიკის ნერგი ავარჩიე ჩვენი მეცნიერების ბაღში სანერგად.
>
> დ. უზნაძე

სწავლების დაწყებამდე ორიოდე კვირა რჩება. სამასწავლებლოში მასწავლებლები შეკრებილიყვნენ. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ერთად მოეყარათ თავი, ისინი ცოტა არ იყოს შეშფოთებულნი ჩანდნენ. „მერი, შენ იცი რაიმე მათემატიკის ახალი სახელმძღვანელოს შემოღების შესახებ?“ – იკითხა ნინომ. „კი, რაღაც ვიცი, ყური მოვკარი, მაგრამ ზუსტად ვერაფერს გეტყვით“ – უპასუხა მერიმ. ამ დროს დირექტორიც შემოვიდა სამასწავლებლოში. ქალბატონი მზია მასწავლებელთა ამ ჯგუფისაკენ გაეშურა და მაშინვე მიუხვდა შეშფოთების მიზეზს: „ნუ ღელავთ, ახალი სახელმძღვანელოს დანერგვამდე ჩატარდება სპეციალური კვლევა, რომელიც დაადგენს მართლა ეფექტურია თუ არა ის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო წარმატებით დაინერგა მთელ რიგ სკოლებში, მე მაინც საჭიროდ ჩავთვალე ამ კვლევის ჩატარება. ჩვენ ამ სკოლებსაც მოვეინახულებთ“. ნიკო მასწავლებელი მაღალ კლასებში ასწავლიდა მათემატიკას და ცოტა არ იყოს სკეპტიკურად იყო განწყობილი მათემატიკის სწავლების ახალი პრინციპების მიმართ, მიაჩნდა, რომ ის ვერ გააუმჯობესებდა მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების დონეს. მას სურდა სკოლას სხვა ალტერნატიული პროგრამა დაენერგა. ამ მოთხოვნაში იგი კატეგორიულიც კი იყო. „მოდი ასე მოვიქცეთ, თქვა დირექტორმა, შევადგინოთ ჯგუფი, რომელიც კვლევას ჩაატარებს და დაადგენს ორივე პროგრამის ეფექტურობას. იმედი მაქვს, სამინისტრო ნებას დაგვრთავს. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ ეს არის ის, რომ სასწრაფოდ დაენიშნოთ პირველი შეხვედრა და შევადგინოთ ჩვენი მუშაობის გეგმა. ერთი, რაც ახლავე შემიძლია გითხრათ არის ის, რომ ამ ჯგუფში უნდა შევიდნენ გამოცდილი მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები, დანარჩენი შემდეგ მოვითათბიროთ“ – დაასკვნა დირექტორმა. მასწავლებლები დამშვიდებულები ჩანდნენ, დამშვიდებულნი და დაინტერესებულნი...

## ძირითადი საკითხები

- განათლების ფსიქოლოგიაში ინფორმაციის შეგროვების წყაროები
- დაკვირვება
- კონკრეტული შემთხვევის ანალიზის მეთოდი
- კორელაციური მეთოდი
- ექსპერიმენტული მეთოდი და მისი სახეები
- ტესტები
- პროექციული მეთოდები

## შესავალი

სკოლაში ყოველი ახალი პროგრამის, ყოველი ახალი დისციპლინის შემოღებას, მისი ეფექტურობის განსაზღვრას კვლევა სჭირდება. მან უნდა გადაწყვიტოს რა იქნება სასარგებლო მოსწავლისათვის, მასწავლებლისათვის... კვლევები კორექტულად უნდა ჩატარდეს, რათა მივიღოთ სანდო ინფორმაცია. კვლევა სხვადასხვა კითხვებს პასუხობს, მაგ., რა გავლენას ახდენს მოსწავლის ყურადღებაზე მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, რა დამოკიდებულება არსებობს საშინაო დავალებების შესრულებაზე

დახარჯულ დროსა და სასკოლო ტესტებში მიღწეულ წარმატებებს შორის და სხვა.

განსხვავებით წინა საუკუნეებისაგან, დღეს თვითონ ცხოვრება კარნახობს ფსიქოლოგიას ახალ პრობლემებს კვლევისათვის. სწრაფი ტემპით ვითარდება გამოყენებითი ფსიქოლოგია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეორიული ხასიათის მეცნიერული კვლევები საჭირო არ არის. რასაკვირველია, საჭიროა და მიმდინარეობს კიდეც, მაგრამ მის გვერდით გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარება დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერების მრავალ დარგს, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, განათლებას.

განათლების ფსიქოლოგიაში ინფორმაციის შეგროვების 3 წყაროზე მიუთითებენ:

- L (Life record date) მონაცემები – დაკვირვების გზით მოპოვებული.
- Q (Questionaire date) მონაცემები – გამოკითხვით და თვითშეფასების გზით მოპოვებული.
- T (objective test date) მონაცემები – ტესტების გზით მოპოვებული.

განათლების ფსიქოლოგიისადმი მეცნიერულ მიდგომაში იგულისხმება:

1. საკვლევი პრობლემის დადგენა: ინტერესის სფეროს განსაზღვრა, სათანადო ლიტერატურის გაცნობა.

2. საკვლევი პრობლემის გამოკვეთა: კვლევის პროცედურის შერჩევა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.

3. კვლევის შესრულება: კვლევის პროცედურის განხორციელება, მონაცემთა შეგროვება.

4. მონაცემთა რაოდენობრივი შეფასება: მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება.

5. მონაცემთა ინტერპრეტაცია და გენერალიზაცია: კვლევის შედეგების მნიშვნელობის განხილვა.

## კვლევის მეთოდები

ყოველი მეცნიერების არსებობა ორ აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, რომელთაგან ერთიც რომ არ იყოს, მეცნიერება არ იარსებებს, ესენია: მეცნიერების საგანი და მისი შესწავლის მეთოდები.

მეთოდი არის ის ხერხები და საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც მეცნიერება თავის საგანს სწავლობს. განათლების ფსიქოლოგიაში თითქმის ყველა ის მეთოდი გამოიყენება, რომელიც ზოგად ფსიქოლოგიაშია ცნობილი, ოღონდ ისინი მორგებულნი არიან ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლება/სწავლის პროცესს. განვიხილოთ ეს მეთოდები მოკლედ.

## დაკვირვება

კვლევის რა სტრატეგიაც არ უნდა აირჩიოს მკვლევრებმა, ყველა მათგანი იყენებს დაკვირვებას. იგი ნებისმიერი კვლევის ფუნდამენტური მახასიათებელია. ხშირად კვლევა **არასისტემური დაკვირვებით** იწყება. მაგალითად, ჩვენ შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ორი ბავშვი, უხასიათოდ არიან თავიანთ წარუმატებლობის გამო. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ დაბალი თვითშეფასების გამო, ისინი წარუმატებლობის მიზეზს სხვებში ხედავენ და არა საკუთარ თავში? ეს შეკითხვა გვაიძულებს უფრო ზუსტად შევისწავლოთ სიტუაცია.

დაკვირვების სპეციფიკური ფორმაა **ბუნებრივი დაკვირვება**. ასეთ შემთხვევაში დაკვირვება ტარდება რეალურ სიტუაციებში. იგი უფრო მეთოდურია და უფრო ზუსტი, ვიდრე არასისტემური დაკვირვება.

ბუნებრივი დაკვირვების მეთოდი ვერ აგვიხსნის ქცევას, მაგრამ მდიდარ ინფორმაციას გვაძლევს მოვლენის შესახებ.

დაკვირვების მეთოდს მრავალი ნაკლი გააჩნია. მთავარი მაინც ისაა, რომ მკვლევარი უბრალოდ მოვლენების მოწმე ხდება, იგი ვერ აკონტროლებს მათ, ვერ ერევა ამ პროცესში, რის გამოც დიდ დროს კარგავს. ამას ემატება დამკვირვებლის სუბიექტურობაც, მისი განწყობა, მოლოდინები და სხვა, მოპოვებული მასალა კი არასაკმარისია განზოგადებული დასკვნების გამოტანისათვის.

## კონკრეტული შემთხვევის ანალიზის მეთოდი (CASE STUDY)

ჰარი მიულერისა და მისი კოლეგების მიერ დამუშავებული იქნა პიროვნების შესწავლის სპეციფიკური მეთოდიკა, რითაც შეისწავლეს კოლეჯის მოსწავლე ვაჟები, მათი მოთხოვნილებები, თვითშეფასება, ღირებულებები, განწყობები, სოციალური ზემოქმედების მოდელები. მათ მოაგროვეს დიდი რაოდენობის ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული მასალები, გამოიყენეს მოკლე ექსპერიმენტული კვლევები, სტრესს-ინტერვიუები და სტუდენტები იძულებული გახადეს ეპასუხათ მრავალ „უხერხულ“ შეკითხვაზე. ამ გზით მათ შეისწავლეს კოლეჯის სტუდენტების ცხოვრების მრავალი ასპექტი ბუნებრივ პირობებში. ფსიქოლოგთა ჯგუფი თითოეული სტუდენტის შესახებ მსჯელობდა ე.წ. „თათბირზე“ ანუ დიაგნოსტიკურ საბჭოზე და შედეგებს აცნობდა საბჭოს. ბოლოს, ურთიერთშეთანხმების გზით კეთდებოდა დასკვნები თითოეულის შესახებ. ამ კვლევებმა სათავე დაუდეს მრავალ საინტერესო გამოკვლევას, სადაც პიროვნების მთლიანობითი შესწავლა ხდება. კვლევა იწყება ბიოგრაფიის შესწავლით. თუ კვლევის ობიექტი ბავშვია, ესაუბრებიან მის მშობლებს, მასწავლებლებს, ადამიანებს, რომლებიც კარგად იცნობენ მას. ზეპირი გამოკითხვის შემდეგ იწყება ტესტირების ეტაპი, – სხვადასხვა უნარების დასადგენად. ბოლო ეტაპზე ყველა მასალის შეგროვების შემდეგ კეთდება დასკვნები, რომლებიც შეიძლება მრავალგვარი იყოს: მიმართეთ ფსიქოთერაპევტს, საჭიროა შეიცვალოს სწავლების მეთოდიკა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამას და ამას და ა.შ.

მიუხედავად რიგი სირთულეებისა (არ შეიძლება ამ მეთოდით მოპოვებული მასალის გენერალიზაცია, სხვაზე გადატანა), ამ მეთოდს ხშირად იყენებენ გამოჩენილი, არაორდინალური ადამიანების შესასწავლად, რადგან მიაჩნიათ, რომ იგი საშუალებას იძლევა ნათლად დავინახოთ მთლიანი ინდივიდის განვითარების გზა (იხ. დანართი).

## კორელაციის მეთოდი

კორელაციის მეთოდი განხილულ მეთოდთა ალტერნატივას წარმოადგენს. მისი მთავარი მიზანია დაადგინოს მოვლენათა, ცვლადთა შორის ურთიერთკავშირი.

**ცვლადი** ეს არის ნებისმიერი სიდიდე, რომელიც შეიძლება გაიზომოს. მაგალითად, შფოთვა ცვლადია, რადგან მისი გაზომვა შეიძლება. კორელაციური კვლევა გულისხმობს

ცვლადებს შორის დამოკიდებულებების კვლევას. მაგ. რა დამოკიდებულებაა არსებობს მეცადინეობასა და დავალების შესრულების ეფექტურობას შორის. კორელაციური მეთოდი არა მხოლოდ „კი“ ან „არას“ პასუხობს, არამედ რაოდენობრივი შეფასების საშუალებასაც იძლევა. ე.წ. კორელაციის კოეფიციენტი ორ რამეს გვიჩვენებს: 1. ორ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს, 2. ამ დამოკიდებულების მიმართულებას. პირველი გვიჩვენებს, რამდენად სანდოა მონაცემები, მეორე კი, როგორია ეს დამოკიდებულება, დადებითია თუ უარყოფითი.

**დადებითი კორელაცია** ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორეს ზრდას ან ერთის შემცირება – მეორის შემცირებას. ე.ი. ორივე ცვლადი იზრდება ან მცირდება. მაგ., რაც უფრო ხშირად უყურებენ მოზარდები ტელევიზიით ძალადობას, მით უფრო აგრესიულნი არიან.

**უარყოფითი კორელაცია** საწინააღმდეგო რამეს გულისხმობს: ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორეს შემცირებას. მაგ., რაც უფრო ხშირად აცდენს სტუდენტი ლექციებს, მით უფრო ნაკლები წარმატებით აბარებს გამოცდებს.

## ექსპერიმენტი

მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების დადგენის ერთადერთ ხერხს ექსპერიმენტი წარმოადგენს. იგი მიჩნეულია იდეალურ სტრატეგიად მრავალი საკითხის შესასწავლად და შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: მკვლევარი თვითონ იწვევს შესასწავლ მოვლენას, ცვლის ცვლადებს, აკვირდება ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას და სხვა. კარგად ორგანიზებული ექსპერიმენტი მრავალ ფაქტორს უნდა ითვალისწინებდეს. ეს ფაქტორები დიდ ზეგავლენას ახდენენ შედეგებზე. მაგ. მონაცემთა სანდოობის მიზნით იყენებენ ე.წ. „შემთხვევით განაწილებას“. უფრო კონკრეტულად, თუ ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს ორ ჯგუფზე, ჯგუფს ორად ყოფენ პირველ-მეორეზე გათვლის პრინციპით. ასეთი განაწილება გულისხმობს შემდეგს: ასაკი, ინტელექტი და სხვა თავისებურებები თანაბარი შანსით არის განაწილებული, წარმოდგენილი ორივე ჯგუფში.

ყველა ექსპერიმენტი მოითხოვს ორი ჯგუფის მონაცემთა შედარებას. ის ჯგუფი, რომელიც განიცდის სპეციალურ ზემოქმედებას, იწოდება „ექსპერიმენტულ ჯგუფად“, მეორე კი, რომელიც ამ ზემოქმედებას არ განიცდის, იწოდება „საკონტროლო ჯგუფად“.

ექსპერიმენტის წარმოება ეთიკურ მხარესაც უკავშირდება. ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაციამ წამოაყენა სპეციალური მოთხოვნები, რომელთა დაცვა ყველა ექსპერიმენტატორს ევალება. იგი 4 პუნქტს მოიცავს.

1. ცდისპირი (ც.პ.) წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ექსპერიმენტის შესახებ. მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს მიიღებს თუ არა მონაწილეობას მასში. ე.ი. ცდებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

2. ც.პ. არ უნდა მიიღონ მონაწილეობა საშიშ ექსპერიმენტში.

3. თუ ექსპერიმენტის სიტუაცია ამოცანის არასწორ ამოხსნას გულისხმობს, მკვლევარი ვალდებულია მისი დამთავრების შემდეგ ც.პ. აუხსნას საქმის რეალური ვითარება.

4. ინფორმაცია ც.პ-ის შესახებ არის საიდუმლო (კონფიდენციალური) და მისი თანხმობის გარეშე არ ხმაურდება.

პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი წესები შემდეგში მდგომარეობს:

• უნდა შეირჩეს ორი პარალელური ჯგუფი.

• უნდა განისაზღვროს და გაიზომოს ორივე ჯგუფის წევრთა იმ უნარების საწყისი დონეები, რომლებზე ზემოქმედებაც არის განსაზღვრული.

• ერთ ჯგუფში უნდა ჩატარდეს ექსპერიმენტი, მეორეში – არა.

• უნდა შედარდეს ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შედეგები.

ექსპერიმენტი შეიძლება დაიგეგმოს, როგორც ლონგიტიუდი. იგი გულისხმობს კვლევის ისეთ ორგანიზაციას, რომლის დროსაც ერთსა და იგივე ც.პ. დაკვირვება მიმდინარეობს დადგენილი პერიოდის განმავლობაში – რამდენიმე წელიც კი. ამის საპირისპიროდ, არსებობს განივი კვეთის მეთოდი, როდესაც სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ჯგუფის ც.პ. ერთდროულად იკვლევენ. არსებობს ორივე ამ მეთოდის კომბინაციაც.

თანამედროვე ექსპერიმენტული პედაგოგიური ფსიქოლოგია მოწოდებულია გადაჭრას განათლების სფეროს პრაქტიკული ამოცანები. ამ ამოცანათა შორის გამოყოფენ რამდენიმე მთავარს:

- ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური განვითარების დაჩქარება, – ყველა საჭირო რეზერვისა და რესურსის გამოყენების გზით.
- ასაკობრივი კრიზისების გამოვლენა და გადალახვა.
- განვითარების სენზიტიური პერიოდების დიაგნოსტიკა და მართვა.
- ბავშვის განვითარების დონის შესატყვისი სწავლების შინაარსის შერჩევა.
- სწავლების ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის მთლიან პიროვნულ განვითარებას.
- მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის ზრდა.

## ტესტები

ტესტი არის მკაფიოდ ფორმულირებული, სტანდარტიზებული, მოკლე დროში ჩასატარებელი ფსიქოლოგიური გამოცდა. იგი გამოკვლევის (გამოცდის) მეთოდია. მისი დანიშნულებაა დაადგინოს მოცემულ მომენტში მაგ., რა უნარს ფლობს მოსწავლე. არსებობს ტესტების მრავალი სახეობა, მათი კვალიფიცირების მრავალი მცდელობა (ტესტების შესახებ ფართოდ იქნება საუბარი წიგნის ბოლო თავში).

იმისათვის, რომ ტესტი ჩაითვალოს მეცნიერულად, საჭიროა მან შემოწმება გაიაროს 4 კრიტერიუმის მიხედვით: სტანდარტიზაცია, ნორმა, სანდოობა და ვალიდობა.

**სტანდარტიზაცია** გულისხმობს ცდების ჩატარებისა და დათვლის ერთგვაროვნებას, შეიძლება თუ არა ეს ტესტი ჩატარდეს ამ პირობებში.

**ნორმა** – გულისხმობს ინფორმაციას იმის შესახებ, „ნედლი მასალა", სხვა მასალასთან შედარებით, დაბალია, მაღალი თუ საშუალო.

**სანდოობა** – ტესტური კვლევის გამეორება მსგავს შედეგს უნდა იძლეოდეს.

**ვალიდობა** – გვიჩვენებს, ზომავს თუ არა ტესტი სწორად იმას, რის გასაზომადაც ვიყენებთ.

## ინტერვიუ

ინტერვიუ მოსწავლის პიროვნების შესახებ ინფორმაციის მიღების ფართოდ გავრცელებული მეთოდია. მოსწავლეს ვაძლევთ შეკითხვებს, ვისმენთ პასუხებს. ინტერვიუერი და რესპონდენტი (ვისთანაც ინტერვიუ ტარდება) აწარმოებენ დიალოგს პირისპირ. ინტერვიუს ჩატარების ხერხი მრავალ მომენტზეა დამოკიდებული: თემაზე, მიზანზე და ა.შ. იგი შეიძლება იყოს სტრუქტურირებული, ნახევრად-სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული. პირველში შეკითხვები ფორმულირებულია გულდასმით, განსაზღვრულია მათი თანამიმდევრობა. არასტრუქტურირებული ინტერვიუ კი, პირიქით, დიდ უფლებებს აძლევს რესპონდენტს, – რაზე სურს მას საუბარი, რაზე არა. ინტერვიუერს შეუძლია გადაუხვიოს ადრე შერჩეულ სტრატეგიებს.

არასტრუქტურირებული ინტერვიუს გზით მოპოვებული მასალა ნაკლებად სანდოა და ვალიდური. ინტერვიუს მეთოდის ნაკლად ითვლება ისიც, რომ შედეგების ინტერპრეტაცია შეიძლება ძალზე სუბიექტური იყოს.

## თვითანგარიშის მეთოდიკები

თვითანგარიშის კითხვარები ძალიან ხშირად გამოიყენება განათლების ფსიქოლოგიაში. ასეთი კვლევის დროს ც.პ. სთხოვენ წერილობით უპასუხოს ბლანკზე ჩამოწერილ კითხვებს. ეს კითხვები შეიძლება მრავალ რაიმეს ეხებოდეს: ღირებულებებს, განწყობილებებს, გრძნობებს, დამოკიდებულებებს, უნარებს. ტერმინი „თვითანგარიში" მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება რაიმე ინფორმაციის მიღების მნიშვნელობით, რომელსაც სუბიექტი პირდაპირი გზით აცნობებს პასუხის გაცემით, ან პასუხებიდან რომელიმეს არჩევით (მაგ., „კი", „არა", „ყოველთვის", „არ ვიცი"). მაგ.:

შემოხაზეთ პასუხი

- ვბრაზდები, როდესაც მასწავლებელი მაკრიტიკებს.

კი     არა     მიჭირს პასუხის გაცემა

- ვცდილობ გაკვეთილზე გავაკონტროლო ჩემი ემოციები

არასოდეს     იშვიათად     ხანდახან     ხშირად     ყოველთვის

- ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, როდესაც ვიტყუები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| – 3 | – 2 | – 1 | 0 | 2 | 3 |
| (სრულად ვეთანხმები) | | | | (სრულად არ ვეთანხმები) | |

მეთოდის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მიღებული შედეგების დათვლაა შესაძლებელი, სანდოობის გარკვეული ხარისხიც; ახასიათებს, დიდი რაოდენობის მასალას გვაძლევს, ჩასატარებლად მარტივია და სხვა.

მეთოდის ნაკლი კი იმაში მდგომარეობს, რომ ცდ. პასუხები შეიძლება არ იყოს გულწრფელი. მაგალითად ტესტებში შეიძლება იყოს „საკონტროლო კითხვა", რომელიც ადამიანის ზოგჯერ გულწრფელი იყო ცდ. სულაც ხდება, რომ პიროვნება შეკითხვაზე პასუხს გცემს იმის გათვალისწინებით, რომ „კარგად გამოიყურებოდეს" იყოს „სოციალურად ჟრველი". ცდ. შეიძლება ამას არც კი აცნობიერებდეს. ზოგიერთი ცდ. ასეთ ტენდენციასაც ავლენს – ყველაფერზე უპასუხოს დადებითად (პასუხი – თანხმობა). თვითანგარიშის ტესტებს ამისგან დაცვის მექანიზმებიც გააჩნია (მაგ., „კი" და „არა" თანაბრად ავლენს ამა სწორ თვისებას).

## პროექციული მეთოდები

თავდაპირველად პროექციული მეთოდები გამოიყენებოდა ხასიათისა და ემოციების კვლევად. ამ ტესტების შექმნას საფუძველი დაუდო ფროიდის თეორიამ. იგი არაცნობიერი კონფლიქტების გახსნას ემსახურებოდა.

ცდ. ეძლევა გარკვეული სტიმულები, რომლის შინაარსი მოკლებულია სიცხადეს. ეს სტიმულებას აძლევს პიროვნებას პროექცია გაუკეთოს თავის გრძნობებს, მოთხოვნილებებს... ამის ხელმძღვანელი არასოდეს არ ეუბნება ცდ. ჭეშმარიტი მიზნების შესახებ. მაგ., ცდ. ეძლევა სურათი და ევალება მოთხრობის მოყოლა. ინსტრუქციაში ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ არ არსებობს მცდარი და სწორი პასუხები. არსებობს მრავალი სახის პროექციული მეთოდი: 1. ასოციაციური, 2. დასრულების, 3. ექსპრესიული, 4. შერჩევის ანუ რიგში განლაგების.

პროექციული მეთოდებიდან განსაკუთრებით ცნობილია რორშახის მელნის ლაქის მეთოდი.

ზოგად პროექციული მეთოდის უპირატესობა ორ რამეში მდგომარეობს: სტიმულების მრავალმნიშვნელოვნება საშუალებას იძლევა პასუხების ფალსიფიცირება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, მეორე, ტესტს მოქმედებაში არ მოჰყავს დაცვითი მექანიზმები, რის გამოც მიღებული ინფორმაცია კარგად აჩვენებს სუბიექტის ფარულ შრეებს.

პროექციული მეთოდების ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ იგი არასტანდარტიზირებულია. ძალზე სუბიექტურია, საეჭვოდ არის მიჩნეული მისი ვალიდობაც.

ცხრილებში 2.3 მოცემულია კვლევის ძირითადი მეთოდების შედარება.

## საკონტროლო შეკითხვები

- რას გულისხმობს განათლების ფსიქოლოგიისადმი მეცნიერული მიდგომა? ჩამოთვალეთ მისი 5 საფეხური.
- ინფორმაციის შეგროვების რა წყაროები არსებობს განათლების ფსიქოლოგიაში?
- რა არის მეთოდი?
- რას გულისხმობს არასისტემური დაკვირვება? ბუნებრივი დაკვირვება?
- რაში მდგომარეობს კორელაციური მეთოდის არსი?
- რას გულისხმობს ტესტის სანდოობა? ვალიდობა?
- რამდენი სახის ინტერვიუ არსებობს?
- რა ეთიკური ნორმების დაცვას მოითხოვს ექსპერიმენტული მეთოდი?
- ჩამოთვალეთ პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი წესები, როგორია ექსპერიმენტული ჯგუფი, საკონტროლო ჯგუფი?

# დანართი

## რა არის „კონკრეტული შემთხვევა“? („case study)

*დიალოგი მეცნიერსა (რ.ე. სტეიკი) და პედაგოგს შორის*

***მერი*** – რა თავისებურებებით ხასიათდება კონკრეტული შემთხვევა?

***სტეიკი*** – აღნიშნული მეთოდი თვისობრივი კვლევის მეთოდს წარმოადგენს. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საქმე ცალკეულ მოვლენასთან გვაქვს: ერთ ადამიანთან, ერთ კლასთან, ერთ სასწავლო პროგრამასთან და ა.შ. იგი არ ეხება ყოველ ადამიანს, არ აზოგადებს მოვლენას. რასაკვირველია, ის რაც ეხება ერთს, შეიძლება ეხებოდეს მრავალს და, ამ თვალსაზრისით, სასარგებლო აღმოჩნდეს სხვა შემთხვევების გასაგებად.

***მერი*** – კონკრეტულ შემთხვევას დაკვირვებით შევისწავლით?

***სტეიკი*** – ეს ყველაზე ტიპიური მეთოდია, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში შესაძლებელია სხვა მეთოდებიც დაგვჭირდეს. ეს მეთოდი მრავალ სფეროშია პოპულარული და განსაკუთრებით ღირებულია განათლების სფეროსათვის. თუმცა მას მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნია.

***მერი*** – მაგალითად?

***სტეიკი*** – მას არა აქვს ნატარების განსაზღვრული თანამიმდევრობა, მისი შედეგების განზოგადება შეზღუდულია, ძალზე სუბიექტურია და ხშირად მეცნიერები მას არა რაიმეს შესწავლის, არამედ პროპაგანდის მიზნით იყენებენ. მაგალითად, სასწავლო პროგრამის.

***მერი*** – მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თქვენ მაინც მოგწონთ ეს მეთოდი.

***სტეიკი*** – რასაკვირველია, ძალიან მომწონს, ხანდახან ეს მეთოდი მოვლენის არსის წვდომისათვის საუკეთესო გზაა. ამიტომ მას „თვითნაბად ცდას“ უწოდებენ ხოლმე, რადგან ძალიან ღირებული აღმოჩენა შეიძლება გაკეთდეს. თვითნაბადი ცდა – ეს არის პატარა ეპიზოდი, მოკლე ისტორია, რომელშიც ბევრი რამე ჩანს.

***მერი*** – როგორ უნდა დავიწყოთ მუშაობა ამ მეთოდის გამოყენებით?

***სტეიკი*** – სხვადასხვაგვარად. ამისათვის მკაცრი მოთხოვნები არ არსებობს. მთავარია განვსაზღვროთ, რა შემთხვევის შესწავლას ვაპირებთ, რა დაგვეხმარება მის გასაგებად, როგორია მისი კონტექსტი.

***მერი*** – კონტექსტი? თქვენ მხედველობაში გაქვთ გარემო, დრო, სივრცე, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები. ეს ყველაფერი კონტექსტია?

***სტეიკი*** – დიახ, კონკრეტული შემთხვევის ღრმა გაგება სიტუაციის ზოგად გააზრებას მოითხოვს. მაგალითად, სკოლა, ნაციონალური კონტექსტი და ამგვარი ფაქტორები ყოველთვის განსაზღვრავენ კონკრეტულ შემთხვევას. ამას შეიძლება დავამატოთ ისტორიული და კულტურული ფონი.

***მერი*** – ეს უკვე სერიოზული საქმეა!

***სტეიკი*** – იმასაც გეტყვით, თითოეულმა შემთხვევამ შესაძლოა სხვა შემთხვევების ჩართვაც მოითხოვოს. მას „მინი კეისს" ვუწოდებთ. ეს უკანასკნელი მკითხველს დაეხმარება უკეთ გაიგოს ძირითადი შემთხვევის არსი.

***მერი*** – თუ არსებობს რაიმე ეთიკური მოთხოვნები ამ მეთოდის გამოყენებისათვის?

***სტეიკი*** – რასაკვირველია, ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა, კეთილგანწყობა... ეს კიდევ ცალკე საკითხია, საკმაოდ სერიოზული.

***მერი*** – დაკვირვების გარდა კიდევ რა მეთოდებით ხდება ინფორმაციის შეგროვება?

***სტეიკი*** – ინტერვიუთი. მასალის უმეტესი რაოდენობა სწორედ ინტერვიუს გზით მოიპოვება. ძალზე მნიშვნელოვანია ე.წ. „ტრიანგულაცია".

***მერი*** – ტრიანგულაცია, ეს რას გულისხმობს?

***სტეიკი*** – შეგროვილი ინფორმაცია აუცილებლად უნდა შემოწმდეს, დამტკიცებულ იქნეს, დადასტურებული, გადამოწმებული, კრიტიკული შენიშვნები განხილული და გაანალიზებული. ამ მიზნით ხშირად მიმართავენ ე.წ. „ფოკუს ჯგუფებს", სადაც სხვადასხვა შეხედულებები, იდეები, მოსაზრებები გამოითქმება, შეჯერდება.

***მერი*** – კიდევ რა არის აუცილებელი?

***სტეიკი*** – აუცილებელი ბევრი რამ არის, მაგრამ დავამატებ ამჯერად მხოლოდ ერთს, – ის, ვიზეც კვლევა ტარდება, აუცილებლად უნდა გაეცნოს ნაშრომის შავ ვარიანტს გამოქვეყნებამდე...

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

*(შემოხაზეთ ერთადერთი სწორი პასუხი)*

1. როგორ იქცევა კარგი დამკვირვებელი?
   - ერევა დაკვირვების პროცესში.
   - ეძებს მოვლენის მიზეზებს.
   - აფიქსირებს მოვლენებს.
   - ავლენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

2. რას მოიცავს კონკრეტული სიტუაციების ანალიზის მეთოდი?
   - ექსპერიმენტს, ტესტირებას, კითხვარს.
   - შეისწავლის შესასწავლი პიროვნების ბიოგრაფიას, ესაუბრება მას, უტარებს ტესტირებას.
   - აკვირდება და ექსპერიმენტს ატარებს.
   - ადგენს კორელაციებს, უტარებს ტესტირებას და იყენებს კითხვარებს.

3. ქვემოთ ნამოთვლილი მეთოდებიდან რომელი ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს?
   - გამოკითხვის მეთოდი.
   - დაკვირვების მეთოდი.
   - კორელაციური მეთოდი.
   - ექსპერიმენტული მეთოდი.

ცხრილი № 2. კვლევის ძირითადი მეთოდების უპირატესობა და ნაკლი

| კვლევის მეთოდი | უპირატესობა | ნაკლი |
|---|---|---|
| შემთხვევის ანალიზის მეთოდი "case study" | 1. აჩვენებს ინდივიდის სირთულესა და უნიკალურობას.<br>2. თავისუფალია ლაბორატორიული პირობებისათვის დამახასიათებელი ხელოვნურობისაგან. | 1. მეტად კერძოა.<br>2. ვერ უზრუნველყოფს ქცევის ზოგადი პრინციპების სანდოობას.<br>3. არ იძლევა შესაძლებლობას დადგენილი იქნას ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. |
| კორელაციური მეთოდი | 1. საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ცვლადების ფართო წრე, რომლებიც ინდივიდუალურ განსხვავებებს მიეკუთვნება.<br>2. საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ცვლადები რეალური ცხოვრების ბუნებრივ პირობებში.<br>3. საშუალებას გვაძლევს ერთი ცვლადის შესახებ ინფორმაციით ვიწინასწარმეტყველოთ მეორის გამოვლენა. | 1. არ იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ცვლადები მიზეზობრივად არიან დაკავშირებულნი.<br>2. შესაძლებელია გაუგებრობა გამოიწვიოს ე.წ. „მესამე ცვლადმა".<br>3 სანდოობა და ვალიდობა შეიძლება საეჭვო აღმოჩნდეს. |
| ექსპერიმენტული მეთოდი | 1. საშუალებას იძლევა გამოვყოთ ცალკეული ცვლადები, მანიპულირება მოვახდინოთ მასზე შეხედულებისამებრ.<br>2. ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნები მიზეზების შესახებ.<br>3. მასალათა მოგროვება, მათი ნაწერა და ანალიზი ობიექტივიზირებულია. | 1. შესწავლილი მოვლენის არე ეთიკური მოსაზრებების გამო შემოფარგლულია.<br>2. ხელოვნურობა დადგენილი კანონზომიერების ბუნებრივ პირობებში გადატანას, გავრცელებას ზღუდავს.<br>3. შეიძლება მოვლენის შესწავლაზე გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტულმა არტეფაქტებმა (მაგ., სოციალურად სასურველი პასუხები, ექსპერიმენტატორის სურვილები). |

**ცხრილი№3.** კვლევის მეთოდების დახასიათება

| მეთოდის ტიპი | დახასიათება |
|---|---|
| ლონგიტუდი (გასწვრივი კვეთის მეთოდი) | ც.პ. ჯგუფი გამოიკვლევა რამდენჯერმე დროის დადგენილ მონაკვეთში: განმეორებით გაზომვა ხდება სხვადასხვა ასაკში. უპირატესობა: ავლენს ქცევათა შორის კავშირებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ნაკლი: შესაძლებელია ცვლილებების არასწორი ინტერპრეტაცია, რადგან შეზღუდულია ცდისპირთა რაოდენობა. |
| განივი კვეთის მეთოდი | ც.პ. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გამოკვლევა ხდება ერთდროულად. უპირატესობა: ნაკლებ დროსა და ხარჯს მოითხოვს წინა მეთოდთან შედარებით. ნაკლი: ჯგუფები შესაძლებელია განსხვავდებოდეს არა მხოლოდ ასაკით, არამედ სხვა თვალსაზრისით, არ იძლევა საშუალებას შესწავლილი იქნეს ზრდის ტენდენცია. |
| კომბინირებული მეთოდი | ორი ან მეტი ჯგუფი (სხვადასხვა ასაკის) რამდენიმეჯერ გამოიკვლევა გარკვეული დროის განმავლობაში. უპირატესობა: შეიძლება განივი და გასწვრივი მეთოდებით მოპოვებული მასალის შედარება. ნაკლი: ორივე მეთოდის ნაკლმა შეიძლება იჩინოს თავი, თუმცა ეს მეთოდი თავად მოიცავს შესაძლებლობას ამ ნაკლის დასაძლევად, მისი რეალიზაცია მოითხოვს მეტ დროსა და სახსრებს. |

**დავალება:** იმუშავეთ მცირე ჯგუფებში, განსაზღვრეთ თემა, რომლის კვლევასაც ისურვებდით, განსაზღვრეთ მეთოდი, რომელსაც გამოიყენებდით (სამუშაო ფურცლების შედგენა და პრეზენტაცია).

# პერსონალური დღიური

- ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის ____________________

____________________

____________________

____________________

- განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ____________________

____________________

[illegible] ?

____________________

- კითხვები, რომელიც გამიჩნდა ____________________

____________________

____________________

____________________

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ნახატზე ან ნახაზე.

# თავი III

# განვითარების ზოგადი პრინციპები

> თანამედროვე სკოლა ბავშვის ფსიქოლოგიას
> ნაკლებ ყურადღებას აქცევს და სწორედ მას,
> ისეთ რაიმეს აწვდის და მოსთხოვს, რაც
> ბავშვის ძალასაც აღემატება და არც მის
> სურვილებს შეეფერება.
>
> დ. უზნაძე

ლუკა და ზაზა 5 წლისანი არიან. ტყუპები გარეგნობით გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. მათი დანახვა ყოველთვის სასიამოვნო ემოციებს იწვევს ადამიანში. რაც არ უნდა სხვადასხვანაირად ჩააცვა და დავარცხნო, ბიჭების ერთმანეთისგან გარჩევა ოჯახის წევრების გარდა თითქმის ყველას უჭირს. გარეგნობის გარდა კიდევ ბევრი რამით გვანან ისინი ერთმანეთს: ერთნაირი საჭმელი მოსწონთ, ერთ პოზაში სხდებიან სავარძელში, ერთი და იგივე რაიმე სწყინთ და უხარიათ, ლაპარაკიც ერთდროულად დაიწყეს, ლექსებსაც ერთნაირი წარმატებით სწავლობენ და ცხვირსაც კი ერთნაირად აცემინებენ.

ნეტავ როგორები იქნებიან, როცა გაიზრდებიან? – ხშირად ეკითხება საკუთარ თავს ბიჭების დედა და თვალწინ თავისი ტყუპი ბიძები წარმოუდგება. ისინიც საოცრად გვანან ერთმანეთს ფიზიკურად, მაგრამ თვისებებით განსხვავდებიან კიდეც: ნიკა უფრო თბილია,ურთიერთობის მოყვარული, ადამიანებთან კონტაქტის დამყარების საოცარი უნარი აქვს. გოგა უფრო თავშეკავებულია, ფრთხილი, ძალზე რელიგიურია, ნიკასგან განსხვავებით, მოსმენა უფრო უყვარს, ვიდრე ლაპარაკი, ორივე ნიჭიერია,შესანიშნავად ხატავენ და მღერიან კიდეც.

ნეტა ჩემს ბიჭებს მსგავსი თვისებები მეტი ექნებათ თუ განსხვავებული? – ფიქრობს დედა და ყოველთვის ერთი და იგივე სიტყვებს დაამატებს ხოლმე – ნეტა კარგები და ჯანრთელები იყვნენ..

## ძირითადი საკითხები

- განვითარების ცნება და განვითარების სფეროების ზოგადი დახასიათება.
- განვითარების ძირითადი პრინციპები და განათლების ფსიქოლოგია.

სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაცია მრავალ მომენტზეა დამოკიდებული. ამათგან უმნიშვნელოვანესი ერთია – მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს რა ასაკობრივ საფეხურზე რისი სწავლის უნარი გააჩნია მოსწავლეს. განვითარების შესატყვისი სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის ცენტრალური მომენტია.

ცნება **განვითარება** მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რომელიც დროთა განმავლობაში ხდება ადამიანის სხეულის აგებულებასა, აზროვნებასა და ქცევაში ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზემოქმედების შედეგად. განვითარება ცვალებადობისა და ადაპტაციის პროცესია. იგი მოიცავს ზრდას, მომწიფებასა და დასწავლას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სქესი და აგრეთვე ეთნიკური და კლასობრივი მიკუთვნებულობა.

**ზრდა** არის ორგანიზმის ფიზიკური პარამეტრების, უპირველესად, სიმაღლისა და წონის ცვალებადობა. ეს უფრო რაოდენობრივი ცვალებადობაა, ვიდრე თვისობრივი.

**მომწიფება** ცვალებადობაა, რომელიც არ არის დამოკიდებული გარემოზე. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მემკვიდრეობასთან.

**დასწავლა** კი ინდივიდუალური გამოცდილების შეძენაა

**ცხრილი №4.** განვითარების სფეროების ზოგადი დახასიათება

| განვითარების სფერო | მახასიათებლები |
|---|---|
| ფიზიკური | მოიცავს ადამიანის ორგანიზმის ზრდას და სხეულებრივ ცვლილებებს. აქ შედის როგორც გარეგანი ცვლილებები (მაგ. ზრდისა და წონის დინამიკა), ისე შინაგანი (ცვლილებები ძვალ-კუნთოვან სისტემაში, ტვინში და სხვ.). ამავე სფეროში შედის ფიზიკური ჯანმრთელობა და მოძრაობითი ჩვევები (სიარული, ცოცვა, წერის ჩვევა და სხვ.). |
| კოგნიტური | მოიცავს ფსიქიკურ პროცესებს, რომელიც უკავშირდება აზროვნებას და პრობლემის გადაჭრას, ცვლილებებს აღქმაში, მეხსიერებაში, მსჯელობაში, შემოქმედებით წარმოსახვასა და მეტყველებაში. |
| ფსიქოსოციალური | მოიცავს პიროვნების განვითარებას და პიროვნებათშორის ურთიერთობებს. განვითარების ეს ორი სფერო ურთიერთდაკავშირებულია. ერთის მხრივ, გულისხმობს ცვლილებებს მე-კონცეფციაში, ემოციასა და გრძნობებში, მეორეს მხრივ – სოციალური ჩვევების ფორმირებას და ქცევის მოდელებს |

ადამიანის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლის განვითარების ფსიქოლოგია. იგი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგია, რომელიც იკვლევს ფსიქიკის ცვლილებებს დროში და ამ ცვლილებების მიზეზებს.

ყველა ზემოგანხილულ ცნებათა განმარტებები წარმოდგენილია ცხრილში 5.

**ცხრილი № 5.** ადამიანის განვითარება, ძირითადი ცნებები

| | |
|---|---|
| ფსიქოლოგია | მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევასა და აზროვნებას |
| განვითარების ფსიქოლოგია | ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკის ცვლილებებს დროში და ამ ცვლილებათა მიზეზებს |
| განვითარების კომპონენტები: | |
| ზრდა | ორგანიზმის ფიზიკური განვითარება (ზომა, წონა) |
| მომწიფება | ცვლილება, რომელიც არ არის დამოკიდებული გამოცდილებასა და გარემოზე |
| დასწავლა | გამოცდილების გავლენით გამოწვეული სტაბილური ცვლილებები ქცევაში |

რა ფაქტორები განსაზღვრავენ განვითარებას? ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ადამიანის დაბადების ადგილი და დრო, ანუ კონტექსტი წარმოადგენს.

**კონტექსტი** – არის განვითარების სპეციფიკური პირობა, გარემო, რომელშიც, პირველ რიგში, კულტურა, ოჯახი, ისტორიული მოვლენები და განათლება მოიაზრება.

**თაობა** – არის ადამიანთა ჯგუფია, რომელიც ერთ დროში დაიბადა.

# ადამიანის განვითარების ძირითადი პრინციპები

ადამიანის განვითარების რამდენიმე პრინციპს გამოყოფენ:

1. თანდაყოლილისა და შეძენილის თანაფარდობის პრინციპი. განვითარებაზე ზემოქმედებას ახდენს როგორც მემკვიდრეობა, ისე გარემო. ცნობილია, რომ გენები ადამიანის ბევრ თავისებურებას განაპირობებენ: თმის, თვალის, კანის ფერს, აღნაგობას და სხვ. გარემო ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ ჩვენს გამოცდილებაზე (დასწავლაზე), არამედ ფიზიკურ ზრდაზეც. მაგალითად, კვებისა და ცხოვრების წესი გავლენას ახდენს წონასა და ზომაზე.

განვითარებაზე გარემოსა და გენების ზემოქმედების საკითხმა, მათი გამიჯვნის მცდელობამ ხანგრძლივი დაპირისპირება გამოიწვია მეცნიერ-ფსიქოლოგთა შორის. ერთნი ერთ ფაქტორს (მაგ., გენეტიკას) მიიჩნევდნენ წამყვანად, მეორენი კი – მეორეს (მაგ., გარემოს). დღეს ფსიქოლოგიური მეცნიერება არ იზიარებს ასეთ დაყოფას, იგი კომპლექსური მიდგომის მომხრეა და აღიარებს განვითარებაზე ორივე ფაქტორის ზემოქმედების პრინციპს. უფრო ზუსტად, თანამედროვე მეცნიერება ცდილობს დაადგინოს, თუ როგორ თანამშრომლობენ გენი და კონტექსტი. აღნიშნულ პრობლემაზე პასუხის გასაცემად ბევრი კვლევა იქნა ჩატარებული ტყუპ და ნაშვილებ ბავშვებზე. იდენტურ, მონოზიგოტურ (ერთი კვერცხუჯრედიდან განვითარებულ) ტყუპებს ერთნაირი გენეტიკა აქვთ. თუ გენეტიკა განვითარების მთავარი ფაქტორია, მაშინ მათ ერთნაირი (ან თითქმის ერთნაირი) ინტელექტი უნდა ჰქონდეთ. ამავე მიზეზის გამო განსხვავებული ინტელექტი უნდა ჰქონდეთ დიზიგოტურ (ორი კვერცხუჯრედიდან განვითარებულ) ტყუპებს (ასევე ყველა სხვა და-ძმას). იმ შემთხვევაში, თუ ინტელექტის განვითარებას კონტექსტი (გარემო) განაპირობებს, ტყუპებსაც და ყველა სხვა და-ძმასაც, რომლებიც ერთად იზრდებიან, ერთნაირი ინტელექტი უნდა ჰქონდეთ.

კვლევებმა დაადასტურეს, რომ ბავშვის გენოფონდსა და კონტექსტს შორის რთული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს და რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება შეუძლებელია. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ადამიანი რთული, ბიოსოციალური არსებაა და მასში ეს ფაქტორები ერთ მთლიანობაშია მოცემული. ხოლო ის, რაც ერთიანია, დაყოფას არ ექვემდებარება. ამდენად, რომელიმე ფაქტორის უპირატესობაზე საუბარი ბევრი ავტორისათვის გაუგებარი და მიუღებელია.

2. არათანაბარი განვითარების პრინციპი. ადამიანის განვითარება არათანაბრად, ნახტომისებურად მიმდინარეობს. სხეულის სხვადასხვა ნაწილი, ინტელექტუალური და სხვა უნარები, ასევე პიროვნული მახასიათებლები სხვადასხვა ტემპით ვითარდება და განვითარების მაქსიმალურ დონეს სხვადასხვა დროს აღწევს. მაგალითად, პატარა ბიჭი 2-დან 6 წლამდე ასაკში იმავე ტემპით რომ იზრდებოდეს, როგორც იგი დაბადებიდან 1 წლამდე იზრდება, 7 წლისათვის მისი წონა 4 ტონას, ხოლო სიმაღლე 6 მეტრს მიაღწევდა. 3 წლის ასაკში ვაჟებს თავისი სქესის წარმომადგენლებისადმი აგრესია უყალიბდებათ, ხოლო ინტელექტუალურ პოტენციალს 6 წლის ასაკში ავლენენ. ეს ფაქტორები გვიჩვენებენ თუ რა, როდის და როგორ ვითარდება, მათ შორის ტვინიც.

ტვინის განვითარების კვლევის შედეგები ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ნეირონების უმრავლესობა, რომლისგანაც ადამიანის ტვინი შედგება, ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდში ფორმირდება, დანარჩენი კი – დაბადებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში. ახალშობილის ტვინი თავისი მომავალი მაქსიმალური წონის მეოთხედს შეადგენს. 25 წლის ასაკში კი თავის მაქსიმუმს აღწევს.

ტვინის სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა ტემპით ვითარდებიან. ტვინის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს თავის ქალის გარშემოწერილობის ზრდის ტემპიც. დედის კვება

კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალშობილის წონასა და მისი თავის ქალის გარშემოწერილობაზე.

საინტერესოა ტვინის ორ ჰემისფეროს შორის ფუნქციათა განაწილების საკითხი. ახალშობილებში მათ შორის განსხვავება არ შეიმჩნევა, ხოლო ადრეულ ასაკში უკვე ვლინდება ე.წ. „ჯვარედინა კონტროლის" პრინციპი. ცნობილია, რომ მარჯვენა ჰემისფერო პასუხისმგებელია სხეულის მარცხენა ნაწილის მოძრაობაზე, მარცხენა კი, პირიქით, – მარჯვენაზე. ასიმეტრია ვლინდება იმაშიც, თუ რომელ ხელს უფრო აქტიურად იყენებს ადამიანი, – მემარჯვენეა თუ ცაცია. მოსახლეობის 90% მემარჯვენეა, 10% კი – ცაცია. ფიზიოლოგთა კვლევები ადასტურებენ, რომ მარცხენა ჰემისფერო ენობრივ ფუნქციაზეა პასუხისმგებელი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარჯვენა საერთოდ არ მონაწილეობს კომუნიკაციის (ურთიერთობის) პროცესში. ცნობილია, რომ მარცხენა ჰემისფეროს ადრეული დაზიანების შემთხვევაში, ხშირად მარჯვენა იწყებს ენობრივი ფუნქციის შესრულებას (ამ მექანიზმს კომპენსაციას უწოდებენ), მაგრამ თუ დაზიანება გვიან ხდება, ენობრივი ფუნქციის აღდგენა ძალზე ძნელდება, ან, საერთოდ, აღარ ხდება.

არსებობს მოსაზრება, რომ ტვინის მარჯვენა ჰემისფერო ემოციებზე, აგრეთვე სივრცით და დროით ორიენტაციაზეა პასუხისმგებელი; მარცხენა კი – ლოგიკაზე, მათემატიკურ უნარზე, მეცნიერებასა და ენაზე. ამის გამო ლოგიკურ ადამიანებს მარცხენა ჰემისფე-როელებს ეძახიან, ხოლო არტისტულსა და გამჭრიახებს – მარჯვენა ჰემისფეროელებს. ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ჰემისფეროს დომინირება ინდივიდუალური განსხვავებულობის უმთავრესი მიზეზია. მათ მიაჩნიათ, რომ დღევანდელი სკოლა (თანამედროვე სწავლება) მემარჯვენეებზეა ორიენტირებული, ხოლო ცაციები კი იჩაგრებიან. საჭიროა დამუშავდეს ისეთი სასკოლო პროგრამები, რომელიც ორივე ტიპის მოსწავლისთვის ნორმალური სწავლების პირობებს უზრუნველყოფს. ასეთი თვალსაზრისი განათლების ფსიქოლოგიაში შეფასდა როგორც ერთგვარი „ახალი სიტყვა", რომელმაც ჰოლისტური (მთლიანი) მიდგომის სახელი მიიღო. მას პიროვნებაზე მიმართულ, ეკოლოგიურ, გლობალურ და სულიერ მიდგომასაც კი უწოდებენ.

**3. გარემოს ზემოქმედებასთან კოორდინაციის პრინციპი.** გარემოს ზემოქმედება გარკვეული მახასიათებლების ფორმირებაზე ზოგჯერ ძალზე ეფექტურია, ზოგჯერ – ნაკლებეფექტური. მაგალითად, ბავშვობის ასაკის კვების რეჟიმი და წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზრდილობაში მის სიმაღლესა და წონაზე. ამავე დროს, შეიძლება იგი 25 წლის ასაკში ვეგეტარიანელი გახდეს და ეს სულაც არ აისახოს მის ფიზიკურ მახასიათებლებზე. იგივე პრინციპი მოქმედებს ფსიქიკურ განვითარებაშიც. ასე, მაგალითად, ადამიანის კოგნიტური განვითარება ძალზე მგრძნობიარეა ბავშვობის ეტაპის გარემო ცვლილებებისადმი. იგივე შეიძლება ითქვას უცხო ენების შესწავლის შესახებაც, – ბავშვები ადვილად ეუფლებიან უცხო ენას, ზრდასრული ადამიანები კი ბევრ პრობლემას ხვდებიან ენის შეთვისების გზაზე.

არაერთხელ აღინიშნა იმის თაობაზეც, რომ კონტექსტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე, განსაკუთრებით სწრაფი ზრდის პერიოდში. მასწავლებლები კარგად უნდა იცნობდნენ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ რომელ ასაკობრივ საფეხურზე რის მიმართ არის იგი სენზიტიური (მგრძნობიარე) და რა დროს რისი სწავლებაა უფრო ხელსაყრელი. ეს ფაქტორი არ შეიძლება გათვალისწინებული არ იქნეს სწავლების პროცესში. გარემოს გავლენა კოორდინაციაში უნდა იყოს მოყვანილი სწავლებასთან.

**4. განვითარების თანმიმდევრობის პრინციპი.** ადამიანის განვითარება საკმაოდ თანმიმდევრული და წინასწარგანსაზღვრული პროცესია. ბავშვი გარკვეული თანმიმდევ

რობით ეუფლება ამა თუ იმ ქცევას. მაგალითად, იგი ჯერ თავის წამოწევას სწავლობს, მერე ჯდომას, მერე ხოხვას და ბოლოს – სიარულს. იგივე პრინციპი მოქმედებს ინტელექტუალურ განვითარებაშიც, თამაშის სახეებიც გარკვეული თანმიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს: 3 წლამდე ასაკის ბავშვს საერთოდ არ ესმის თამაშის წესების მნიშვნელობა, იგი რაღაც ამის მსგავსის გათვალისწინებას 5 წლის შემდეგ იწყებს, 11 წლისათვის კი უკვე სრულად აცნობიერებს მას.

განვითარების თანმიმდევრობის პრინციპის ცოდნა აუცილებელია პედაგოგებისათვის. მათ კარგად უნდა იცოდნენ რას რა მოსდევს განვითარების პროცესში. ამ პრინციპის გათვალისწინება მასწავლებლებს დაეხმარება სწორად განსაზღვრონ სასწავლო პროგრამა, არ გადატვირთონ იგი არასაინტერესო და შეუსრულებადი დავალებებით.

5. **განვითარების სტადიურობის პრინციპი.** განვითარება, მართალია, უწყვეტი და თანდათანობითი პროცესია, მაგრამ განვითარების თეორიების უმრავლესობა მაინც მის სტადიურობაზე მიუთითებს. ფსიქოლოგები ხუმრობით აღნიშნავენ, რომ სტადია – ეს თავისებური ანკესია, რომელზეც ფაქტებს წამოვაგებთ ხოლმეო. განვითარების სტადიებად დაყოფას უფრო თეორეტიკოსებს მიაწერენ, მაგრამ იგი (ასეთი დაყოფა) მართლაც აუცილებელია, ვინაიდან იძლევა მოვლენებში ღრმად წვდომისა და გაანალიზების საშუალებას.

როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, წარმოუდგენელია ადამიანის მთელი ცხოვრების ერთიანად შესწავლა პერიოდებად დაყოფის გარეშე. ამავე თვალსაზრისის არიან ცნობილი ფსიქოლოგები: ზიგმუნდ ფროიდი, ერიკ ერიქსონი, ჟან პიაჟე და სხვები – ადამიანის განვითარების პერიოდიზაციის თეორიების ავტორები.

6. **სქესობრივი განვითარების წინასწარგანსაზღვრულობის პრინციპი.** გოგონებისა და ვაჟების განვითარება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დაბადებიდან 11 წლამდე ვაჟები გოგონებზე უფრო მაღლები არიან და მეტსაც იწონიან. 11 წლის ასაკში გოგონები ბიჭებს ეწევიან და 12 წლის ასაკში უსწრებენ კიდეც მათ. 14 წლისათვის ხდება გათანაბრება, „სტატუს ქვოს“ აღდგენა, ხოლო შემდგომ ვაჟები კვლავ უსწრებენ გოგონებს. სქესობრივი მომწიფება გოგონებში ორი წლით ადრე იწყება. მომწიფების პროცესს თან ახლავს სერიოზული ჰორმონალური ცვლილებები, რომელიც ფიზიკური განვითარების დაჩქარებასთან ერთად ინტერესების ცვალებადობას იწვევს.

ძალზე ნაადრევი ან გვიანი მომწიფება, როგორც წესი, უარყოფითად აისახება თანატოლებთან ურთიერთობასა და ადაპტაციაზე. მიიჩნევენ, რომ ნაადრევი მომწიფება დადებითად მოქმედებს ვაჟებზე. ასეთი ბიჭი თანატოლების წრეში პოპულარობით სარგებლობს და მისაბაძად ითვლება. ბიჭი, რომელიც განვითარებას ჩამორჩება, ბევრ პრობლემას აწყდება. მას შეიძლება დაბალი თვითშეფასება გაუჩნდეს, რის გამოც გაუჭირდება თანატოლებთან ურთიერთობა და სხვ.

7. **ადამიანის უნიკალურობის პრინციპი.** თითოეული ჩვენგანი თავისებურად უნიკალურია. ადამიანი უნიკალურია, ასეა ეს იდენტური ტყუპების შემთხვევაშიც კი. რეალურ ცხოვრებაში „საშუალო ბავშვი“ არ არსებობს, იგი ფსიქოლოგ-მკვლევრების გამონაგონია. ეს პრინციპი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მასწავლებლებს გაითვალისწინონ თითოეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები.

ზემოგანხილული განვითარების პრინციპები, მართალია, არ შეიცავენ მოქმედებისათვის საჭირო მკვეთრ ინსტრუქციებს, მაგრამ მათ შეიძლება მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს, სწორი წარმოდგენა შეუქმნან განვითარების საფუძვლებზე. ეს იქნება ერთგვარი გარანტია იმისა, რომ უკეთ გაუგონ ბავშვს.

## საკონტროლო კითხვები

- მოიყვანეთ თითოეული ცნების შესატყვისი მაგალითები: განვითარება, ზრდა, დასწავლა მომწიფება.

- რატომ სჭირდება მასწავლებელს ბავშვის განვითარების ძირითადი პრინციპების ცოდნა?

- რა თვისებებით ჰგავხართ მშობლებს, ახლობლებს? რითი განსხვავდებით? რაში გამოიხატება თქვენი უნიკალურობა?

## მიუწერეთ ცნებებს განმარტებები

- განვითარება

- ზრდა

- მომწიფება

- კონტექსტი

- კომპენსაცია

- კომუნიკაცია

# პერსონალური დღიური

- ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის ______________________________
______________________________
______________________________
______________________________

- განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ______________________________
______________________________
______________________________
______________________________

- კითხვები, რომელიც გამიჩნდა ______________________________
______________________________
______________________________
______________________________

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი IV

## მრავალფეროვნება კლასში: კულტურა, გენდერი

> ინდივიდუალიზმი პედაგოგიკაში შეიჭრა,
> მას სიღრმეში ანკარა წყარო გაჩნდა. მისი
> წყალი დაიწმინდა და გამოცოცხლდა.
>
> დ. უზნაძე

თამარი 25 წლისაა, იგი მასწავლებლად მუშაობს აზერბაიჯანულებით დასახლებულ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში. თამარი ყოველთვის თვლიდა, რომ მისგან კარგი მასწავლებელი დადგებოდა. კარგად სწავლობდა, უყვარდა ბავშვები და თავისი პროფესია, მოწესრიგებული და შრომისმოყვარე იყო. როდესაც განათლების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა არაქართულენოვან რეგიონში ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე, მან მონაწილეობა მიიღო კონკურსში და გაიმარჯვა კიდეც. თამარს მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრების გამოცდილება არ ჰქონდა, არც მულტიკულტურული განათლების შესახებ იცოდა რაიმე. იმედი ჰქონდა, რომ სამუშაოს თავს წარმატებით გაართმევდა, რადგან პატივს სცემდა სხვა ერების კულტურას, ტრადიციებს, რელიგიას. დარწმუნებული იყო, პრობლემები არ ექნებოდა და ბავშვებიც აღფრთოვანებული იქნებოდნენ მისით. თვითონ ასე თვლიდა, მაგრამ რეალურად სხვა რამ მოხდა. თამარი დაბნეული უძლებოდა მეცადინეობებს, მას ბევრი რამ ეუცხოებოდა, მაგ., ის, რომ • მასწავლებლები ძირითადად თვითონ ესაუბრებოდნენ მოსწავლეებს, ისინი კი მხოლოდ უსმენდნენ, თითქმის შეუძლებელი იყო დიალოგი მოსწავლეებთან, • მოსწავლეები, განსაკუთრებით გოგონები, თითქმის ყოველთვის ეთანხმებოდნენ მასწავლებლებს, მამაკაც მასწავლებლებს კი – უსიტყვოდ, • ფიზკულტურის გაკვეთილზე გოგონები მოკლე შარვალს არ იცმევდნენ, • ბიჭები ძნელად ემორჩილებოდნენ ქალ მასწავლებლებს.

ყველაზე დიდ პრობლემას კი თამარს აზერბაიჯანული ენის უცოდინრობა უქმნის.

***საკითხის შესწავლის შემდეგ დაუბრუნდით შემთხვევას და გააანალიზეთ.***

### ძირითადი საკითხები:

- რა არის მულტიკულტურული განათლება.
- რა არგუმენტები არსებობს ორენოვანი განათლების მხარდასაჭერად და საწინააღმდეგოდ.
- რა არის განშტოებული და სწორხაზოვანი პროგრამები.
- როგორ შეიძლება გამოვიყენოთ სწავლებაში კომპიუტერი.
- რაში მდგომარეობს მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის სხვადასხვა მიდგომის არსი.
- გენდერი და სასკოლო ცხოვრება.

## მულტიკულტურული განათლება და ბილინგვიზმი

ცალკეული ადამიანი ხშირად წარმოადგენს გამონაკლისს, რომელზეც წესები და თეორიები ნაკლებად ვრცელდება. ერთი და იგივე ასაკის მოსწავლეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი განსხვავდებიან სქესის მიხედვით, სხვადასხვაგვარი ნიჭიერების, ინტერესების, პიროვნული თვისებების მატარებლები არიან. ამას ემატება კულტურული განსხვავებაც. მართალია, საქართველოში უმეტესი ოჯახი მონოკულტურულია,

ოჯახის ყველა წევრი ქართველია და ქართული ტრადიციების მატარებელია, მაგრამ ხოჯჯერ, ოჯახის რომელიმე წევრი სხვა ეროვნებისაა (საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და არც ისე იშვიათია შერეული ქორწინება), ან სხვა რელიგიის მატარებელი, ამას ემატება სხვადასხვა კუთხის ტრადიციები, სოციალურ ფენათა მრავალგვარობა და სხვა. ასე რომ, თითოეულ კლასში შეიძლება განსხვავებული კულტურის მატარებელი ბავშვი იყოს.

**მულტიკულტურული განათლება** გულისხმობს სხვადასხვა კულტურისა და ენის მქონე მოსწავლეებისათვის მაღალი ხარისხის განათლებით უზრუნველყოფას. ხშირად მასწავლებელი არასაკმარისად იცნობს იმ კულტურებს, რომელთა მატარებელნი მისი მოსწავლეები არიან, რაც გარკვეულ სიროთულეებს უქმნის მუშაობაში. ძლიერია **ეთნოცენტრიზმი,** რაც იმას გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ერთი რომელიმე კულტურა დომინირებულია (უმრავლესობის კულტურა) და მოთხოვნაა, რომ ის სხვა კულტურისათვის ნიმუში იყოს.

მულტიკულტურული საკითხების ცოდნა მასწავლებლისათვის სავალდებულოა და ამისათვის მათ სპეციალური მომზადებაც კი სჭირდებათ.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ბევრს საუბრობენ გლობალიზაციის შესახებ, ბევრს უჩნდება შიში იმის გამო, რომ მცირერიცხოვან ერთა კულტურებს გადაშენება დაემუქრებათ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამ კულტურებმა ვერ მოახერხეს მათზე მომქმედ მრავალგვარ ფაქტორებზე ადექვატური რეაგირება. ასეთი ადექვატური რეაგირების შედეგია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველმა ერმა შეინარჩუნა თვითმყოფადობა, ენა, რელიგია, კულტურა, სულიერი ფასეულობები. დღესაც, XXI საუკუნეში საჭიროა რეაგირების ამ მექანიზმების შენარჩუნება. როგორც არასოდეს, ისე აქტუალურია დღეს საქართველოსათვის მულტიკულტურული განათლების სწორი სტრატეგიების მოძიება: შობადობისა და მიგრაციის სხვადასხვა ტემპი, დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება და სხვა ფაქტორები არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ბევრ პრობლემას გაუჩენს ჩვენი მცირერიცხოვანი ერის კულტურას. თანდათან გაიზარდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულენოვანი სკოლების რიცხვი, არსებობას განაგრძობს რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, უკრაინული სკოლები... სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში უმნიშვნელოვანეს საკითხად დგება ბილინგვიზმის პრობლემა. მეორე ენა (ქართულის შემდეგ) უმეტეს შემთხვევაში ინგლისურია, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. ინგლისური ენა მსოფლიოში თანდათან დომინირებული ხდება ერთი იმიტომ, რომ იგი გახდა მეცნიერების ენა. მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ გამოჩენილ მეცნიერს, რომელიც ამ ენას არ ფლობდეს, მეორეც, ინგლისური არის კომპიუტერისა და ინტერნეტის ენა. ამას ისიც ემატება, რომ ინგლისური ბიზნესის ენაცაა.

მეორე ენის სწავლების სამი ძირითადი სტრატეგია არსებობს:

1. მასწავლებელი ორივე ენას ფლობს, მაგრამ სკოლაში მხოლოდ ერთ ენას იყენებს და სწავლება მხოლოდ ამ ენაზე მიმდინარეობს.

2. უცხო ენაზე ცუდად მოლაპარაკე ბავშვს მიაბარებენ საბავშვო ბაღის უცხოენოვან ჯგუფში.

3. ხდება უცხო ენის თანდათანობითი დაუფლება და ერთდროულად მშობლიური ენის ღრმა შესწავლა.

დღეს მეცნიერები ლაპარაკობენ დადებით და უარყოფით ბილინგვიზმზე. **უარყოფითი ბილინგვიზმი** გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მეორე ენის შესწავლას ზოგადი

უარყოფითი ეფექტი ახლავს და ხშირად ვლინდება, როგორც ორივე ენის ცუდი ცოდნა. **დადებითი ბილინგვიზმი** კი აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც მეორე ენის შესწავლა დადებით გავლენას ახდენს მშობლიური ენის შესწავლაზე, ასევე ზოგად ფსიქოლოგიურ განვითარებასა და მდგომარეობაზე. პირველს (უარყოფით ბილინგვიზმს) მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ეთნიკური უმცირესობა სწავლობს უმრავლესობის ენას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სოციალური გარემო კი ამ პროცესს აძლიერებს. ისინი თანდათან კარგავენ თავიანთ ენას და მასთან ერთად კულტურისთვის დამახასიათებელ ტრადიციებს. მეორე (დადებითი ბილინგვიზმის) შემთხვევის მაგალითად გამოდგება შემდეგი სიტუაცია: საქართველოში მცხოვრები ქართველები სწავლობენ უცხო ენას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სიციალური გარემო ქართულია. ასეთ შემთხვევაში მეორე ენის შესწავლა დადებით გავლენას ახდენს ზოგად ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. რასაკვირველია, სიტუაცია ყოველთვის ასეთ მარტივ დაყოფას არ ექვემდებარება და ბილინგვიზმის პრობლემა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

მულტიკულტურულ კლასებში ფართოდ გამოიყენება სწავლების ინდივიდუალური სტრატეგიები. მოსწავლეთა შორის განსხვავებულობის გამო ასეთი პროგრამები ეფექტურად მუშაობს, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს განსხვავებული ტემპით გაიარონ სასწავლო პროგრამები.

## ინდივიდუალური სწავლების სტრატეგიები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი ეთნიკური ჯგუფის შიგნითაც მრავალი განსხვავება არსებობს. ცალკე აღებული რომელიმე გაკვეთილი ან სასწავლო კურსი ყველასათვის ერთნაირად მისაღები და გასაგები არ არის. იგი უმეტესად გათვლილია მასისთვის, ან ე.წ. საშუალო სტატისტიკური ბავშვისათვის ისე, რომ მათი ინდივიდუალური განსხვავება მხედველობაში არ მიიღება. რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა, რომ უზრუნველყოს ინდივიდუალური სწავლება? ამისათვის რამდენიმე სტრატეგიას გამოყოფენ:

- იმუშაო თითოეულ ბავშვთან ცალ-ცალკე. სამწუხაროდ, ეს არ ხერხდება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ბევრი ბავშვია და ცოტა მასწავლებელი, დრო და რესურსები განსაზღვრული.

- ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება ნიჭიერების, ინტერესების, პროფესიული ორიენტაციის გათვალისწინებით. ამ მიდგომას უწოდებენ **ნაკადთა სისტემას.** გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ეთნიკური უმცირესობის მცირეშემოსავლიანი ოჯახების შვილების უმრავლესობა დაბალნიჭიერების ჯგუფში ხვდება. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთი დაყოფის მომხრენი მაღალშემოსავლიანი მშობლები არიან.

ამართლებს თუ არა მოსწავლეთა უნარების მიხედვით დაყოფა ძლიერ და სუსტ კლასებად? როგორც გამოკვლევები აჩვენებენ, ასეთი დაყოფა მცირედ აუმჯობესებს სწავლების ეფექტურობას თუ დაყოფა მოხდება კლასის შიგნით და არა კლასთა შორის. როჯერსს (1998) მოჰყავს მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ნიჭიერების მიხედვით ჯგუფების შექმნა ძალზე ეფექტურია ძლიერი მოსწავლეებისათვის და ნაკლებად ეფექტური სუსტებისათვის.

# პროგრამირებული სწავლება

ფართო მნიშვნელობით აღნიშნული ტერმინი ყოველგვარი სწავლების საშუალებას მოიცავს, მაგ., სახელმძღვანელო, კომპიუტერი... ვიწრო მნიშვნელობით იგი გულისხმობს მასალის იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს მის შესწავლას.

პროგრამირებული სწავლების ორი მოდელი არსებობს: სწორხაზოვანი და განშტოებული (ან ორივე ერთად). პირველი მოდელი დაკავშირებულია სკინერის, მეორე – კრაუდერის სახელთან (იხ. დანართი).

სწორხაზოვან მოდელში ყველა მოსწავლეს ეძლევა ერთი და იგივე მასალა, ერთნაირი თანამიმდევრობით. იგი არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ განსხვავებებს. სასწავლო მასალა დაყოფილია ფრაგმენტებად კადრებად.(ნიმუში იხილეთ V თავში – "პიაჟეს ჟარგონი")

განშტოებული პროგრამა მოიცავს მასალის დამუშავების რამდენიმე გზას. მისი ფრაგმენტები დიდი ზომისაა და რამდენიმე ვარიანტიდან ერთის არჩევას გულისხმობს. მოსწავლეები სხვადასხვა გზით მიდიან საბოლოო მიზნამდე. შეცდომის დაშვების შემთხვევაში მათ აღმოეჩინებათ დახმარება.

# კომპიუტერი განათლებაში

კომპიუტერულ რევოლუციას მესამე რევოლუციას უწოდებენ. პირველი ეს იყო 10000 წლის წინ. ეს იყო სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია, როდესაც ადამიანმა მოიშინაურა ცხოველები და მოიყვანა მოსავალი. ამით რადიკალურად შეიცვალა ადამიანის არსი. მეორე რევოლუცია ეს იყო სამრეწველო რევოლუცია, რომელმაც ასევე რადიკალურად შეცვალა ადამიანის ყოფა-ცხოვრება და ზოგადად ცივილიზაცია. დრო გვიჩვენებს, რამდენად ღრმა აღმოჩნდება კომპიუტერული რევოლუცია, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ახალი თაობა. მათ ბევრ რამეში გაუსწრეს თავიანთ მშობლებს კომპიუტერული ქსელის წყალობით.

ზოგიერთ მასწავლებელს აშინებს სწავლების ინტენსიური კომპიუტერიზაცია. ეს შიში გაცილებით დიდი იყო პირველ წლებში. ამჟამად თითქმის არავინ დაეობს მის სიკეთეზე და მასწავლებლები მიესალმებიან კომპიუტერის გამოყენებას.

კომპიუტერიზაციის დადებით ეფექტად მიიჩნევენ შემდეგს:

- ხელმისაწვდომია მაღალეფექტური ინფორმაცია.
- უზრუნველყოფილია სწავლების ინდივიდუალიზაცია.
- შემცირებულია ტელევიზიის ზეგავლენის უარყოფითი შედეგები.

კომპიუტერიზაციის უარყოფით შედეგად მიიჩნევენ შემდეგს:

- კითხვის, წერის და მათემატიკისადმი ინტესესი მცირდება.
- აძლიერებს ძალადობას.
- აძლიერებს დიფერენციაციას მოსწავლეთა შორის: ვისაც აქვს და არა აქვს კომპიუტერი.

- ნაკლებად ვენდობით საკუთარ თავს, ვიდრე კომპიუტერს.
- შეიძლება გამოიწვიოს დეპერსონალიზაცია სწავლებაში (ადამიანი აღარც კი იყოს საჭირო სწავლებაში).

დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისათვის პაპერტმა შექმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა ლოგო, რომელიც ბავშვებს მარტივ ენაზე ასწავლის რიგ რთულ საკითხებს (მაგ., დიფერენციალურ განტოლებებს).

## ინდივიდუალიზირებული სწავლების სხვა პროგრამები

არსებობს ინდივიდუალიზირებული სწავლების სხვა პროგრამებიც. ასეთებია ბლუმის **მასტერ-სწავლება** და კელერის **სწავლების პერსონალიზირებული სისტემა**. პირველი ეფუძნება დებულებას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ მოსწავლეს (თუ ის მოინდომებს) შეუძლია შეიძინოს ესა თუ ის ჩვევა, მაგრამ ამისათვის თითოეულ მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა დრო. კელერის სისტემაში სწავლების შედეგზე ძირითადი პასუხისმგებელი თვითონ მოსწავლეა. პროგრესი მიდის მკაცრი თანმიმდევრობით: ყოველ ახალ მასალაზე გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმატებით დაძლევ ძველს.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო **ინდივიდუალურ მეთოდოლოგიური მიდგომა**, რომელიც ძალზე ეფექტურია ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებულობით ხასიათდებიან. მაგალითად, ძლიერი შფოთვით, სირთულეებით სწავლაში და სხვა. ზოგიერთი ბავშვი ადვილად სწავლობს თუ სასწავლო პროცესში ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია, ზოგი ძალზე ეფექტურად მუშაობს თანატოლებთან ერთად მცირე ჯგუფში და ა.შ.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კარგად სტრუქტურირებული მიდგომები (პროგრამირებული სწავლება) ეფექტურია არც თუ ისე ნიჭიერი მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი წინ მიიწევენ თანდათან, პატარა ნაბიჯებით და მკაფიოდ განსაზღვრული თანამიმდევრობით. მათთვის ასევე ეფექტურია ე.წ. მასტერ-სწავლება, რადგან ეს მეთოდები მოსწავლისაგან არ მოითხოვს ინფორმაციის შემოქმედებით გადამუშავებას, რთული კოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი განსაკუთრებული, მაგ., მაღალი შფოთვის მქონე მოსწავლეების შესახებაც.

## გენდერი

მოსწავლეები უპირველეს ყოვლისა სქესით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გენდერი ინგლისური სიტყვაა და სქესს ნიშნავს. ცნება „სქესი" ბიოლოგიურ კატეგორიას აღნიშნავს, ცნება „გენდერი" კი ფსიქოლოგიაში ნიშნავს სოციალურ-ბიოლოგიურ მახასიათებელს, რომლის დახმარებითაც განისაზღვრება ცნებები „კაცი" და „ქალი". გენდერი არის ფსიქო-სოციალური სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალურ შესაძლებლობებს

განათლებაში, პროფესიულ საქმიანობაში. მთავარი შეკითხვა, რომელსაც განათლების ფსიქოლოგია სვამს გენდერის პოზიციიდან, შემდეგში მდგომარეობს: აქვთ თუ არა ისეთივე ხელშეწყობა გოგონებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებისათვის სკოლაში, როგორც ბიჭებს?

სქესი გენეტიკურად არის განპირობებული. ამის გამო ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ქალები და კაცები მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ინტელექტუალური თავისებურებებით, ხასიათით, ქცევით, ადაპტაციის უნარით და სხვა. ყველაფერ ამას კი განაპირობებს გენეტიკური პროგრამა. არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომელსაც მიაჩნია, რომ სქესთა შორის ფსიქოლოგიურ სხვაობას გარემო აყალიბებს: ოჯახი, სკოლა, მეგობრები, საზოგადოება. მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ საკითხის ასე დაყენება არასწორია. მემკვიდრეობა და კულტურა პიროვნების ფორმირებაში, მათ შორის ფსიქოსექსუალური იდენტურობის ჩამოყალიბებაში, უნდა განვიხილოთ როგორც ერთ თოკში ურთიერთგადახლართული ორი ძაფი.

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ მნიშვნელოვანი სხვაობა გოგონებსა და ვაჟებს შორის არ არსებობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოციაბილურობა, თავმოყვარეობა, ანალიტიკური უნარები და სასწავლო მასალის დაზეპირებაც კი. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ფსიქიკური თვალსაზრისით გოგონებსა და ვაჟებს შორის სხვაობა 5% არ აღემატება. საშუალოდ ვაჟები უმნიშვნელოდ აჭარბებენ გოგონებს ზოგადი აქტიურობით, აგრესიულობით, მათემატიკური უნარებით. გოგონები ერთ რამეში შკარად ჯაბნიან ვაჟებს, ისინი უფრი ემპათიურები არიან, უკეთ ახერხებენ სხვისი განცდების გაგებასა და თანაგრძნობის მეტი უნარიც გააჩნიათ.

ყოველ კულტურაში არსებობს ე.წ. გენდერული სტერეოტიპები. მასში მოიაზრება ის მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია ქალურობასა და მამაკაცურობასთან. ეს სტერეოტიპები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სასკოლო ცხოვრებაში და გავლენას ახდენენ მოსწავლეთა მიღწევებზე. გენდერულ სტერეოტიპებს აყალიბებს მხატვრული ლიტერატურა, კინო, ტელევიზია და სხვა. სტერეოტიპები ძალზე მყარია და მასში ურთიერთდაპირისპირებულია ერთი სქესი მეორესთან.

გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მასწავლებლები განხვავებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს. ამის მიზეზი ხშირად გენდერული სხვაობაცაა.

რატომ იკლებს გოგონებში მიღწევის მოთხოვნილება განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა...? ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მასწავლებელთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები ბიჭებისა და გოგონების მიმართ. ცნობილია, რომ მასწავლებლები ბიჭებს უფრო ძლიერად უმტკიცებენ ინტელექტუალური ძიებისაკენ მიმართულ აქტივობას. საერთოდ ითვლება, რომ მასწავლებლები ბიჭებს მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე გოგონებს, განსაკუთრებით მათემატიკის, ფიზიკის გაკვეთილებზე. ამ გაკვეთილებზე ბიჭებისადმი მიმართული კითხვები შეადგენს 80%. ექსპერიმენტების დემონსტრირებასაც ძირითადად ბიჭები ახდენენ გაკვეთილებზე. სხვაობა დასტურდება მასწავლებელთა კომენტარებშიც, კერძოდ, ისინი ბიჭებს უფრი ხშირად აქებენ, ეთანხმებიან და საერთოდ მათ მიმართ იყენებენ ისეთ კომენტარებს, რომელიც ეფექტურად ითვლება.

ცხრილში № 6. გენდერული სხვაობები.

| მახასიათებლები | გენდერული განსხვავებები |
|---|---|
| ფიზიკური განსხვავება | გოგონები ბიჭებზე ადრე მწიფდებიან, დაახლოებით 14 წლიდან ბიჭები ასწრებენ გოგონებს ზომასა და ძალაში |
| სამეტყველო უნარები | ადრეული ასაკიდან დაწყებული გოგონები ასწრებენ ბიჭებს განვითარებაში. ბიჭებს უფრო ხშირად აქვთ მეტყველების პრობლემები. |
| სივრცითი უნარები | ბიჭების უპირატესობა მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში აშკარად შესამჩნევია. |
| მათემატიკური უნარები | მცირე განსხვავება იჩენს თავს დაწყებით კლასებში, ხოლო მაღალი კლასებიდან ბიჭების უპირატესობა აშკარაა. |
| მეცნიერება | ბიჭები ასწრებენ გოგონებს. |
| წარმატების მოტივაცია | იგი დამოკიდებულია საგნებსა და სიტუაციაზე. ბიჭები ძლიერნი არიან სტერეოტიპულ „მამაკაცურ" საგნებში (მათემატიკა, ფიზიკა...), გოგონები კი „ქალურ" საგნებში (მუსიკა, ხელოვნება). ასაკის მატებასთან ერთად გოგონების მოტივაცია თანდათან იკლებს. |
| აგრესია | ვაჟები უფრო აგრესიულნი არიან, ვიდრე გოგონები. ეს სხვაობა ადრე ვლინდება და ასევე გრძელდება. |

რეკომენდაციები, რომლებსაც ფსიქოლოგები აძლევენ პედაგოგებს, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- უმჯობესი იქნება, თუ სქესთა შორის განსხვავებას ინდივიდუალურ თავისებურებებად აღვიქვამთ.
- მოსწავლეთა შორის არსებული განსხვავებები უფრო დიდია, ვიდრე სხვადასხვა სქესის მოსწავლეთა შორის არსებული განსხვავებები.
- სქესთა შორის განსხვავების გათვალისწინება მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ არ უნდა აღვიქვათ, როგორც განმსაზღვრელი, რადგან ისინი სოციალური და კულტურული ფაქტორებითაა კონსტრუირებული და შეიძლება შეიცვალოს.
- სქესით განპირობებული შეზღუდვები საზიანოა.

## პროგრამირებული სწავლება

ფართო მნიშვნელობით აღნიშნული ტერმინი ყოველგვარი სწავლების საშუალებას მოიცავს, მაგ., სახელმძღვანელო, კომპიუტერი... ვიწრო მნიშვნელობით იგი გულისხმობს მასალის იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც თვითონვე უზრუნველყოფს მის შესწავლას.

პროგრამირებული სწავლების ორი მოდელი არსებობს: სწორხაზოვანი და განშტოებული (ან ორივე ერთად). პირველი მოდელი დაკავშირებულია სკინერის, მეორე – კრაუდერის სახელთან (იხ. დანართი).

სწორხაზოვან მოდელში ყველა მოსწავლეს ეძლევა ერთი და იგივე მასალა, ერთნაირი თანამიმდევრობით. იგი არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ განსხვავებებს. სასწავლო მასალა დაყოფილია ფრაგმენტებად კადრებად.(ნიმუში იხილეთ V თავში – "პიაჟეს ჟარგონი")

განშტოებული პროგრამა მოიცავს მასალის დამუშავების რამდენიმე გზას. მისი ფრაგმენტები დიდი ზომისაა და რამდენიმე ვარიანტიდან ერთის არჩევას გულისხმობს. მოსწავლეები სხვადასხვა გზით მიდიან საბოლოო მიზნამდე. შეცდომის დაშვების შემთხვევაში მათ აღმოეჩინებათ დახმარება.

## კომპიუტერი განათლებაში

კომპიუტერულ რევოლუციას მესამე რევოლუციას უწოდებენ. პირველი ეს იყო 10000 წლის წინ. ეს იყო სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია, როდესაც ადამიანმა მოიშინაურა ცხოველები და მოიყვანა მოსავალი. ამით რადიკალურად შეიცვალა ადამიანის არსი. მეორე რევოლუცია ეს იყო სამრეწველო რევოლუცია, რომელმაც ასევე რადიკალურად შეცვალა ადამიანის ყოფა-ცხოვრება და ზოგადად ცივილიზაცია. დრო გვიჩვენებს, რამდენად ღრმა აღმოჩნდება კომპიუტერული რევოლუცია, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ახალი თაობა. მათ ბევრ რამეში გაუსწრეს თავიანთ მშობლებს კომპიუტერული ქსელის წყალობით.

ზოგიერთ მასწავლებელს აშინებს სწავლების ინტენსიური კომპიუტერიზაცია. ეს შიში გაცილებით დიდი იყო პირველ წლებში. ამჟამად თითქმის არავინ დავობს მის სიკეთეზე და მასწავლებლები მიესალმებიან კომპიუტერის გამოყენებას.

კომპიუტერიზაციის დადებით ეფექტად მიიჩნევენ შემდეგს:

- ხელმისაწვდომია მაღალეფექტური ინფორმაცია.
- უზრუნველყოფილია სწავლების ინდივიდუალიზაცია.
- შემცირებულია ტელევიზიის ზეგავლენის უარყოფითი შედეგები.

კომპიუტერიზაციის უარყოფით შედეგად მიიჩნევენ შემდეგს:

- კითხვის, წერის და მათემატიკისადმი ინტესესი მცირდება.
- აძლიერებს ძალადობას.
- აძლიერებს დიფერენციაციას მოსწავლეთა შორის: ვისაც აქვს და არა აქვს კომპიუტერი.

- ნაკლებად ვენდობით საკუთარ თავს, ვიდრე კომპიუტერს.
- შეიძლება გამოიწვიოს დეპერსონალიზაცია სწავლებაში (ადამიანი აღარც კი იყოს საჭირო სწავლებაში).

დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისათვის პაპერტმა შექმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა ლოგო, რომელიც ბავშვებს მარტივ ენაზე ასწავლის რიგ რთულ საკითხებს (მაგ., დიფერენციალურ განტოლებებს).

## ინდივიდუალიზირებული სწავლების სხვა პროგრამები

არსებობს ინდივიდუალიზირებული სწავლების სხვა პროგრამებიც. ასეთებია ბლუმის **მასტერ-სწავლება** და კელერის **სწავლების პერსონალიზირებული სისტემა**. პირველი ეფუძნება დებულებას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ მოსწავლეს (თუ ის მოინდომებს) შეუძლია შეიძინოს ესა თუ ის ჩვევა, მაგრამ ამისათვის თითოეულ მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა დრო. კელერის სისტემაში სწავლების შედეგზე ძირითადი პასუხისმგებელი თვითონ მოსწავლეა. პროგრესი მიდის მკაცრი თანმიმდევრობით: ყოველ ახალ მასალაზე გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმატებით დაძლევ ძველს.

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო **ინდივიდუალურ მეთოდოლოგიური მიდგომა**, რომელიც ძალზე ეფექტურია ისეთი ბავშვების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებულობით ხასიათდებიან. მაგალითად, ძლიერი შფოთვით, სირთულეებით სწავლაში და სხვა. ზოგიერთი ბავშვი ადვილად სწავლობს თუ სასწავლო პროცესში ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია, ზოგი ძალზე ეფექტურად მუშაობს თანატოლებთან ერთად მცირე ჯგუფში და ა.შ.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ კარგად სტრუქტურირებული მიდგომები (პროგრამირებული სწავლება) ეფექტურია არც თუ ისე ნიჭიერი მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი წინ მიიწევენ თანდათან, პატარა ნაბიჯებით და მკაფიოდ განსაზღვრული თანამიმდევრობით. მათთვის ასევე ეფექტურია ე.წ. მასტერ-სწავლება, რადგან ეს მეთოდები მოსწავლისაგან არ მოითხოვს ინფორმაციის შემოქმედებით გადამუშავებას, რთული კოგნიტური სტრატეგიების გამოყენებას. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი განსაკუთრებული, მაგ., მაღალი შფოთვის მქონე მოსწავლეების შესახებაც.

## გენდერი

მოსწავლეები უპირველეს ყოვლისა სქესით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გენდერი ინგლისური სიტყვაა და სქესს ნიშნავს. ცნება „სქესი" ბიოლოგიურ კატეგორიას აღნიშნავს, ცნება „გენდერი" კი ფსიქოლოგიაში ნიშნავს სოციალურ-ბიოლოგიურ მახასიათებელს, რომლის დახმარებითაც განისაზღვრება ცნებები „კაცი" და „ქალი". გენდერი არის ფსიქო-სოციალური სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალურ შესაძლებლობებს

## საკონტროლო კითხვები

- იყვნენ თუ არა თქვენს კლასში განსხვავებული კულტურის მოსწავლეები? ხომ არ გახსენდებათ შემთხვევა, როდესაც ამის გამო კლასში პრობლემა გაჩენილა მოსწავლეთა შორის ან მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაში?
- რა აზრის ხართ ბილინგვიზმის შესახებ? ხომ არ გახსენდებათ დადებითი ან უარყოფითი ბილინგვიზმის შემთხვევები? კერძოდ რომელი?
- დაასახელეთ მოსწავლეთა ნიჭიერების მიხედვით დაყოფის სასარგებლოდ არგუმენტები. რა სირთულეებს შექმნის ასეთი დაყოფა?
- მასწავლებელი რომ იყოთ რა დანიშნულებით გამოიყენებდით სკოლაში კომპიუტერს?
- თქვენ თვითონ რა ინდივიდუალური თავისებურებით გამოირჩევით? როგორ უფრო გიადვილდებათ სწავლა, როცა ისმენთ ლექციას, როცა მუშაობთ თანაჯგუფელებთან ერთად თუ სხვა?
- რა ფაქტორები ახდენენ გავლენას გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე?

## მიუწერეთ ცნებებს მათი მნიშვნელობა

- **მულტიკულტურული განათლება** გულისხმობს სხვადასხვა კულტურის და ენის მქონე მოსწავლეების [illegible] განათლების უზრუნველყოფას.
- **ბილინგვიზმი**

- **პროგრამირებული სწავლება**

- **ლოგო**

- **ნაკადთა სისტემა** – მოსწავლეთა დაჯგუფება ნიჭიერების, ინტერესების, [illegible] [illegible] მაჩვენებლების [illegible].
- **გენდერი** – ეს არის [illegible]
- **გენდერული სტერეოტიპები** – [illegible]

## დანართი

## განშტოებული პროგრამის ნიმუში

მითითება: დიდი ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული კადრი (პუნქტი).

შემდეგ აირჩიეთ თქვენი შეხედულებით სწორი ვარიანტი და მიჰყევით რჩევებს, რომელიც მოცემულია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

1. თუ თქვენ ეძებთ დათვს, თქვენ გაემგზავრებით:

ა) იქ, სადაც ბევრი ხალხია

ბ) ტყეში

გ) ოკეანისაკენ

თუ თქვენი პასუხია ა) წადით კადრში 10

„ “ ბ) „ “ 3

„ “ გ) „ “ 7

2. კეთილი. სწორია. თქვენ უკვე იპოვეთ ტყე, ახლა უნდა იპოვოთ ნაფეხურები. ხომ გახსოვთ როგორ გამოიყურება ის. ისიც იპოვეთ? მიჰყევით მას! ნაფეხურების ბოლოს დათვს წააწყდებით. თუ თქვენ ასეთი კვალი აღმოაჩინეთ, საით წახვალთ?




ა) ჩრდილოეთით ბ) სამხრეთით გ) აღმოსავლეთით ან დასავლეთით

თუ თქვენი პასუხია ა) წადით კადრში 8

„ “ ბ) „ “ 12

„ “ გ) „ “ 4

3. თქვენ სწორი ხართ. დათვები ხშირად ცხოვრობენ ტყეში. იშვიათად, მაგრამ ისიც ხდება, რომ დათვები სხვა ადგილებშიც ბინადრობენ. ეს უნდა დაიმახსოვროთ. დათვის მოსაძებნად საუკეთესო ხერხია ორი რამ: 1. მოძებნოთ ტყე, 2. იპოვოთ დათვის ნაკვალევი.

დათვის პოვნის საუკეთესო საშუალებაა

ა) ეძებოთ ოკეანე ბ) ეძებოთ დათვის კვალი გ) ეძებოთ ტყე

თუ თქვენი პასუხია ა) წადით კადრში 7

„ “ ბ) „ “ 9

„ “ გ) „ “ 2

## საკონტროლო კითხვები

- იყვნენ თუ არა თქვენს კლასში განსხვავებული კულტურის მოსწავლეები? ხომ არ გახსენდებათ შემთხვევა, როდესაც ამის გამო კლასში პრობლემა გაჩენილა მოსწავლეთა შორის ან მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაში?
- რა აზრის ხართ ბილინგვიზმის შესახებ? ხომ არ გახსენდებათ დადებითი ან უარყოფითი ბილინგვიზმის შემთხვევები? კერძოდ რომელი?
- დაასახელეთ მოსწავლეთა ნიჭიერების მიხედვით დაყოფის სასარგებლოდ არგუმენტები. რა სირთულეებს შექმნის ასეთი დაყოფა?
- მასწავლებელი რომ იყოთ რა დანიშნულებით გამოიყენებდით სკოლაში კომპიუტერს?
- თქვენ თვითონ რა ინდივიდუალური თავისებურებით გამოირჩევით? როგორ უფრო გიადვილდებათ სწავლა, როცა ისმენთ ლექციას, როცა მუშაობთ თანაჯგუფელებთან ერთად თუ სხვა?
- რა ფაქტორები ახდენენ გავლენას გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე?

## მიუწერეთ ცნებებს მათი მნიშვნელობა

- **მულტიკულტურული განათლება** განსხვავებულ სხვადასხვა კულტურის და ენის ქონა მისი წარმომადგენლის მიერ [illegible] [illegible] განათლების უზრუნველყოფა.
- **ბილინგვიზმი**
- **პროგრამირებული სწავლება**
- **ლოგო**
- **ნაკადთა სისტემა** – მოსწავლის დაჯგუფება ნიჭიერების, ინტელექტის, ან აკადემიური [illegible] მიხედვით.
- **გენდერი** – ეს არის ბიოლოგიური [illegible], რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევის ნორმებს საზოგადოებაში, რომელსაც [illegible]
- **გენდერული სტერეოტიპები** – ესაა შეხედულება იმის შესახებ, თუ რომელი დამახასიათებელი [illegible] [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

# დანართი

## განშტოებული პროგრამის ნიმუში

მითითება: დიდი ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული კადრი (პუნქტი).

შემდეგ აირჩიეთ თქვენი შეხედულებით სწორი ვარიანტი და მიჰყევით რჩევებს, რომელიც მოცემულია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

1. თუ თქვენ ეძებთ დათვს, თქვენ გაემგზავრებით:

ა) იქ, სადაც ბევრი ხალხია

ბ) ტყეში

გ) ოკეანისაკენ

თუ თქვენი პასუხია ა) წადით კადრში 10

„ “ ბ) „ “ 3

„ “ გ) „ “ 7

2. კეთილი. სწორია. თქვენ უკვე იპოვეთ ტყე, ახლა უნდა იპოვოთ ნაფეხურები. ხომ გახსოვთ როგორ გამოიყურება ის. ისიც იპოვეთ? მიჰყევით მას! ნაფეხურების ბოლოს დათვს წააწყდებით. თუ თქვენ ასეთი კვალი აღმოაჩინეთ, საით წახვალთ?




ა) ჩრდილოეთით ბ) სამხრეთით გ) აღმოსავლეთით ან დასავლეთით

თუ თქვენი პასუხია ა) წადით კადრში 8

„ “ ბ) „ “ 12

„ “ გ) „ “ 4

3. თქვენ სწორი ხართ. დათვები ხშირად ცხოვრობენ ტყეში. იშვიათად, მაგრამ ისიც ხდება, რომ დათვები სხვა ადგილებშიც ბინადრობენ. ეს უნდა დაიმახსოვროთ. დათვის მოსაძებნად საუკეთესო ხერხია ორი რამ: 1. მოძებნოთ ტყე, 2. იპოვოთ დათვის ნაკვალევი.

დათვის პოვნის საუკეთესო საშუალებაა

ა) ეძებოთ ოკეანე ბ) ეძებოთ დათვის კვალი გ) ეძებოთ ტყე

თუ თქვენი პასუხია ა) წადით კადრში 7

„ “ ბ) „ “ 9

„ “ გ) „ “ 2

4. თქვენი პასუხი არასწორია, მაგრამ არც მთლად უაზრო. თუ თქვენ დათვის გეშინიათ, შეგიძლიათ იფიქროთ სამხრეთში გამგზავრებაზე. წადით კადრში 12 და გაიგეთ რა მოხდება, თუ სამხრეთისაკენ წასვლას გადაწყვეტთ.

5. ფაქტია, რომ დათვის გეშინიათ. თქვენ ბიბლიოთეკაში უნდა წახვიდეთ და გაეცნოთ ლიტერატურას, სადაც მოცემულია ჩვევები, როგორ შეინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე.

6. კარგი, კარგი! კიდევ რაღაც უნდა ილონოთ. ახლა კი წადით კადრში 13.

7. უყურადღებო ბრძანდებით. დაბრუნდით კადრში 1 და ყველაფერი თავიდან დაიწყეთ.

8. კეთილი. თქვენ შეამჩნიეთ ისარი. შეიძლება ბოლოს და ბოლოს დათვიც დაინახოთ. საინტერესოა, დათვი როდესაც დგას ყოველთვის წინ იყურება, ფეხის ანაბეჭდები კი მის უკანაა. ამის გამო დათვი ადვილი აღმოსაჩენია. მას შემდეგ რაც დათვს აღმოაჩენთ, თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება:

თქვენ:

ა) გაჩერდებოით და დაიწყებთ ლოცვას?

ბ) გაიქცევით სახლში?

გ) სხვა რაიმეს მოიმოქმედებთ?

| | | | |
|---|---|---|---|
| თუ თქვენი პასუხია | ა) წადით კადრში | | 11 |
| .. | " | ბ) „ | " 5 |
| .. | " | გ) „ | " 6 |

9. ეს არასწორია. თუ თქვენ დაიწყებთ დათვის ნაკვალევის ძიებას მანამ, ვიდრე იპოვით ტყეს, თქვენ ვერც ნაკვალევს იპოვით და ვერც დათვს. დაბრუნდით კადრში 3.

10. ეს არასწორია. ბევრი ადამიანი ერთად – ქალაქია. ჩვეულებრივ, ასეთ ადგილას დათვი არ უნდა იყოს. ეს იქ არის, სადაც ბევრი ხეებია (ტყეში). ქალაქში დათვის საძებნელად ბევრი დრო დაგეკარგებათ, დაბრუნდით კადრში 1.

11. ახლა კარგად მოიფიქრეთ, მართლა გინდათ დათვის ნაკვალევის პოვნა? თუ თვლით რომ კი, მაშინ წადით კადრში 1.

12. შეჩერდით. თქვენ არაწორი მიმართულებით მიდიხართ. დათვი იქეთ მიდის, საითაც მისი ნაფეხურები მიემართება. ეს მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ დაბრუნდეთ კადრში 2, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დასვენება მოგინდეთ, ვიდრე გააგრძელებთ. შეგიძლიათ ასეც მოიქცეთ. მაგრამ ამის შემდეგ ისევ უნდა დაიწყოთ კადრით 1.

13. ეს მაგალითი მხოლოდ განშტოებული პროგრამის ნიმუშია და მეტი არაფერი. მათ, ვისაც ნამდვილად გსურთ დათვებზე ნადირობა და ახლა იმედი გაგიცრუვდათ, გირჩევთ წაიკითხოთ წიგნი ნადირობის შესახებ, ან დაიქირაოთ მონადირე (ყურადღება მოაქციეთ, რათა ის თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი იყოს და ნამეტანი ძვირსაც ნუ გადაუხდით).

# პრაქტიკული სამუშაო

ჩამოთვლილი თვისებები გაანაწილეთ თითოეულ სვეტში. თქვენი აზრით, რომელი თვისება რომელს შეესაბამება.

| | | | |
|---|---|---|---|
| დარწმუნებული | მხიარული | გონიერი | პასიური |
| ნაზი | ამპარტავანი | დამოუკიდებელი | მზრუნველი |
| ძლიერი | გამბედავი | პასუხისმგებლობის | სუსტი |
| უხეში | მორიდებული | მქონე | აგრესიული |
| აქტიური | ამტანი | მცოდნე | ლაპარაკის |
| მშიშარა | ობიექტური | ნებისყოფიანი | მოყვარული |
| ლამაზი | ემოციური | დამოკიდებული | შემოქმედებითი |
| ყურადღებიანი | | | ამბიციური |

| ბიჭები | გოგონები |
|---|---|
| ძლიერი<br>უხეში<br>გამბედავი<br>ამტანი<br>ობიექტური<br>დამოუკიდებელი<br>ნებისყოფიანი<br>პასიური<br>აგრესიული<br>ამბიციური. | დარწმუნებული<br>ნაზი<br>აქტიური<br>მშიშარა<br>ლამაზი<br>ყურადღებიანი<br>მხიარული<br>ამპარტავანი<br>პასიური<br>ემოციური<br>გონიერი<br>პასუხისმგებლობის<br>მქონე.<br>მცოდნე<br>დამოკიდებული<br>მზრუნველი<br>სუსტი<br>ლაპარაკის მოყვარული<br>შემოქმედებითი |

საერთო ორივე სქესის

| | |
|---|---|
| გამბედავი | ყურადღებიანი |
| დამოუკიდებელი | დამოკიდებული |
| ნებისყოფიანი | შემოქმედებითი. |
| პასიური | |
| აქტიური | |
| ამბიციური | |
| დარწმუნებული | |
| გონიერი | |
| პასუხისმგებლობის მქონე | |
| მცოდნე | |
| მზრუნველი | |
| სუსტი | |
| ძლიერი | |
| მხიარული | |

# პერსონალური დღიური

- ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის [illegible]

- განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა [illegible]

- კითხვები, რომელიც გამიჩნდა

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი V

## კოგნიტური განვითარება

*გონებრივი ეტაპების კვლევაა საჭირო,*
*რის შედეგადაც შეიძლება დადასტურდეს,*
*თუ რა შესაძლებლობებისაა გონება*
*განვითარების სხვადასხვა პერიოდში.*

*დ. უზნაძე*

პირველ კლასში მათემატიკის გაკვეთილი მიმდინარეობს. მოსწავლეები სწავლობენ მეტობის და ნაკლებობის ნიშნის გამოყენებას. ქეთი მასწავლებელი მოსწავლეს მიმართავს: "ზუკა, გამოდი დაფასთან და ჩასვი მეტობის და ნაკლებობის ნიშანი ჩამოწერილ მაგალითებში სათანადო ადგილზე". ზუკა ხალისით მიემართება დაფისაკენ, თითოეულ მაგალითს გულდასმით აკვირდება და უშეცდომოდ სვამს ნიშანს, თან თავისთვის ბუტბუტებს: "ღია პირი მეტს აღნიშნავს, დიდია, წერილი წვერი – ცოტას". მან ამაყად ჩაათვალიერა შესრულებული სამუშაო, ქეთი მასწავლებლის შექებაც დაიმსახურა. ის იყო, მერხისაკენ გამობრუნებას აპირებდა, რომ მასწავლებელმა შეაჩერა, მაგალითები წააშლევინა და სთხოვა, კიდევ ერთი მაგალითი დაეწერა დაფაზე, "მოდი ახლა სიმბოლოები ჩავწეროთ რიცხვების ნაცვლად. აბა, ჩამიწერე, A მეტია B-ზე. ზუკამ ცარცი აიღო, დაფაზე გაჩნდა ჩანაწერი A>b. კლასში აქა-იქ სიცილი გაისმა. ზოგიერთები გამხიარულებულ თანაკლასელებს შეჰყურებდნენ და ვერ გაეგოთ მათი მხიარულების მიზეზი. ნიშანი ხომ სწორად დასვა ზუკამ. "ბიჭო, მაგ ნიშანს დიდი A-ს დაწერა აღარ სჭირდება, ეგ თვითონ მეტს ნიშნავს" – გაცხარებული ცდილობდა ბექა ზუკასათვის აეხსნა მისი "შეცდომა". ქეთი მასწავლებელი კი კამათში არ ერეოდა, ათვალიერებდა კლასს, მოსწავლეთა რეაქციებს აანალიზებდა და თავისთვის ფიქრობდა "აი, პიაჟე ჩემს საკლასო ოთახში".

***განიხილეთ შემთხვევა საკითხის შესწავლის შემდეგ.***

## ძირითადი საკითხები

- *კოგნიტური განვითარება და მისი სტადიები პიაჟეს მიხედვით*
- *ვიგოტსკის სოციოკულტურული განვითარება*

## კოგნიტური განვითარება და მისი სტადიები პიაჟეს მიხედვით

ჟან პიაჟე შვეიცარელი ფსიქოლოგი იყო. ის თავის ნაშრომებს წერდა ფრანგულ ენაზე. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მან დაწერა 52 წიგნი და 478 სტატია.

პიაჟეს დიდი დამსახურებაა ის, რომ იგი ადამიანის განვითარებას განიხილავს როგორც ადაპტაციის პროცესს, რომელიც ორ კითხვას ბადებს: 1) ბავშვის რომელი მახასიათებელი უწყობს ხელს მის ადაპტაციას გარემოსთან და 2) როგორ შეიძლება უბრალოდ და გასაგებად ბავშვის განვითარების სტადიათა კლასიფიკაცია.

ამ კითხვებზე პასუხი არის პიაჟეს თეორიის ძირითადი შინაარსი. თავის კვლევებში ის იყენებდა კლინიკურ საუბრის მეთოდს, რომელიც გულისხმობს ინტერვიუს გამოყენებას და რომელშიც ყოველი მომდევნო კითხვა სუბიექტის წინა პასუხით განისაზღვრება.

ადაპტაცია: ასიმილაცია და აკომოდაცია

ახალშობილი ბავშვი პიაჟეს მიხედვით მუდმივად ეძებს გარეგან სტიმულებს და მათზე რეაგირებისას ის ნელ-ნელა აგროვებს და ითვისებს გარკვეულ ქცევებსა და ქცევათა მოდელებს. მაგრამ მისი მოქმედება შეზღუდულია ისეთი რეფლექტორული აქტივობებით, როგორიცაა ტაცება და წოვა. ეს რეფლექტორული მოქმედება თანდათანობით გადაიქცევა კოორდინირებულ და მიზანმიმართულ ქცევად, რასაც პიაჟე ადაპტაციას უწოდებს.

ადაპტაციის ქვეშ მოიაზრება ზემოქმედებაზე ისეთი რეაქცია, რომელიც გამოცდილებას ემყარება. აკომოდაცია კი გამოცდილებით მიღებული რეაქციის ცვლილებაა. ასიმილაციის დროს სიტუაციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გამოცდილებისათვის უცხოა, შეიძლება იგნორირებული იქნას. აკომოდაციის დროს კი ყოველი ახალი ასპექტი მიიღება მხედველობაში. ბავშვის კოგნიტურ სისტემაში ასიმილაცია არ იძლევა სერიოზულ ცვლილებებს, მისი საშუალებით ხდება მოპოვებული უნარების განმტკიცება და ავტომატიზება. აკომოდაცია კი გამოცდილების და შეძენილი ქცევის მოდიფიკაციით ავითარებს კოგნიტიურ სისტემას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ მწოლიარე ჩვილი, რომელიც ხელს გაიშვერს ჰაერში და საწოლის თავზე დაკიდებულ საწოვარას შეეხება. ის ხელით გრძნობს ნაცნობ საგანს, იღებს მას, მიაქვს პირთან და იწყებს წოვას. პიაჟეს მიხედვით, აქ მოქმედებს სქემა – ბავშვის მენტალური წარმოდგენა საწოვარაზე, ხელით ტაცებაზე, პირთან მიტანაზე და წოვაზე. საწოვარა ასიმილირებულია ამ სქემით, ბავშვი მოქმედებს გამოცდილების საფუძველზე. თუ ბავშვის საწოვარას შეცვლიან უფრო დიდით, რომელიც ბავშვს არ შეუძლია ერთი ხელით აიღოს, ის მას ხელიდან უვარდება, მიწოდების შემთხვევაში ბავშვი მას უკვე ორივე ხელით დაიჭერს და შემდეგაც ორივე ხელს გამოიყენებს მისი მოხმარებისათვის. ქცევის ასეთ ტრანსფორმაციას პიაჟე უწოდებს აკომოდაციას. ბავშვი უკვე ადაპტირებულია ახალი საწოვარას მიმართ. ე.ი. კოგნიტური სისტემა – სქემათა ერთობლიობა საჭირო მიმართულებით შეიცვალა.

ასიმილაცია და აკომოდაცია ერთმანეთისაგან მოუწყვეტელი პროცესებია. ყოველი მოქმედება გულისხმობს როგორც ასიმილაციას, ასევე აკომოდაციას. ჩვენ ჯერ ყოველი ახალი სიტუაციის ასიმილაციას ვახდენთ, ამის შემდეგ ვცვლით სქემას – ვახორციელებთ აკომოდაციას. მეორეს მხრივ, ცვლილებებს, თუნდაც უმნიშვნელოს, ასიმილაციის დროსაც აქვს ადგილი, დამოუკიდებლად იმისაგან, რამდენად ნაცნობია ჩვენთვის ესა თუ ის სიტუაცია. მაგ.: მცირდება რეაქციის შესრულების დრო.

ასიმილაციასა და აკომოდაციას შორის არსებობს გარკვეული ბალანსი, რომელსაც პიაჟე გაწონასწორებას უწოდებს. გაწონასწორება მდგომარეობს ადაპტაციის პროცესში ასიმილირებული რეაქციის ახალ პირობებთან შესაბამისობაში. ე.ი. ეს არის წონასწორობის დამყარება გარემოსა და აზროვნების სტრუქტურებს შორის.

გაწონასწორება კოგნიტური განვითარების პირველი ფაქტორია, მომწიფება კი, რომელიც გულისხმობს ადამიანის პოტენციალის თანდათანობით გახსნას – მეორე. კოგნიტური განვითარება. პიაჟეს აზრით, სტადიურ ხასიათს ატარებს, რომელიც ოთხ საფეხურს მოიცავს.

**I სტადია – სენსომოტორული განვითარება დაბადებიდან 2 წლამდე.**

ამ პერიოდის დასაწყისში ბავშვი ფლობს რამდენიმე რეფლექსურ რეაქციას.ის და გარემო არ არიან ერთმანეთისგან გამოდიფერენცირებულნი. ბავშვი თანდათან ეუფლება სხვადასხვა სენსო-მოტორულ მოქმედებებს და ეს აქტები მთლიანად პრაქტიკულნი არიან, ემსახურებიან საგნებთან შეგუებას, მოკლებულნი არიან მათი სიმბოლური მანიპულაციის შესაძლებლობას.

**II სტადია – ოპერაციამდელი – 2-დან 7 წლამდე.**

ამ პერიოდის უდიდესი მიღწევაა ის ,რომ ბავშვი თანდათან იქცევა შემმეცნებელ სუბიექტად, მას უვითარდება სინამდვილის შესატყვისი სიმბოლური მანიპულირების განხორციელების უნარი, უფლება წარმოდგენებით აზროვნებას. ამ სტადიის დასაწყისში ბავშვი იწყებს მეტყველებას, ხოლო ბოლოსთვის დაუფლებულია მას. ამ ასაკის ბავშვს ნამდვილი ცნებები არ გააჩნია და იყენებს, როგორც პიაჟე მათ უწოდებს, ცნებამდელ წარმონქმნებს. ისინი მოქმედებებს არიან მიჯაჭვულნი და კონკრეტულობით ხასიათდებიან. ამ პერიოდში გამუდმებული ბრძოლა მიმდინარეობს თვალსა და აზრს შორის, რომელიც თვალის სასარგებლოდ მთავრდება.

განვითარების ამ სტადიაზე ორი პერიოდი გამოიყოფა: ცნებამდელი აზროვნება (2-4წ.წ.) და ინტუიტური აზროვნება (4-7წ.წ.). პიაჟეს აზრით, ბავშვისთვის გაუგებარია ის, რომ არსებობენ საგნები ერთნაირი ნიშნებით, რომლებიც ერთ კლასს ეკუთვნიან. მაგ.: თუ სხვის ხელში ბავშვი საკუთარი სათამაშოს მსგავსს დაინახავს, ძნელი იქნება მისი დარწმუნება, რომ სათამაშო მას არ ეკუთვნის. ამ სტადიაზე აზროვნება ტრანსდუქციურ ხასიათს ატარებს. ტრანსდუქცია არის კერძოდან ისევ კერძოზე გადასვლა.

მაგ.: A გვაძლევს რძეს
B გვაძლევს რძეს.
ე.ი. A არის B.

ე.ი. თუ A არის ძროხა, მაშინ B-ც ძროხაა, მაგრამ თუ A ძროხაა და B – პალტო, B ვერ იქნება A. ამ ლოგიკის მიხედვით ბავშვმა შეიძლება უცხო მამაკაცს მამა დაუძახოს, ძაღლს – კატა და ა.შ.

ოპერაციამდელი აზროვნების კიდევ ერთი მაგალითი: პიაჟე ეკითხება თავის შვილს – მზე მოძრაობს? – კი – პასუხობს შვილი – ის დადის, როცა მე დავდივარ, ის ცოცხალია. ბავშვი "აცოცხლებს" უსულო საგნებს; ბავშვის ცნობიერებით, რაც მოძრაობს, ყველაფერი ცოცხალია. განსაკუთრებით ისინი აცოცხლებენ ბუნების მოვლენებს (და არა მაგალითად მეტალის ან პლასტიკატის საგნებს). ასეთ აზროვნებას პიაჟე ანიმისტურს უწოდებს.

**ინტუიტიური აზროვნება** (4-7წ.წ).

ოთხი წლიდან ბავშვის აზროვნება ლოგიკურ ფორმას იძენს, მაგრამ მაინც აღქმით არის განსაზღვრული. ამის გარდა, აზროვნებისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი, საგანთა არასწორი კლასიფიკაცია და ინტუიტურობა. ეს მახასიათებლები კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში: ექსპერიმენტატორსა და ბავშვს შორის მოთავსებულ ეკრანზე თოკით არის მიმაგრებული ორი თოჯინა – გოგონა და ბიჭი. ექსპერიმენტატორი ეკითხება ბავშვს, რომელი თოჯინა გამოჩნდება ეკრანზე, თუ თოკს მოქაჩავენ მარჯვნივ. ბავშვი სხვადასხვა პასუხს აძლევს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეკრანზე ჩნდება ბიჭი-თოჯინა. რამდენიმე ცდის შემდეგ ბავშვი გამოთქვამს უკმაყოფილებას და ამბობს, რომ ეხლა გოგონა-თოჯინას ჯერია. ე.ი. ბავშვი პრობლემას მხოლოდ საკუთარი მოლოდინის მიხედვით ეგოცენტრულად განიხილავს.

ექსპერიმენტატორი და ბავშვი ბურთულებს ყრიან კონტეინერში. ექსპერიმენტატორი ყრის ბურთულებს დაბალ და ბრტყელ კოლოფში, ბავშვი მაღალ და ვიწრო კოლოფში. რამდენ ბურთულასაც აგდებს ბავშვი, იმდენივეს აგდებს ექსპერიმენტატორიც. კითხვაზე, თუ რომელ კოლოფშია უფრო მეტი ბურთულა, ბავშვი პასუხობს, რომ მეტია მის კოლოფში, იმიტომ, რომ "ის მაღალია".

ხუთი წლის გოგონას აჩვენებენ ხის ბურთულებს, რომელთაგან 10 ყავისფერია, 5 კი ყვითელი. მან იცის, რომ ყველა ბურთულა ხისაა, მაგრამ, როცა მას ეკითხებიან, რომელი ბურთულა უფრო მეტია, ყავისფერი თუ ხის, ის პასუხობს, რომ ყავისფერი უფრო მეტია.

ბავშვს ესმის, რომ არსებობს საგანთა კლასი, მაგ.: ხის ბურთულები, მაგრამ არ შეუძლია გამოყოს ქვეკლასი, მაგ.: ყვითელი ხის ბურთულები.

სამი ბურთულა ასხმულია მავთულზე. შუაში წითელი, მარჯვნივ – ლურჯი, მარცხნივ – ყვითელი. შემდეგ ეს ყველაფერი თავსდება გრძელ მილში, ისე, რომ ბავშვი ვეღარ ხედავს ბურთულებს. შემდეგ ბავშვს ეკითხებიან, როგორი თანმიმდევრობით იქნებიან განლაგებული ბურთულები, თუ მილს მოვაბრუნებთ ნახევრად, მთლიან წრეზე, ორ წრეზე.

ოთხი წლის ბავშვი ვერ პასუხობს კითხვას. უფრო მოზრდილი ბავშვი პასუხობს კითხვას, მაგრამ ვერ ხსნის თავისი პასუხის სისწორეს.

**III სტადია – კონკრეტული ოპერაციები**

ოპერაცია – გონებრივი აქტივობაა, რომელიც გარკვეულ ლოგიკურ წესებს ეყრდნობა. ეს არის ლოგიკურ აზროვნებაზე გადასვლის სტადია. გავიხსენოთ ექსპერიმენტი კონტეინერებით და ბურთულებით: ბავშვი არასწორად პასუხობდა არა იმიტომ, რომ ის მხოლოდ საკუთარ აღქმას ეყრდნობოდა, არამედ იმიტომაც, რომ მას არ ესმოდა "შენახვა". "შენახვის" გაგება არის იმის გაცნობიერება, რომ რაოდენობა და მოცულობა, არ იცვლება იქამდე, ვიდრე არ დაემატება ან არ მოაკლდება რამე. ამ სტადიაზე ოპერაციებში ორი ლოგიკური წესი მონაწილეობს – შექცევადობის და იგივეობის. შექცევადობის წესის მიხედვით ნებისმიერი ოპერაციისთვის არსებობს საპირისპირო ოპერაცია, რომელიც პირვანდელ მდგომარეობას აღადგენს. მაგ.: 6 – 4 = 2 და 2 + 4 = 6. იგივეობის წესის მიხედვით კი ნებისმიერი ოპერაციისთვის არსებობს ოპერაცია, რომელიც არაფერს არ ცვლის. მაგ.: 2x1x1=2. რა კავშირი აქვს ამას შენახვასთან? ბავშვს რომ ეს ლოგიკური წესები სცოდნოდა, ასე იმსჯელებდა: თუ ავიღებთ ბურთულებს კოლოფიდან და ისევ მაგიდაზე დავდებთ, ყველაფერი თავის ადგილზე იქნება (შექცევადობა), ან როცა მე ვდებდი კოლოფში თითო ბურთულას, ექსპერიმენტატორიც იგივეს აკეთებდა, ამის მერე არაფერი მომხდარა, ე.ი. კოლოფებში ბურთულების თანაბარი რაოდენობაა (იგივეობა).

ამ სტადიაზე ბავშვები აღარ უშვებენ შეცდომებს კლასიფიკაციის დროს, იმიტომ, რომ აზროვნება აღარ არის მხოლოდ აღქმით შემოფარგლული. ამ პერიოდში წარმოიშობიან მუდმივობის ძირითადი ცნებები( მოცულობის ,მასის, წონის და სხვა), ხოლო ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე.ამიტომ, ხშირად ბავშვები სწორად წყვეტენ რა ამოცანებს რეალურ საგნებზე, ვერ წყვეტენ მათ ფორმალურ დონეზე( აზრში)

**IV ფორმალური ოპერაციების სტადია (11-15წ.წ.)**

ფორმალური ოპერაციების სტადიაზე ბავშვს შეუძლია უკვე ჰიპოთეტური საგნებით ოპერირება და ფორმალური ლოგიკის გამოყენება. ამ ასაკში ბავშვს უკვე შეუძლია ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც აბსტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს. მაგ.: ამ ასაკის ბავშვმა უნდა ამოხსნას ასეთი ამოცანა: ნუცას უფრო ღია ფერის თმა აქვს, ვიდრე თაკოს. ნუცას უფრო მუქი თმა აქვს, ვიდრე სალომეს. ვის აქვს უფრო ღია ფერის თმა?

ფორმალური ოპერაციების სტადია პიაჟეს მიხედვით ინტელექტუალური განვითარების ბოლო სტადიაა. მაგრამ, როგორც ირკვევა, მოზრდილი ადამიანის აზროვნება განსხვავდება მოზარდის აზროვნებისაგან და მისი განვითარების პროცესი ფორმალური ოპერაციის სტადიის შემდეგაც გრძელდება, ოღონდ არა ლოგიკური და რაციონალური ასპექტის გაძლიერებით. ამ ეტაპზე აზროვნება უფრო მოქნილი, წინააღმდეგობების დამშვები, ეთიკური, პოლიტიკური, სოციალური პრობლემების მიმართ მგრძნობიარე ხდება. ასეთ აზროვნებას დიალექტიკურ აზროვნებას უწოდებენ.

ცხრილი № 7. პიაჟეს კოგნიტური განვითარების სტადიები

| სტადია | ასაკი | დამახასიათებელი ქცევა |
|---|---|---|
| სენსომოტორული | დაბადებიდან 2 წლამდე | ტაცება, წოვა, თვალიერება, ღეჭვა |
| ოპერაციამდელი | 2 – 7 წ.წ. | მეტყველება, შეზღუდული აღქმით შემოსაზღვრული, ეგოცენტრული, ინტუიტიური აზროვნება, კლასიფიკაციისას სირთულე. |
| კონკრეტული ოპერაციები | 7 – 11 წ.წ. | მისაწვდომია შენახვა, კლასიფიკაცია რამოდენიმე ნიშნის მიხედვით, ლოგიკური აზროვნების დასაწყისი |
| ფორმალური ოპერაციები | 12 – 15 წ.წ. | ლოგიკური, აბსტრაქტული ჰიპოთეტური აზროვნება. |

## პიაჟეს თეორიის მნიშვნელობა განათლებისათვის

პიაჟეს თეორია თანამედროვე ფსიქოლოგიის კლასიკაა. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების და აღზრდის თვალსაზრისით. სწავლების პროცესის ორი გაგება არსებობს. პირველი გულისხმობს, რომ მასწავლებელმა მზა პროდუქცია უნდა მიაწოდოს მოსწავლეს, რომელმაც თავის მხრივ ეს პროდუქცია უნდა მოიხმაროს. ეს არის ე.წ. დირექტიული სწავლება.

მეორე მიდგომა ასახავს პიაჟეს შეხედულებას, რომელიც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში. ეს არის კონსტრუქტივიზმი, რომლის მთავარი არგუმენტია ის, რომ ცოდნა მოსწავლეს მზა სახით კი არ ეძლევა, არამედ მისი მონაწილეობით იქმნება. მოსწავლე გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედებით თვითონ ქმნის გარკვეულ წესთა ერთობლიობას, რომლის მეშვეობით ხორციელდება შემდგომი ურთიერთქმედება.

## ვიგოტსკის სოციოკულტურული განვითარების თეორია

ვიგოტსკი რუსი მეცნიერია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწეობდა.

ვიგოტსკის თეორიას პიაჟეს თეორიისაგან განასხვავებს ის, რომ მის თეორიაში განვითარების მთავარი მამოძრავებელი არის სოციალური ფაქტორები.

მისი თეორიის ძირითადი პრინციპებია: კულტურის მნიშვნელობა, ენის ცენტრალური როლი და ბავშვზე გარემოს ზემოქმედება.

ადამიანის განვითარება მკვეთრად განსხვავდება სხვა დანარჩენი ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისაგან, იმიტომ, რომ ადამიანები იყენებენ ინსტრუმენტებს, სიმბოლოებს და ქმნიან კულტურას. კულტურით არის განსაზღვრული განვითარების სასურველი დონე. მისი საშუალებით ხდება ადამიანის მენტალური, ფუნქციონალური სტრუქტურების ფორმირება. ამიტომ სხვადასხვა კულტურულ ეპოქაში ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებანი განსხვავებულია. ადამიანი ქმნის კულტურას, კულტურა კი, თავის მხრივ, ადამიანს. რაც უფრო მეტს ვაძლევთ კულტურას, მით უფრო მეტს გვიბრუნებს იგი.

კულტურის მნიშვნელობა ვიგოტსკის სოციოკულტურული განვითარების თეორიაში

ვლინდება ელემენტარულ და უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციათა განსხვავებაში. ელემენტარული ფუნქციები ჩვენ გვეძლევა ბუნებისაგან, ისინი თანდაყოლილნი არიან. მაგ.: ახალშობილის უნარი განასხვავოს დედის ხმა, დაიმახსოვროს სუნი, იტიროს და ა.შ. ნელ-ნელა ეს ელემენტარული ფუნქციები კულტურული კონტექსტის ზემოქმედებით იქცევიან განვითარებულ ფსიქიკურ ფუნქციებად, როგორიც არის, მაგ.: ლოგიკური აზროვნება.

კულტურა ქმნის ენას, შესაძლებელს ხდის სოციალურ ურთიერთობებს.

**ენის როლი.** ენა გვაძლევს აზროვნების და ქცევის კონტროლირების საშუალებას. ენის გარეშე ჩვენი ფსიქიკური ფუნქციები პრიმიტიული, თანდაყოლილ დონეზე იარსებებდნენ. ჩვენ მხოლოდ აღქმით ვიქნებოდით შემოსაზღვრული როგორც ცხოველები. ვიგოტსკი მეტყველების განვითარების სამ სტადიას გამოყოფს:

**I სოციალური მეტყველება** – ჩნდება პირველად, მისი ფუნქციაა ქცევის კონტროლირება და მარტივი ემოციების გამოხატვა.

**II ეგოცენტრული მეტყველება** (3-7წ.წ.)

ამ სტადიაზე ბავშვი ხშირად ელაპარაკება თავის თავს, ცდილობს საკუთარი ქცევის კონტროლირებას, ხშირად უკეთებს კომენტარს იმას, რასაც აკეთებს, ლაპარაკობს ხმამაღლა, რომ მიიქციოს ყურადღება.

**III შინაგანი მეტყველება** – ჩუმად ჩემს თავს ვესაუბრები – ასე შეიძლება დახასიათდეს მეტყველების განვითარების ბოლო სტადია. ის საშუალებას აძლევს ბავშვს შეუმჩნევლად აკონტროლოს აზროვნება და ქცევა. შინაგანი მეტყველება და ქცევა თან ახლავს უფრო მაღალგანვითარებულ ფუნქციებს.

**უახლოესი განვითარების ზონა.** უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციებია აზროვნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება. ეს ფუნქციები სათავეს იღებენ სოციალური აქტივობიდან, მჭიდრო კავშირში არიან ენასთან.

ვიგოტსკის აინტერესებს ინტელექტუალური განვითარების დონის ზრდა. ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს წინა ეტაპზე ბავშვის მიღწევათა დონეს ან მის დღევანდელ მდგომარეობას. მას აინტერესებს მომავალი. რა არის უახლოესი განვითარების ზონა? მაგ.: ავიღოთ ხუთი წლის ბავშვი, რომელიც პასუხობს ისეთ შეკითხვებს, როგორსაც პასუხს გასცემს ყველა ამ ასაკის ბავშვი. მათი ფსიქოლოგიური ასაკი შეესაბამება ქრონოლოგიურ ასაკს. თუ ერთი ხუთი წლის ბავშვი პასუხობს კითხვას, რომელიც 7 წლის ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამება, ხოლო მეორე ხუთი წლის ბავშვი ვერ პასუხობს ასეთ კითხვას, მაშინ, ვიგოტსკის აზრით, პირველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა უფრო მეტია.

ის, რაც ბავშვს შეუძლია გააკეთოს უფროსის დახმარებით, არის მისი განვითარების უახლოესი ზონა. ხოლო იმას, რასაც ბავშვი დამოუკიდებლად ასრულებს არის –აქტუალური განვითარების დონე.

ვიგოტსკის აზრით, მშობლის და მასწავლებლის მთავარი ამოცანაა უახლოესი განვითარების ზონაში არსებული შესაძლებლობების გამოყენება.

ვიგოტსკის სოციოკულტურული კოგნიტური თეორიის ძირითადი პრინციპები განათლებასთან მიმართებაში:

1. განათლება, რომელიც გულისხმობს სწავლებას და აღზრდას მიმართულია ბავშვის პიროვნებაზე;

2. პიროვნების განვითარება მისი კრეატულობის განვითარებაზეა დამოკიდებული, ამიტომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის კრეატული პოტენციალის განვითარება;

3. მოსწავლე უნდა იყოს სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე;

4. მასწავლებელმა მოსწავლის მოქმედება საჭირო მიმართულებით უნდა განავითაროს. ამ თვალსაზრისით სწავლება თანამშრომლობაა;

5. ყველაზე ეფექტურია სწავლების ის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

**ვიგოტსკის დამხმარე კონსტრუქციები.** ეს არის გარკვეული სახის მხარდაჭერა მითითების ან წინადადების სახით, რომელიც ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია უახლოესი განვითარების ზონის პოტენციალის გამოსათავისუფლებლად. ამის გასაგებად მშენებლობისა და მისი დამხმარე კონსტრუქციის – ხარაჩოს ანალოგია შეიძლება იქნეს გამოყენებული თვალსაჩინოებისთვის. ხარაჩო უნდა იყოს დაბალი და გამძლე, ის უნდა მიჰყვებოდეს მშენებლობას სიმაღლეში. ხრდასთან ერთად ხარაჩო ქვევ მიწას კი არა, კედელს ეყრდნობა. მშენებლობის დასასრულისთვის ის უკვე უსარგებლო ხდება და მას თავიდან იშორებენ.

**დამხმარე კონსტრუქციის ტიპებია:**

- მოქმედების დემონსტრირება;
- პროცედურის ახსნა-განმარტება;
- მოდელებით უზრუნველყოფა;
- ბაზისური უნარების სისტემური განვითარება;
- საკონტროლო კითხვების დასმა;
- შეცდომების გასწორება;
- მცდარი ცნებების გამოვლინება და კორექტირება;
- მოტივირება;
- გარკვეული და რეალური მიზნების დასახვა.

## საკონტროლო კითხვები

- როგორ ხორციელდება ბავშვის ადაპტაცია? განვითარების რომელი სტადიები აქვს გამოყოფილი პიაჟეს?
- დაასახელეთ თითოეულ სტადიაზე ბავშვის განვითარების მახასიათებლები;
- მოიყვანეთ უახლოესი განვითარების ზონის მაგალითი, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ცნება.

## განმარტეთ ცნებები

- სქემა -

- ასიმილაცია

- აკომოდაცია -

- უახლოესი განვითარების ზონა

# დანართი

## „პიაჟეს ჟარგონი"

მითითება: ქვემოთ მოცემულ პასუხებს დააფარეთ ფურცელი. ჩაწერეთ პირველ კადრში პასუხი. შემდეგ ფურცელი ოდნავ ქვემოთ ჩასწიეთ, შეამოწმეთ პასუხი და გადადით შემდეგ კადრზე.

1. ჟან პიაჟემ ადამიანის ადაპტაციის თეორია შეიმუშავა. ეს ადამიანის ____________ ევოლუციური თეორიაა.

2. რამდენადაც ბავშვები ეფექტურად უმკლავდებიან გარემოცვის სიძნელეებს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ____________ გარემოს მიმართ.

3. ადაპტაცია გარემოსთან ურთიერთქმედებას გულისხმობს ადაპტაციის პროცესი გარემოსთან ორგანიზმის ____________ პროცესია.

4. პიაჟეს ევოლუციური თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია ის, რომ იგი ცდილობს ____________ ურთიერთქმედებით ახსნას.

5. ურთიერთქმედება ხორციელდება ორი პროცესის მეშვეობით. ერთი მათგანი უკვე ათვისებული უნარის ფარგლებში გარემოზე რეაქციაა. ამ პროცესს ასიმილაცია ეწოდება. ასიმილაცია ____________ ათვისებული რეაქციაა.

6. როცა ბავშვები რომელიმე ნივთს იყენებენ იმ ქცევის განსახორციელებლად, რომელიც უკვე ისწავლეს, ამბობენ, რომ მათ მოახდინეს ამ საგნის ასიმილიაცია ადრე შეძენილი უნარით. მაგ. როცა ბავშვი წოვს საწოვარას ის ახდენს მის ____________ წოვის მიმართ.

7. გიორგის აძლევენ ქაღალდის თოჯინას. ის მას ინტერესით ათვალიერებს, შემდეგ პირთან მიაქვს და ჭამს. ის ახდენს თოჯინის ____________ ჭამის მიმართ.

8. ასიმილაცია ადაპტაციის პროცესთაგან ერთ-ერთი პროცესია. ის ____________ პროცესის ნაწილია.

9. ადაპტაცია ორ პროცესს გულისხმობს – ასიმილაციას და აკომოდაციას. აკომოდაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად ხდება ქცევის ცვლილება. აკომოდაცია ქცევის ____________ გულისხმობს.

10. როცა ბავშვებს არ შეუძლიათ ახალი საგნის ასიმილირება უკვე ათვისებულ და შესწავლილ მოქმედებასთან, ხდება მისი ____________.

11. გიორგის პირველ დაბადების დღეზე ძალიან გრძელი საწოვარა აჩუქეს. აქამდე ის მოკლე და მრგვალ საწოვარას წოვდა. მას დასჭირდა ტუჩების უფრო მაგრად მოჭერა ახალი საწოვარას წოვის დროს. ე.ი. მოხდა მისი ____________ ახალი საწოვარას მიმართ.

12. თუ გიორგის ისევ თავის მოკლე და მრგვალ საწოვარას მისცემდნენ თავისუფლად განახორციელებდა მის ____________ წოვის მიმართ.

### პასუხები:

1. ადაპტაციის
2. ადაპტირებენ
3. ურთიერთქმედების
4. ადაპტაციის
5. უკვე
6. ასიმილაციას
7. ასიმილაციას
8. ადაპტაციის
9. ცვლილებას
10. აკომოდაცია
11. აკომოდაცია
12. ასიმილაციას

## პერსონალური დღიური

ის, რაც ვისწავლე დღეს არის ____________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ____________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

კითხვები, რომლებიც გამიჩნდა ____________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათ მიმართ შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე

# თავი VI

## ფსიქოსოციალური და ზნეობრივი განვითარება

*სქესობრივ პრინციპებს შეუძლიათ სქესობრივ ძალად გარდაიქმნენ, ნებისყოფა აამოქმედონ და განსაკუთრებული მიმართულებით აამუშავონ*

*დ. უზნაძე*

დამღლელი სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ ნინო მასწავლებელი აგარაკზეა. აქ სიმშვიდეა და ბავშვებისგან დროებით ისვენებს, მაგრამ ბავშვების სიყვარული არ ასვენებს. ახლაც გვერდით სოფლის გოგო-ბიჭები მოუთმენლად ელოდებიან რას მოუთხრობს ის მათ." მოდით, დღეს ასეთი რამ გავაკეთოთ, მე მოგითხრობთ ისტორიას, მისი მოსმენის შემდეგ კი უპასუხეთ ჩემს შეკითხვას, მაშ ასე:

ერთი ქალბატონი ავთვისებიანი სიმსივნის იშვიათი ფორმით მძიმედ იყო ავად. არსებობდა მხოლოდ ერთი წამალი, რომელსაც, ექიმების აზრით, შეეძლო ქალის გადარჩენა. ეს იყო რადიუმის პრეპარატი, რომელიც ადგილობრივმა აფთიაქარმა აღმოაჩინა. მისი დამზადება საკმაოდ ძვირი ღირდა, თან აფთიაქარმა წამალს ის ფასი დაადო, რომელიც ათჯერ აღემატებოდა მის თვითღირებულებას. აფთიაქარი რადიუმში 200 დოლარს იხდიდა, წამლის მცირე რაოდენობაში კი 2000 დოლარს ითხოვდა. ავადმყოფი ქალის ქმარმა თავის ახლობლებში მხოლოდ 1000 დოლარი იშოვა. მან აფთიაქარს უთხრა, რომ მისი ცოლი კვდებოდა და სთხოვა, რომ შეემცირებინა წამლის ფასი, ან მიეცა საშუალება, რომ მოგვიანებით გადაეხადა დარჩენილი თანხა. აფთიაქარმა უარი უთხრა. კაცი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ღამით მან გატეხა აფთიაქი და მოიპარა წამალი თავისი ცოლისათვის" – დაასრულა ამბავი ნინომ. "თქვენ როგორ მოიქცეოდით მსგავს სიტუაციაში?" ბავშვები საგონებელში ჩავარდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ნიკამ მოისურვა აზრის გამოთქმა,იგი ყველაზე პატარა და თამამი იყო: "ქურდობა მაინც არ შეიძლება,დაგიჭერენ, გცემენ, ციხეში გიკრავენ თავს. იქ შეიძლება მოკვდე კიდეც." ლადომ ამოიხვნეშა და [illegible] განაგრძო: " კია ღირსი აფთიაქი გაუტეხო, მაგრამ მერე ყველა ქურდს დაგიძახებს, აღარავინ გენდობა." ილია ბიჭებში ყველაზე უფროსია, სერიოზული გამომეტყველებით ჩაერია საუბარში: " ეჰ, ახლა იმდენი ხალხია ავად და თანაც იმდენი გაჭირვებულია, რომ ... ყველამ რომ იქურდოს არ გამოვა. ავადმყოფის პატრონმა რომ წამალი მოიპაროს, მშიერმა საჭმელი და ჩაუცმელმა ტანსაცმელი ... აუ, რა ამბავი ატყდება ქვეყანაში."

აქ საუბარში ლალი ჩაერია: " ავადმყოფის გულისთვის ყველაფერს გააკეთებს კაცი, თუ წამალს ვერ იშოვი და შენი ოჯახის წევრი მოკვდება, მერე მთელი ცხოვრება დარდმა უნდა გაგტანჯოს." საკითხი საკმაოდ სერიოზული იყო და მსჯელობაც დიდხანს გაგრძელდა.

***განიხილეთ შემთხვევა. ზნეობრივი განვითარების თეორიების შესწავლის შემდეგ, განსაზღვრეთ, რომელი პასუხი განვითარების რომელ დონეს შეესაბამება.***

## ძირითადი საკითხები

1. ფსიქოსოციალური განვითარება ერიქსონის მიხედვით
2. ზნეობრივი განვითარება (პიაჟე, კოლბერგი, გილიგანი)

## ფსიქოსოციალური განვითარება

### (ერიკ ერიქსონი)

ერიკ ერიქსონი ცნობილი შვედი ფსიქოლოგი თავის თეორიაში შეეცადა გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად განისაზღვრება პიროვნების განვითარება გენეტიკით და რამდენად გამოცდილებით. მისი თეორია შეიქმნა ზიგმუნდ ფროიდის თეორიის გავლენით. ერიქსონი ფროიდის მსგავსად აღნიშნავს სექსუალური კონფლიქტის როლს პიროვნების განვითარებაში, მაგრამ მისთვის განვითარების განმსაზღვრელი სოციალური გარემოს

ზემოქმედებაა. მისი თეორია არის ფსიქოსოციალური განვითარების თეორია.

ერიქსონის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან გააფართოვა განვითარების ცნება. ის ფროიდის მსგავსად არ შემოისაზღვრა მხოლოდ ბავშვის განვითარებით. განვითარება მისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება და 8 სტადიას გაივლის. პირველი ხუთი სტადია მიმდინარეობს ბავშვობაში, დანარჩენი სამი კი – მოზრდილობაში. თითოეულ სტადიაზე ხდება კონფლიქტის მოგვარება, რომელიც გარემოს მიმართ სოციალური ადაპტაციის პროცესში იჩენს თავს.

## განვითარების სტადიები

**I სტადია:** დაბადებიდან ორ წლამდე

**კონფლიქტი:** ნდობა უნდობლობის წინააღმდეგ.

ბავშვის წარმატებული ადაპტაციისათვის გარემოს მიმართ აუცილებელია ნდობის განვითარება. უცნაური, უჩვეულო გარემო მისთვის შიშის და უნდობლობის აღმძვრელია. ე.ი. პირველი კონფლიქტი ნდობის და უნდობლობის კონფლიქტია. ამ კონფლიქტის გადაჭრა ბავშვს შემდგომი გავითარების საშუალებას აძლევს. ბავშვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი დედაა, რომელიც ზრდის და უვლის ბავშვს. მასთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული სამყაროს და ადამიანების მიმართ ნდობის და სიყვარულის განვითარება. თუ გარემოცვა ბავშვისთვის აუხსნელი და სახიფათოა, იგი უნდობლობის წინააღმდეგობას ვერ ძლევს, იზრდება ნერვიული და თავის თავში დაურწმუნებელი.

**II სტადია:** ორიდან სამ წლამდე

**კონფლიქტი:** ავტონომია ეჭვის და სირცხვილის წინააღმდეგ.

თავდაპირველად ბავშვები მხოლოდ რეაგირებენ, ორი წლიდან კი აცნობიერებენ, რომ ისინი არიან საკუთარი მოქმედების ავტორები. მათ უვითარდებათ დამოუკიდებლობის გრძნობა, რომელიც აუცილებლად წახალისებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს გარემოცვის მხრიდან. თუ ბავშვი შეიზღუდა თავის მოქმედებებში, ის გაიზრდება სხვაზე დამოკიდებული და საკუთარ ძალებში დაურწმუნებელი. ასეთ ბავშვებს უჭირთ აქტიურ თანატოლებთან და გარემოსთან ურთიერთობის დამყარება.

**III სტადია:** ოთხიდან ხუთ წლამდე

**კონფლიქტი:** ინიციატივა დანაშაულის გრძნობის წინააღმდეგ.

ხუთი წლის ასაკისთვის ბავშვი ხდება დამოუკიდებელი, გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი.. ის იწყებს საკუთარი თავის კვლევას, ადგენს საკუთარი განვითარების მოდელს, ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას მშობლებთან. ამ სტადიაზე განვითარება მიდის კოლოსალური ტემპით, ბავშვი იღებს ინფორმაციის ძალიან დიდი რაოდენობას, იწყებს ქცევითი ინიციატივის განვითარებას. თუ მისი ინიციატივა არ არის მოწონებული, თუ ხშირად ეძლევა შენიშვნები და ხშირად ისჯება, მას უვითარდება დანაშაულის გრძნობა თავისი ქცევის გამო.

**IV სტადია:** ექვსიდან თერთმეტ წლამდე

**კონფლიქტი:** შრომისმოყვარეობა არასრულფასოვნების განცდის წინააადმდეგ.

ეს სტადია ემთხვევა სკოლაში სწავლების პირველ წლებს. ამ პერიოდის მთავარი მახასიათებელია თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, თვითიდენტიფიკაციის განვითარება, საკუთარი თავის მნიშვნელობის გაცნობიერება. ბავშვები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გაიგონ და შეიმეცნონ, შეისწავლონ ის, რაც მნიშვნელოვანია მათი

კულტურულ-სოციალური განვითარებისათვის. ისინი ცდილობენ სრულფასოვან, მომზნელოვან პიროვნებებად იქცნენ. მათი ქცევის მიღება და დადებითი შეფასება გარემოცვის მხრიდან განმსაზღვრელი ფაქტორია დადებითი "მე"-ს კონცეფციის ჩამოყალიბებისა. თუ ასეთ აქტივობას უარყოფითი შეფასება და დაცინვა ხვდება, შედეგად შეიძლება განვითარდეს არასრულფასოვნების კომპლექსი.

**V სტადია:** თორმეტიდან თვრამეტ წლამდე.

**კონფლიქტი:** იდენტურობა იდენტურობის დიფუზიის (როლთა აღრევის) წინააღმდეგ.

ზრდასთან ერთად ბავშვი აწყდება იდენტურობის და გამოკვეთილი "მე"-ს კონცეფციის პრობლემას, რაც ნიშნავს არა მხოლოდ იმას, თუ ვინ ხარ, არამედ იმასაც, ვინ შეიძლება იყო. ე.ი. საკუთარ პოტენციალში გარკვევის პრობლემას. კონფლიქტის წყაროა შეუზღუდავი განვითარების შესაძლებლობა და ალტერნატივა. თუ არ არსებობს ზუსტად განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, მოზარდების წინაშე დგება იდენტურობის დიფუზიის პრობლემა. ამ ასაკში ადამიანი უამრავ ალტერნატივას მოსინჯავს, სხვადასხვა სოციალურ როლში ცდის თავის თავს. ეს კრიზისი თვითიდენტიფიკაციის პრობლემაში მდგომარეობს. ყველა მოზარდს არ შეუძლია დადებითი "მე"-ს კონცეფციის და თვითიდენტიფიკაციის ფორმირება.

**VI სტადია:** ადრეული მოზრდილობა

**კონფლიქტი:** ინტიმურობა იზოლაციის წინააღმდეგ.

ამ სტადიაზე ადამიანეში ურთიერთობის პრობლემებს წყვეტენ. შეუძლია თუ არა წარმატებული სოციალური ურთიერთობების დამყარება პიროვნებას, დიდად არის დამოკიდებული წინა სტადიების კრიზისის წარმატებულ დაძლევაზე. იდენტურობის ფორმირების შემდეგ პიროვნება ამყარებს და ავითარებს სერიოზულ ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან. ამ სტადიაზე ყალიბდება ნამდვილი პასუხისმგებლობა ადამიანის, საქმის, პარტნიორის მიმართ. თუ ადამიანი წარმატებით ვერ გადალახავს წინა სტადიის კრიზისს, ის უძლური იქნება სრულფასოვანი ურთიერთობების დამყარების აუცილებლობის წინაშე.

**VII სტადია:** მოზრდილობა

**კონფლიქტი:** გენერატიულობა სტაგნაციის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში კონფლიქტები ძირითადად უკვე გადაჭრილია, ადამიანს შეუძლია მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია სხვების საკეთილდღეოდ. დაეხმაროს შვილებს, ახლობლებს, გადაჭრას სოციალური პრობლემები. წინა ეტაპზე კონფლიქტების მოგვარებისას განცდილმა მარცხმა შეიძლება ადამიანი დატოვოს თავის თავზე ორიენტირებული და დაკავებული ისეთი პრობლემებით, როგორიცაა საკუთარ ჯანმრთელობაზე, მოთხოვნილებებზე, სიმშვიდეზე გადაჭარბებული ზრუნვა.

**VIII სტადია:** სიმწიფე

**კონფლიქტი:** ეგო-ს მთლიანობა იმედგაცრუების წინააღმდეგ.

ამ ეტაპზე ხდება განვლილი ცხოვრების შეფასება. თუ შეფასებისას ადამიანი განიცდის კმაყოფილებას და თვლის, რომ მისი ცხოვრება სავსე იყო საინტერესო მოვლენებით, რომლებშიც ის აქტიურად მონაწილეობდა და სადაც შეძლო საკუთარი თავის და უნარების რეალიზაცია, მაშინ მისთვის მისი რეალობა მთლიანად მისაღებია. მაგრამ, თუ ადამიანი თვლის, რომ ცხოვრება მხოლოდ უაზროდ დახარჯული წლები და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებია, მას სასოწარკვეთილება იპყრობს.

**ცხრილი№ 8.** ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების სტადიები

| კონფლიქტი | | კონფლიქტის განვითარების საგანი |
|---|---|---|
| I სტადია 0 – 1 წ.წ. | ნდობა-უნდობლობა | შეიძლება თუ არა ვენდო სამყაროს? |
| II სტადია 2 – 3 წ.წ. | ავტონომია-ეჭვი | შემიძლია თუ არა საკუთარი ქცევის მართვა? |
| III სტადია 4 – 5 წ.წ. | ინიციატივა-დანაშაულის განცდა | შემიძლია თუ არა გავხდე მშობლებისაგან დამოუკიდებელი და გავერკვე ჩემს შესაძლებლობებში? |
| IV სტადია 6 – 11 წ.წ. | შრომისმოყვარეობა-არასრულფასოვნების განცდა | მაქვს თუ არა არსებობის და შრომის უნარი? |
| V სტადია 12 – 18 წ.წ. | იდენტურობა-იდენტურობის დიფუზია | ვინ ვარ? როგორია ჩემი რწმენა, შეხედულება, პოზიცია? |
| VI სტადია ადრეული მოზრდილობა | ინტიმურობა-იზოლაცია. | შემიძლია სხვისთვის მსხვერპლზე წასვლა? |
| VII სტადია მოზრდილობა | გენერატულობა-სტაგნაცია | რა შემიძლია შევთავაზო მომავალ თაობას? |
| VIII სტადია სიმწიფე | მთლიანობა-იმედგაცრუება | კმაყოფილი ვარ თუ არა განვლილი ცხოვრებით? |

## ერიქსონის თეორიის მნიშვნელობა

ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიამ დიდი გავლენა იქონია განვითარების ფსიქოლოგიაზე. ეს თეორია ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის იმიტომ, რომ ის იძლევა ბავშვის განვითარების შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას და ხაზს უსვამს მასწავლებლის და მშობლის როლს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

## ზნეობრივი განვითარება

(პიაჟე, კოლბერგი, გილიგანი)

ზნეობრიობა ეთიკის, ღირებულებების, ნდობის უფლებების დაცვის სფეროა, რომელიც სოციალური ცნობიერების სხვა ასპექტების მსგავსად ასაკთან ერთად ვითარდება და იცვლება.

არსებობს სხვადასხვა შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ბავშვებში ზნეობის ჩამოყალიბება. სოციალური დასწავლის მომხრენი თვლიან, რომ ბავშვებში ზნეობა ვითარდება დასჯის, წახალისების და მიბაძვის მეშვეობით. ფროიდისტული მიდგომის მომხრეთა აზრით ზნეობა ყალიბდება იმ შფოთვისაგან დასაცავად, რომელიც მშობლის სიყვარულის და კეთილგანწყობის დაკარგვის შიშით არის გამოწვეული. კოგნიტური განვითარების თეორიის წარმომადგენლების აზრით, ზნეობრივ განვითარებას გონებრივი განვითარების მსგავსად პროგრესული, სტადიური ხასიათი აქვს. განვიხილოთ კოგნიტური მიდგომის რამოდენიმე მაგალითი.

## ზნეობრივი განვითარება პიაჟეს მიხედვით

პიაჟეს მიხედვით ზნეობრივი გრძნობა ბავშვებს უყალიბდებათ აზროვნების სტრუქტურებისა და სოციალური გამოცდილების ურთიერთქმედების შედეგად.

ზნეობის განვითარება ორ სტადიას გაივლის.

I სტადია – ზნეობრივი რეალიზმის სტადია.

ამ სტადიაზე ბავშვები ფიქრობენ, რომ აუცილებელია ყველა წესის დაცვა იმიტომ, რომ ეს რეალური შეუცვლელი პირობებია და არა აბსტრაქტული წესები. ამ სტადიაზე ქცევის ზნეობრიობა განისაზღვრება მისი შედეგებით. მაგ.: ბავშვისათვის ის გოგონა, რომელიც სუფრის გაშლისას უნებურად გატეხავს 12 თეფშს, უფრო დამნაშავეა, ვიდრე მეორე გოგონა, რომელიც განრისხებული განზრახ გატეხავს ორ თეფშს.

II სტადია – ზნეობრივი რელატივიზმის სტადია

ამ სტადიაზე ბავშვები უკვე იგებენ, რომ წესები ადამიანების მიერ იქმნება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და აუცილებლობის შემთხვევაში მათი შეცვლა შეიძლება. ისინი ხვდებიან, რომ სამყაროში არაფერია აბსოლუტურად სწორი ან აბსოლუტურად არასწორი და რომ ქცევის ზნეობრიობა არა შედეგით, არამედ განზრახვით განისაზღვრება.

## კოლბერგის ზნეობრივი განვითარების თეორია

კოლბერგი ზნეობრივი განვითარების კვლევაში მონაწილე ბავშვებს უყვებოდა ზნეობრივ დილემასთან დაკავშირებულ ისტორიებს და სთხოვდა მათ, გადმოეცათ, თუ როგორ მოიქცეოდნენ ისინი მსგავს სიტუაციებში. კვლევის შედეგების მიხედვით მან გამოყო ზნეობრივი ორიენტაციის სამი დონე, რომელთაგან თითოეული ორ სტადიას მოიცავს.

**1. პირველადი, ანუ კონვენციონამდელი დონე**

ამ დონეზე ბავშვები განიხილავენ ქცევას, როგორც დასჯის ან წახალისების შედეგს. პირველ სტადიაზე ბავშვი დარწმუნებულია, რომ რაც იკიცხება, ცუდია, რასაც აქებენ – კარგი. მეორე სტადიაზე ზნეობრიობა უფრო პრაქტიკული ხდება. ბავშვები სიკეთეს სჩადიან მხოლოდ მაშინ, როცა იციან, რომ ამისთვის დაჯილდოვდებიან.

**2. კონვენციონალური დონე**

კონვენციონალური ზნეობა კონფორმისტის ზნეობაა. კარგია ის, რაც შეესაბამება ქცევის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს. მესამე სტადიაზე ბავშვები თავიანთი ქცევის შეფასებას ახდენენ ავტორიტეტებთან და თანატოლებთან კარგი ურთიერთობის დამყარების და შესრულებული როლის მიხედვით. მათთვის მოწონება და შექება ძალზე მნიშვნელოვანია. ამ სტადიის პრინციპია "კარგი ბიჭუნა", "შესანიშნავი გოგონა". მეოთხე სტადია კი ხასიათდება ბრმა მორჩილებით და გამგონეობით. ის რაც მიღებულია საზოგადოებრივი მორალით – ზნეობრივია. ზნეობრივ პიროვნებად ითვლება ის, ვინც ზუსტად ასრულებს საყოველთაოდ მიღებულ ქცევის წესებს.

**3. პოსტკონვენციონალური დონე**

ამ დონეზე ინდივიდი ცდილობს გაერკვეს ზნეობრივი წესების და კანონების არსში და გააკეთოს საკუთარი დასკვნები. მეხუთე სტადიაზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია კონფორმულობის გარკვეული დონე, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ახლა საყოველთაოდ

მიღებული წესების სისტემა განიხილება ინდივიდის შესაძლებლობის პოზიციიდან. ადამიანი ექვემდებარება საყოველთაოდ მიღებულ კანონებს თავისი პირადი ზნეობრივი წარმოდგენების შესაბამისად და ცვლის მას საჭიროებისამებრ.

მეექვსე სტადიაზე კი ხდება იმ ეთიკური პრინციპების შერჩევა, რომლებიც ქცევის ძირითად ვექტორებს წარმოადგენენ და უფრო აბსტრაქტული ხასიათი აქვთ.

## გილიგანის შეხედულებები ზნეობაზე

კეროლ გილიგანი კოლბერგის კვლევის ძირითად ნაკლად მიიჩნევს დაბალ რეპრეზენტაციას სქესობრივი ნიშნით. კოლბერგი კვლევის სუბიექტად მხოლოდ მამაკაცებს ირჩევდა. გილიგანი კი შეეცადა გამოეკვლია ქალის ზნეობა. მან შეარჩია 29 ფეხმძიმე ქალი, რომელთაგან თითოეული აბორტის პრობლემის წინაშე იდგა. 29-ვე ქალი კონსულტაციას ღებულობდა სპეციალურ კლინიკაში. ბოლოს 21-მა გაიკეთა აბორტი, ოთხმა გადაწყვიტა გაეჩინა ბავშვი, ერთს თავისით შეუწყდა ფეხმძიმობა, სამმა კვლევის პერიოდში ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. გილიგანმა გამოიკვლია, რომ ზნეობრივი განვითარების დონეს გამოხატავდა არა თავად გადაწყვეტილება ბავშვის გაჩენის შესახებ, არამედ ამ გადაწყვეტილების სუბიექტური დასაბუთება.

ქალის ზნეობრივ განვითარებაში გილიგანმა გამოყო სამი სტადია. პირველ სტადიზე ქალი ხელმძღვანელობს ეგოისტური მოსაზრებით (ეს არის ის, რაც მე მსურს, რაც მნიშვნელოვანია ჩემი ფიზიკური, ფსიქოლოგიური მსგომარეობისთვის). მეორე სტადიაზე ხდება ეგოიზმიდან სხვისი კეთილდღეობისათვის ზრუნვაზე გადასვლა. ეს ცვლილება აისახება ქმედებათა დასაბუთებაში, რომელიც ეყრდნობ არა მარტო თვითგადარჩენის პრიმიტიულ ინსტინქტს, არამედ ობიექტურ ზნეობრივ პოზიციასაც (სიკეთის და ბოროტების ცოდნა, სხვა ადამიანებზე ზრუნვა, როგორც სიკეთის ფორმა). მესამე სტადიაზე ხდება "არაძალადობრივი ზნეობის" ფორმირება საკუთარი თავის და სხვების მიმართ. ახლა ქალს ესმის, რომ ის თავადაა პასუხისმგებელი საკუთარ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, იგი ცდილობს, საფუძვლიანად გაიაზროს ყველაფერი და მიიღოს რაც შეიძლება ზნეობრივი გადაწყვეტილება.

თითოეულ სტადიაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ქალი უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევს თავისი საქციელის ემოციურ და სოციალურ მხარეს. ე.ი. ქალებში ზნეობრივი განვითარების პროცესი ეგოისტური პოზიციებიდან საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერებისაკენ მიდის.

გილიგანის მიხედვით ქალის და მამაკაცის ზნეობრიობის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცი ცდილობს იხელმძღვანელოს "უნივერსალური ეთიკური პრინციპებით", ხოლო ქალს ზნეობა სუბიექტურად ესმის. ქალის ზნეობა "მზრუნველობის ზნეობაა", ხოლო მამაკაცის – "აბსტრაქტული სამართლიანობა". ეს ფენომენი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქალები უფრო მგრძნობიარენი არიან ცვლილებების მიმართ და გააჩნიათ თანაგანცდის და თანაგრძნობის მეტი უნარი. ამასთან, ისინი ცდილობენ გადაწყვეტილება მიიღონ იმის მიხედვით, რასაც ხედავენ და აღიქვამენ და არა ზნეობრივი ქცევის აბსტრაქტული პრინციპების შესაბამისად. მამაკაცები კი პირიქით, უპირატესობას ანიჭებენ საყოველთაოდ მიღებულ წესებსა და კანონებს.

## ზნეობრივი განვითარება და სწავლების პროცესი

ბავშვის ზნეობრივი განვითარების შესახებ ინფორმაცია ძალიან სასარგებლოა მასწავლებლისათვის. როცა მასწავლებელი იცნობს ბავშვის ზნეობრივ წარმოდგენებს, უფრო ადვილი ხდება ბავშვთან ურთიერთობა და იმისი ახსნა, რა არის მისაღები და რა – მიუღებელი. ცნობილია, რომ გაცილებით ეფექტურია, ბავშვს ავუხსნათ: "ნიკა, ნუ თამაშობ მაგ სათამაშოთი, იგი შეიძლება გატყდეს", ვიდრე ვუთხრათ: "ნიკა, არ შეიძლება სხვისი სათამაშოთი თამაში". ფსიქოლოგები ამას ობიექტის რაციონალიზაციას უწოდებენ. პირველ შემთხვევაში ხაზგასმულია კონკრეტული ობიექტისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. მსგავს სიტუაციაში გოგონებთან აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს სოციალურ ურთიერთობათა მნიშვნელობაზე, სათამაშოს პატრონისადმი თანაგრძნობასა და მის მიმართ პასუხისმგებლობაზე, ხოლო ვაჟებთან კანონიერებასა და სოციალურ წესრიგზე.

ასეთი საკითხების ცოდნა დადებით ზემოქმედებას ახდენს ზნეობრივ აღზრდაზე, სწორი დამოკიდებულებების და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

## საკონტროლო კითხვები

- როგორ გესმით ფსიქოსოციალური განვითარება?
- გილიგანის მიხედვით რით განსხვავდება ქალის და მამაკაცის ზნეობრივი განვითარება?

## განმარტეთ ცნებები

-
- *ზნეობრივი რეალიზმი*
- *ზნეობრივი რელატივიზმი*

## დავალება

წარმოიდგინეთ სამი ადამიანი, რომლებიც თქვენი აზრით, ერიკსონის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე დგანან. ესენი შეიძლება იყვნენ თქვენი მშობლები, თქვენი მეგობრები და ისინი, ვინც გაცილებით უმცროსია თქვენზე. როგორია თითოეული მათგანის მთავარი პრობლემა მოცემულ ეტაპზე? რა ფსიქოლოგიური უპირატესობანი და სისუსტეები გააჩნია თითოეულ მათგანს? რა სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ თითოეულ მათგანთან ურთიერთობისას?

## შევადგინოთ ეკო-რუკა

ეკო-რუკა წარმოადგენს მოსწავლის სოციალურ კონტექსტში შესწავლის საუკეთესო საშუალებას. იგი გვიჩვენებს იმ მნიშვნელოვან სისტემებს, რომელიც ინდივიდის ცხოვრების ნაწილს შეადგენენ და ასახულია ამ სისტემებთან მისი ურთიერთობის ტიპი.

1. მუქი ხაზი – ძალიან ახლო ურთიერთობა;
2. მკრთალი ხაზი – ახლო ურთიერთობა
3. წყვეტილი ხაზი – დისტანციური ურთიერთობა
4. ზიგზაგი – კონფლიქტური ურთიერთობა
5. გაწყვეტილი ხაზი – შეწყვეტილი ურთიერთობა

**ეკო-რუკის მაგალითი**



## ზნეობრივი განვითარება და სწავლების პროცესი

ბავშვის ზნეობრივი განვითარების შესახებ ინფორმაცია ძალიან სასარგებლოა მასწავლებლისათვის. როცა მასწავლებელი იცნობს ბავშვის ზნეობრივ წარმოდგენებს, უფრო ადვილი ხდება ბავშვთან ურთიერთობა და იმისი ახსნა, რა არის მისაღები და რა – მიუღებელი. ცნობილია, რომ გაცილებით ეფექტურია, ბავშვს ავუხსნათ: "ნიკა, ნუ თამაშობ მაგ სათამაშოთი, იგი შეიძლება გატყდეს", ვიდრე ვუთხრათ: "ნიკა, არ შეიძლება სხვისი სათამაშოთი თამაში". ფსიქოლოგები ამას ობიექტის რაციონალიზაციას უწოდებენ. პირველ შემთხვევაში ხაზგასმულია კონკრეტული ობიექტისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. მსგავს სიტუაციაში გოგონებთან აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს სოციალურ ურთიერთობათა მნიშვნელობაზე, სათამაშოს პატრონისადმი თანაგრძნობასა და მის მიმართ პასუხისმგებლობაზე, ხოლო ვაჟებთან კანონიერებასა და სოციალურ წესრიგზე.

ასეთი საკითხების ცოდნა დადებით ზემოქმედებას ახდენს ზნეობრივ აღზრდაზე, სწორი დამოკიდებულებების და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე.

## საკონტროლო კითხვები

- როგორ გესმით ფსიქოსოციალური განვითარება?
- გილიგანის მიხედვით რით განსხვავდება ქალის და მამაკაცის ზნეობრივი განვითარება?

## განმარტეთ ცნებები

- *ზნეობრივი რეალიზმი*
- *ზნეობრივი რელატივიზმი*

## დავალება

წარმოიდგინეთ სამი ადამიანი, რომლებიც თქვენი აზრით, ერიკსონის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე დგანან. ესენი შეიძლება იყვნენ თქვენი მშობლები, თქვენი მეგობრები და ისინი, ვინც გაცილებით უმცროსია თქვენზე. როგორია თითოეული მათგანის მთავარი პრობლემა მოცემულ ეტაპზე? რა ფსიქოლოგიური უპირატესობანი და სისუსტეები გააჩნია თითოეულ მათგანს? რა სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ თითოეულ მათგანთან ურთიერთობისას?

## შევადგინოთ ეკო-რუკა

ეკო-რუკა წარმოადგენს მოსწავლის სოციალურ კონტექსტში შესწავლის საუკეთესო საშუალებას. იგი გვიჩვენებს იმ მნიშვნელოვან სისტემებს, რომელიც ინდივიდის ცხოვრების ნაწილს შეადგენენ და ასახულია ამ სისტემებთან მისი ურთიერთობის ტიპი.

1. მუქი ხაზი – ძალიან ახლო ურთიერთობა;
2. მკრთალი ხაზი – ახლო ურთიერთობა
3. წყვეტილი ხაზი – დისტანციური ურთიერთობა
4. ზიგზაგი – კონფლიქტური ურთიერთობა
5. გაწყვეტილი ხაზი – შეწყვეტილი ურთიერთობა

**ეკო-რუკის მაგალითი**



# პერსონალური დღიური

ჩემი საყვარელი გმირი არის ___ [illegible] ___

___

___

[illegible] ყველაზე მეტად დაინტერესებს ___

___ [illegible] ___

___

კითხვები, რომლებიც გამიჩნდა ___

___

___

ჩაიწერე თავში განხილული იდეები და მათ მიმართ შენი დამოკიდებულება [illegible]
[illegible]

# თავი VII

## განსაკუთრებული მოსწავლეები

> ერთის მხრივ, დეფექტი ნაკლია, შეზღუდვაა, სისუსტეა, განვითარებაში ჩამორჩენაა, მეორეს მხრივ, - – სწორედ იმიტომ, რომ სირთულეებს ქმნის, იგი სტიმულს აძლევს წინსვლის მოძრაობას...
> ყოველი დეფექტი კომპენსაციის შემუშავებისთვის ქმნის სტიმულებს.
>
> ლ. ვიგოტსკი

ბატონი გიორგი სკოლის დირექტორია, ბევრი სიახლის მოწმე ყოფილა თავისი მრავალწლოვანი პედაგოგიური მუშაობის განმავლობაში, მაგრამ წლევანდელი სიტუაცია სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა მისი სკოლისათვის – წელს პირველად პირველ კლასში ჩარიცხული იქნა მეტყველების დეფექტის მქონე გონებრივად შეფერხებული ე.წ. განსაკუთრებული ბავშვი. დირექტორი ორმაგად ღელავდა: როგორ შეხვდებიან ამ ფაქტს მოსწავლეები და მასწავლებლები.

პირველი შეხვედრა მასწავლებლებთან დანიშნა და აუხსნა საქმის ვითარება. "ერთი, რაც სასწრაფოდ უნდა გააკეთოდ, ეს არის ის, რომ უნდა გაეცნოთ დამატებით ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ, ასევე უნდა გაეცნოთ სპეციალურ ლიტერატურას, სადაც აღწერილია განსაკუთრებულობის ამგვარი შემთხვევები და რეკომენდაციები მასწაველებელთათვის", – მიმართა მან კლასის მასწავლებელს. ლია მასწავლებელი შეშფოთებული ჩანდა. "არ მგონია საკმარისი დახმარება გავუწიო მე ამ ბავშვს" – წუხდა ის. "ხომ არ შეხვდებოდით მისი ბაღის აღმზრდელს, დარწმუნებული ვარ მან ბევრი რამ იცის ბავშვის შესახებ"- ურჩია ბატონმა გიორგიმ. "მშობლებსაც უნდა შევხვდე" – ჩაილაპარაკა ლიამ, დარწმუნებული ვარ ამგვარი შეხვედრები დიდ დახმარებას გამიწევს. არჩევანის საშუალებაც არა მაქვს, ჰუმანური პოზიციიდან გამომდინარე დიდი სურვილი მაქვს ყველა შესაძლო პრობლემას ღირსეულად გავუმკლავდე, თანაც სამინისტროს ბრძანებაა, ვიცი, რომ თანდათან ამგვარი ბავშვების ჩართვა კლასებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდება. ერთის მხრივ მიხარია კიდეც, რომ ამ საქმეში პიონერი ვიქნები, თქვენი თანადგომის იმედი მაქვს" – მიმართა ლია მასწავლებელმა კოლეგებს.

ბატონი გიორგი შეეცადა ლაპარაკი სხვა მიმართულებით წარმართულიყო: "ვიცი, რომ სპეციალური ტრენინგი ტარდება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, მიგავლინებთ, გაივლი ტრენინგს, სკოლის ფსიქოლოგიც დაგეხმარება, ლოგოპედიც მუშაობს ბავშთან".

"განსაკუთრებით მაღელვებს როგორ მიიღებენ მას თანაკლასელები, რა უნდა ვიღონო რომ მათი ურთიერთობა ნორმალურად წარიმართოს? წინასწარ შეხვდე კლასს, მოვამზადო ამ სიტუაციისათვის, თუ ... ალბათ საჭიროა წინასწარი შეხვედრა, ვნახოთ..." – ფიქრობდა ლია.

***საკითხის შესწავლის შემდეგ, გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება – რა ნაკლი და ღირსება შეიძლება ახასიათებდეს ინტეგრირებულ სწავლებას.***

### ძირითადი საკითხები:

- შესავალი;
- ნიჭიერი ბავშვი;
- ფიზიკური განსაკუთრებულობა;
- სოციალურ-ემოციური განსაკუთრებულობა;
- გონებრივი ჩამორჩენილობა;
- სწავლის უუნარობა;
- ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა;
- განსაკუთრებული მოსწავლეების იდენტიფიკაცია

# შესავალი

წარმოიდგინეთ, რომ დაამთავრეთ პედაგოგიური უნივერსიტეტი და იწყებთ სკოლაში მუშაობას. შეხვდით სკოლის ფსიქოლოგს ან მასწავლებელს და ეკითხებით: არის კლასში ბავშვი, რომელიც განსხვავებულია თანატოლებისაგან? რატომ უნდა დასვათ ამგვარი შეკითხვა?

დღევანდელი სკოლები ხომ სულ უფრო მეტად განსხვავდება თქვენი ბავშვობის დროინდელი სკოლებისაგან და უფრო მეტად კი იმ სკოლებისაგან, რომელშიც თქვენი მშობლები სწავლობდნენ. განსხვავდება არა მარტო იმით, რომ დღევანდელ სკოლაში შეხვდებით ისეთ მოდურ ტექნიკურ აღჭურვილობას, როგორიცაა კომპიუტერი ან ახალ-ახალ, სხვადასხვა მეთოდიკით შექმნილ სახელმძღვანელოებს, არამედ იმითაც, რომ საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა გულისხმობს ე.წ. ინკლუზიურ სწავლებას, რის შედეგადაც სულ უფრო ხშირად შეხვდებით ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს ე.ი. კლასში შესულ მასწავლებელს შეიძლება დახვდეს, არა მარტო სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის მოსწავლეები, არამედ სხვადასხვა შესაძლებლობების (როგორც ინტელექტუა-ლურად, ასევე ფსიქო-მოტორულად) მქონე მოსწავლეები. აქედან გამომდინარე მასწავლების როლი სწავლების პროცესში და მისი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება.

# ნიჭიერი ბავშვები

**პიროვნული თავისებურებანი.** ხშირად განსაკუთრებული ნიჭიერება უკვე ადრეულ ბავშვობაში მჟღავნდება, ამის მაგალითია საყოველთაოდ ცნობილი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, რომელმაც ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა ფენომენალური მუსიკალური ნიჭი, 4 წლისა უკვე უკრავდა კლავისინზე, 6 წლისამ დაწერა პირველი ნაწარმოები, 11 წლის ასაკში – ოპერა.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები გამოირჩევიან კარგი მეხსიე-რებით, ცნობისმოყვარეობით, საუბრისას იყენებენ რთულ წინადადებებს, ადრე ითვისებენ წერა-კითხვას, ანგარიშს. მათ აქვთ წარმოსახვის დიდი უნარი. ნიჭიერი ბავშვები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ თამაშებს, რომლებიც ითხოვენ გონებრივი შესაძლებლობების აქტივიზაციას. ისინი სიამოვნებით ასრულებენ რთულ დავალებას, რომელიც ბევრ დროს მოითხოვს და ვერ იტანენ, როცა მათ თავს ახვევენ მზა პასუხებს. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს შეუძლიათ დიდი ხნით კონცენტრაცია, განსაკუთრებით თუ მათთვის საინტერესო საქმიანობით არიან დაკავებულნი.

ცნება – ნიჭიერი ბავშვი, შეიძლება გულისხმობდეს როგორც მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ასევე მაღალ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, სპეციფიკურ მიდრეკილებებს სწავლისადმი, შემოქმედებით მიდრეკილებებს და ა.შ. ხშირია განსაკუთრებული უნარები ხელოვნების სხვადასხვა დარგში და განსაკუთრებული ფსიქომოტორული შესაძლებ-ლობები.

კლასში მასწავლებელს ყავდეს ნიჭიერი ბავშვი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც.

ნიჭიერი ბავშვის მართვა ადვილი არ არის:

- მათ ძალიან ადრე უყალიბდებათ ინტერესების სფერო, ხოლო სკოლის საგნები შეიძლება ამ სფეროს მიღმა მოხვდნენ. ნიჭიერი ბავშვს ხშირად არ აინტერესებს ის, რასაც მას სკოლაში ასწავლიან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან უკვე კარგად იცის წერა-კითხვაც და არითმეტიკაც, მისი თანატოლები კი მხოლოდ ახლა იწყებენ სწავლას, ის კი მოწყენილი ზის კლასში.

- ამავე დროს, ყველაფერი ის, რაც ნიჭიერი ბავშვის ინტერესის სფეროში ხვდება, შეიძლება გახდეს მისი ცნობისმოყვარეობისა და გაუთავებელი შეკითხვების მიზეზი, რისი მართვაც მუდმივად უწევს მასწავლებელს. ზოგჯერ შეკითხვა ისეთი რთულია, რომ მასწავლებელს უჭირს პასუხის გაცემა: “როგორ უნდა ვაღიარო მოსწავლეებლის წინაშე, რომ არ ვიცი პასუხი?” – ნერვიულობს მასწავლებელი.

- ნიჭიერ ბავშვებს შეიძლება სერიოზული პრობლემები ჰქონდეთ მასწავლებელთან და თანაკლასელებთანაც. ეს უკანასკნელნი განიცდიან ნიჭიერი ბავშვის ინტელექტუალურ ზეწოლას, ეს კი ხდება უსიამოვნებისა და კონფლიქტების მიზეზი. გაკვეთილის ახსნისას ნიჭიერი ბავშვი უცებ იგებს აზრს, მალე გამოყავს მაგალითი ან ამოცანა და უმალ იძლევა სწორ პასუხს. სწორედ ასეთი “მოუთმენლობა”, თითქოსდა საკუთარი შესაძლებლობების გაუთავებელი დემონსტრირება ძალიან ხშირად აღიზიანებს თანაკლასელებს და მასწავლებელსაც კი, რადგან მას ამის გამო არ ეძლევა საშუალება შეაფასოს დანარჩენი მოსწავლეების ათვისების უნარი. “ჩვენ არ გვაცდის პასუხის გაცემას, სულ თვითონ უნდა ყურადღების ცენტრში იყოს” – ასეთია ხშირად თანაკლასელების რეაქცია.

- ამავე დროს, ნიჭიერი ბავშვების შესაძლებლობები შეიძლება არათანაბარი იყოს, მაგალითად, მიუხედავად მაღალი შესაძლებლობებისა შემეცნებით პროცესებში, მათ შეიძლება სერიოზული სიძნელეები ჰქონდეთ მაგალითად, ნატიფი მოძრაობების შესრულებისას. ასეთი არათანაბარი განვითარება, შეიძლება იწვევდეს ბავშვის გაღიზიანებას, რადგანაც ზოგჯერ მასწავლებელი მისი შეფასებისას იყენებს ასეთ ფორმულირებას: “ბავშვი ძალიან გონიერია, ყველას სჯობია კლასში, მაგრამ ჩამორჩება წერაში”, ამის გამო წუხს მშობელი და იწყება გაუთავებელი ვარჯიში წერაში, რაც საშინლად ღლის ბავშვს და უქმნის მას გარკვეულ პრობლემებს. სინამდვილეში იგი არ ჩამორჩება, უბრალოდ მისი გრაფიკული ჩვევები, ნატიფი მოძრაობების განვითარება მის ასაკს შეესაბამება, გონებრივი განვითარება კი მართლაც უსწრებს ასაკს. მშობლისა და მასწავლებლის ასეთი დამოკიდებულებები ბავშვის შესაძლებლობების მიმართ, ასეთი ზედმეტი მომთხოვნელობა ართულებს ბავშვის ცხოვრებას, ძაბავს მას. მას ხომ თხოვენ იმას, რაც არ შეუძლია, არ გამოსდის, ეს კი იწვევს მის დაურწმუნებლობას, დაბლა წევს თვითშეფასებას.

- ნიჭიერ მოსწავლეებს ხშირად აქვთ სიძნელეები სოციალურ სფეროში. მათ უჭირთ ურთიერთობა თანაკლასელებთან, თანატოლებთან. მათთვის დამახასიათებელია მეგობრებისათვის შენიშვნის გაკეთება, თანამოსაუბრის შეჩერება ან დაცინვა. ეს თანამოსაუბრე ხშირ შემთხვევაში შეიძლება მასწავლებელიც კი იყოს. ნიჭიერი ბავშვი საუბრის დასაწყისშივე ხვდება რაზეა ლაპარაკი და უნდა თვითონ დაასრულოს აზრი, ის უცებ იგებს მოსმენილს და უნდა ამის დემონსტრირება, ანუ ვერ იცავს დიალოგის წესებს.

- და ერთი, ალბათ უპირველესი პრობლემა ნიჭიერი ბავშვებისა – ისინი ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებენ საკუთარ თავს, საკუთარ მიღწევებს. თუ რაღაც ისე არ გამოსდით, როგორც უნდათ, ეს ხდება სერიოზული განცდის მიზეზი. ზოგჯერ პირველობა ხდება ერთადერთი მისაღები პოზიცია, ისინი ყველა ადგილს, გარდა პირველისა აღიქვამენ როგორც მარცხს და საკუთარ თავს, როგორც უიღბლოს. ამიტომ თავიანთი შესაძლებლობების მიუხედავად, ჩვენ ვაწყდებით პარადოქსს – ასეთი ბავშვების თვითშეფასება ძალიან დაბალია. ყოველივე ამის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ მშობლისა და მასწავლებელს ხელშეწყობით. მათ ნიჭით დაჯილდოებული

ბავშვი უნდა შეასწავლოს იმას, რომ წარუმატებლობა – ნორმალურია. წარუმატებლობა უნდა მიიღო, როგორც შესაძლებლობა გადაფასებისა და ახალი გზების ძიების შანსი. ამავე დროს, სიძნელეების გადალახვის შემთხვევაში მასწავლებელსა და მშობელს არ უნდა დაავიწყდეს ბავშვის წახალისება და შექება.

**ნიჭიერი ბავშვების სწავლება.** ვინაიდან ჩვენი სასკოლო პროგრამა გათვლილია საშუალო მოსწავლის შესაძლებლობებზე, ნიჭიერ ბავშვებს ამ მხრივაც დახმარება ესაჭიროება. ნიჭიერი ბავშვის შემეცნებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მასწავლებლის ხელშეწყობით უნდა მოხდეს, საჭიროა ბავშვს შემოქმედებითი ატმოსფერო შევუქმნათ. ასეთი ბავშვების ერთის მხრივ, ნიჭისა და მოტივაციის და მეორეს მხრივ, გარემოს (რომელშიც ბავშვს უწევს ცხოვრება და სწავლა) სწორი ურთიერთკავშირი არის უმთავრესი ფაქტორი მათი ნიჭიერ ადამიანებად ფორმირებაში.

სიტუაცია: მესამე კლასში მიმდინარეობს მათემატიკის გაკვეთილი. მასწავლებელი – ქალბატონი ნინო ასწავლის ბავშვებს ლუწი და კენტი რიცხვების გამრავლება-გაყოფას.

***ნინო მასწავლებელი*** – ვინ მეტყვის, რომელი რიცხვები იყოფა ორზე 1-დან 10-მდე?

***გიორგი*** – ყველა ლუწი რიცხვი – 2, 4, 6, 8 და 10.

***ნინო მასწავლებელი*** – ყოჩაღ გიორგი, აბსოლუტურად სწორია;

***სალომე*** – არ არის სწორი.

***ნინო მასწავლებელი*** (გაღიზიანებული) – სალომე რას ნიშნავს ეს?

***სალომე*** – არ არის სწორი, მე მინდოდა მეთქვა, რომ ორზე იყოფა არა მარტო ლუწი რიცხვები.

***ნინო მასწავლებელი*** (გაბრაზებული) – შენ ყოველთვის გგონია, რომ იცი იმაზე მეტი, ვიდრე წიგნში წერია.

***სალომე*** (ნაკლებად დარწმუნებული) – კენტი რიცხვებიც იყოფა ორზე, მამამ მითხრა.

***ნინო მასწავლებელი*** – შენი მამა მასწავლებელი არ არის, შენი აზრით, როგორ უნდა გაიყოს ხუთი ორზე? ერთი რამე მაინც თუ დაიმახსოვრე გუშინ ახსნილი მასალიდან?

სალომე წითლდება და ძალიან ჩუმად, ისე რომ მასწავლებელს არ ესმის პასუხობს – ორ ნახევარი

აკეთებს სკოლა ნიჭიერი ბავშვებისათვის ყველაფერს რაც შეუძლია ან რისი გაკეთებაც ევალება? შეიძლება ითქვას, რომ არა, თუ გავიხსენებთ ქალბატონი ნინოს კლასს. სკოლა ხომ ძირითადად მიმართულია ისეთ მოსწავლეებზე, რომლებიც არიან დამჯერნი, პუნქტუალურნი, უფროსების მოლოდინების გამთვალისწინებლები, მოსწავლეებზე, რომლებიც მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ მასალას სწავლობენ. ამ სიაში ვერ შეხვდებით ისეთ თვისებებს, როგორიცაა: მოქნილობა, ორიგინალურობა, გამომგონებლობა, ორიგინალური აზროვნება. აღწერილ სიტუაციაში მასწავლებლის მოლოდინს ხომ წარმოადგენდა ის, რომ სალომეს ესწავლა უბრალო წესი ლუწი და კენტი რიცხვების შესახებ და გაემეორებინა კლასში, როდესაც მას სთხოვდნენ ამის შესახებ.

კარგი მასწავლებელი არ მოახდენდა ისეთ რეაგირებას, როგორიც მოახდინა ქალბატონმა ნინომ. მას არ გაჩენია სურვილი დაეშვა ის ფაქტი, რომ სალომეს პასუხს

შეიძლება ჰქონოდა თავისი ღირებულება ან ეთხოვა სალომესთვის აეხსნა მისი პასუხი. მასწავლებელს ყოველთვის უნდა შეეძლოს შეაქოს არასწორი პასუხიც კი თუ ის გამოირჩევა შემოქმედებითობით.

მაგალითად ერთ-ერთი მკვლევარი – ტორენსი აღნიშნავს, რომ ბევრი ნიჭიერი მოსწავლე აღწევს გაცილებით ნაკლებს, ვიდრე მის შესაძლებლობებშია. ისმის კითხვა – რატომ? იმიტომ პასუხობს ავტორი, რომ მათ არ გააჩნიათ მიღწევის შესაბამისი მოტივი, რაც, თავის მხრივ, მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

- უმთავრესი, ტორენსის აზრით, არის ის, რომ მოსწავლეები ვერ ხედავენ ვერავითარ კავშირს რეალურ ცხოვრებასა და იმ ინფორმაციას შორის, რის შესწავლასაც მათ სთხოვენ;
- მეორე მიზეზი არის შეფასების სისტემა. შეფასების არასწორი სისტემა შეიძლება იყოს ძალიან ზედაპირული და მისმა შედეგებმა შეიძლება დაუკარგოს აღნიშნული მოტივი მოსწავლეს. მშობლებსა და მასწავლებლებს კი მხოლოდ გამოცდისა და ტესტების შედეგები აინტერესებთ.
- კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ნიჭიერ ბავშვებს ხშირად აძლევენ ისეთ დავალებებს, რომლებიც მათთვის ხანდახან სასაცილოც კი არის თავისი სიმარტივის გამო და ამიტომაც საერთოდ არ აინტერესებთ ეს მასალა; ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, ხშირად ნიჭიერთა სწავლების პროგრამებში ჩართულია ძალიან აბსტრაქტული, ძალიან თეორიული და არაპრაქტიკული მასალა, რომელიც მეორე უკიდურესობაა და ასევე არ აძლიერებს ნიჭიერ მოსწავლეში მოტივაციას.
- სხვა მიზეზი, რომელსაც ტორენსი ასახელებს ეს არის ის, რომ სკოლებში არ ხდება მოსწავლეთა ნიჭის სტიმულირება ანუ არ ეძლევათ მათ უფლება გამოიყენონ თავიანთი უნიკალური უნარები სწავლების პროცესში.

სკოლის ასეთმა ნაკლოვანმა მხარეებმა სავსებით შეიძლება გამოიწვიოს მიღწევის მოტივაციის ჩაქრობა იმ მოსწავლეებში, რომლებსაც შეუძლიათ მიაღწიონ ბრწყინვალე წარმატებებს.

რაც შეეხება ნიჭიერ ბავშვთა სასწავლო პროგრამებს, დასავლური ქვეყნების პრაქტიკაში, ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: აქსელერაცია (დაჩქარება) და გამდიდრება (გაჯერება). სწავლების ეს ორივე მეთოდი გამოიყენება ჩვეულებრივ სკოლებში და გულისხმობს მოსწავლეთა დაჯგუფებას უნარების მიხედვით ან ცალკეულ კლასებად ან კლასში – ჯგუფებად.

- აქსელერაციის მეთოდით შედგენილი პროგრამები გულისხმობს ჩვეულებრივი, მიმდინარე სასკოლო პროგრამის ჩქარი ტემპებით გავლას, ანუ ნიჭიერ ბავშვებს სთავაზობენ იგივე პროგრამას, რასაც სხვებს, მაგრამ უფრო დიდი მოცულობით. ეს პროგრამები ცდილობენ შეამჭიდროვონ (შეკუმშონ) სასწავლო გეგმა ნიჭიერთათვის გაკვეთილების შემცირების ხარჯზე. ამ პროგრამებს ასევე კომპაქტურ პროგრამებსაც უწოდებენ.
- მეორე მიდგომა ნიჭიერ ბავშვთა სწავლებისა არის ე.წ. გამამდიდრებელი პროგრამები, რომელიც შეიმუშავა რენზულიმ და ასევე უწოდა "მბრუნავი კარები". ამ პროგრამის თანახმად, ნიჭიერ ბავშვთა შერჩევა ხდება სამი ნიშნით: მაღალი აკადემიური მოსწრება, მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი და მაღალი მოტივაცია. ამ სამი მაჩვენებლით ხდება მთელი სკოლიდან 25% მოსწავლეების შერჩევა და ისინი მიიჩნევიან ნიჭიერ ბავშვებად, რომლებსაც ეძლევათ საშუალება ისწავლონ გამამდიდრებელი პროგრამით

ნებისმიერ დროს სთქვან უარი ამ პროგრამაში მონაწილეობაზე (აქედან მომდინარეობს სახელი "მბრუნავი კარები"). მოსწავლეებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან ამ პროგრამაში უზრუნველყოფენ დამატებითი და მათთვის საინტერესო ლიტერატურით, ისინი მონაწილეობას იღებენ სასკოლო პროექტებში, აქვთ უფლება იმუშაონ სკოლის რესურს ცენტრებში და ა.შ.

- კიდევ ერთ მიდგომას ნიჭიერ ბავშვთა სწავლებისას წარმოადგენს ე.წ. დამოუკიდებელი სწავლება, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც იქმნება ერთი კონკრეტული ნიჭიერი მოსწავლისათვის, მისი მოთხოვნებისა და უნარების გათვალისწინებით.

ნიჭიერ ბავშვთა სწავლებისადმი მიდგომის თვალსაზრისით ანსხვავებენ ორი ტიპის სკოლას: "ფორმალურ" და "არაფორმალურ" სკოლას.

- ფორმალური სკოლები ორიენტირებულნი არიან მასწავლებლებზე; ასეთ სკოლებში ავტორიტარული სწავლის სტილია, მასწავლებელი იყენებს ფორმალურ სტილს, რაც იმას გულისხმობს, რომ ასწავლიან მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს (თემებს) ცალ-ცალკე, იყენებენ მოსწავლეებთან ურთიერთობის არა ჯგუფურ, არამედ ინდივიდუალურ სტილს, ზღუდავენ მოსწავლეთა მოძრაობას კლასში და ფართოდ იყენებენ მოტივაციის ისეთ მეთოდს, როგორიცაა ნიშანი.
- არაფორმალურ სკოლაში, პირიქით, სწავლების პროცესში მოსწავლეა ჩართული. მასწავლებლები სწავლების არაფორმალურ მეთოდს მისდევენ და სასწავლო თემებს აერთიანებენ, მოსწავლეებს აძლევენ კლასში მოძრაობის უფლებას, მოსწავლეები თვითონ ირჩევენ სად ან ვისთან ერთად უნდა დასხდნენ. მასწავლებლები კი მოტივაციის ისეთ საშუალებს იყენებენ, როგორიცაა სიამოვნების მიღება სასწავლო პროცესისაგან.

კვლევის მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ არაფორმალური სკოლების მოსწავლეები აჩვენებენ უფრო მაღალ შეფასებას, განსაკუთრებით შემოქმედებით აზროვნებაში, ვიდრე ფორმალური სკოლის მოსწავლეები. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს არაფორმალურ სკოლებში მეტი შესაძლებლობა ეძლევათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

# უნარშეზღუდული ბავშვები

მთელი პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ჩვენი გაგებით, ნორმალური ანუ ჩვეულებრივი ადამიანები, მაგრამ გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც პედაგოგიური, სოციალური და ზოგჯერ სამედიცინო თვალსაზრისითაც ხასიათდებიან, როგორც განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონენი. მათ რიცხვში არიან ის ბავშვებიც, რომლის შესახებაც წინა თავში იყო საუბარი: სწავლაში ნიჭიერი ბავშვები, განსაკუთრებული მოტორული უნარის მქონე ბავშვები, განსაკუთრებული შემოქმედებითი უნარის მქონე ბავშვები და ა.შ. მათ ყოველთვის თან სდევთ იარლიყი – "განსაკუთრებული", მაგრამ არსებობს მეორე კატეგორია განსაკუთრებულობისა, სადაც შედიან ბავშვები, რომლებიც არიან ნაკლებად ნიჭიერნი ან კრეატიულნი, ფიზიკური და მოტორული ნაკლის მქონე, ასევე ემოციური და ადაპტაციის პრობლემების მქონე ბავშვები. როგორც ვხედავთ ტერმინი "განსაკუთრებული" გულისხმობს იმათაც, ვინც ბუნებამ განსაკუთრებულად დააჯილდოვა და იმათაც ვისთვისაც ნაკლებად გულუხვი იყო. განსაკუთრებულობა გამოიხატება ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის სამივე სფეროში – კოგნიტურში, ფიზიკურში და სოციალურ-ემოციურში. თითოეულ სფეროში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს დადებითი და უარყოფითი პოლუსები.

ადამიანებს, რომლებიც უარყოფით პოლუსზე იმყოფებიან მიეკუთვნებიან ისინიც, ვისაც შეენიშნებათ გონებრივი ჩამორჩენა, მრავალმხრივი ფიზიკური დეფექტები (სიბრმავე, სიყრუე, კიდურების დამბლა) და ისინიც, ვისაც ემოციური აშლილობები აქვთ (მაგ. შიზოფრენია).

**ფიზიკური განსაკუთრებულობა.** ფიზიკური განსაკუთრებულობის ერთ პოლუსზე იმყოფებიან ბავშვები, ვისაც განსაკუთრებულად მომატებული შესაძლებლობები აქვთ ამ სფეროში (განსაკუთრებული ათლეტიკური მონაცემები, განსაკუთრებული მოტორული კოორდინაცია, ფიზიკური ძალა, რიტმის გრძნობა და ა.შ.), მეორე პოლუსზე კი არიან ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ ფიზიკური ან სენსორული ნაკლი: ცერებრალური დამბლა, სიბრმავე, სიყრუე, ასეთი ბავშვების სწავლება შეიძლება მოითხოვდეს სპეციფიკურ მეთოდებს, რომლებიც აღემატება ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებლის შესაძლებლობებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული საკორექციო მოწყობილობები (სათვალე, სმენის აპარატი) და სპეციფიკური დამხმარე სასწავლო საშუალებები (მაგ.: წიგნები დიდი შრიფტით და ა.შ.).

**სოციალურ-ემოციური განსაკუთრებულობა.** სოციალურ-ემოციური განსაკუთრებულობის დადებით პოლუსზე იმყოფებიან ბავშვები, რომლებიც კარგად არიან სოციალურად ადაპტირებულნი, კარგად ერგებიან ნებისმიერ სიტუაციას და ჩვეულებრივ ადამიანებზე ნაკლებად რეაგირებენ სტრესებზე თუ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე. ადამიანის ასეთი განსაკუთრებულობა ხშირად შეუმჩნეველიც კი რჩება, თუმცა შეიძლება ზოგჯერ გარშემომყოფთა შურიც კი გამოიწვიოს. საპირისპირო პოლუსზე არიან ბავშვები, რომლებიც გამოირჩევიან შფოთვის მაღალი დონით, ხშირად არიან უბედურები და წარმოადგენენ სიძნელეებს მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და თანატოლებისათვის. მათ უჭირთ კონტაქტის დამყარება თანაკლასელებთან, ახასიათებთ არაადექვატური გრძნობები და ქცევა. ასეთი ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა 70%-ი ძალიან ცუდად სწავლობს. ემოციური აშლილობის უფრო რთული ფორმებ

შემთხვევაში (მაგ.: შიზოფრენია), როგორც წესი, საჭირო ხდება ინსტიტუციური (საავადმყოფო) დახმარება, თუმცა ბავშვები, რომლებსაც აღენიშნებათ ესა თუ ის ემოციური აშლილობები, აგრძელებენ ჩვეულებრივ საშუალო სკოლებში სწავლას.

**ინტელექტუალური განსაკუთრებულობა.** ინტელექტუალური განსაკუთრებულობის დადებით პოლუსზე არიან ნიჭიერი და კრეატიული ბავშვები. უარყოფით პოლუსზე მყოფებისაგან კი შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი: გონებრივად ჩამორჩენილი და სწავლის უნარს მოკლებული ბავშვები.

1. გონებრივი ჩამორჩენილობის (ფსიქიკური განვითარების შეფერხება) ყველაზე აშკარა თავისებურებას სწავლის უნარის დაქვეითება წარმოადგენს, მეორე, ასევე მთავარი თავისებურება კი ქცევის ადაპტაციის პრობლემაა.

ინტელექტუალური ფუნქციონირების შეფერხება, როგორც წესი, განისაზღვრება ერთი ან რამოდენიმე ცნობილი (სტენფორდი-ბინე ან ვექსლერის ტესტი) ინტელექტის (IQ) საკვლევი ტესტით, ხოლო რაც შეეხება ადაპტაციის უნარის დეფექტს, იგი ელინდება შემდეგ მომენტებში: როდესაც ბავშვი ვერ აღწევს ქცევის დამოუკიდებლობის იმ ხარისხს, რომელიც მოეთხოვება მისი ასაკის და გამოცდილების მქონე ბავშვს (მაგ.: 4 წლის ბავშვი ჯერ კიდევ ვერ ლაპარაკობს).

სკოლის ფსიქოლოგები და პედაგოგები, როგორც წესი, გონებრივად ჩამორჩენილობას აფასებენ რეტარდაციის (შეფერხების) დონით და განასხვავებენ შემდეგ ფორმებს:

- მსუბუქი ჩამორჩენა – გონებრივი ჩამორჩენის ამ ფორმის მქონე ბავშვებს შეუძლიათ ადექვატური სოციალური ადაპტაცია და შეუძლიათ პროგრესირება სწავლაში მეექვსე კლასის დონემდე.
- ზომიერი ჩამორჩენა – ამ ფორმით ჩამორჩენილმა ბავშვებმა სწავლაში შეიძლება მიაღწიონ მე-2 კლასის დონეს და მიღებული ცოდნა გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- მძიმე ჩამორჩენა – ამ ფორმით დაავადებული ბავშვები შეიძლება დაეუფლონ მხოლოდ კომუნიკაციურ უნარს და სისტემატიური სწავლების პირობებში დაიცვან ჰიგიენის ელემენტარული ნორმები.
- ღრმა ჩამორჩენა – ასეთი ჩამორჩენის მქონე ბავშვები შეზღუდულნი არიან მოტორულ განვითარებაშიც და საჭიროებენ მუდმივ ფიზიკურ მოვლას, მეთვალყურეობას.

*უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კლასიფიკაციით სარგებლობენ ძირითადად პედაგოგები და განათლების სისტემა, ხოლო გენეტიკოსები და ფსიქიატრები გონებრივი ჩამორჩენის კლასიფიკაციას ახდენენ რეტარდაციის გამომწვევი მიზეზების მიხედვით. იმის გამო, რომ პათოლოგიის გამომწვევი მიზეზები შეიძლება ძალიან ბევრი იყოს, თანამედროვე მედიცინაში, მათ ორ ჯგუფად ყოფენ: ორგანული მიზეზი (ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი, ქრომოსომული აბერაცია, დედის ორსულობის პერიოდში გადატანილი ინფექციებით გამწვეული ინტელექტუალური შეფერხება და სხვა) და ოჯახური მიზეზები (გენეტიკურად მიღებული დეფექტი, არასტიმულირებად გარემოში აღზრდა და გენეტიკურისა და გარემოს ფაქტორების კომბინაცია).*

ჩვეულებრივ საშუალო სკოლებში ძალიან ხშირად შეიძლება შევხვდეთ მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის მქონე მოსწავლეს, მათგან ძალიან ბევრს შესწევს უნარი ისწავლოს დაწყებით კლასებში საშუალო შეფასებით და მათი შესაძლებლობები პროგრესირდეს მეექვსე კლასამდე, რის შედეგადაც მათ იციან წერა-კითხვა, ანგარიში, ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას სხვადასხვა მეცნიერებებში და ამიტომაც მშვენივრად ადაპტირდებიან სოციალურ გარემოში.

2. სწავლის უნარს მოკლებული ბავშვები. გონებრივი ჩამორჩენა, როგორც წესი, ვრცელდება კოგნიტური ფუნქციონირების ყველა სფეროში, მაშინ, როცა სწავლის უუნარობა ვლინდება ფუნქციონირების მხოლოდ რამოდენიმე სფეროში, უმთავრესად კი მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროში, ანუ გვხვდებიან ბავშვები, რომლებსაც რაიმე ფიზიკური ან ემოციური პრობლემები არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც განიცდიან გარკვეულ სიძნელეებს სწავლის პროცესში, მათ არ გააჩნიათ სწავლისათვის საჭირო შესაბამისი უნარები. ასეთი ბავშვების შესაძლებლობებს ხშირად ახასიათებენ შემდეგნაირად: სწავლის დისფუნქცია, ჰიპერაქტიურობა, ცერებრალური დისფუნქცია, თავის ტვინის მსუბუქი დაზიანება, პერცეპტული დეფიციტი, დისლექსია (კითხვის უნარის დეფიციტი) ან უბრალოდ ნელი ტემპით სწავლის უნარი. იმის გამო, რომ ეს ტერმინები არ არის კონკრეტული, შემოღებული იქნა ტერმინი სწავლის უუნარობა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს კონკრეტული საგნის სწავლის დაბალ უნარს (მაგალითად კითხვა ან არითმეტიკა), რომლის დროსაც არ შეიმჩნევა არც გონებრივი და არც ემოციური პრობლემები.

სწავლის უუნარობის შემთხვევაში ათვისების დაბალ უნარს ემატება რომელიმე ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: ხასიათის ხშირი ცვლილება, ჰიპერაქტიურობა და იმპულსურობა, ყურადღების დეფიციტი, მხედველობის დეფიციტი, მოტორული პრობლემები, მეტყველებისა და სმენის პრობლემები, პრობლემები ხანმოკლე მეხსიერებაში. მასწავლებლისათვის ინფორმატიული უნდა იყოს ისიც, რომ ასეთი ბავშვები მოზრდილობაში მიდრეკილნი არიან ნარკოტიკების გამოყენებისაკენ (სწავლის პროცესში გამოწვეული პრობლემები და პრობლემები ადაპტაციაში შეიძლება იყოს ამის მაპროვოცირებელი), ამავე მიზეზების გამო სწავლის უუნარო ბავშვებში მაღალია თვითმკვლელობის რისკი.

სწავლის უუნარობის გამომწვევი მიზეზები თითქმის უცნობია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეჭვია თავის ტვინის დაზიანებაზე ან სხვა ნევროლოგიურ დეფექტებზე. ამის გარდა, სწავლის უუნარობის მიზეზი შეიძლება გახდეს სხვადასხვა ინფექციური დაავადებები, არასრულფასოვანი კვება და ა.შ.

სწავლის უუნარობის კლასიფიკაცია ხდება არა როგორც გონებრივი ჩამორჩენისა – გამომწვევი მიზეზების მიხედვით, არამედ სიმპტომების მიხედვით. გამოყოფენ სწავლის უუნარობის შემდეგ ფორმებს:

- კითხვის უნარის ონტოგენეტური აშლილობა – სწავლისადმი უუნარობის ეს ფორმა გამოიხატება კითხვის უუნარობაში, მას დისლექსიასაც უწოდებენ. ბავშვს, რომელსაც არ აქვს არც სმენის და არც მხედველობის პრობლემები, გააჩნია ნორმალურად განვითარებული ინტელექტი, კითხვისას ვერ ცნობს სიტყვებს და საბოლოო ჯამში ვერ იგებს ტექსტის შინაარსს. პირველადი დისლექსია შეიძლება გამომჟღავნდეს პირველ კლასში, როდესაც ბავშვი იწყებს წერა-კითხვის სწავლას, ხოლო მოგვიანებითი გამოვლენა დისლექსიისა უკვე გამოიხატება სიტყვების წარმოთქმის უუნარობაში ან რამოდენიმე წლით ფერხდება კითხვის უნარის განვითარება.
- არითმეტიკული უნარების ონტოგენეტური აშლილობა – ამ დროს ბავშვებს უჭირთ არითმეტიკული ოპერაციების შესრულება (მიმატება, გამოკლება, გაყოფა, გამრავლება) ან აქვთ პრობლემები თვალსაჩინო ინფორმაციის გადამუშავებისას. უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკისადმი უუნარო ბავშვებს ხშირად თან სდევთ კითხვისადმი უუნარობაც.
- პროცესუალური აშლილობები – ამ დროს შეიმჩნევა ისეთი ფსიქიკური პროცესების დეფიციტი, როგორიცაა აღქმა (ისეთი სიტყვების ერთმანეთში აღრევა, რომლებიც იწერება ან გამოთქმის დაახლოებით ერთნაირად), მეხსიერება (დამახსოვრების პრობლემა და

უკვე ნასწავლი მასალის განზოგადება – გარჩევა) და ყურადღება (ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტიურობა, ფრუსტრაცია). უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ძალიან ძნელი ხდება განარჩიო პროცესუალური აშლილობები კითხვისადმი ან არითმეტიკისადმი უუნარობისაგან.

## ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა

ემოციური განსაკუთრებულობის ეს ფორმა – ყურადღების დეფიციტი ჰიპერაქტიურობასთან ერთად (ADHD) მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლისადმი უუნარობასთან, რადგანაც ერთი დეფიციტის მქონე ბავშვს ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს მეორე და პირიქით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვები არ არიან ნიჭიერები, პირიქით ძალიან ბევრი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრებას თუ გადავხედავთ, მათ ქცევაში აშკარად გამოიკვეთება ამ სინდრომისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, მაგალითად ალბერტ აინშტაინი არ ლაპარაკობდა 4 წლამდე, 9 წლამდე ვერ ისწავლა კითხვა; თომას ედისონი მშობლებმა გამოიყვანეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან, რადგანაც მან პროგრამა ვერ დაძლია; თავის ბიოგრაფიაში იგი წერდა, რომ მას მოუხდა საკუთარი მეთოდის მოგონება კითხვისა და წერის სასწავლად. უინსტონ ჩერჩილს უჭირდა მართლწერა და ერჩივნა სხვას ჩაეწერა მისი გამონათქვამები. აქედან გამომდინარე, ADHD-ს სინდრომით გამოწვეული სიძნელეები სწავლაში, სულაც არ გულისხმობს წარუმატებლობას ბავშვის მომავალში. ეს ყოველივე შეიძლება დაიძლიოს ინდივიდუალური, სწორი მიდგომით.

**ADHD-ის სინდრომის მქონე ბავშვების თავისებურებანი.**

ADHD სინდრომი ვლინდება 7 წლის ასაკამდე, რაც თავის მხრივ ანსხვავებს ამ აღნიშნულ სინდრომს იმ მსგავსი სინდრომებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ სტრესული სიტუაციებისა და სომატური ავადმყოფობების შედეგს.

ალბათ გინახავთ ბავშვი, რომლის ერთ ადგილზე გაჩერება შეუძლებელია; სულ ახლახან თუ ეზოში იყო, ეხლა უკვე სახლშია და სათამაშოს გატეხვაც მოასწრო, დაანგრია ტირილით ყველაფერი, ერთი წუთიც არ გასულა და, თითქოს არაფერი მომხდარა, მშვენიერ ხასიათზეა, ტელევიზორს მიუჯდა, ერთი წუთიც ვერ ჩერდება, სხვებს უშლის ყურებას, აუცილებლად სხვა პროგრამა აინტერესებს. მისი გაჩერება ჭამის დროსაც შეუძლებელია, ყოველი ლუკმის შემდეგ დგება სკამიდან და ფანჯრიდან იყურება. ასეთი ბავშვი რაღაცას გააკეთებს ან იტყვის და მხოლოდ შემდგომ დაფიქრდება, როგორც წესი, ის შემდეგ წუხს თავის საქციელზე და ეს ხშირად ვლინდება მის შემდგომ კიდევ უფრო უარეს ქცევაში. აღნიშნული სინდრომის მქონე ბავშვებს უჭირთ ყურადღების დიდხანს კონცენტრირება, ისინი ვერ ანსხვავებენ მთავარს მეორეხარისხოვანისაგან, ამის გამო მათი ყურადღება შეიძლება ერთდროულად მიიპყროს მაგ.; მასწავლებლის ლაპარაკმა, გვერდით მეგობრების ჩურჩულმა, გარეთ მანქანის ხმაურმა და ა.შ. ასეთი ბავშვი ხშირად იფანტება, მას უჭირს ჩარკვეული საქმის კეთება ან დაწყებულის ბოლომდე მიყვანა, თუმცა მას შეუძლია რაღაც საქმე დიდხანს აკეთოს, როგორც წესი ეს არის მისთვის საინტერესო საქმიანობა (მაგ.: კომპიუტერზე თამაში, ხატვა და ა.შ.), ასეთ სიტუაციაში ის თითქმის მთლიანად ჩუულობა ამ საქმეში და სხვა რამეზე აღარ რეაგირებს. ასე იქცევიან ძირითადად 3-5 წლის ბავშვები. სასკოლო ასაკის დადგომასთან ერთად კი ბავშვი თანდათან მშვიდდება,

დისკუსია და შეიძლება საუკეთესო მოსწავლეც გახდეს, თუმცა ზოგჯერ ბავ კვლავინდებურად იქცევა, ასეთ მოსწავლეს ვერ ანერებენ მერხთან, ის სულ გაქცევა ხმაურიანია. კითხვაზე, რომელიც მასწავლებელს არც კი დაუმთავრებია – პასუხი მ აქვს და, რა თქმა უნდა, ეს პასუხი უმთავრესად არასწორია. აღნიშნული სინდრო ბავშვი სულ წრიალებს მერხზე, ადვილად ეფანტება ყურადღება და თავისი ქცევით ხე უშლის მასწავლებელს, თანაკლასელებს და, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასაკთან ერთად ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლ თავისი ჭარბი ენერგიის მოთოკვას, თუმცა გარკვეული სიძნელეები შეიძლება მთე ცხოვრების მანძილზე გაჰყვეთ. მოზარდობა კრიტიკული პერიოდია მათთვის, ისინი შეიძლ მოექცნენ ქუჩის გავლენის ქვეშ, უკვე მოზრდილ ასაკში კი, ისევე, როგორც სწავლ უუნარო ბავშვები, ავლენენ მიდრეკილებას ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისად ასოციალური ქცევებისადმი.

დადგენილია, რომ ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვები შეადგენენ მოსახლეო 3-5%-ს (ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია), უმეტესად კი გვხვდებიან ბიჭები. აქე გამომდინარე კლასში შესულ მასწავლებელს აუცილებლად დახვდება ერთი ან რამოდე ADHD-ის სინდრომიანი მოსწავლე.

ქართველი ფსიქოლოგი ჯ.კახიანი მასწავლებლებს ურჩევს:

- ასეთი ბავშვი უმჯობესია იჯდეს მასწავლებლის წინ, ფანჯრიდან მოშორე მშვიდი ბავშვის გვერდზე;
- არსად არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე (დერეფანი, ეზო);
- დავალების მიცემისას დარწმუნდით, რომ ბავშვი გისმენთ, ინსტრუქცია უნდა ი მარტივი, გასაგები და მოკლე (შესაძლებელია დავალების დაფიქსირება რვეულში დღიურში);
- სასურველია შენიშვნის რაოდენობა შემცირდეს და წახალისდეს ნებისმიერი კა საქციელი;
- კარგი იქნება, თუ ასეთი ბავშვი ისწავლის მცირერიცხოვან კლასში;
- საჭიროების შემთხვევაში უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გე
- მასწავლებელმა უნდა ითანამშრომლოს მშობლებთან და პირიქით.

## როგორ ამოვიცნოთ განსაკუთრებული მოსწავლე

მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის, სწავლისადმი უუნარობისა და ემოციური აშლილ დიაგნოზი ძალიან იშვიათად უდგინდებათ ბავშვებს სკოლაში წასვლამდე იმ მარ მიზეზის გამო, რომ მშობლებს არ უნდებათ ეჭვი შვილების გარკვეულ სფეროში დეფიც შესახებ.

ჩამოთვლილი განსაკუთრებულობის იდენტიფიკაცია უკვე სკოლაში მიმდინარეო თავდაპირველად განსაკუთრებული ბავშვები იწყებენ სწავლას სკოლებში, როგ ჩვეულებრივი ბავშვები, მაგრამ თანდათან მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მოსწავ აკადემიური მოსწრება არ იძლევა მისი მომდევნო კლასში გადაყვანის საშუალ მასწავლებლის წინ დგება ალტერნატივა ან მაინც გადაიყვანოს მომდევნო კლ მოსწავლე ("სოციალური განვითარება", რომელიც გამოხატავს სკოლის სურვილს გამოყოს რომელიმე ბავშვი თანატოლებისაგან) ან მიმართოს შესაბამის სპეციალ დიაგნოსტიკისათვის.

ექსპერტები სთავაზობენ სკოლის პედაგოგებს მთელ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც დაეხმარება მათ დიაგნოსტიკის პირველ ეტაპზე მიიღონ გადაწყვეტილება – აუცილებელია თუ არა პროფესიონალური გამოკვლევები.

- პირველ ეტაპზე პედაგოგებს ურჩევენ ყურადღებით დააკვირდნენ ბავშვებს, რომლებსაც ისინი განსაკუთრებულ ბავშვებად თვლიან სოციალური პრობლემებისა თუ გონებრივი შესაძლებლობების გამო. როდესაც მასწავლებელი თავისთვის გამოყოფს ასეთ ბავშვებს, შემდგომ უნდა იფიქროს, თუ რითი შეიძლება დაეხმაროს მათ და ამასთანავე გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი თუ მიდგომა მათ სწავლებაში. ძალიან ხშირად აღმოჩნდება, რომ არავითარი პრობლემა არ არის. საკმარისი იყო მხოლოდ მასწავლებელს სტრატეგიის შეცვლა მოსწავლის სასწავლო მოტივაციის გასაუმჯობესებლად.
- მეორე ეტაპზე მასწავლებლებს სთავაზობენ დაუსვან საკუთარ თავს შეკითხვა: მართლაც ასე ნელა ხდება მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის ათვისება და მართლაც ასე არაადეკვატურია მოსწავლის ქცევა (ენის გამოყენების შესაძლებლობა, თანატოლებთან თამაში, დამოუკიდებლობის გამოჩენა), თუ ეს მხოლოდ მასწავლებლის სუბიექტური შეფასებაა?
- მესამე ეტაპზე, მასწავლებელმა კარგად უნდა განასხვაოს ერთმანეთისაგან განსაკუთრებულობა და ის ფაქტი, რომ ხშირად ძალიან საზრიან მოსწავლეებსაც კი, რომელთა მშობლიურ ენასაც არ წარმოადგენს ის ენა, რომელზეც სწავლა უხდებათ, უჭირთ მასალის ათვისება. უყურადღებო მასწავლებელს შეიძლება ასეთი მოსწავლე სწავლისადმი უუნაროდ მოეჩვენოს.
- მეოთხე ეტაპზე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა არა მარტო განარჩიოს განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სხვა მიზეზით გამოწვეული პრობლემის მქონე ბავშვისგან (მაგ.: ეროვნული განსხვავებულობის), არამედ გამოავლინოს მოსწავლისათვის ინდივიდუალური განსხვავებებიც ტემპერამენტის, მოტივაციის, ინტერესებისა და სხვა ფსიქიკური პროცესის მიხედვით. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სიძნელეები მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს არა მარტო რაიმე დეფიციტის არსებობის, არამედ ინდივიდუალური სტილის გამო.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდგომ, როგორც კი გადაწყვეტს მასწავლებელი, რომ მართლაც არსებობს რეალური პრობლემა, აუცილებლად უნდა მოითხოვოს კვალიფიცირებული სპეციალისტის კონსულტაცია და მისი დასკვნა დიაგნოზის შესახებ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბევრი ბავშვი გონებრივი ჩამორჩენის მსუბუქი ფორმით, ემოციური აშლილობისა და სწავლისა უუნარობის დიაგნოზით აგრძელებენ სწავლას ჩვეულებრივ საშუალო სკოლებში, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ არ ესაჭიროებათ სპეციალური ინდივიდუალური მომსახურეობა სასკოლო პროგრამებითა და კვალიფიციური პედაგოგებით.

## საკონტროლო კითხვები

- აღწერეთ ისეთი მასწავლებელი, რომლის სწავლისადმი მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრეატიულობის განვითარებას.
- როგორია ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციონალური განსაკუთრებელობისა ორი პოლუსი?
- ჩამოთვალეთ რა სხვაობაა გონებრივ ჩამორჩენასა და სწავლის უუნარობას შორის.
- აღწერეთ ყურადღების დეფიციტისა (DHD) უმთავრესი სიმპტომები.
- ჰკითხეთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება – რა ნაკლი და რა ღირსება შეიძლება ახასიათებდეს ინტეგრირებულ სწავლებას.

# დანართი

## სახელმძღვანელო მითითებები მასწავლებლებისათვის განსაკუთრებულობის ფორმებისა და ძირითადი სიმპტომების შესახებ

| | | |
|---|---|---|
| **ცერებრალური დამბლა**<br>დიაგნოზს სვამს ექიმი. ქვემოთჩამოთვლილი სიმპტომებიდან შეიძლება ახასიათებდეს ყველა ან მხოლოდ ერთი.<br>• არამყარი სიარულის მანერა<br>• წყვეტილი მოძრაობები<br>• მეტყველების დეფექტი<br>• რიგიდულობა<br>• წონასწორობის პრობლემა<br>• არაკონტროლირებადი მოძრაობები<br>• უნებლიე მიმიკა<br>• კრუნჩხვა | **ეპილეფსია**<br>დიაგნოზი საჭიროებს სამედიცინო გამოკვლევას. ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომია გულყრა. მსუბუქი ფორმის გულყრა მიმდინარეობს მხოლოდ ყურადღების მომენტალური დაკარგვით, რომელიც გრძელდება რამოდენიმე წამი და თან ახლავს წამწამების უნებლიე მოძრაობა. სხეულის გაშეშება. დიდ გულყრას (პაროქსიზმები, კრუნჩხვები) თან ახლავს უეცარი გაშეშება, დაცემა, ხოხვა და ა.შ. გულყრა გრძელდება რამოდენიმე წამი და იშვიათად 5 წთ. თუ გაგრძელდა უფრო დიდხანს, მოითხოვს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. | **სმენის პრობლემები**<br>• ხშირი ტკივილი ყურებში<br>• უყურადღებობა<br>• პრობლემები მეტყველებაში<br>• რეაგირების არ მოხდენა ხმაურზე<br>• ხმამაღალი ლაპარაკი<br>• გამონადენი ყურებში<br>**მხედველობითი პრობლემები**<br>მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, თუ მოსწავლე<br>• ისრესს თვალებს<br>• იტკიებს თვალებს<br>• წითელი აქვს თვალები<br>• ცუდად ხედავს დაფას<br>• ახლოს მიაქვს თვალებთან წიგნი და რვეული<br>• ჭუტავს თვალებს<br>• რეაქცია აქვს სინათლეზე |
| **შიზოფრენია**<br>საჭიროებს ფსიქიატრიულ დიაგნოსტიკას. ხასიათდება ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი სიმპტომით:<br>• განმარტოების სურვილი<br>• სხეულის დაზიანების სურვილი<br>• არა საკმარისი ვერბალური კომუნიკაცია<br>• რაიმე მოქმედების მრავალჯერ გამეორება<br>• ტკივილის შეგრძნების არქონა<br>• ტკივილის შეგრძნების გაძლიერება<br>• გაუწონასწორებლობა<br>• საკუთარ თავში ჩაკეტვა<br>• ცვლილებების მიმართ მტკივნეული დამოკიდებულება | **ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა(ADHD)**<br>უმეტესად შეიმჩნევა ბიჭებში. ქვემოთჩამოთვლილი სიმპტომები უნდა ახასიათებდეს მინიმუმ 6 თვე და 7 წლის ასაკამდე. ეს სიმპტომები უნდა იყოს გამოხატული უფრო მწვავედ და ხშირად ვიდრე იმავე ასაკის სხვა ბავშვებს ახასიათებთ, კერძოდ:<br>• წრიალებენ ერთ ადგილზე<br>• არიან მოუსვენრები<br>• არიან მოუთმენელნი(ვერ იცდიან სანამ მათი რიგი მოვა)<br>• დაუფიქრებლად და სწრაფად იძლევიან პასუხს.<br>• უჭირთ მიყვენენ ინსტრუქციას<br>• ახასიათებთ ერთი საქმიანობიდან მეორეზე სწრაფი გადასვლა<br>• არ აცდიან სხვას ლაპარაკს<br>• არიან ცუდი მსმენელნი<br>• ხშირად ეკარგებათ ნივთები<br>• ახასიათებთ ბევრი ლაპარაკი | **პიროვნების და ქცევის დარღვევები**<br>მოითხოვს ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს. პათოლოგიად უნდა ჩაითვალოს ქვემოთჩამოთვლილი ქცევების ხშირი და უკიდურესი გამოვლინებები:<br>• მომატებული აგრესიულობა<br>• სოციალური იზოლაცია<br>• სიმორცხვე ტყუილებისადმი მიდრეკილება<br>• ქურდობა<br>• გადიზიანებადობა<br>• უკიდურესად ნეგატიური შეხედულებები საკუთარ თავზე |
| **გონებრივი ჩამორჩენის ზომიერი და მძიმე ფორმები**<br>საჭიროებს ფსიქოლოგის მიერ ინტელექტის შესასწავლი ტესტების ჩატარებას და დასკვნას. ყველაზე აშკარა სიმპტომს წარმოადგენს სწავლის უუნარობა და ადაპტაციის უნარის დეფიციტი.<br>• ონტოგენეტური ჩამორჩენა ხოხვის, სიარულის და მეტყველების დაწყებისას<br>• ისეთი ონტოგენეტური უნარჩვევებისადმი უუნარობა როგორიცაა ჭამა, ჩაცმა...<br>• დაქვეითებული ვერბალური უნარები | **მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენა**<br>როგორც წესი ვლინდება სასკოლო ასაკის დადგომასთან ერთად. ახასიათებთ შემდეგი სიმპტომები:<br>• სიძნელეები სწავლისას<br>• სიძნელეები ხანმოკლე მეხსიერებაში<br>• მოტორული პრობლემები<br>• ყურადღების მცირე მოცულობა | **სწავლის უუნარობა**<br>ეს ფორმა ვლინდება შემდეგ სიმპტომებში:<br>• ჩამორჩენა სწავლაში<br>• სპეციფიკური სიძნელეები წერა-კითხვის ან არითმეტიკის შესწავლისას<br>• პრობლემები მეტყველებაში<br>• უბრალო სიტყვების ვერ ცნობა<br>• ასოების ან ციფრების არევა ერთმანეთში<br>• უყურადღებობა.იმპულსური ხასიათის ცვლილებები<br>• ცუდი მხედველობითი მეხსიერება |

# შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. ქვემოთ მოცემულ განსაკუთრებულობის ფორმებს ისრებით დაუკავშირეთ მათთვის დამახასიათებელი სიმპტომები:

| | |
|---|---|
| ა) ADHD სინდრომი | დისლექსია |
| ბ) მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენა | მოუსვენრობა |
| გ) სოციალურ-ემოციური განსაკუთრებულობა | არაადექვატური გრძნობები |
| დ) სწავლის უუნარობა | ცუდი მხედველობითი მეხსიერება |

2. დისლექსია წარმოადგენს: (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) პროცესუალურ აშლილობას
ბ) კითხვის უნარის ონტოგენეტურ აშლილობას
გ) არითმეტიკული უნარების აშლილობას
დ) შიზოფრენიას

3. ფიზიკურ განსაკუთრებულობას წარმოადგენს: (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) დისლექსია;
ბ) აგრაფია;
გ) ცერებრალური დამბლა;
დ) ეპილეფსია.

4. ADHD სინდრომისათვის დამახასიათებელია: (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) სირთულე ყურადღების კონცენტრაციაში
ბ) სახეების ვერ ცნობა;
გ) ნეგატიური შეხედულება საკუთარ თავზე;
დ) საკუთარ თავში ჩაკეტვა.

5. ნიჭიერი ბავშვებისათვის დამახასიათებელია: (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) უყურადღებობა, იმპულსურობა;
ბ) ყურადღების მცირე მოცულობა;
გ) მდიდარი ფანტაზია;
დ) სოციალური იზოლაცია.

## პერსონალური დღიური

- ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს არის ______________________________

- განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ______________________________

- კითხვები, რომელიც გამიჩნდა ______________________________

გაიზიარე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი VIII

## ბიჰევიორიზმი და სოციალური დასწავლის თეორია

[illegible]

დ. უზნაძე

მასწავლებელმა თვალი შეავლო მეცხრე კლასის მოსწავლეს, რომელიც საკლასო ოთახში სიგარეტს ეწეოდა. [illegible] გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მასთან მისულიყო. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

| | |
|---|---|
| ***მასწავლებელი -*** | "ზედი გწყალობს, ნემს გარდა ვერავინ შეგნიშნა." |
| ***მოსწავლე (დაბნეული) -*** | "ვერ გავიგე, რას გულისხმობთ ნათქვამში?" |
| ***მასწავლებელი -*** | "ვინმეს კიდევ რომ დაენახე, სკოლის დირექტორს, ან მეხანძრეს, აუცილებლად მკაცრად დაისჯებოდი. როგორ ფიქრობ, რატომ შემოვიღეთ ასეთი მკაცრი ზომები სიგარეტის მოწევის წინააღმდეგ? ჯანმრთელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ხანძარი რომ გაგეჩინა?" |
| ***მოსწავლე -*** | "ვიცი მასწავლებელო, ეს ნევვაა და მეტი არაფერი, შეგნებულად არ გამიკეთებია." |
| ***მასწავლებელი -*** | "კარგი, კარგი. მოდი ასე გავაკეთოთ, მომავალ კვირას რამდენიმე უფროსკლასელი მწვრთნელებთან ერთად იმუშავებს უმცროსკლასელებთან ფეხბურთში. თუ შენ შეგწევს უნარი არ მოსწიო სიგარეტი, მე სიამოვნებით ჩაგრთავ ამ ჯგუფში. მწვრთნელის ასისტენტი იქნები." |
| ***მოსწავლე -*** | "რასაკვირველია, სიამოვნებით ვიმუშავებ, დარწმუნებული ვარ არ მოვწევ. ძალიან მიყვარს ფეხბურთიც და ბავშვებთან მუშაობაც." |

***თემის შესწავლის შემდეგ გაანალიზეთ შემთხვევა, განიხილეთ მასწავლებლის ქცევა ბიჰევიორიზმის პოზიციიდან.***

სწავლა ადამიანის ქცევის ერთ-ერთ ურთულეს ფორმას წარმოადგენს. მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობდნენ და იკვლევდნენ მას. კვლევები დღესაც გრძელდება. ამის შედეგია ის, რომ არსებობს მრავალი ალტერნატიული თეორია, რომელიც ამ პროცესის ახსნას ცდილობს. სწავლების რომელი სტრატეგია დაგვეხმარება ყველაზე [illegible] მიზნის მისაღწევად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება დასწავლის ბიჰევიორისტული თეორია, სწავლებისადმი კოგნიტური და ჰუმანისტური მიდგომები. თანამედროვე ეტაპზე ამ სამ თეორიას განიხილავენ როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს განათლებაზე.

# ძირითადი საკითხები

- ბიჰევიორიზმი – მეცნიერება ქცევის შესახებ;
- უოტსონისა და თორნდაიკის შეხედულებები;
- ი. პავლოვის კლასიკური განპირობება;
- სკინერის ოპერანტული განპირობება;
- ბიჰევიორიზმის შედეგები პედაგოგიურ პრაქტიკაში;
- ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორია და მისი პედაგოგიური ასპექტები.

ბიჰევიორიზმი, ანუ მოძღვრება ადამიანის ქცევის შესახებ, ეს არის მიმართულება ფსიქოლოგიაში, რომელიც ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში. მისი ფუძემდებელია უოტსონი, მასვე ეკუთვნის ტერმინიც (behavior – ინგლ. ქცევა) . ბიჰევიორიზმის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა თორნდაიკის და პავლოვის ექსპერიმენტებმა. ბიჰევიორისტები თვლიან, რომ ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი უნდა იყოს ადამიანის ქცევა და არა მისი შინაგანი სამყარო, რადგანაც მხოლოდ ქცევის უშუალო დაკვირვებაა შესაძლებელი და გააჩნია ისეთი პარამეტრები, რომელთა გაზომვა და რომელზე ზემოქმედებაც ხერხდება.

ქცევა ეს არის ორგანიზმის რეაქცია გარე ზემოქმედებაზე – სტიმულზე. ამიტომ ამ თეორიას "სტიმულ-რეაქციის თეორიასაც" უწოდებენ (S → R).

ბიჰევიორიზმისათვის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს დასწავლის პრობლემა, რომელიც მოიცავს ქცევის ფორმათა ფართო სპექტრს: ცოდნა, უნარ-ჩვევები, მორალური პრინციპები, მანერები და სხვა.

დასწავლის ბიჰევიორალური თეორიის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქცევა, აზროვნება, გრძნობები ყალიბდება გარემოს ზემოქმედებით.

იგივე შეხედულებისაა ჯ. უოტსონი, მისი აზრით ადამიანები იბადებიან შეზღუდული რაოდენობის რეფლექსებით. ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასწავლას. ადამიანის თავისებურებანი მთლიანად ცხოვრებისეული გამოცდილებით განისაზღვრება და შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრული ფაქტორები არაფერ შუაშია. სწორედ ამ თვალსაზრისის გამო, უოტსონის თეორიას უწოდებენ ინვაირონმენტალიზმს (environment – ინგლ. – გარემო).

რაც შეეხება თორნდაიკს, მისი დასწავლის თეორია ცნობილია "ცდის და შეცდომის მეთოდის" სახელწოდებით. დასწავლის ეს ტიპი რადიკალურად უპირისპირდება ე.წ. ინსაიტს, რომელიც პრობლემის უეცარ წვდომას, უეცარ გადაწყვეტას გულისხმობს. ადამიანები, ამტკიცებდა თორნდაიკი, ზუსტად ისევე სწავლობენ, როგორც ცხოველები. ორივენი უამრავ ქცევას (მცდელობას) ახორციელებენ, ვიდრე დაბრკოლებას გადალახავენ და პრობლემას გადაჭრიან. წარმატების შემთხვევაში მათ თანდათან ნაკლები ძალისხმევა და შესაბამისად ნაკლები მცდელობა სჭირდებათ, ბოლოს და ბოლოს სწავლობენ სწორ ქცევას.

თორნდაიკმა ჩამოაყალიბა დასწავლის რამდენიმე კანონი, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ეფექტისა და მზაობის კანონი.

- **ეფექტის კანონი** გვეუბნება, რომ სტიმულებზე რეაქციის (ქცევის) შედეგებს (ეფექტებს) მივყავართ დასწავლამდე (განმტკიცებამდე) ან არ დასწავლამდე. დასწავლა მაშინ ხორციელდება, თუ ქცევა დადებითი შედეგით მთავრდება (მაგ.: აკმაყოფილებს

წესის რაიმე მოთხოვნილებას). ხოლო როცა მოთხოვნილება არ კმაყოფილდება, ამინ დასწავლა არ ხდება.

- **მზაობის კანონი** გვიხსნის, თუ რატომ არის დასწავლა ზოგ შემთხვევაში ადვილი და ზოგ შემთხვევაში ძნელი. დასწავლის ხარისხი დამოკიდებულია მოსწავლის მზაობაზე. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსწავლის მომწიფება, განვითარების დონე, წინა გამოცდილება, მოტივაცია და სხვა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადვილად მოხდება სვლის დასწავლა თუ ძნელად.

## ი. პავლოვის კლასიკური განპირობება

პავლოვის, ცნობილი რუსი ფიზიოლოგის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა კლასიკური განპირობების ცნებას. ფიზიოლოგიის დარგში შესრულებული ბრწყინვალე ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების გამო, მას 1904 წ. ნობელის პრემია მიენიჭა. პავლოვმა ძაღლებზე ჩატარებული კვლევის შედეგად შენიშნა, რომ თუ საკვების მიცემამდე დარეკავდნენ ზარს, შემდეგ მისცემდნენ საკვებს და ამას გაიმეორებდნენ რამდენჯერმე, სულ მალე, მხოლოდ ზარის დარეკვა (საჭმლის მიცემის გარეშე) იწვევდა ძაღლში ნერწყვის გამოყოფას. ის, რომ საჭმლის პირში მოხვედრის შემდეგ ნერწყვი გამოიყოფა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ ზარის ხმაზე ნერწყვის გამოყოფა პრინციპულად ახალ ახსნას მოითხოვდა. გარე პირობების ზეგავლენით ადამიანის დიდი ტვინის ქერქში იქმნება ახალი დროებითი კავშირები როგორც უპირობო, ისე უკვე შექმნილ პირობით რეფლექსებთან. ამ გარემოებაში ხედავს ი. პავლოვი ცოდნისა და საზოგადოდ გამოცდილების შექმნის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს.

განპირობების ამ ტიპს ეწოდა "პირობით-რეფლექსური დასწავლა", სქემატურად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

უპირობო სტიმული → უპირობო რეაქცია
**საკვები** → **ნერწყვის გამოყოფა**

↕

პირობითი სტიმული → პირობითი რეაქცია
**ზარი** → **ნერწყვის გამოყოფა**

კლასიკური განპირობების პავლოვისეულ ვერსიას ბიჰევიორისტები რესპონდენტურ ქცევას უწოდებენ (respond ინგლ. – რეაგირება, პასუხი). ამ მოდელში მნიშვნელოვანია სტიმული, რომელიც რეაქციამდე ჩნდება და მას იწვევს, განაპირობებს.

## სკინერის ოპერანტული განპირობება

სკინერი XXს-ის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურაა. ის არის ე.წ. ოპერანტული განპირობების თეორიის ავტორი. სკინერი მიიჩნევდა, რომ ადამიანისა და ცხოველის ქცევა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კლასიკური (პავლოვისეული) განპირობებისა და განმტკიცების ტერმინით. იგი შეიძლება აიხსნას ოპერანტული განპირობებით. ეს უკანასკნელი კი არის დასწავლის ტიპი, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ქცევა კონტროლდება და განმტკიცდება მისი შედეგებით, ანუ ქცევას თან სდევს შედეგი, რომელიც თავის მხრივ ცვლის ორგანიზმის მომავალ ქცევას. მაგალითად, გამოცხადდა გამოცდა ფიზიკაში, მოსწავლე ბეჯითად სწავლობს იღებს ნიშანს "ფრიადი", ეს შედეგი იწვევს მოსწავლეში დიდ კმაყოფილებას. შესაძლებლობა იმისა, რომ იგი სწავლას კვლავ ინტენსიურად განაგრძობს დიდია. ე.ი. შედეგი განაპირობებს იმას, რომ ქცევა განმტკიცდება მოხდება ოპერანტული განმტკიცება. ი. პავლოვის კლასიკური განპირობება გულისხმობს რესპონდენტურ ანუ საპასუხო რეაქციებს სხვადასხვა სტიმულებზე, რომლებიც ავტომატურად ჩნდება ორგანიზმში. მაგ.: შიმშილი, შიში, ნერწყვის გამოყოფა და ა.შ. ოპერანტული რეაქციები არ გამოიწვევიან ავტომატურად, ისინი წინასწარგანზრახული გაცნობიერებული და ნებისმიერია.

ზოგადად განმტკიცებას შემდეგი ამოცანების გადაჭრა ევალება:

- ახალი ქცევის ფორმირება;
- უკვე არსებული სასურველი ქცევის განმტკიცება;
- უარყოფითი ქცევის შესუსტება;
- სასურველი ქცევის ბუნებრივ პირობებში გამოვლენის ხელშეწყობა

სკინერის აზრით, ადამიანის ქცევა ძირითადად ავერსიული (არასასიამოვნო, მტკივნეული) სტიმულებით კონტროლდება – დასჯით და უარყოფითი განმტკიცებით. დასჯის სავარაუდო მიზანი ასეთია – ვაიძულოთ ადამიანი არ მოიქცეს ამგვარად. დასჯა შიძლება ორი ხერხით განხორციელდეს. პოზიტიური და ნეგატიური დასჯა. პოზიტიური დასჯის მაგალითია: ბავშვი იქცევა ცუდად, რის გამოც მოსცხებენ კიდეც, ან თუ მოსწავლე "შპარგალკიდან" იწერს, კლასიდან აგდებენ, თუ ადამიანი იქურდებს, ციხეში სვამენ და ა.შ. ნეგატიური დასჯა კი გულისხმობს ასეთ პრინციპს: მაგ. ბავშვი მოიქცევა ცუდად და მას უკრძალავენ ტელევიზორის ყურებას.

სკინერი ასევე გამოყოფს ორი სახის განმტკიცებას: ნეგატიურს და პოზიტიურს. ყველა ზემოთაღნიშნული ტიპები წარმოდგენილია ცხრილში

| | პოზიტიური | ნეგატიური |
|---|---|---|
| განმტკიცება | დადებითი სტიმულების წარდგენა (დაჯილდოება) | მტკივნეული (ავერსიული) სტიმულების აშორება (შემსუბუქება) |
| დასჯა | ავერსიული სტიმულის წარდგენა (დასჯა) | დადებითი სტიმულების აშორება (ჯარიმა) |

# ოპერანტული დასწავლის პრინციპების პედაგოგიური მნიშვნელობა

რაც არ უნდა მოინდომოს სკოლამ და მასწავლებელმა, შეუძლებელია მოსწავლეს ყველაფერი ასწავლოს. ამიტომ სკოლის მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეებმა შესძლონ ახალ სიტუაციაში ადექვატური (სწორი) რეაგირება. ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლეები, რომლებიც სასკოლო სიტუაციაში წარმატებით ართმევენ თავს პრობლემებს, ახალ სიტუაციაში უმწეონი აღმოჩნდებიან. როდესაც ახალ სიტუაციაში ადამიანი ახერხებს ადექვატური ქცევის განხორციელებას ლაპარაკობენ გენერალიზაციის შესახებ.

ოპერანტული პრინციპები ძალიან მნიშვნელოვანია სწავლებისათვის. სასკოლო ოთახი ერთგვარად მოგვაგონებს კიდეც სკინერის ექსპერიმენტის სიტუაციებს: მრავალი პრობლემა, მრავალი სახის ქცევა, სხვადასხვაგვარი მასწავლებლები, მათ მიერ გამოყენებული სწავლებისა და აღზრდის მეთოდები. ყველა მათგანის დანიშნულება ერთ რამეში მდგომარეობს – მოსწავლემ ისწავლოს.

სკინერის თეორია პროგრამირებულ სწავლებას დაედო საფუძვლად, სადაც თითოეული ნაბიჯი ზუსტად არის გათვლილი და ოპერანტულ განმტკიცებას ეფუძნება. ამ თეორიის კიდევ ერთი დამსახურებაა, რომ პოზიტიური კონტროლის მკაცრი რეკომენდაციები დაინერგა, ავერსიულის სანაცვლოდ. ცნობილ სტატიაში "რატომ განიცდიან მასწავლებლები მარცხს" სკინერი წერს, რომ მასწავლებელთა წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ავერსიული კონტროლია, – მათ სჯიდნენ თავიანთი მასწავლებლები და ისინიც სჯიან მოსწავლეებს.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ბიჰევიორიზმი ყველაზე წარმატებული სწავლების სტრატეგიაა და მასწავლებელთა სათანადო მომზადების შემთხვევაში, სწავლება მიმდინარეობს იოლად და ეფექტურად.

აღნიშნული მეთოდი დიდი წარმატებით გამოიყენება განსაკუთრებული ბავშვების სწავლებაშიც (გონებრივი ჩამორჩენა, აუტიზმი და სხვა).

ბიჰევიორისტული სწავლების თეორიაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ მნიშვნელოვან საკითხზე:

- მასწავლებელი ზედმეტად აკონტროლებს პროცესს: საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სასწავლო მასალას, წარმართავს სწავლების პროცესს, განსაზღვრავს გაკვეთილის ტემპს, ამოწმებს და ასწორებს მოსწავლეთა საპასუხო რეაქციებს. ანუ მასწავლებელი არის გადამცემიც, მაკონტროლებელიც და შემფასებელიც. ასეთი სწავლება მასწავლებელს უადვილებს ახსნასა და გაკვეთილის წარმართვის პროცესს. თავისთავად ეს პროცესი არის ლოგიკური, გასაგები, სწორხაზოვანი და პროგრესულიც, რადგან ხდება საჭირო უნარ-ჩვევების გადაცემა მოსწავლეებისათვის. სწავლების ეს ფორმა განსაკუთრებით ნაყოფიერია ისეთი მოსწავლეებისთვის, რომლებიც ნაკლებად გამოირჩევიან შემოქმედებითი აზროვნების უნარით და უფრო მეტად მიწოდებული მასალის დამახსოვრებისკენ აქვთ მიდრეკილება.

- მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხდება მოსწავლეების მიერ მიწოდებული მასალის ათვისება. თუ ამ კუთხით მივუდგებით ბიჰევიორისტულ სწავლებას, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც არ უნდა ამომწურავად ვასწავლოთ მოსწავლეს საგანი, მან თუ ის ვერ დააკავშირა ყოველდღიურ გამოცდილებასთან, საგნის შესწავლის ხარისხი მცირდება. ასეთ დროს ქვეითდება მოსწავლის მოტივაცია და აკადემიური მოსწრებაც, რადგან მასალას, რომელსაც მას ვთავაზობთ, არ გააჩნია მისთვის მნიშვნელობა და ამიტომაც არ არის ბოლომდე გასაგები. ასეთ პირობებში სწავლას გააჩნია ზედაპირული და ფრაგმენტული ხასიათი. პრობლემა მეტად მწვავე ხასიათს იღებს, რადგანაც მასწავლებლისთვის, რომელიც მთელ კლასს ასწავლის ძნელია მოარგოს გაკვეთილი ცალკეულ მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს.

დიდია ბიჰევიორიზმის გავლენა სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე, რომლებიც ორიენტირებულია მასწავლებელზე და არა ბავშვზე. ბიჰევიორიზმი არის მოდელი,

რომელსაც გააჩნია თავისი ღირებულება, თუ იგი მიზანმიმართულად და სწორად იქნება გამოყენებული. ის დაკავშირებულია მკაცრ დისციპლინასა და ინფორმაციის გადაცემასთან. აშკარაა, რომ მას გააჩნია თავისი სისუსტეები. მაგალითად: საკმარისი არ არის მასწავლებელმა გადასცეს მოსწავლეს სასწავლო მასალა და შეასრულებინოს შესაბამისი სავარჯიშო. ასევე საჭიროა, რომ მასწავლებელმა უზრუნველყოს მოსწავლესთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებელ სწავლას.

სასწავლო მეთოდები, რომლებიც ბიჰევიორისტულ თეორიებს ეყრდნობა უნდა გამოიყენებოდეს გარკვეული მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ცალკეულ საგნებში ცოდნის დაგროვებისათვის.

ბევრი ავტორი სწავლების პროცესში ბიჰევიორისტული მიდგომის გამოყენების წინააღმდეგია. რასაკვირველია, ბიჰევიორიზმი პანაცეა არ არის და ყველა პედაგოგიურ დაავადებას ვერ უმკურნალებს. მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ბიჰევიორიზმი მძლავრ მიდგომას წარმოადგენს, უნდა ვაღიაროთ მისი დიდი პოტენციალი.

ცხრილში №9 მოცემულია ოპერანტული განპირობების სასკოლო მაგალითები: პირველი ორი შემთხვევა (პოზიტიური და უარყოფითი განმარტება) იწვევს რეაქციის გაძლიერებას, მესამე და მეოთხე კი (პოზიტიური და ნეგატიური დასჯა) იწვევს რეაქციის შესუსტებას.

**ცხრილი № 9.** ოპერანტული განპირობების ძირითადი ცნებები პედაგოგიურ პრაქტიკაში



# სოციალური დასწავლის თეორია

.. ბანდურამ გააფართოვა დასწავლის თეორიის დიაპაზონი და შექმნა სოციალური დასწავლის თეორია. იგი ფართოდ იყენებს ოპერანტული განპირობების ცნებას თავის თეორიაში და ბიჰევიორიზმს აკავშირებს კოგნიტურ მიდგომასთან, ამიტომაც მის თეორიას სოციალურ-კოგნიტურ თეორიას უწოდებენ. ეს თეორია ცდილობს სოციალური დასწავლა ახსნას მიბაძვით, იყენებს ოპერანტული განპირობების პრინციპებს და ქცევის მართვაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს აზროვნებას.

ადამიანები სწავლობენ არა მარტო საკუთარი მოქმედების შედეგებზე დაყრდნობით (ეს არის ოპერანტული განპირობება), არამედ ისინი აკვირდებიან სხვათა ქცევას და ბაძავენ (ან არ ბაძავენ) მათ.

ცნობილია ა. ბანდურას ექსპერიმენტების სერია. ამ ექსპერიმენტებში ბავშვები უყურებენ ფილმებს, სადაც დემონსტრირებულია სხვადასხვა დონის აგრესია. ერთი ჯგუფი უყურებდა ფილმს, რომელშიც აგრესიული ქცევა მიღებული და მოწონებული იყო, მეორე ფილმში აგრესია ისჯებოდა., პირველი ჯგუფის ბავშვები თამაშის დროს უფრო აგრესიულები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც აგრესიის დასჯას უყურა. ბანდურა ასკვნის, რომ აგრესიული ფილმების ყურებით, ბავშვები სწავლობენ აგრესიის გამოხატვას. ბანდურას ეს შეხედულება ეწინააღმდეგება ზ. ფროიდის აზრს აღნიშნულ საკითხზე, რომელიც თვლიდა, რომ აგრესიის ყურება ათავისუფლებს ადამიანს აგრესიისაგან ("კათარზისი").

რა ფაქტორები განსაზღვრავენ სწავლას? სკინერი ამტკიცებდა, რომ დასწავლისთვის აუცილებელია გარე ფაქტორები (გარე განმამტკიცებლები), ბანდურა მას ეთანხმება, მაგრამ როგორც ერთადერთს გარე ფაქტორებს არ აღიარებს. ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვებით. ჩვენი ქცევები რეგულირდება უმეტესად მოსალოდნელი შედეგებით. ჩვენი ფსიქიკა ამის შესაძლებლობას გვაძლევს. მაგ.: ხანძრის გაჩენამდე სახლს ვაზღვევთ — მიუთითებს ის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბანდურას მიხედვით, დასწავლა ხორციელდება მიბაძვის გზით. მასში ჩართულია ოთხი განსხვავებული პროცესი:

- ყურადღების პროცესები
- დამახსოვრების პროცესები
- აღდგენის პროცესები
- მოტივაციური პროცესები

შეუძლებელია მოდელზე დაკვირვებით რაიმეს შესწავლა, თუ ყურადღება არ მიექცა მნიშვნელოვან დეტალებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა იმის დამახსოვრება, რასაც ვაკვირდებით. დამახსოვრება, მასალის აზრობრივი ორგანიზაცია და ქცევის გამეორება საუკეთესო პირობებს ქმნის დასწავლისათვის.

იმისთვის, რომ ქცევა წარმატებით განხორციელდეს საჭიროა ფიზიკური შესაძლებლობები - მოტორული ქცევის განხორციელება. მოტორული ქცევები ხშირად წარმატებით ვერ სრულდება, ამიტომაც მოითხოვენ გავარჯიშებას, დაზუსტებას. იქნება თუ არა ქცევის მოდელი რეალიზებული, დამოკიდებულია მოტივაციაზე. შეიძლება ბევრი რამ იცოდე, მაგრამ არ აკეთებდე. ამიტომ მოტივაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასწავლის პროცესში.

ტერმინი "მოდელი" თანაბრად აღნიშნავს როგორც რეალურ ადამიანს (ვის ქცევასაც ვაკვირდებით დასწავლის მიზნით), ასევე სიმბოლურს (ფილმის, ნაწარმოების გმირები და სხვა). ეს სიმბოლური მოდელები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რეალური.

მოსწავლისათვის ხშირად სიმბოლური მოდელები ხდებიან მისაბაძნი, ასევე მისთვის მოდელი შეიძლება იყოს მეგობარი, და ან ძმა, მასწავლებელი და სხვა ადამიანები, რომლებიც რეალურად მის გვერდით ცხოვრობენ. ეტალონური მოდელი ეს არის მიბაძვისთვის ეტალონი. იგი შეიძლება იყოს ცნობილი მსახიობი ან ვინმე რეალური პიროვნება.

სოციალურ-კოგნიტური თეორიის ცოდნა დიდ დახმარებას უწევს პედაგოგს. თეორიის გააზრებული გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს მოსწავლის ქცევა, აკონტროლოს ის და განსაზღვროს ეფექტური ხერხები საჭირო ქცევის დაუფლებისათვის.

ბოლო პერიოდში ბანდურა კიდევ უფრო დაუახლოვდა კოგნიტურ მიდგომას და ეხმარება მასწავლებელს საკუთარი თვითეფექტურობის განსაზღვრაში. როდესაც ადამიანები თავის შესაძლებლობებზე ფიქრობენ, ეს მათი განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობას ქმნის–აღნიშნავს ის.

## საკონტროლო შეკითხვები

- რა განსხვავებაა რესპოდენტურ და ოპერანტულ განპირობებას შორის?
- რა განსხვავებაა ნეგატიურ განმტკიცებასა და დასჯას შორის?
- რა ღირსება და ნაკლოვანება გააჩნია ბიჰევიორიზმს?
- მოიყვანეთ მაგალითი, თუ როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მიბაძვის ეფექტი.

*დავალება:* დასჯის რა მეთოდებს იყენებდნენ თქვენი მასწავლებლები სკოლაში? გაიხსენეთ როგორც ეფექტური ისე არაეფექტური დასჯის შემთხვევები. როგორ შეაფასებდით მათ ბიჰევიორიზმის პოზიციიდან? (შეასრულეთ სამუშაო წერითი ფორმით, მოცულობას მნიშვნელობა არა აქვს. გამოიყენეთ შემდეგი ცნებები: პოზიტიური დასჯა-წახალისება, ნეგატიური დასჯა-წახალისება.)

# პერსონალური დღიური

- ის რაც რეალურად ვისწავლე დღეს არის [illegible] ______
- განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ______ [illegible] ______
- კითხვები, რომლებიც გამიჩნდა ______

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება, ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი iX

## აზროვნება და მეხსიერება – კოგნიტური სტრატეგიები

სწავლა, რასაკვირველია,
მარტო მეხსიერების პრობლემას
არ წარმოადგენს, იგი გაცილებით
რთული პრობლემაა.

დ. უზნაძე

მაია პირველი კლასის მასწავლებელია. პირველი წელია, რაც სკოლაში მუშაობა დაიწყო. ერთთვიანი მოსამზადებელი პერიოდის გავლის შემდეგ მოსწავლეებმა კითხვა დაიწყეს. დიდი მონდომების მიუხედავად, ბავშვების უმრავლესობას უჭირს ასოების გამთლიანება და სიტყვების, განსაკუთრებით მრავალასოიანი სიტყვების წაკითხვა. ისინი ადვილად კითხულობენ სიტყვებს "ხე", "თხა", "ძუა". საკმარისია, მათ თუნდაც ერთი ან ორი ასო-ნიშანი მიემატოს, რომ ბავშვს სიტყვის წაკითხვა უჭირს. „რა უნდა მოვიმოქმედო, დაველოდო მოვლენების განვითარებას თუ რაიმე ვიღონო," – ფიქრობს მაია.

*შეისწავლეთ თემა "აზროვნება და მეხსიერება – კოგნიტური სტრატეგიები". აუხსენით მასწავლებელს ბავშვებში კითხვის სირთულის ფსიქოლოგიური მიზეზები.*

## ძირითადი საკითხები

- კოგნიტური მიდგომის არსი
- მეხსიერების სახეები
- დავიწყება და მისი მექანიზმები
- მეტაშემეცნება

როგორც ცნობილია, ბიჰევიორიზმი ქცევის თვალსაჩინო გამოვლინებასა და მათ შედეგებს სწავლობს. სწავლების პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება იმ გარე პირობებზე, რომელიც ზეგავლენას ახდენენ ქცევაზე და არა ისეთ შინაგან პირობებზე, როგორიცაა წარმოსახვა, ასოციაციათა ფორმირება, დამახსოვრება. ბიჰევიორიზმისაგან განსხვავებით კოგნიტივიზმი* უპირველეს ყოვლისა შეისწავლის იმ ფსიქიკურ მოვლენებს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის მიღებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასა და აღდგენასთან. შეიძლება ითქვას, რომ კოგნიტივიზმი რადიკალურად უპირისპირდება ბიჰევიორიზმს.

კოგნიტური მიდგომის ზუსტი აღწერა ძნელია, ამიტომ მის მიმართ მეტაფორებს (შედარებებს) იყენებენ. მეტაფორა არ გვეუბნება – "ეს არის ეს", ამის მაგივრად ის ამბობს: საინტერესოა, ეს მოვლენა განვიხილოთ, როგორც ამისა და ამის მსგავსი. მეტაფორა ზუსტად კი არ აფასებს პოზიციას, არამედ მსჯელობს მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით ან რამდენად საინტერესოა ის. კოგნიტივიზმი ეს არის სწავლების თეორია, რომელიც ისეთ თემებს უკავშირდება, როგორიცაა აღქმა (პერცეფცია), პრობლემის გადაჭრა, ინფორმაციის გადამუშავება და გაგება. ამგვარად, თუ ბიჰევიორიზმი სწავლობს ქცევას, კოგნიტური მიდგომა სწავლობს ფსიქიკურ პროცესებს.

კოგნიტივიზმის მიმართ ყველაზე ხშირად იყენებენ კომპიუტერულ მეტაფორას (ანუ მას ადარებენ კომპიუტერს), რადგან ამ უკანასკნელის მსგავსად კოგნიტური პროცესებიც ინფორმაციის გადამუშავებას ახდენენ, უზრუნველყოფენ აღქმას, ცოდნის შეძენას და განსაზღვრავენ ქცევას.

---

*) ზმნა to cognice - შეცნობას ნიშნავს

კოგნიტური მიდგომის მიმართ არსებობს სხვა მეტაფორებიც, რომელიც აისახება გამოთქმებში "ბაზისური ცოდნა", "კოგნიტური სტრატეგია", "სქემა". ისინი თვალით არავის უნახავს, თუმცა ყოველი მათგანი შეიძლება აღიწეროს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: მოსწავლეები ისე იქცევიან, ეფიქრობ, ამ სფეროში მათ საბაზო განათლება უნდა ჰქონდეთ და კოგნიტურ სტრატეგიებს ფლობენ."

**ინფორმაციის გადამუშავების მოდელი 3 კომპონენტს გულისხმობს:**

1. ცოდნის ბაზა – იგი დროთა განმავლობაში შექმნილი ყოველგვარი ინფორმაციაა.
2. კოგნიტური სტრატეგიები – ინფორმაციის გადამუშავების პროცესი და ამოცანის გადაჭრის გზების განსაზღვრა-გამოყენება.

3. მეტაშემეცნება – საკუთარი თავის, როგორც შემმეცნებელი და ინფორმაციის გადამამუშავებელი სუბიექტის გაცნობიერება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ კოგნიტური ფსიქოლოგიის ძირითადი ინტერესის საგანს მეხსიერების პროცესი შეადგენს. მეხსიერება ჩვენს გონებაში დაგროვილი გამოცდილებაა. ატკინსონი და შიფრინი მეხსიერების სამ სახეს გამოყოფენ: **სენსორული, ხანმოკლე და ხანგრძლივი.**

I. **სენსორული მეხსიერება.** ჩვენი შეგრძნების ორგანოებს (მხედველობა, სმენა, გემო, ყნოსვა, შეხება) უნარი შესწევთ ასახონ მიღებული შთაბეჭდილებები მყისვე და მცირე დოზით. ამ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი კოგნიტურ სტრუქტურებში არ ჯდება, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცირე ნაწილის გადამუშავება მაინც ხდება. ამ ტიპის მეხსიერებას "კოქტეილის საღამოს ფენომენსაც" უწოდებენ. ეს არის წამიერი და გაუცნობიერებელი ინფორმაციის გადამუშავება. ასეთი რამ ხშირად ხდება წვეულებებზე, როდესაც ვიღაც, რაღაც თემაზე საუბრობს, შენ გესმის ხმა, მაგრამ არ აცნობიერებ შინაარსს. საკმარისია ყური მოკრა მაგ. შენს სახელს, რომ მყისვე ეს ინფორმაცია გადამუშავდება ცნობიერებაში. სენსორული მეხსიერება წინ უსწრებს ყურადღების აქტს, იგი არაცნობიერია.

II. **ხანმოკლე მეხსიერება.** იმ მომენტიდან, როდესაც რაიმე სტიმული (გამღიზიანებელი) შენს ყურადღებას მიიპყრობს, ხდება მისი გაცნობიერება. აქ უკვე საქმე გვაქვს ხანმოკლე მეხსიერებასთან. მას ხშირად ადარებენ უბის წიგნაკს (სადაც ჩანაწერები კეთდება) და უწოდებენ სამუშაო მეხსიერებას. მისი მოცულობა განსაზღვრულია, დაახლოებით 7+2 მარტივი შთაბეჭდილების ტოლია, ხოლო ხანგრძლივობა რამოდენიმე წამს უდრის. დამახსოვრების ეფექტს აძლიერებს გამეორება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ინფორმაცია მალე გვავიწყდება. მართალია ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა განსაზღვრულია, მაგრამ იგი შეიძლება გაიზარდოს ერთეულების გამსხვილებით. მაგ.: ერთი ასო-ნიშანიც ერთი შთაბეჭდილებაა და ერთი სიტყვაც. ამ ფენომენის ასახსნელად მილერს მოჰყავს საფულის მაგალითი: თუ საფულეში შვიდი ცალი ერთცენტიანი მონეტა ეტევა, ჩვენ შვიდი ცენტის მფლობელი ვართ, მაგრამ თუ იგივე მოცულობის ერთდოლარიანი მონეტა გვექნება, მაშინ შვიდი დოლარის მფლობელი ვიქნებით.

ხანმოკლე მეხსიერების სარგებლიანობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია გონებაში რამოდენიმე ხნით შევაჩეროთ, გავაცნობიეროთ, რაც ამოცანის გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების პირობას წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზრდილი ადამიანის ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა 7+2 ერთეულს უდრის. 6 წლის ბავშვისა კი 2-3 ერთეულს.

ეს კარგად უნდა იცოდეს მასწავლებელმა. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ ბავშვებისათვის განკუთვნილი დავალებები ძალზე რთული, ხშირად შეუსრულებადია სწორედ იმის გამო, რომ მათ ერთდროულად დიდი ინფორმაციის ცნობიერებაში გაჩერება არ შეუძლიათ. აქედანვე გამომდინარეობს პრობლემები კითხვის დაუფლებაში. 6 წლის ბავშვი ვერ ახერხებს ერთდროულად რამოდენიმე ასო-ბგერის ცნობიერებაში გაჩერებას. რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა? მას შეუძლია ორი გზით წავიდეს: ა) დაელოდოს, როდის მოხდება ცვლილება ბავშვის მეხსიერებაში, მისი მომწიფება. ბ) თვითონ იზრუნოს მისი გავარჯიშებისათვის. ბოლო წლებში მასწავლებელთა უმრავლესობა მეორე გზას ირჩევს და აქტიურად ერთვება კოგნიტური უნარის განვითარებისაკენ მიმართულ სწავლებაში. მაგალითად, გამეორების გზით ხელს უწყობს მის განვითარებას.

III. **ხანგრძლივი მეხსიერება**. იგი მოიცავს შედარებით სტაბილურ ინფორმაციას, რაც კი შეგვიძენია ჩვენი ცხოვრების მანძილზე. თუ ხანმოკლე მეხსიერება აქტიური, გაცნობიერებული პროცესია, ხანგრძლივი მეხსიერება უფრო პასიურია და გაუცნობიერებელი. ინფორმაცია, რომელიც ხანგრძლივ მეხსიერებაში ინახება, უფრო სტაბილურია და ნაკლებად ემორჩილება დამახინჯებას. მაგ.: თუ მე ვიცი, რომ იტალიის დედაქალაქი რომია, დიდია ალბათობა იმისა, რომ მე ეს რამოდენიმე წლის შემდეგაც მეცოდინება. როგორ გადადის ხანმოკლე მეხსიერებიდან ინფორმაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში? ამისათვის მხოლოდ გამეორება არ კმარა – საჭიროა კოდირება, ანუ მისი გარდაქმნა, აბსტრაჰირება სხვა ფორმაში, ცნებებში და მნიშვნელობებში გადაყვანა.

სამივე სახის მეხსიერების მახასიათებლები მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი № 10.** მეხსიერების სახეები და მახასიათებლები

| მეხსიერების სახეები / მახასიათებლები | სენსორული | ხანმოკლე | ხანგრძლივი |
|---|---|---|---|
| მოქმედების ხანგრძლივობა | ერთ წამზე ნაკლები | 20 წამზე ნაკლები | განუსაზღვრელი |
| სტაბილურობა | წუთიერი | ადვილად ექვემდებარება ჩავარდნას | მყარი |
| მოცულობა | შეზღუდული | შეზღუდული, 7±2 ერთეული | განუსაზღვრელი |
| ზოგადი მახასიათებლები | მომენტალური არაცნობიერი შთაბეჭდილება | სამუშო მეხსიერება, გაცნობიერებული, აქტიური, გამეორება ზრდის ეფექტურობას | ცოდნის ბაზა, ასოციაციური, პასიური, კოდირების შედეგი |

ხანგრძლივი მეხსიერების სხვადასხვა სახეებს გამოყოფენ: უნებლიეს და ნებისმიერს. უნებლიე მეხსიერება ისეთ ცოდნას გულისხმობს, რომელიც არა გვაქვს გაცნობიერებული, არც კი ვიცით, რომ ამ უნარებს ვფლობთ. ეს არის გამოცდილებით შეძენილი მოტორული ჩვევა ან პირობით რეფლექსები, გაუცნობიერებული და არავერბალიზებული.

ნებისმიერი მეხსიერება ისეთ ცოდნას გულისხმობს, რომლის სიტყვიერი აღდგენა შეგვიძლია, რადგან ვაცნობიერებთ ამ ინფორმაციას. იგი შეიძლება იყოს სემანტიკური ან ეპიზოდური (ცნება ან მოვლენა). მეხსიერების სახეები წარმოდგენილია სქემის სახით:




## მეხსიერება და პედაგოგიური პროცესი

გავრცელებული შეხედულებების მიხედვით, მოსწავლეები, როგორც კი ჩააბარებენ გამოცდებს, მალევე ივიწყებენ ნასწავლს. მეცნიერები ადასტურებენ, რომ ბევრი რამ, რაც გვისწავლია თანდათან გვავიწყდება. მაგრამ ის, რაც რამდენიმე ხნის შემდეგ გვახსოვს, თითქმის აღარ გვავიწყდება. დავიწყების მომენტი მასწავლებლის წინაშე რთულ და მნიშვნელოვან ამოცანას სვამს. სკოლის ძირითადი ფუნქცია ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლემ შეიძინოს ისეთი ცოდნა და ჩვევები, რაც მარტო გამოცდის ჩასაბარებლად კი არ იქნება საჭირო, არამედ მთელი ცხოვრებისათვის (ორიენტირებული ხანგრძლივ მეხსიერებაზე).

რატომ გვავიწყდება ნასწავლი მასალა? ამ მოვლენის რამდენიმე ამხსნელი მექანიზმი არსებობს. თითოეულ მათგანს შეიძლება მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება მოეძებნოს განათლების სფეროში. ეს მექანიზმებია:

**ჩაქრობა.** ჩაქრობის თეორია აღნიშნავს, რომ მასალა, რომლის გამოყენებაც იშვიათად ხდება გვავიწყდება. ფსიქოლოგები მიუთითებენ, რომ დრო თავისთავად ის ფაქტორია, რომელიც დავიწყებას განაპირობებს,ხოლო განმეორების არარსებობა ამ პროცესს უფრო აჩქარებს.

**დამახინჯება.** აღდგენილი ინფორმაცია ხშირად დამახინჯებული სახით იჩენს თავს. აქ მოქმედებს შემდეგი პრინციპი: მოვლენის დეტალები არასაკმარისად უკავშირდება ერთმანეთს, დამახსოვრებული ინფორმაცია თითქოს ერევა ერთმანეთში და სახეს უცვლის პირვანდელს.

**განდევნა.** ეს ტერმინი ზ. ფროიდს ეკუთვნის და აღნიშნავს ისეთ პროცესს, როდესაც ადამიანი უკიდურესად უარყოფით და შემაშფოთებელ მოვლენებს ივიწყებს, არ აცნობიერებს.

**შეკავება.** ზოგჯერ ადრე ნასწავლი მასალა ახლის შესწავლას უშლის ხელს. თუმცა შეიძლება პირიქითაც მოხდეს, როდესაც ახლადშესწავლილი აძნელებს ძველის აღდგენას. ამ მოვლენას **ინტერფერენციას** უწოდებენ.

რა მნიშვნელობა აქვს ამ მექანიზმის ცოდნას მასწავლებლებისათვის? თუ

მასწავლებელმა იცის ეს მექანიზმები, იგი სასწავლო პროცესს მათი გათვალისწინებით აგებს. მაგ.: ჩაქრობის თეორიიდან გამომდინარე, გამოიყენებს გამეორებას. დამახინჯების მექანიზმი მასწავლებელს უბიძგებს განსაკუთრებულად გაუსვას ხაზი მოვლენის მნიშვნელოვან ასპექტებს. განდევნა შესანიშნავი საშუალებაა, რათა მოსწავლეს დაავიწყდეს სკოლაში გადატანილი უსიამოვნებები.

ხშირად მოსწავლეს მასალა არ ახსოვს არა იმის გამო, რომ იგი მთლიანად დავიწყებული აქვს, არამედ იმიტომ, რომ ვერ გაიხსენა ხელჩასაჭიდებელი ნიშნები, რომელიც დაეხმარებოდა მასალის აღდგენაში. ასეთ შემთხვევაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მასწავლებელს – შეკითხვებით, გარკვეული მიმართულების მიცემით.

დამახსოვრებაში ძალიან დაგვეხმარება ისეთი რესურსების გამოყენება, როგორიცაა რითმებში და გამოთქმებში, კავშირთა სისტემა. საყოველთაოდ ცნობილია სხვადასხვა აკრონიმები (მაგ.: NATO). ასევე ცნობილია გამოთქმები, რომელებიც გარკვეული მასალის დამახსოვრებაში დაგვეხმარება. მაგ.: ფერთა თანმიმდევრობის დასამახსოვრებლად ეფექტურია ასეთი წინადადებების დამახსოვრება: "წადი, ნახე ყარამანი მინდვრად ცოცხალ ლომებს იჭერს." თითეული სიტყვის პირველი ასოთი იწყება ფერების სახელწოდებაც: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი.

კავშირთა სისტემა კი ინფორმაციის ვიზუალიზაციას გულისხმობს. მაგ.: საყიდელი პროდუქტია: პური, საწებელა, ბანანი და ა.შ. იმისათვის, რომ ისინი არ დამავიწყდეს, ხდება თითოეული პუნქტის ვიზუალიზაცია. მაგ.: პური წარმოისახო საწებელამოსმული და ბანანის ფორმით. ამგვარი მეთოდები მრავალფეროვანია, რომელსაც ბევრი ადამიანი წარმატებით იყენებს კიდეც.

**ცხრილი № 11.** დავიწყების თეორიები და მათი პედაგოგიური გამოყენება

| თეორია | დავიწყების მექანიზმის ახსნა | შესაძლო პედაგოგიური მიდგომები |
|---|---|---|
| ჩაქრობა | გამოუყენებული მოგონებების კვალი ქრება | უზრუნველვყოთ გამეორება, ვასწავლოთ სხვადასხვა პირობებში, გამოვიყენოთ სხვადასხვა მიდგომები |
| დამახინჯება | ხშირად ჩვენ გვახსოვს არსი და ვუმატებთ დეტალებს, ამიტომ მოგონებები დროში იცვლება | ხაზი გავუსვათ შესასწავლ მასალაში ყველაზე მთავარს ან დამახასიათებელ ნიშან-თვისებას |
| განდევნა | ტრავმული განცდები დამარხულია არაცნობიერებაში და მიუღწეველია ცნობიერებისათვის | ნუ მივაყენებთ მოსწავლეებს ფსიქოლოგიურ ტრავმას. |
| ინტერფერენცია | ხდება ძველი მოგონებების შერევა ახალთან, რაც ხელს უშლის მის შეთვისებას ან ხდება ახალი მასალის შერევა ძველთან, რაც ხელს უშლის მის აღდგენას. | ორგანიზაცია გაუუკეთოთ ისეთ სწავლებას, რომელიც მიმართული იქნება ცოდნის გადატანაზე, გენერალიზაციაზე. ხაზი გაუუსვათ მსგავსებას და განსხვავებას. |
| შეფერხება მეხსიერებიდან ძირითადი თვისებების ამოღებაში | მოსწავლეებს არა აქვთ საყრდენები, ნიშნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის ზუსტ აღდგენას. | მივუთითოთ იმ დამოკიდებულე-ბებისა და ასოციაციებზე, რომელიც შეიძლება მთავარ ნიშნებად გამოგვადგეს. ვასწავლოთ სპეციალური ხერხები მეხსიერების გასაუმჯობესებლად. |

## მეტაშემეცნება

ბავშვებს არ შესწევთ უნარი, მოახდინონ დასასწავლი მასალის ორგანიზაცია. ისიც არ ესმით, რატომ არის ეს საჭირო. პატარებს არა აქვთ რეფლექსიის უნარი, ვერ აცნობიერებენ საკუთარ თავს, როგორც შემმეცნებელ სუბიექტს. მათ არა აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები. მეტაკოგნიტური უნარი ადამიანს ეხმარება გააცნობიეროს სწავლის პროცესი, რა სტრატეგია გამოიყენოს ეფექტური დასწავლისათვის და სხვა. მართალია, ბავშვებს არა აქვთ მეტაკოგნიციის უნარი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ იყენებენ კოგნიტურ სტრატეგიებს. როდესაც ერთ-ერთი მკვლევარი შეეკითხა ბავშვებს, თუ როგორ უფრო ადვილად დაიმახსოვრებენ ისინი სიტყვათა რიგს, როცა მათ კატეგორიებად დააჯგუფებდნენ, თუ შემთხვევითი რიგით, აღმოჩნდა, რომ მესამე კლასამდე მოსწავლეებისათვის ეს სულ ერთია, უფროსები კი კატეგორიზაციას აძლევენ უპირატესობას. მასწავლებლები ამ მიმართულებითაც სისტემატურად უნდა მუშაობდნენ და ასწავლიდნენ მოსწავლეებს კოგნიტურ სტრატეგიებს. არ არის საჭირო დაველოდოთ, როდის აღმოაჩენს მათ ბავშვი დამოუკიდებლად. ადამიანში ბუნებრივად არის ჩადებული განზოგადოების უნარი, ისინი სწავლობენ, თუ როგორ ისწავლონ და დაიმახსოვრონ რაიმე მასალა. სწავლის სწავლას ფლაველი (1985) კოგნიტურ თამაშს უწოდებს. თამაშის პროცესში მოთამაშე ხომ მრავალგვარ სტრატეგიებს ამუშავებს და ამით უკეთესად თამაშს სწავლობს. ასევეა კოგნიტური თამაშიც.

სტრატეგიები სასწავლო მასალის შინაარსს ანგარიშს არ უწევენ. ეს არის ზოგადი ხერხები, რომელთა დაუფლება ბავშვებს უადვილებს სწავლას. დღეს, მეცნიერების მიერ მრავალგვარი სტრატეგიაა დამუშავებული, რომელთა დეტალური აღწერაც, ბუნებრივია, ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის განხილვა, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება პედაგოგებისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარჩიოთ ზოგადი საკითხი, რა მიზანს ემსახურება სწავლება. სწავლება ორ კითხვას სვამს, მას ორი მიზანი აქვს:

1. რა ვასწავლოთ (პროდუქტი), და 2. როგორ ვასწავლოთ (პროცესი). კოგნიტური ფსიქოლოგიის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აქცენტი მეორეზეა დასმული, გადატანილი, სწავლის სწავლებაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ შეიძლება შევითვისოთ სასწავლო მასალა. არავინ უარყოფს იმას, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, თუ რას ვასწავლით, მაგრამ დღეს, როდესაც ასეთი სწრაფი ტემპით ძველდება ინფორმაცია, გაცილებით ღირებულია ადამიანი ფლობდეს სწავლის სტრატეგიებს, რადგან მას მთელი ცხოვრების მანძილზე მოუწევს სწავლა (მუდმივშემსწავლელია).

## როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბიჰევიორისტული მიდგომა სწავლის ეფექტურობის გაძლიერების მიზნით მეთოდურად იყენებს წახალისების და დასჯის კონკრეტულ ფორმებს. მანვე დაამუშავა ქცევის მოდიფიკაციის სპეციალური ტექნიკებიც.

რაში მდგომარეობს კოგნიტური მიდგომის პედაგოგიკაში გამოყენების თავისებურებები და რა მიზანს ისახავს ის? კოგნიტივიზმი სვამს კითხვას – როგორ ხდებიან ბავშვები მოაზროვნენი და როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ მათ იყვნენ უფრო პროდუქტულები, კრიტიკულები და შემოქმედებითები. თუ ბიჰევიორიზმი დაინტერესებულია ქცევითი სტიმულებით, წახალისებით და დასჯით, კოგნიტივიზმს ყველაზე მეტად აზროვნება

აინტერესებს. კოგნიტივიზმი თვლის, რომ მოსწავლემ, ერთის მხრივ, საკუთარი თავი უნდა გააცნობიეროს, როგორც შემმეცნებელმა სუბიექტმა, რომელიც გადაამუშავებს ინფორმაციას, მეორეს მხრივ, მან უნდა განავითაროს და პრაქტიკულად გამოიყენოს ის მიდგომები და სტრატეგიები, რომლებიც მონაწილეობენ კრიტიკული, შემოქმედებითი, ეფექტური აზროვნების, ამოცანის გადაჭრის პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოგნიტური მიდგომის თანახმად, მოსწავლეებმა უნდა განავითარონ მეტაკოგნიტური ჩვევები და მათი შესატყვისი სტრატეგიები. სწორედ სწავლის სწავლა უზრუნველყოფს ამ ჩვევების დაუფლებას.

როგორც ცნობილია, ტრადიციულად სწავლების პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული შინაარსის სწავლებაზე. კოგნიტური სტრატეგიების და მეტაკოგნიციის განვითარება სტიქიურად ხდებოდა ან სულაც შემთხვევით.

დღეს ბევრი მეცნიერი თვლის, რომ კარგ პედაგოგად ითვლება ის მასწავლებელი, რომელსაც თვითონვე მაღალ დონეზე აქვს განვითარებული მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევები და მათ იყენებს პედაგოგიურ საქმიანობაში. საუკეთესო მოსწავლეებად კი ითვლებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც მაქსიმალურად მოახერხეს თავიანთი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, ესმით მოვლენების არსი, აკეთებენ ლოგიკურ დასკვნებს, პოულობენ ურთიერთკავშირებს მოვლენათა შორის და თვალს ადევნებენ თავიანთ პროგრესს – მოკლედ, ისინი, ვინც მეტაკოგნიტურ ჩვევებს დაეუფლნენ. ასეთი მოსწავლეები ეუფლებიან სტრატეგიულ და არა მხოლოდ შინაარსობრივ ცოდნას. სტრატეგიული ცოდნა მეტაკოგნიტური ცოდნაა. სწავლების ახალი მეთოდები, როგორიცაა თანამშრომლობითი სწავლა, აზროვნების განვითარებისადმი მიმართული მასწავლებლის შეკითხვები, სასწავლო პროცესის აქტიური რეფლექსია და სხვა მრავალი პროგრამები სწორედ ამ მიზნით ინერგება სასწავლო პროცესში.

როგორ ვასწავლოთ სკოლაში? ეს ძველი კითხვაა. ახალი არის საკითხის შემდეგნაირი დასმა, რა ართულებს და რა აიოლებს სწავლება/სწავლის პროცესს?

ტრადიციულად სწავლების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეული იყო თანდაყოლილი, ანუ ბუნებრივი ინტელექტი. იმასაც აღიარებენ, რომ გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მოტივაციას, შეუპოვრობას და სხვა ამგვარ ფაქტორებს. ბოლო პერიოდში წარმოდგენა ინტელექტის შესახებ რადიკალურად შეიცვალა. გაზიარებული იქნა თვალსაზრისი, რომ ინტელექტუალური ქმედების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა კოგნიტური ფუნქციები, სწავლების შედეგად ფორმირდება და არ ხდება მისი გადაცემა მემკვიდრეობით. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს კითხვა, ხომ არ არის საჭირო მათ სპეციალური სწავლება? ჩვენ არ უნდა დაველოდოთ ამ უნარების სტიქიურ განვითარებას, იგი არ უნდა განვიხილოთ, როგორც სასკოლო სწავლების თანმხლები პროდუქტი.

მეტაკოგნიტური ჩვევების შესწავლის მიზნით იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. მეცნიერები სულ მცირე შვიდი ტიპის უნარ-ჩვევასა და ცოდნას გამოყოფენ.

1. ბაზისური (მარტივი) ოპერაციები, ისეთი როგორიცაა კლასიფიკაცია და განზოგადება.
2. საგნობრივად ორიენტირებული ცოდნა (მაგ.: მათემატიკა,ისტორია )
3. ცოდნა, რომელიც შეეხება მსჯელობის პრინციპებს (მაგ.: ლოგიკური მსჯელობა)
4. ცოდნა, რომელიც ეხება აზროვნების არაფორმალურ პრინციპებს და შეიძლება გამოყენებულ იქნას ამოცანის გადაჭრის პროცესში.
5. მეტაკოგნიტური ცოდნა – მოსწავლის წარმოდგენა საკუთარი ცოდნის, შემეცნების

შესახებ. იგი ასევე მოიცავს ამ პროცესისათვის თვალის გადევნების და საკუთარ კოგნიტურ ქმედებაზე კონტროლს.

6. ღირებულებები, ისეთები, როგორიცაა ეთიკურობა და ობიექტურობა.

7. პირადი თვალსაზრისი მაგ.: გარესამყაროს პრობლემების, მოვლენათა მიზეზების, წარმატების მიღწევაში შემთხვევითობისა და ძალისხმევის როლის შესახებ და სხვა.

აღნიშნულის შესაბამისად მუშავდება სტრატეგიული პროგრამებიც.

ეს პროგრამები ორგვარია: 1. დამოუკიდებელი, იზოლირებული, სადაც კოგნიტური ჩვევების სწავლება წარმოდგენილია, როგორც ცალკე საგანი.

2. ჩართული, სადაც კოგნიტური ჩვევები ჩართულია ამა თუ იმ საგნის კონტექსტში. მიდგომები ბევრია და მათ სპეციალური სწავლება სჭირდება, ტრენინგები და პრაქტიკული სემინარები. ჩვენ მოკლედ აღვწერთ ზოგიერთ სტრატეგიას, რადგან საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლებმა იცოდნენ, თუ რასთან აქვთ საქმე.

## ინსტრუმენტალური დახელოვნების პროგრამა

ეს არის დამოუკიდებელი პროგრამა. იგი მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას. ჩვეულებრივ ინტელექტს ტესტებით ზომავენ. ისინი ინტელექტის მიმართ სტატიკურ ხედვას გულისხმობენ, გვეუბნებიან, რა იცის ბავშვმა, რას მიაღწია. ეს ტესტები ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების შესახებ არაფერს ამბობენ. ამ პროგრამის ავტორთა აზრით, უფრო საინტერესოა ის ტესტები, რომლებიც ინტელექტის ფუნქციონირების პროგნოზების საშუალებას მოგვცემს. ასეთი ტესტები მოსწავლის "კოგნიტური რუკის" აგებაში გვეხმარება და განსაკუთრებით ღირებულია იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლაში ჩამორჩებიან, ასევე კორექციული ღონისძიებების დაგეგმისათვის. პროგრამა მოიცავს დიდი რაოდენობით სავარჯიშოებს და ეყრდნობა თეზას – ინტელექტი ცვლილებებს ემორჩილება. იგი პოპულარულია მთელ მსოფლიოში. მთლიანობაში სავარჯიშოების აღწერა მოიცავს 500 გვერდს. ეს მოცულობა საკმარისია რამოდენიმე წლის განმავლობაში ყოველდღე 1 საათი მეცადინეობისათვის.

## ეფექტური აზროვნება/სწავლების სტრატეგიული პროგრამა (SPELT)

იგი ჩართული პროგრამის ტიპს განეკუთვნება. ამ პროგრამით ყველა კატეგორიის ბავშვებთან მუშაობენ. იგი განკუთვნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. ჩართულობის გამო მას არ სჭირდება სპეციალური საათები ცხრილში და იაფია. პროგრამა 3 ეტაპად სრულდება და 3 მიმართულებით ხასიათდება. ეს უკანასკნელი გულისხმობს:

- მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, აღმოჩენებზე დაფუძნებულ სწავლებას პასიური სწავლების ნაცვლად.
- მასწავლებელთა აქტიურ ჩართვას. ისინი თავდაპირველად ეცნობიან საბაზო სტრატეგიებს და მეთოდებს, იყენებენ მათ, ხოლო შემდეგ თვითონვე ქმნიან სწავლების ახალ მეთოდებს.

- წახალისების ხერხების გამოყენებით ხელს უწყობენ მოსწავლეებს გააცნობიერონ კოგნიტური სტრატეგიები და მოახდინონ მათი გენერალიზაცია.

ეს პროგრამა მრავალგვარ უნარ-ჩვევების განვითარებაზეა მიმართული: კითხვის, დამახსოვრების, საკონტროლოს შესრულების, დადებითი ემოციების შექმნის, მონიტორინგის წარმოების, სოციალური პრობლემების გადაჭრის და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, მეთოდის პრაქტიკული გამოყენება სამ ეტაპად ხდება:

I. მეტაკოგნიტური მომზადება. სტრატეგიათა გაცნობა და მისი გამოყენების მოტივაციური უზრუნველყოფა (გაჩნდეს მუშაობის სურვილი).

II. სტრატეგიათა პრაქტიკული გამოყენება. ამ ეტაპზე ინტერაქტიური სწავლების პროცესში წახალისებულია ე.წ. "სოკრატისეული შეკითხვები" (დახურული შეკითხვების საპირისპიროდ). მასწავლებლებს ეძლევათ სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, მაგ.:

- დაიწყეთ ნაცნობიდან.
- შეეცადეთ დაასახელოთ ერთზე მეტი მიზეზი.
- სთხოვოთ მოსწავლეს, აღწეროს თავისი მსჯელობის მიმდინარეობა.
- კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე გააკეთეთ ზოგადი დასკვნა.
- მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები, როდესაც მოსწავლე ძალზე ფართო განზოგადოებას აკეთებს.
- სხვადასხვა შემთხვევები შეადარეთ ერთმანეთს და გააცნობიერეთ მათ შორის მსგავსება და განსხვავება.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, წინასწარ განჭვრიტონ, რა მოხდება თუ....

III. ახალი სტრატეგიების ძიებისადმი მოსწავლეთა წაქეზება და მიღწევების შეფასება.

ეს პროგრამა 300 ნიჭიერ, ნორმალურ და ჩამორჩენილ ბავშვზე 3 წლის განმავლობაში ტარდებოდა, შეფასდა, როგორც წარმატებული, განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა IV კლასის ჩამორჩენილი მოსწავლეებისათვის. პროგრამას დადებითად გამოეხმაურნენ მშობლები.

## ურთიერთსწავლება (რეციპროკული სწავლება)

ეს სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, მასალის კითხვის დაუფლებისკენ არის მიმართული. მოსწავლეებს ასწავლიან ოთხ კოგნიტურ სტრატეგიას: 1.კითხვების დასმას, 2. შედეგების შეჯამებას, 3. სიტყვათა მნიშვნელობის წვდომას, რთული ტექსტის გაგების მცდელობას და 4. იმის წინასწარ განჭვრეტას, თუ რა მოხდება შემდეგ.

ამ ტექნიკის გამოყენების დროს მოსწავლეები საკუთარ თავზე იღებენ სწავლება/სწავლაზე პასუხისმგებლობას და ეხმარებიან ერთმანეთს. თანდათან პროცესი გადაიზრდება თანამშრომლობით სწავლება/სწავლებაში, სადაც ერთი შეკითხვას სვამს, მეორე პასუხობს. აღნიშნული პროგრამაც დიდი წარმატებით გამოიყენება ბევრ ქვეყანაში.

ზემოაღნიშნული სტრატეგიები წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მასწავლებელი ვალდებულია დაეუფლოს ამა თუ იმ პროგრამას. მაგრამ ფაქტია, რომ განათლების სისტემის ბევრი ხარვეზი სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ მასწავლებლები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეში აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას.

კოგნიტური მიდგომა გვეუბნება, რომ შესაძლებელია ამ მიმართულებით მეტის გაკეთება. იგი გვიჩვენებს, როგორ გავაკეთოთ ეს.

## საკონტროლო კითხვები

- რაში მდგომარეობს კოგნიტური მიდგომის არსი?
- რით განსხვავდება ის ბიჰევიორისტული მიდგომისაგან?
- რა კომპონენტებს მოიცავს ინფორმაციის გადამუშავება?
- მეხსიერების რა სახეებს გამოყოფენ?
- ჩამოთვალეთ დავიწყების თეორიები, რას ეუბნება ეს თეორიები მასწავლებელს?
- რა არის მეტაკოგნიცია და რაში ეხმარება ის ადამიანს?
- რამდენი სახის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს გამოყოფენ ფსიქოლოგიაში? რომელს?
- მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევების შესწავლის რა სტრატეგიებს იცნობთ?
- რა არის რეციპროკული (თანამშრომლობითი) სწავლა?

## სავარჯიშო

მოცემულია მასალის შესწავლის რვა ეტაპი. მიუწერეთ, რომელ ეტაპზე რასთან გვაქვს საქმე: მეტაკოგნიცია, კოგნიტური ქმედება, კოგნიტური სტრატეგია.

1. გადავწყვიტე მასალის სწავლა, დავისახე მიზანი ____________________
2. ვკითხულობ მასალას ____________________
3. შევჩერდი, თითქოს რაღაც გამოვტოვე ____________________
4. კვლავ ვკითხულობ მასალას ____________________
5. გონებაში ვიმეორებ მასალას ____________________
6. ვგრძნობ, რომ მასალა გასაგებია ____________________
7. ვამთავრებ კითხვას. ვუყურებ ტერმინებს, ვიმეორებ განმარტებას ____________________
8. კმაყოფილი ვარ, კარგად გავიგე მასალა ____________________

# დანართი

## აქტივობები, რომელიც დაგვეხმარება გავაკონტროლოთ ჩვენი მეხსიერება

| როდის | რა | როგორ |
|---|---|---|
| დასწავლის წინ | შევაფასოთ, რამდენად ადვილია დასწავლა | გადავხედოთ მასალას, რომელიც სასწავლი გვაქვს და შევაფასოთ, რამდენად ადვილი ან რთულია მისი დასწავლა ჩვენთვის. განვსაზღვროთ, რა ვიცით თემის შესახებ, რატომ ვსწავლობ მას, რა უნარები გამაჩნია |
| დასწავლის პროცესში | შევაფასოთ დასწავლის მიმდინარეობის ხარისხი | მივადევნოთ თვალყური, რამდენად კარგად ვიგებთ მასალას ან ვეუფლებით ჩვევას. შეგვიძლია ჩვენი სიტყვებით გადმოვცეთ, რაც შევისწავლეთ? ვიყენებთ "გასაღებებს" (ხერხებს) დამახსოვრების გასაადვილებლად? |
| გახსენების დროს | შევაფასოთ დარწმუნებულობის ხარისხი | გავიხსენოთ ნასწავლი, შევაფასოთ, რამდენად ადვილად ვახერხებთ გახსენებას |
| დასწავლის შემდეგ | შევაფასოთ შეთვისების ხარისხი | დავფიქრდეთ, კარგად ვისწავლეთ? გადავიკითხეთ ის რამდენჯერმე? დავყავით ის ნაწილებად უკეთ შესწავლის მიზნით? შეგვიძლია მისი აღდგენა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ? |

# პერსონალური დღიური

1. ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის [illegible]

[illegible]

2. განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა

[illegible]

3. კითხვები, რომელიც გამიჩნდა

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი X

## სწავლებისადმი კოგნიტური მიდგომა

ყოველი საგნის სწავლების მიზანი ბავშვის გონების გაღრმავებასა და განვითარებაში მდგომარეობს. ამიტომაც იგი აუცილებლად აზროვნების ფსიქოლოგიის მიხედვით უნდა სწარმოებდეს.

დ. უზნაძე

მაისის ერთ მზიან დღეს, მაშინ მე მეათე კლასში ვსწავლობდი, მარი მასწავლებელმა ექსკურსიაზე წაგვიყვანა. იგი ახალგაზრდა, თანამედროვე მასწავლებელი იყო და დირექტორისგან განსხვავებით უყვარდა ახალი მეთოდების გამოყენება სასწავლო პრაქტიკაში. "ეს ექსკურსია პროგრესული სწავლების ნაწილს წარმოადგენს,– აგვიხსნა მან, –მაშ, როგორც კი დილის ზარი დაირეკება, ჩვენ გავემართებით ტბისკენ, არ დაგავიწყდეთ საგზლის წამოღება. ჩვენი ლაშქრობის მიზანია გავიგოთ რაიმე ახალი."

ბავშვებმა ძალიან მოვილხინეთ. რადგან ეს იყო პირველი ექსკურსია ჩვენს ცხოვრებაში. მივუახლოვდით რა ტბას, მარი მასწავლებელი შეჩერდა, ტბის ნაპირიდან რაღაც ჩვენთვის უცნობი მცენარის დაკორძილი, მოყვითალო–მოთეთრო ღერო ამოიღო და გვკითხა: "რომელი თქვენგანი მეტყვის, რა არის ეს?" პასუხი არცერთს არ გვქონდა. მაშინ მარი მასწავლებელმა დაგვავალა დაგვეწერა პატარა მოთხრობა უცნობი მცენარისა და მასზე ინფორმაციის მოპოვების შესახებ. დავალების შესრულებისთვის მოგვეცა სამი კვირა.

ბოლოს, ყველამ გავარკვიეთ,რომ მცენარე რომელიც მარი მასწავლებელმა გვიჩვენა, ლერწმის ფესვის ნაწილი იყო. ერთ მოსწავლეს მამა დაეხმარა, რომელმაც უმალ იცნო ფესვის ნაწილი, მეორე მოსწავლემ უნივერსიტეტში გააგზავნა ფესვის ნაწილი და იქიდან ვრცელი პასუხი მიიღო, დანარჩენებმა ერთმანეთისგან გაიგეს საიდუმლო ფესვის რაობა, რადგან მცირე კოლექტივში ძნელია საიდუმლოს შენახვა. როცა შედეგები შევაჯამეთ, გამოირკვა, რომ მსოფლიოში არსებობს ლერწმის რვა სახეობა, რომ მათი ფესვები საჭმელად გამოიყენება, რომ ამ მცენარისგან შეიძლება დაიწნას კალათები და ა.შ.

ყველამ მაღალი შეფასება დავიმსახურეთ.

## ძირითადი საკითხები

- სწავლებისადმი კოგნიტური მიდგომის არსი
- კონსტრუქტივისტული და დირექტიული სწავლება
- ბრუნერის თეორია
- ოზიბელის თეორია
- კოგნიტური მოსწავლეობა
- დასკვენის მაგიერ

## შესავალი

გადაწყვეტილების მიღება, პრობლემების გადაჭრა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დამახსოვრება – კოგნიტურ ქმედებებს წარმოადგენს, რომელთა კვლევა კოგნიტური თეორიების მიზანია. ამ თეორიებიდან რამოდენიმე განსაკუთრებულად საჭიროა განათლებისთვის, ვინაიდან საინტერესო პედაგოგიურ მიდგომებსა და რეკომენდაციებს გვთავაზობს. მოცემულ თავში ჩვენ გავეცნობით ორ თეორიას: ჯერომ ბრუნერის თეორიას, რომელიც სწავლებას განიხილავს როგორც აღმოჩენაზე ორიენტირებულს, და დევიდ ოზიბელის თეორიას, რომელიც დირექტიული სწავლების მოდელს წარმოადგენს.

## კონსტრუქტივიზმი და დირექტიული სწავლება

როგორც პროგრესული სწავლება, ასევე კონსტრუქტივიზმიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და არა მასწავლებელზე. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეების მიერ ინფორმაციის მოპოვებასა და კონსტრუირებას. კონსტრუქტივისტული მიდგომის ფესვები უნდა ვეძებოთ პიაჟესა და ვიგოტსკის კოგნიტურ თეორიებში. რაც შეეხება სწავლების დირექტიულ მეთოდებს, იგი ორიენტირებულია მასწავლებელზე, რომელიც მოიაზრება ცოდნისა და ინფორმაციის ერთადერთი წყაროდ. დირექტიული მეთოდები ამ მხრივ სრულ თანხვედრაში მოდიან სწავლების ბიჰევიორისტულ მიდგომებთან, რადგანაც, როგორც წესი აქაც აქცენტი კეთდება მასწავლებელზე. ბოლოს და ბოლოს, სწორედ მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო პირობებს და ახორციელებს მოსწავლეთა კონტროლს დასჯისა და წახალისების გზით.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტრუქტივისტული მიდგომები ემყარება კოგნიტური თეორიების პრინციპებს, რომელთა შორის მთავარია:

- **ახალი ცოდნა ეფუძნება ძველ ცოდნას** – კოგნიტურ მიდგომები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ადრე შეძენილ ცოდნასა და ჩვევებს. ბიჰევიორიზმისაგან განსხვავებით (რომელიც ჩვეულებრივ ყველა მოსწავლეს განიხილავს როგორც თანასწორს) კოგნიტივიზმი აღნიშნავს, რომ მოსწავლეები კლასებში მოდიან სხვადასხვა მოტივებით, ცოდნის სხვადასხვა დონით, სხვადასხვა მახასიათებლებით (სქესი, ნაციონალობა, ინტელექტი, პიროვნული თვისებები და სხვ.) რომელთა გათვალისწინება სწავლების პროცესში აუცილებელია.
- **სწავლა გულისხმობს ინფორმაციის გადამუშავებას** – კოგნიტური თეორიების თანახმად მოსწავლეები უბრალოდ კი არ აღიქვამენ ინფორმაციას, არამედ გადაამუშავებენ მას. ამდენად, ეს შეხედულება ხაზს უსვამს სწავლების აქტიურ ხასიათს.
- **ცოდნას განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებები** – კოგნიტური თეირიების მიხედვით ცოდნა არსებობს არა ვაკუუმში, არამედ დამოკიდებულია მიმართებებზე. "ცოდნა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ურთიერთდამოკიდებულებების გრძელი ჯაჭვი"–აღნიშნავს ცნობილი მკვლევარი ე.დ.განე. ამ კონტექსტში განასხვავებენ დეკლარატიულ ცოდნას, რომელიც ჩვენს მიერ ათვისებული ცოდნისა და ინფორმაციის მარაგს წარმოადგენს და შეგვიძლია საჭიროებისამებრ გავიხსენოთ, გამოვხატოთ სიტყვებით, და პროცედურულ ცოდნას, რომელიც რაიმეს გაკეთების, რაიმეს შესრულების შესახებ ცოდნას გულისხმობს.

ამგვარად, კოგნიტური თეორიები ინფორმაციის გადამუშავების პროცესს იკვლევს. მათ ინტერესებში შედის აგრეთვე იმის ახსნა, თუ როგორ მოვიპოვებთ გარემოდან ინფორმაციას, როგორ ვახდენთ მის ორგანიზებას და ინტერპრეტაციას, როგორ აღმოვაჩენთ ურთიერთკავშირებს ინფორმაციის ელემენტებს შორის, როგორ ვინახავთ და მოვიპოვებთ ცოდნას მეხსიერებიდან. აქედან გამომდინარე, კოგნიტური თეორიების დებულებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმის შედგენისას. კერძოდ, სასკოლო გეგმამ ყურადღება უნდა მიაქციოს ინფორმაციის აღქმის, ინტერპრეტაციის, ორგანიზების, ანალიზის, შეფასების, მისი შენახვისა და მოპოვების სტრატეგიებს, ასევე ნათელი გახადოს ურთიერთკავშირები ინფორმაციის ელემენტებს შორის.

## ბრუნერის თეორია: სწავლება აღმოჩენის გზით

რეალობის საკუთარ ვერსიას ჩვენ თვითონვე ვქმნით, ჩვენვე აღმოვაჩენთ ჩვენსავე აზრებს. – ამბობს ბრუნერი და იქვე მიუთითებს, რომ სკოლის დანიშნულებას სწავლების ისეთი პირობების შექმნა წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს აღმოჩენას.

სწავლება აღმოჩენის გზით შეიძლება განისაზღვროს, როგორც ისეთი სწავლება, როდესაც მოსწავლეებს მასალა დაუსრულებელი ფორმით მიეწოდებათ, რაც მათში აღძრავს სურვილს თვითონ აღმოაჩინონ ურთიერთკავშირები ინფორმაციის ელემენტებს შორის და მოახდინონ ცოდნის ორგანიზება. მოცემული მიდგომა არ მოითხოვს მასწავლებლის აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში, თუმცა იგი უნდა ხელმძღვანელობდეს და მითითებებს აძლევდეს მოსწავლეებს. ბრუნერის მიხედვით ეს მეთოდი აადვილებს ინფორმაციის გადატანას მეხსიერებაში, ზრდის ამოცანის გადაჭრის უნარს, ამაღლებს მოტივაციას.

ბრუნერის მეთოდით მუშაობა სისტემურ ფორმას ღებულობს, რომელიც შემდეგ ლოგიკურ ნაბიჯებს შეიცავს:

1. საკითხის(ამოცანის) ფორმულირება და გააზრება
2. მაგალითების შერჩევა, შესაბამისი დაკვირვებების ჩატარება
3. ჰიპოთეზის წამოყენება(ინტელექტუალური მიხვედრა, რომელიც დაკვირვებებს ემყარება)
4. ჰიპოთეზის დამტკიცება ან უარყოფა (ექსპერიმენტის, ტესტების, სხვა დაკვირვებების შემუშავებადა ჩატარება)
5. ახალი ინფორმაციის გამოყენება–განზოგადება

ბრუნერი მიუთითებს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული მეთოდით სწავლებას. ესენია: განწყობა, მოთხოვნილება, კონკრეტიკის ფლობა და მომზადების მრავალფეროვნება. განვიხილოთ თითოეული ცალცალკე:

**განწყობა** – ამზადებს მოსწავლეებს იმისათვის, რომ რეაგირება მოახდინონ გარკვეული მიმართულებით. მაგალითად, აღმოჩენაზე ორიენტირებული ადამიანისთვის პრობლემის, ამოცანის მიმართ მიდგომა ჩვეულებრივ გულისხმობს ინფორმაციის ელემენტებს შორის მიმართებების დადგენას, ანდა უბრალოდ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ასეთი ადამიანი განწყობილია აღმოჩენისთვის. განწყობის შექმნაზე გავლენას ახდენს მითითება.

**მოთხოვნილება** – წარმოადგენს მოსწავლის აქტივიზაციას, მზაობას სწავლებისადმი. ბრუნერი თვლის,რომ აგზნების ზომიერი დონე გაცილებით უწყობს ხელს აღმოჩენის გზით სწავლებას, ვიდრე ზედმეტად დაბალი ან ზედმეტად მაღალი დონე, ანუ მოსწავლეები მზაობის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდნენ და არა დუნე მდგომარეობაში. მათთვის ასევე აუცილებელია შფოთვა გარკვეული დოზით, და ინტერესი, მაგრამ არა შიში და პანიკა.

**კონკრეტიკის ფლობა** – გულისხმობს თუ რამდენადაა მოსწავლე დაუფლებული საგანთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინფორმაციას. აღმოჩენა(რომელიც კოდირების სისტემის ფორმირებას წარმოადგენს) შემთხვევით არ მოდის, იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსწავლის ინფორმაციულ მზაობაზე.

**სწავლების მრავალფეროვნება(ან მრავალდონიანი სწავლება)** – ერთერთი ხელშემწყობი პირობაა აღმოჩენის გზით სწავლებისთვის. მოსწავლეები, რომლებიც ინფორმაციას ღებულობენ მომზადების სხვადასხვა დონეზე, გაცილებით უკეთესად ახდენენ

კოდირების სისტემის ფორმირებასა და ცოდნის ორგანიზებას, აღნიშნავს ბრუნერი. ამიტომ, იგი იძლევა რეკომენდაციას, რომ ერთიდაიგივე საგნები ისწავლებოდეს სწავლების სხვადასხვა დონეზე მოსწავლეთა უნარებისა და ბაზისური ცოდნის გათვალისწინებით.

ბრუნერი ჩამოთვლის მთელ რიგ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროა კონსტრუქტივისტული სწავლებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია:

1. "საგნის სასწავლო გეგმა უნდა იგებოდეს საგნის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით."–ამბობს ბრუნერი. მართლაც, შეუძლებელია საგნის გაგება მისი ბაზისური პრინციპების ცოდნის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში მასალა ძნელად ასათვისებელი გახდება.

2. "ნებისმიერი მასალა შეიძლება გადასცე ნებისმიერი ასაკის ბავშვს ამა თუ იმ ფორმით."–ეუბნება ბრუნერი პედაგოგებს. ბევრი მკვლევარი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ისინი მიუთითებენ, რომ აბსტრაქტული ცნებები რთული ასათვისებელია მცირე ასაკის ბავშვებისთვის. მაგალითად, ოთხი წლის ბავშვი ვერაფრით ვერ გაიგებს პროპორციულობის პრინციპს. ბრუნერი ამ კრიტიკის საპასუხოდ ამბობს, რომ განათლებამ უნდა შეიმუშაოს საგანთა გადაცემის ისეთი ფორმა, რომელიც გამოსადეგი იქნება მოსწავლეთა მოცემული ასაკისათვის. ბრუნერის მიხედვით, მასალა ისეთი თანმიმდევრობით უნდა დავაწყოთ, რომ მოსწავლემ იგი ჯერ შეხების დონეზე შეიგრძნოს, შემდეგ კონკრეტული წარმოდგენა შეიმუშაოს, ხოლო ბოლოს სიმბოლურად წარმოიდგინოს.

3. ბრუნერი გვთავაზობს ასევე სპირალურ სასწავლო გეგმას, რომელიც გულისხმობს მასალის გაფართოებას სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. სპირალური სასწავლო გეგმა იდეალურია აღმოჩენის სრულყოფისთვის, რადგანაც აქ მასალა სისტემატიზირებულია და მიემართება მარტივიდან რთულისაკენ. იგი გარკვეულწილად გამეორებას წარმოადგენს, რაც დადებითად მოქმედებს ცოდნის კონსტრუირებასა და კოდირების სისტემის ფორმირებაზე.

4. "მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ საკუთარი ვარაუდების ალბათობის განსაზღვრა." – მიუთითებს ბრუნერი. სხვა შემთხვევაში ისინი თავს აარიდებენ ვარაუდების გამოთქმას შეცდომებისგან თავის დაღწევის მიზნით. ეს კი აღმოჩენის პროცესის დათრგუნვას გამოიწვევს.

5. ბრუნერი მოუწოდებს მასწავლებლებს, რომ სწავლებისას რაც შეიძლება მეტი ტექნიკური საშუალება გამოიყენონ (აუდიოვიზუალური, კონკრეტული ან სიმბოლური მოდელები, ინფორმაციის მულტიმედიური საშუალებები და სტიმულაციები). ეს დაეხმარება მოსწავლეებს ცნებების ფორმირებასა და მასალის ათვისებაში.

## ოზიბელის თეორია: სწავლება რეცეპციის (აღქმის) გზით

ადამიანები უმეტესად აღქმის გზით სწავლობენ და არა აღმოჩენის გზით, ასათვისებელი მასალის უმეტესობა მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შედარებით დასრულებული ფორმით და არა აღმოჩენის გზით, – ამბობს ოზიბელი.

ყველა პედაგოგი როდი ეთანხმება აზრს, რომ სწავლებისადმი საუკეთესო მიდგომას აღმოჩენის მეთოდი წარმოადგენს. საწინააღმდეგო მოსაზრებას იზიარებს დ. ოზიბელი. უმრავლეს სასკოლო სიტუაციებში, მიუთითებს ის, აღმოჩენა არაეფექტურია და დროის ტყუილად ხარჯვას ნიშნავს. ამ გაგებით, ოზიბელისთვის კლასი წარმოადგენს ადგილს, სადაც სწავლება დირექტიული მეთოდებით მიმდინარეობს. თუმცა, როგორც დავინახავთ,

ბევრი რამ ოზიბელის თეორიაში კონსტრუქტივისტილი მიდგომის საფუძვლებს შეესაბამება. ზოგი მეცნიერის აზრით ოზიბელის თეორია გვთავაზობს გარკვეულ კომპრომისს სწავლების ორ მიდგომას, კონსტრუქტივიზმსა და დირექტიულ სწავლებას შორის.

ოზიბელის თეორიაში ძირითად დებულებას "გააზრებული სწავლება" წარმოადგენს. ოზიბელის მიხედვით სტიმულმა ან ცნებამ აზრი რომ შეიძინოს, მოსწავლის კოგნიტურ სტრუქტურაში უნდა არსებობდეს რაღაც გარკვეული ინფორმაციის მარაგი, რასთანაც შესაძლებელი გახდება მისი მიკუთვნება. მაგალითად, სიტყვა "ავტომობილი" ადამიანისთვის იძენს აზრს მაშინ, როცა იგი შეიძლება მიაკუთვნოს თავის ცნობიერებაში უკვე არსებული ავტომობილების კლასს.

გააზრებული სწავლება მოსწავლისგან მოითხოვს მონათესავე ძირითადი ცნებების ათვისებას, რომლებთანაც მოხდება ახალი მასალის მიერთება. ოზიბელი გამოყოფს მიერთების ორ სახეს: 1. წარმოებული მიერთება, რომელიც ხორციელდება მაშინ, როდესაც ახალი მასალა ჰგავს უკვე ნაცნობს, და 2. კორელაციური მიერთება, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია ითხოვს რაიმე ცვლილებას ძველ(არსებულ) კოგნიტურ სტრუქტურაში. ოზიბელის თეორიაში ახალი ცოდნის კონსტრუირება მთლიანად დამოკიდებულია ადრინდელ გააზრებულ მასალაზე. ამ კუთხით ოზიბელი კონსტრუქტივისტული შეხედულებების მქონე მკვლევართა თანამოაზრედ გვევლინება.

ფუნდამენტური განსხვავება ბრუნერისა და ოზიბელის თეირიებში ის არის, რომ ოზიბელის თანახმად მოსწავლეები უნდა უზრუნველვყოთ ორგანიზებული ინფორმაციით, ბრუნერი კი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტული ინფორმაციის გაცნობასა და მოსწავლეების მიერ საკუთარი ცოდნის ორგანიზებას.

## ექსპოზიციური სწავლება

ექსპოზიციური სწავლება გულისხმობს მოსწავლეებისადმი ინფორმაციის დასრულებული ფორმით გადაცემას. ასეთი სწავლების დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ არა ურთიერთკავშირების გამოვლენა, არამედ მათი დასწავლა. ოზიბელი ექსპოზიციურ სწავლებას ემხრობა და მიუთითებს, რომ იგი თავისი ბუნებით აქტიურია, არ ახშობს შემოქმედებით უნარებს და ასეთ პირობებში ხორციელდება გააზრებული სწავლება. ოზიბელი გვთავაზობს ხერხებს, რომლებიც დაეხმარაბა მასწავლებლებს ექსპოზიციური სწავლების დაგეგმვაში. ესენია:

- **წინასწარი მაორგანიზებლები** – წარმოადგენენ იდეებს ან ცნებებს, რომლებიც წინ უსწრებს ასახსნელ მასალას და განაპირობებენ ახალი ცოდნის ინტეგრირებას ძველთან, ანუ მოთავსებას კოგნიტურ სტრუქტურაში. ოზიბელი განიხილავს წინასწარი მაორგანიზებლების ორ ტიპს: პირველი, ეს არის ექსპოზიციური მაორგანიზებლები, რომლებიც ძირითადად ახალი მასალის ასახსნელად გამოიყენება, და მეორე, შედარებითი მაორგანიზებლები, რომელთა დანიშნულებაა განაწყონ მოსწავლეები ძველსა და ახალ მასალას შორის მსგავსება – განსხვავების მოსაძებნად. მასწავლებლები კლასში ხშირად გაუცნობიერებლად იყენებენ წინასწარ მაორგანიზებლებს, როდესაც, მაგალითად, ახალი მასალის ახსნის წინ აჯამებენ გასულ გაკვეთილზე შესწავლილ მასალას. თუმცა, რეზიუმე ყოველთვის არ ემთხვევა წინასწარ მაორგანიზებლებს. წინასწარი მაორგანიზებლები უფრო აბსტრაქტულია და წარმოადგენს ზოგად იდეას, რომელიც ძველსა და ახალ მასალას აკავშირებს. განვიხილოთ ეს სასკოლო მაგალითზე:

რატომ ღირს უფრო ძვირი კომპრესორისმილიანი მანქანები?

შემთხვევის ადგილი: ქიმიის გაკვეთილი.
სიტუაცია: მასწავლებელი მეშვიდე კლასში ატარებს გაკვეთილს თემაზე "ოქრო".

**მასწავლებელი:** აბა, რომელი მეტყვის რატომ ღირს უფრო ძვირი კომპრესორისმილიანი მანქანები?
**გიორგი:** იმიტომ, რომ მათი წარმოება ძვირი ჯდება.
**მასწავლებელი:** არა, გიორგი, არც მთლად ასეა.
**ირაკლი:** იმიტომ, რომ ყველას სურს ჰქონდეს ასეთი მანქანა? ძალიან დიდი მოთხოვნაა?
**სალომე:** იმიტომ, რომ არ ჰყოფნის ყველას ვისაც სჭირდება? ძალიან მცირე შემოთავაზებებია?
**მასწავლებელი:** მოთხოვნა და შემოთავაზება... დაიმახსოვრეთ, თუკი რაიმე ნივთი არავის არ სჭირდება, იგი ეღირება ძალიან იაფი და პირიქით, თუკი რაიმე ნივთი ყველას სჭირდება, მაგალითად, თქვენი წიგნები, ეღირება ძალიან ძვირი. მოთხოვნა და შემოთავაზება-მაშ, ჩვენ დღეს ვისაუბრებთ ოქროს შესახებ, რომელიც არის ძალიან ძვირი და ასე აღელვებს ჩვენს წარმოსახვას. იქნებ საქმე შემოთავაზებაშია, ან მოთხოვნაში, ან იქნებ რაიმე სხვაში? მოდით, ვნახოთ, რა შეგვიძლია გავარკვიოთ.

- **დისოციაცია** – ოზიბელი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, რომელიც ძალიან გავს უკვე ნაცნობს, მალე გვავიწყდება, მაშინ, როცა განსხვავებული ინფორმაცია დიდხანს ინახება მეხსიერებაში. აქედან გამომდინარე, სწავლების ისეთი ხერხები, რომლებიც ხაზს უსვამენ ძველსა და ახალ მასალას შორის განსხვავებას, ხანგრძლივ დამახსოვრებას უწყობს ხელს. ამასთან ერთად აუცილებელია ახალი მასალა ძველს შევადაროთ, რათა გავაადვილოთ სწავლება. ამგვარად, ინფორმაციის შედარება მსგავსება-განსხვავების გზით ხელს უწყობს არა მხოლოდ მის იოლად დასწავლას, არამედ მის დამახსოვრებასაც.

- **სწავლებისადმი აზრის მინიჭება** – ოზიბელი თავის თეორიაში არაერთხელ აღნიშნავს, რომ სწავლება გააზრებულ პროცესს წარმოადგენს, რაც აბსოლუტურად უპირისპირდება მექანიკურ დასწავლას. მაგრამ ეს შეხედულება მხოლოდ ოზიბელის თეორიას როდი ახასიათებს. ბრუნერიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გააზრებულ სწავლებას და ამბობს, რომ აზრი გამომდინარეობს უშუალოდ იმ ურთიერთკავშირებიდან, რომელიც ცნებებს, იდეებს, ობიექტებსა და შემთხვევებს შორის არსებობს. აზრი არ წარმოადგენს ობიექტების, ცალკეული იდეების ან ცნებების თვისებას. მათ აზრი მხოლოდ ადამიანისთვის აქვთ და თანაც სხვა იდეებსა და ობიექტებთან მიმართებაში. ამდენად, აზრი არასოდეს უშუალოდ არ ცნობიერდება, არამედ კონსტრუირდება მოსწავლეების მიერ. ამ ურთიერთობაში კი ოზიბელის ძირითადი დებულებები შესაბამისობაში მოდიან კონსტრუქტივისტულ შეხედულებებთან.

## კოგნიტური მოსწავლეობა, როგორც კოგნიტური პედაგოგიური მოდელი

როგორც ვნახეთ, საბოლოო ჯამში, სწავლება აღმოჩენის გზით და სწავლება რეცეპციის გზით სავსებით შეუთანხმებელ მეთოდებს არ წარმოადგენენ. ორივე ატარებს კოგნიტურ ხასიათს და თითოეულის დანიშნულებაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინფორმაციის სრულად ათვისებას, დამახსოვრებას, გაამყაროს მოტივაცია და სწავლება აქტიურ პროცესად აქციოს.

კოგნიტური მოსწავლეობა ერთ-ერთი კონსტრუქტივისტული პედაგოგიური მოდელია, რომელიც ფართოდ არის დანერგილი დასავლეთში. მასში ერთმანეთს ერწყმის ბრუნერისა

და ოზიბელის შეხედულებები. ეს მოდელი ძირითადად განკუთვნილია დამწყებთათვის, რომლებიც მეცადინეობას გადიან ექსპერტთან. კოგნიტურ სფეროში ექსპერტები შეიძლება იყვნენ: მშობლები, ძმები, დები, სხვა თანატოლები, უმეტესად კი მასწავლებლები. ექსპერტის, ანუ მასწავლებლის როლი მდგომარეობს არა იმაში, რომ თავი გამოუტენოს მოსწავლეს ინფორმაციით, ციფრებით და ფაქტებით, არამედ მან უნდა მოიყვანოს მაგალითები და ბავშვი ძიებისთვის განაწყოს, უხელმძღვანელოს და მხარდაჭერა აგრძნობინოს. მოცემული მოდელის მიზანია უზრუნველყოს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარება.

კოგნიტური მოსწავლეობის მეთოდებია:

- **მიბაძვა** - იგივე მოდელირება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებისთვის სამუშაოს შესრულების ჩვენებას. მისი მიზანია მოსწავლეებმა არა მხოლოდ გაიმეორონ ექსპერტის მოძრაობა, არამედ შექმნან ამოცანის შესრულების კონცეპტუალური მოდელები. ამიტომ მიბაძვა, როგორც მეთოდი გამოსადეგია არა მხოლოდ მოტორული, არამედ კოგნიტური ამოცანებისთვისაც.

- **ვარჯიში** - გულისხმობს მოსწავლეთა ქცევის სპეციფიკური ასპექტების ფორმირებას როგორც კოგნიტურ დონეზე, ასევე მოტორულ დონეზე.

- **მხარდაჭერა** - მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ისეთი ამოცანის შესრულებაში, რომელიც ძნელად შესასრულებელი ეჩვენება მას. გამოყოფენ მხარდაჭერის ექვს პროცედურას: მობილიზაცია, თავისუფლების ხარისხის შემცირება, კურსის შენარჩუნება, კრიტიკული ასპექტების გამოყოფა, ფრუსტრაციის კონტროლი, დემონსტრაცია.

- **დაშორება** - გარკვეული აზრით წარმოადგენს მხარდაჭერის დანამატს. მხარდაჭერა თუ დახმარებასა და ხელმძღვანელობას გულისხმობს, დაშორებისას მოსწავლემ დავალება დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს. სხვა სიტყვებით, მოსწავლე დავალებას კომპენტენტური პირის ჩარევის გარეშე ასრულებს.

- **არტიკულაცია** - წარმოადგენს იდეის ვერბალური ფორმით ჩამოყალიბებას და სიტყვებით გადმოცემას. არტიკულაციის ერთერთ ხერხს წარმოადგენს კითხვა-პასუხი. მისი მიზანია მოსწავლეებმა გაიაზრონ საკუთარი კოგნიტური სტრატეგიები.

- **რეფლექსია** - მჭიდროდ უკავშირდება არტიკულაციას. ისიც ასევე მოითხოვს, რომ მოსწავლე ჯერ დაფიქრდეს და შემდეგ ილაპარაკოს ამოცანის შესრულების სტრატეგიებზე. ამ დროს ხდება აბსტრაქტული აზროვნების პროვოცირება.

- **გამოკვლევა** - კოგნიტური მოსწავლეობის პროცესში უკანასკნელ ნაბიჯს წარმოადგენს. იგი გულისხმობს შესწავლილი მასალის განზოგადებას.

კოგნიტური მოსწავლეობის მოდელის შემთხვევაში მასალის გადაცემა ხდება სამი პრინციპის მიხედვით: 1) ლოკალური გლობალურის შემდეგ. მისი მიზანია მოსწავლეებს ჯერ ზოგადად გადაეცეს შესასწავლი მასალა და შემდეგ დეტალებზე გადავიდეთ. 2) მასალის გადაცემა უნდა ხდებოდეს მარტივიდან რთულისკენ. 3) მოსწავლეებს უნდა გადაეცეს ინფორმაცია ათვისებული ცოდნის სხვადასხვა პირობებში გამოყენების შესახებ. ხშირად წიგნიდან, ლექციიდან, ან ლაბორატორიიდან მიღებული ცოდნა არ გამოიყენება ამ სიტუაციების გარეთ, რადგან მოსწავლეებს არავინ უხსნის, თუ სად უნდა გამოიყენენ იგი. ასეთ შემთხვევაში ცოდნა "ინერტულია". კოგნიტური მოსწავლეობის მოდელში კი ეს ხარვეზი დაძლეულია, რადგან იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ათვისებული ცოდნის განზოგადებასა და გამოყენებას.

## დასკვნის მაგიერ

სწავლების რომელი მეთოდია საუკეთესო? ამ საკითხის გამორკვევის მიზნით ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს ორი უდაო ფაქტი: პირველი ის, რომ მასალის გაგება, გააზრება და დამახსოვრება დიდად არის დამოკიდებული ბაზისური ცოდნაზე. ეს ფაქტი ხაზს უსვამს მოსწავლის წინასწარი მომზადების აუცილებლობასა და სწავლების იერარქიული ხასიათის მნიშვნელობას. მეორე ის, რომ მოსწავლეები, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური ჩვევები, სწავლობენ უკეთესად. ამდენად, მასწავლებლებმა კურიკულუმის შედგენისას დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ აზროვნების სტრატეგიებისა და ჩვევების სწავლებას, რომელსაც უზრუნველყოფს კოგნიტური მოსწავლეობა.

კვლევებმა ნათელჰყო, რომ სწავლების ეფექტურობაზე დიდ გავლენას ახდენს მასწავლებელიც. კარგი მასწავლებელი არის ის, რომელიც:

- იწყებს გაკვეთილს წინა მასალის მოკლე მიმოხილვით
- იწყებს გაკვეთილს მიზნის მითითებით
- მასალას აგებს პატარა ნაწილების სახით, რომელთა შორის მიმართებას ამყარებენ მოსწავლეები
- მასალას ხსნის ნათლად და დაწვრილებით
- ყველა მოსწავლეს ერთნაირად ააქტიურებს
- იძლევა ბევრ შეკითხვას და ცდილობს პასუხი მიიღოს ყველა მოსწავლისგან
- მოსწავლეთა შეცდომებს ასწორებს გამოვლენისთანავე
- უზრუნველყოფს ერთობლივ მუშაობას და ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მოსწრებას

მეცნიერები იმასაც მიუთითებენ, რომ არც ეს პროცედურებია უნიკალური, ვინაიდან იგი უფრო მიესადაგება კარგად სტრუქტურირებულ მასალას, რომელიც შეიძლება პატარა ნაწილებად დაჰყო. მაგრამ, როდესაც გაკვეთილის მასალა უფრო აბსტრაქტული ხასიათისაა (მაგ. როცა განიხილება ეთიკა, მორალი, მხატვრული შემოქმედება ან პოლიტიკა), საჭირო ხდება განსხვავებული პედაგოგიური მიდგომების გამოყენება.

## საკონტროლო კითხვები

- ჩამოთვალეთ კოგნიტური თეორიების ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ემყარება კონსტრუქტივისტული მიდგომა.
- ჩამოთვალეთ და განმარტეთ პირობები, რომლებიც ხელს უწყობს აღმოჩენის გზით სწავლებას.
- რას გულისხმობს სპირალური გეგმა.
- რა არის ძირითადი განსხვავება ოზიბელისა და ბრუნერის თეორიებს შორის.
- რაში მდგომარეობს წინასწარი მაორგანიზებლების როლი და დაასახელეთ მისი სახეები.
- ჩამოთვალეთ და განმარტეთ კოგნიტური მოსწავლეობის მეთოდები.

# განმარტეთ ცნებები

- კოგნიტური ქმედება [illegible]
- დირექტიული სწავლება – [illegible]
- სწავლება აღმოჩენის გზით – [illegible]
- ექსპოზიციური სწავლება – [illegible]
- კოგნიტური მოსწავლეობა – [illegible]
- დეკლარატიული ცოდნა
- პროცედურული ცოდნა

# დანართი

## კოგნიტური დასწავლა (რეზიუმე)

| შეხედულებები | ახსნა / შედეგები |
|---|---|
| 1. დასწავლა ეფუძნება ადრე ნასწავლს, წინა გამოცდილებას | 1. მოსწავლეები იმთავითვე არათანაბარ მდგომარეობაში არიან. მათი მომზადების და მოტივაციის სხვადასხვაობის გამო ისინი სხვადასხვანაირად იაზრებენ ერთსა და იმავე გამოცდილებას. |
| 2. დასწავლა ინფორმაციის გადამუშავებას მოიცავს. | 2. ეს არის აქტიური პროცესი, რომელიც დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა იცის მოსწავლემ უკვე. |
| 3. აზრი მოიცავს ურთიერთკავშირებს. | 3. აზრი, რომელიც აიგება გამოცდილებიდან, ასახავს ურთიერთობებს წინად და ახლა ნასწავლს შორის. |
| 4. დასწავლამ და სწავლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ურთიერთკავშირებსა და სტრატეგიებს. | 4. აქცენტი კეთდება გააზრებაზე და არა მექანიკურ დასწავლაზე. მიზანია დავეხმაროთ მოსწავლეს ისწავლოს არა მხოლოდ გარკვეული ინფორმაცია, არამედ ის, თუ როგორ ისწავლოს. |

## ოზიბელის გააზრებული ვერბალური დასწავლის თეორია (რეზიუმე)

| ოზიბელის ტერმინოლოგია | განმარტებები |
|---|---|
| 1. მიერთება შეიძლება იყოს<br>ა) წარმოებული ბ) კორელაციური | 1. ა) ახალი მასალის უკვე ნასწავლ მსგავს მასალასთან მიკუთვნება;<br>ბ) ძველი ცოდნის გავრცელება მსგავს, მაგრამ ახალ მასალაზე. |
| 2. მიერთებას მივყავართ ცოდნის იერარქიულ მოწესრიგებამდე: ყველაზე ზოგადიდან ყველაზე კონკრეტულისკენ. | 2. დასწავლა ვლინდება ახალ ცოდნაში და მოსწავლის მიერ ცოდნის ელემენტებს შორის დამოკიდებულებების გაგებაში. |
| 3. გაგება დისოციაციური მიერთებაა. | 3. გახსენება მოითხოვს ახალი ცოდნის ძველისაგან გამოყოფის უნარს. |
| 4. დავიწყება გულისხმობს ნულოვან დისოციაციას ანუ ობლიტერაციულ მიერთებას. | 4. დავიწყება ხდება მაშინ,როდესაც მასალის გამოყოფა შეუძლებელი ხდება , იმისაგან,რაც ადრე გვისწავლია. |

## პერსონალური დღიური

ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს არის [illegible]

[illegible]

[illegible]

განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა [illegible]

[illegible]

კითხვები, რომლებიც გამიჩნდა

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახაზე ან ჩახატე.

# თავი XI

## სწავლებისადმი ჰუმანისტური მიდგომა

> აღზრდის ობიექტს მარტო ინტელექტუალური ძალები კი არა, მთელი მისი ბუნება უნდა შეადგენდეს; თანამედროვე სკოლა კი ისეა მოწყობილი, რომ იგი მხოლოდ ინტელექტის ძალებს მართავს... საჭირო იქნებოდა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მოზარდის მთელი ბუნების ამოქმედებას მოითხოვდა
>
> დ. უზნაძე

რსილი (ამეჯი) წელია რაც მასწავლებლად მუშაობს და აი, რას გვიამბობს ის თავისი მუშაობის პირველი წლის შესახებ:

„ოცდაოთხი წლის ვიყავი და მეათე კლასს ვუტარებდი გაკვეთილებს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ საშინლად ვღელავდი. ყველაზე მეტად დისციპლინის საკითხი მაღელვებდა, ამიტომ განსაკუთრებით გაფაციცებით ვადევნებდი თვალს კლასში მოსწავლეთა ქცევას და ვცდილობდი სწრაფად და ჩემი აზრით, საბოლოოდ გადამეჭრა პრობლემები.

კლასში ერთი მოსწავლე იყო, თემო, - სხვებთან შედარებით ტანად მოზრდილი და ასაკითაც უფროსი. იგი ცუდად სწავლობდა. მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა რთული იქნებოდა. ასეც მოხდა. მეორე თუ მესამე გაკვეთილს ვატარებდი, თემო მერხთან იჯდა თუ იწვა, ვერ გაიგებდი. ფეხები გასასვლელში ფართოდ გაეშალა და გადაწოლილს უფრო ჰგავდა, ვიდრე მჯდომარეს. თვალი მკაცრად შევავლე და რამდენიმე მკვახე ფრაზაც მივახალე. შენიშვნამ იმოქმედა, მაგრამ მალე იძულებული გავხდი, ისევ მიმეთითებინა ჯდომის მანერაზე. იგივე გამეორდა მეორე დღეს, ვიდრე სრულიად არ გამოვედი წონასწორობიდან: მივუახლოვდი მის გამოშვერილ ფეხებს ჩემი ტერფი ამოვარტყი და ფეხები მერხის ქვეშ შევაწყობინე. ამ მომენტში აშკარად ვიგრძენი, როგორ ვძულდი მას. მივხვდი, რომ მტერი შევიძინე. დრო გადიოდა, პრობლემა კი უფრო მძაფრდებოდა: ყურადღებას არ მაქცევდა, თითქოს რაღაც საქმით იყო დაკავებული, ჯდომას კი ისევ იმ პოზაში განაგრძობდა. საგანს, რათქმაუნდა, არ სწავლობდა, მერხიდან გამოწყობილ ფეხებს კი ჩემს შენიშვნაზე მერხის ქვეშ შეაწყობდა, თითქოს ახლახანს გაახსენდა, რომ ცუდად იჯდა.

გადავწყვიტე ჩემი მდგომარეობა სკოლის სასწავლო ნაწილისათვის გამეცნო. ასეც მოვიქეცი. „მას სერიოზული პრობლემა აქვს" - დასკვნის სახით მოვახსენე და დაველოდე მის რეაქციას. არასოდეს დამავიწყდება რა მიპასუხა სასწავლო ნაწილის გამგემ: „დარწმუნებული ხართ, რომ ეს მისი პრობლემაა? როგორ ფიქრობთ, შეგნებულად იქცევა ასე უხეშად და ასე უყურადღებოდ? ეს თქვენი პრობლემა ხომ არ არის?"

ამ მარტივმა შეკითხვამ არსებითად შეცვალა ჩემი წარმოდგენა თემოზე და ჩემი პედაგოგიური კარიერა. მან ბევრ რამეზე დამაფიქრა. პრობლემა მართლა რეალურად არსებობს თუ მე მოვიგონე? თემო ხელმეტად ტანადი ხომ არ არის ამ პატარა მერხისათვის? არ სწავლობს თუ ვერ სწავლობს? რაც უფრო მეტ შეკითხვას ვსვამდი, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი და თემოს ურთიერთობა მთლად განწირული არ იყო. თანდათან სხვა თვალით შევხედე დანარჩენ მოსწავლეებსაც. კითხვას, რომელსაც ამიერიდან ყველაზე ხშირად ვსვამდი, ასეთი იყო: რას ვიგრძნობდი, რას გავაკეთებდი, მე რომ მათ ადგილზე ვყოფილიყავი?"

## ძირითადი საკითხები:

- ჰუმანისტური ფსიქოლოგია;
- ა. მასლოუს ჰუმანისტური თეორიის ძირითადი პრინციპები;
- კ. როჯერსის ჰუმანისტური თეორია;
- სპეციალური ჰუმანისტური პროგრამები;
- მეცნიერთა აზრი ჰუმანისტურ განათლებაზე.

# ჰუმანისტური ფსიქოლოგია

ჰუმანისტური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის მესამე და ყველაზე ახალი მიმართულებაა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ადამიანის ბუნების შესახებ არსებული სხვა თეორიებისაგან.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითად შესასწავლ ობიექტს წარმოადგენს ადამიანი, როგორც უნიკალური ერთიანი სისტემა, ეს უკანასკნელი კი მოცემულია არა წინასწარ, მზა ფორმით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვითაქტუალიზაციის „ღია შესაძლებლობას."

ჰუმანისტური ფსიქოლოგიისათვის ყოველი ადამიანი უნიკალურია, ამიტომაც თითოეული შემთხვევის ანალიზი ისევე საინტერესოა და გამართლებული, როგორც სტატისტიკური განზოგადება. ადამიანის მიერ სამყაროს განცდა და ასევე საკუთარი თავის განცდა სამყაროში წარმოადგენს მთავარ ფსიქოლოგიურ რეალობას. ჰუმანისტური მიდგომით, ადამიანს გააჩნია უწყვეტი განვითარებისა და თვითაქტუალიზაციის პოტენციალი, იგი თავისუფალია შინაგანი დეტერმინანტებისაგან იმ ღირებულებების წყალობით, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს ცხოვრებაში არჩევანის გაკეთების დროს.

ჰუმანისტური მიდგომა ფსიქოლოგიაში ახლოს დგას ექსისტენციალურ ფილოსოფიასთან (ექსისტენცია – არსებობის საზრისი), რომლის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ადამიანის მისწრაფება იპოვოს თავისი არსებობის ჭეშმარიტი აზრი, ის განიხილება, როგორც ოპტიმისტური „მესამე ძალის" ფსიქოლოგია ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის შემდეგ, რომლის მიხედვითაც, ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე სტიმულ-რეაქცია ან ცხოველურ ლტოლვათა ერთიანობა. იგი მიმართულია მომავლისაკენ, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისაკენ (ა. მასლოუ), ასევე ჰუმანისტური მიდგომის თანახმად, ადამიანი მზად არის საკუთარი შესაძლებლობების შესახებ რწმენის ასამაღლებლად და „იდეალური მე"-ს ფორმირებისათვის (კ. როჯერსი).

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლობებისათვის მიუღებელია ის, რაც მათი თვალსაზრისით, ფსიქოლოგიისა და განათლების ტრადიციულ მიდგომებში მექანიკური და არაჰუმანურია. მათი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, მოსწავლის უნიკალურობა და მეორეს მხრივ, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა. მასწავლებლისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ მოსწავლეები სამყაროს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და თუ მას აქვს სურვილი დაუახლოვდეს თავის მოსწავლეს, იგი უნდა შეეცადოს, რომ მისთვის ღირებული და მისაღები გახდეს მოსწავლის შეხედულებები.

თუ სწავლება ერთდროულად არის მეცნიერებაცა და ხელოვნებაც, ჰუმანისტებისათვის სწავლება ხელოვნებაა, მაშინ, როდესაც ბიჰევიორისტებისათვის – მეცნიერებაა.

# მასლოუს ჰუმანისტური თეორიის ძირითადი პრინციპები

ტერმინი ჰუმანისტური ფსიქოლოგია XX ს. 60-იან წლებში მასლოუსა და მისი თანამოაზრეების მიერ დაერქვა ფსიქოლოგიაში იმ მიმართულებას, რომელიც დაუპირისპირდა ფსიქოანალიზსა და ბიჰევიორიზმს. სხვადასხვა თეორიულ შრომებში მასლოუმ წამოაყენა ჰუმანისტური თეორიის ძირითადი იდეები, რომელთა ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია პედაგოგებისათვის. ეს შეხედულებები განათლების ახალი ფილოსოფიის ღერძს წარმოადგენს.

- ინდივიდი არის ერთიანი, მთლიანი, ერთი დიდი არსება.

- ადამიანის ქცევა მოტივირებულია გარკვეულებით (ცხოვრების ქცევისაგან და მოთხოვნებზე ( ... ) არიან ამ მიზნით, რომ გავიგოთ ადამიანი. შეუძლებელია (მაგ. ფილმები, ლიტერატურები, სამეცნ. ხელოვნება, თეატრი, მუსიკა, ... გასვლა და სხვა თვისებები (წმინდა ადამიანური).

- ადამიანი თავისი ბუნებით კარგია (უკიდურეს შემთხვევაში ნეიტრალური) და ცუდი თვისებები, რომლებსაც ის ავლენს ძირითად მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობით არის გამოწვეული. ის არ არის თანდაყოლილი ინსტინქტებით განპირობებული. ყველა ადამიანში არის ზრდის და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის ტენდენცია და მას ხელშეწყობა უნდა.

- ადამიანი შემოქმედებითი არსებაა. იგი ქმნადობისთვისაა გახსნილი, ისევე როგორც ხე ნაყოფისათვის. თუ ადამიანი ამ თვისებებს ვერ ამჟღავნებს, ამაში დიდი როლი განათლების სისტემასაც მიუძღვის - აღნიშნავს მასლოუ.

- ჰუმანისტური მიდგომა აქცენტს აკეთებს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, განსხვავებით ფროიდისაგან, რომლის თეორიაშიც მთავარი ადგილი უჭირავს ავადმყოფობას, პათოლოგიას, ცუდ ადაპტაციას.

მასლოუს თეორია ძალზე ოპტიმისტურია. თითოეული ადამიანი უნდა ისწრაფვოდეს, რომ მაქსიმალურად განავითაროს თავისი შინაგანი პოტენციალი. ამასვე უნდა ითვალისწინებდეს ოჯახი, სკოლა, საზოგადოება. მაინც როგორია თვითაქტუალიზირებული პიროვნება?

- იგი ადეკვატურად აღიქვამს რეალობას, ჩვეულებრივ მოვლენებშიც ხედავს რაღაც საინტერესოს, მისტიურსაც კი.
- ახასიათებს საკუთარი თავის და სხვების მიღებლობა, ისეთის, როგორიც არის;
- უშუალოა, უბრალოა, ბუნებრივი;
- ცენტრირებულია პრობლემებზე და არა საკუთარ „მე"-ზე;
- დამოუკიდებელია, ავტონომიური, ახასიათებს „ნების თავისუფლება";
- ახასიათებს საზოგადოებრივი ინტერესი, თანაგრძნობის უნარი, კაცობრიობის სიყვარული;
- ახასიათებს ღრმა პიროვნებათშორისი დემოკრატიული სტილის ურთიერთობები;
- არიან ეთიკურები და იცავენ ზნეობრივ ნორმებს, მიჯნავენ მიზანსა და საშუალებებს;
- აქვთ იუმორის ფილოსოფიური გრძნობა;
- არიან კრეატიულები, შემოქმედებითები;
- ერთის მხრივ, პატივს სცემენ კულტურულ კონტექსტს, მეორეს მხრივ, არიან შინაგანად დამოუკიდებლები.

რასაკვირველია, თვითაქტუალიზირებულ ადამიანებს ახასიათებს სისუსტეებიც. მაგალითად, შეიძლება იყვნენ ჯიუტები, ზედმეტად ამაყნი, სხვებისათვის მოსაწყენნი და სხვ.

მასლოუს თეორიის სწორი გააზრება მეტად ღირებულია სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტებისთვის, პირველ რიგში, სკოლისათვის, სადაც ქცევის კონტროლი ძირითადად მკაცრ დისციპლინაზე და დასჯის გამოყენების მექანიზმზეა დაფუძნებული. უმთავრესი ენერგია იხარჯება იმაზე, რომ ადამიანში ... ვნახოთ, - ამბობს მასლოუ.

გააუმჯობესეთ ადამიანის ბუნება და ამით ყველაფერი გაუმჯობესდება - 50 წლის წინ გამოთქმული მასლოუს ეს მოწოდება დღესაც ძალზე აქტუალურად ჟღერს, განსაკუთრებით მასწავლებლებისთვის.

# როჯერსის ჰუმანისტური თეორია

XXს-ის ერთ-ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგი კ. როჯერსი დაიბადა 1902 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი სახელი უპირველეს ყოვლისა უკავშირდება ერთ-ერთ მიმართულებას ფსიქოთერაპიაში, რომელიც თავდაპირველად აღმოცენდა, როგორც რეაქცია ისეთ პოპულარულ მიმდინარეობებზე, როგორებიცაა ფსიქოანალიზი და ბიჰევიორიზმი.

კ. როჯერსის ნაშრომები დამყარებულია არა იმდენად ობიექტურ მონაცემებზე, რამდენადაც მის პასუხზე, თუ რას ფიქრობენ ადამიანები სამყაროზე? რა გრძნობები ეუფლებათ მათ? როგორ განიცდიან თავიანთ ურთიერთობას სხვა ადამიანებთან? რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ეს ურთიერობები შეიცვალოს?

როჯერსის თეორია დღესაც ახდენს დიდ გავლენას ფსიქოთერაპიაზე, ასევე იგი საშუალებას აძლევს მასწავლებლებლებს გამოიყენონ მისი თეორია მოსწავლეებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. მან თავისი თეორიით დაადასტურა, რომ უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო საშუალებას აძლევს თითოეულ ადამიანს (მათ შორის ბავშვს) იაროს თვითშემეცნებისა და თვითპატივისცემის გზით, შეძლოს დამოუკიდებელი სწავლა.

კ. როჯერსის თეორიის აღწერისას ძირითადად იყენებენ რამოდენიმე ტერმინს:

- **პიროვნებაზე ცენტრირებული თერაპია** – ეს ტერმინი პირველ რიგში მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული თეორიას თერაპიული მიმართულება გააჩნია. ასევე ეს ტერმინი გვიჩვენებს, რომ ჰუმანისტური ფსიქოთერაპია ორიენტირებულია ადამიანზე და უპირისპირდება ე.წ. დირექტიულ თერაპიას. თერაპევტი პაციენტს არ აძლევს რჩევებს და არ უგვარებს პრობლემებს, არამედ უქმნის საფუძველს, რათა პაციენტმა თვითონ გააცნობიეროს საკუთარი პრობლემები და გადადგას ნაბიჯი მათ გადასაჭრელად. ასევეა ჰუმანისტური სწავლებაც, იგი უპირისპირდება ე.წ. დირექტიულ სწავლებას. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ისწავლოს დამოუკიდებლად.

- **ფენომენოლოგია** – როჯერსისეული თეორიის ეს მეორე პოპულარული ტერმინი გულისხმობს, რომ ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა არის სუბიექტური და ეს სუბიექტური რეალობა განსაზღვრავს მის ქცევას. ფსიქოთერაპევტებმა და მასწავლებლებმა შეიძლება ვერც ვერასდროს შეიცნონ ადამიანის ფენომენოლოგიური სამყარო – აღნიშნავს როჯერსი, რადგან ეს სამყარო მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის პირად „საკუთრებას“ წარმოადგენს.

ავიღოთ მაგალითად ბავშვის შეჩივლება დედისადმი, როდესაც იგი კოშმარული სიზმრის გამო ილვიძებს - „დედა, მეშინია“. ბავშვის ეს რეალური შიში დედისათვის მტკივნეულია და გასაგები, მაგრამ იგი მაინც მხოლოდ ცდილობს წარმოიდგინოს შვილის განცდები, ცდილობს გაიხსენოს საკუთარი შიშები, მაგრამ რეალურად მაინც არ შესწევს უნარი შეიმეცნოს შვილის შიში, რადგან ერთი ადამიანის ფენომენოლოგიური სამყარო შეუძლებელია მთლიანად გაიგოს მეორე ადამიანმა. კომპეტენტურ მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს. (როგორც ეს გააკეთა არჩილ მასწავლებელმა). ამიტომაც, როჯერსის მიხედვით, ყველა ჰუმანისტი მასწავლებლის მთავარ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ემპათია (უნარი - სხვა ადამიანის განცდების წვდომისა).

- **თვითაქტუალიზაცია** – ეს ტერმინი ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში გამოხატავს პროცესს ან აქტს, რომლის დროსაც პიროვნება „აღმოაჩენს საკუთარ თავს", ავითარებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს, აცნობიერებს საკუთარ ინდივიდუალობას.

კ. როჯერსი თვლის, რომ ადამიანებს ახასიათებთ შინაგანი თვითრეალიზაციის ტენდენციები მიმართული კომპეტენტური, ჯანმრთელი და შემოქმედებითი ფუნქციონირებისათვის.

თვითაქტუალიზაციამდე გზა გრძელია. ამ გზაზე ადამიანს უხდება ურთიერთობა მშობლებთან და სხვა ადამიანებთან. თანდათან ყალიბდება წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არის იგი რეალურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი იქმნის წარმოდგენას საკუთარ „მე"-ზე.

„მე"-ს ფორმირებისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის ორი წყარო:

- ერთის მხრივ, ეს არის ბავშვის რეალური გამოცდილება. მაგ: გამოცდილება იმის, ხასიათეული საყვარელი და მასთან დაკავშირებული პოზიტიური ემოციები, გამოცდილება ტკბილის შეგრძნებისა და იმის გაცნობიერება, რომ „მე"-ს არ მოსწონს. როგორც მას გავლენას ახდენენ გამოცდილება სიამოვნების შეგრძნებისა საკვების მიღებისას! და გაცნობიერება იმისა, რომ საჭმელები კარგია. ეს რეალური გამოცდილებები მიჰყავს ადამიანი „მე"-ს განვითარებამდე.
- მეორეს მხრივ, ბავშვის ცნობიერებაში შემოდის „მე"-ს არაპირდაპირი გამოცდილება. მაგ. ბავშვს ეუბნებიან: „შენ ნამდვილი ჭკვიანი ხარ", „რა კარგი ბავშვი ხარ". ეს არაპირდაპირი გამოცდილება მის წილადობის „მე"-ს შესახებ დადებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. მისი საპირისპირო, ნეგატიური წარმოდგენა „მე"-ს შესახებ კი ყალიბდება იმავე ფრაზებით, როგორიცაა: „შეხედეთ როგორი ცუდია ეს ბავშვი", „რა ცუდი ბავშვი ხარ". „მე"-ზე ასევე შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ცუდმა ნიშნებმა და მასწავლებლის ცინიკურმა შეფასებამ.

ხშირად ხდება, რომ ბავშვის უშუალო და არაპირდაპირი გამოცდილება წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან და იწვევენ კონფლიქტურ წარმოდგენებს „მე"-ს შესახებ. ავიღოთ მაგალითად მოსწავლე, რომლის არაპირდაპირი გამოცდილება ამტკიცებს და დაარწმუნებს, რომ მესწრებს უნარი ისწავლოს კარგად. იგის ნიჭიერი (დედა ხშირად უმეორებს, რომ იგი ნიჭიერია), მაგრამ ეს ბავშვი მუდმივად ჩამორჩება სწავლაში სხვა მოსწავლეებს. ასეთი კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მოხდეს რამოდენიმე ფორმით.

- ბავშვი უნდა დაეყრდნოს უშუალო გამოცდილებას და აღიაროს რომ იგი არც თუ ისეთი ნიჭიერია, ან
- ბავშვი უნდა დაეყრდნოს თავის არაპირდაპირ გამოცდილებას, დაამახინჯოს თავისი უშუალო გამოცდილება და დაიჯეროს, რომ იგი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ არ უყვართ მასწავლებლებს ან მოიგონოს სხვა დამატებითი ინფორმაცია, რათა გადაჭრას არსებული კონფლიქტი.

კ. როჯერსი აღნიშნავს, რომ შემდგომში ადამიანის არაადეკვატური ქცევის მიზეზი, სწორედ ეს გადაუჭრელი და მოუგვარებელი კონფლიქტებია.

ყოველივე ამის გამო ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები თვლიან, რომ მასწავლებლები და მშობლები უნდა შეეცადონ, რომ ბავშვის შესაძლებლობების რაც შეიძლება სწორი და ადეკვატური შეფასება მოახდინონ. მასწავლებელმა შეიძლება ახალისოს მოსწავლე, მაგრამ ეს წახალისება მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.

# სპეციალური ჰუმანისტური პროგრამები

ყველა სპეციალური ჰუმანისტური სასკოლო პროგრამებისთვის დამახასიათებელია ის, რომ ეს პროგრამები უპირისპირდება ე.წ. ტრადიციულ სწავლებას. ეს პროგრამებია: შერწყმული სწავლება, რომელიც ცდილობს გააერთიანოს კოგნიტური უნარები და ემოციები; ღირებულებათა სწავლება, რომელიც მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაზეა მიმართული; ღია განათლება, რომელიც ასევე მოსწავლის ემოციურ განვითარებაზეა მიმართული; სწავლება, რომელიც ითვალისწინებს დასწავლის სტილს და თანამშრომლობით სწავლებას. ყველა ეს მიდგომა ხასიათდება ადამიანზე ზრუნვით, მაგრამ ასევე ორიენტირებულია მოსწავლის აკადემიურ და კოგნიტურ ზრდაზე. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი მოკლედ:

**შერწყმული განათლება** – გულისხმობს სწავლა/სწავლების აფექტური (ემოციური) და კოგნიტური ასპექტების გაერთიანებას. ტრადიციული სწავლება აშკარად კოგნიტური ორიენტაციით ხასიათდება. მისგან განსხვავებით შერწყმულ განათლებას ახასიათებს:

- პროცესზე ორიენტაცია: ნაკლებად მნიშვნელოვანია „რას" ვასწავლით, ვიდრე „როგორ" ვასწავლით. მოსწავლეები იზიარებენ და საუბრობენ იმაზე, თუ რას გრძნობენ დასწავლის პროცესში.
- ორიენტაცია თვითგამორკვევაზე: ავტონომია, თვითმართველობა და თვითშეფასება, დირექტიული სწავლებისა და შეფასების ნაცვლად.
- აფექტური სფეროსადმი ყურადღება: გრძნობებს და პიროვნულ გამოცდილებას ენიჭება უპირატესობა. ნაკლები ყურადღება ექცევა აბსტრაქტულ, ობიექტურ მიდგომებს.
- სიახლის წახალისება.
- პიროვნული ზრდა.
- ინდივიდუალიზმი.

ეს პროგრამები ინტენსიურად გამოიყენება სკოლებში, ასევე ასპირანტებთან, რომლებიც პედაგოგობისთვის ემზადებიან.

**ღირებულებების დაუფლებაზე მიმართული პროგრამები.** ბევრი თვლის, რომ ღირებულებების აღზრდას ოჯახი და ეკლესია უნდა ემსახურებოდეს, სკოლა კი საგნებს უნდა ასწავლიდეს. ჰუმანისტები საკითხის ასეთ დაყენებას არ ემხრობიან. მასწავლებლებს დაუსვეს შეკითხვა თუ რა ღირებულებების აღზრდაზე უნდა იზრუნოს სკოლამ, აღმოჩნდა, რომ 75% თვლის შემდეგს: პასუხისმგებლობა, პატივისცემა, მზრუნველობა, სანდოობა, სამართლიანობა.

ჰუმანისტური მიმართულების სკოლები ზრუნავენ იმაზე, რომ მოსწავლეებმა აქტიურად გამოხატონ თავიანთი შეხედულებები მორალისა და ზნეობის შესახებ. ეს პროგრამები ხშირად უკავშირდება ეკოლოგიურ და სანიტარულ განათლებას. ამ მიზნით იყენებენ როგორც მორალური სიტუაციების გათამაშებას, ასევე დირექტიულ სწავლებასაც. რა შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული პროგრამის ეფექტურობის განმსაზღვრელად? მიუთითებენ, რომ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ჩხუბის შემცირება, კლასში ყოფაქცევის და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, სწორედ ამის მაჩვენებელია.

**ღია კლასი** – განსხვავდება ტრადიციული კლასისაგან იმით რომ:

1. მთავარი ყურადღება ექცევა ინდივიდუალურ ზრდას, კრიტიკულ აზროვნებას, საკუთარ ძალებს, თანამშრომლობას, მუდმივ სწავლაზე ორიენტაციას.
2. ორიენტირებულია მოსამწავლეზე და არა მასწავლებელზე.
3. ნაკლებად ფორმალურია და არ არის შეზღუდული სასწავლო გეგმით.

ღია განათლების ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: სკოლა ზრუნავს მოსწავლეზე და არა განათლებაზე ვიწრო მნიშვნელობით. უარს ამბობს ტრადიციული სკოლის რუტინაზე, მუშაობა მიმართულია ემოციურ და სხვა თვისებათა განვითარებაზე. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ასეთ სკოლებში მოსწავლეები უფრო კრეატიულები და თავისუფლები არიან, მაგრამ ეს ხდება აკადემიური დონის დაწევის ხარჯზე. ამის გამო ეს მიდგომა დღეს ნაკლებად პოპულარულია.

**თანამშრომლობითი სწავლება** – ეს არის სწავლების ისეთი ფორმა, რომელიც საერთო მიზნის მისაღწევად დაფუძნებულია მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაზე. იგი მოიცავს ოთხ კომპონენტს: 1. დადებითი ურთიერთდამოკიდებულება; 2. ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება; 3. პირისპირ ურთიერთობები; 4. თანამშრომლობის ჩვევების სწორი გამოყენება და ჯგუფური შეფასება.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ თანამშრომლობითი სწავლება ძალზე ეფექტურია როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელში. მიიჩნევენ, რომ სწავლების ეს მეთოდი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, არგუმენტირების ჩვევას და სხვა. ასევე დაბლა სწევს მოსწავლეთა შფოთვას, სტრესს, აძლიერებს სწავლისადმი შინაგან მოტივაციას და სხვა.

ჰუმანისტური ფსიქოლოგები თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს დიდ პროპაგანდას უწევენ. სხვები კი თვლიან, რომ სწავლების აღნიშნული მეთოდი ზოგიერთი მოსწავლისთვის საკმაოდ არაეფექტურია. მაგ.: ჯგუფური მუშაობის პროცესში წარმატებული მოსწავლეები ბევრად უფრო აქტიურობენ, ვიდრე ჩამორჩენილები. მათში ჯგუფური მუშაობა ერთგვარ უხერხულ განცდებს იწვევს, ამის გამო ისინი ხშირად უარს ამბობენ მასში მონაწილეობაზე.

## კონსტრუქტივიზმი, ჰუმანიზმი და სწავლების ოპტიმალუტრი პრაქტიკა

სხვადასხვა კულტურაში სასკოლო სისტემისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მაგ. იაპონიაში მოსწავლეებს სასკოლო სისტემასთან შესაბამისობა მოეთხოვებათ, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის მოსწავლეები აქცენტს სასკოლო სისტემის შეცვლაზე აკეთებენ. არსებობს სხვა ალტერნატიული ფორმაც, რომელიც ითვალისწინებს ამ ორი განსხვავებული მიდგომის ურთიართთანამშრომლობას. მაგ: სკოლა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს, ერთის მხრივ, ისეთ ღირებულებებს როგორიცაა პასუხისმგებლობა, პატივისცემა, კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა, იმედი და სამართლიანობა, ხოლო მეორეს მხრივ, ცდილობს მოსწავლეს ასწავლოს მათი გააზრება, მსჯელობისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე.

როჯერსის თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანისტური განათლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს: მოსწავლეთა გრძნობის და აზროვნების განვითარებას; მოსწავლეთა პოზიტიური „მე"-ს კონცეფციის განვითარებას; მოსწავლეთა შორის ურთიერთობებს; მოსწავლეთა პიროვნული ღირებულებების აღიარებას.

ჰუმანისტური განათლების ძირითადი მიზნებია: კრიტიკული აზროვნების განვითარება, ორიენტაცია მოსწავლეზე, სკოლა მოსწავლეთა ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, რაც მოსწავლეების და მასწავლებლების თანამშრომლობის პროცესს ითვალისწინებს.

როდესაც ჰუმანისტური განათლების უპირატესი მნიშვნელობის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად ტრადიციულ სკოლებში არ ითვალისწინებენ

მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, მაგ: ბიოლოგიურ რითმს და მათ ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს. არიან მოსწავლეები, რომელთათვის დილით გაღვიძება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს და ისინი აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში, მაგრამ არიან მოსწავლეები, რომელთათვისაც შეუძლებელია დღის რეჟიმში ეფექტურად ჩართვა და ეს, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს მათი ცოდნის დონის ამაღლებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგი მოსწავლე დილით უფრო კარგად სწავლობს, ზოგი კი საღამოს, ზოგი ხმაურიან გარემოში უფრო კარგად ითვისებს მიწოდებულ მასალას, ვიდრე მშვიდ გარემოში და პირიქით. ერთი სიტყვით, თითოეულ მოსწავლეს სწავლის თავისი გარკვეული ინდივიდუალური სტილი აქვს შემუშავებული. ჰუმანისტური განათლება ინდივიდუალური სტილის სასკოლო სისტემასთან შესაბამისობისაკენ მოუწოდებს პედაგოგებს.

**ცხრილი № 12.** მოსწავლეთა ტიპოლოგია და პედაგოგიური რეკომენდაციები

| მოსწავლეთა ტიპი | მახასიათებელი | პედაგოგიური მიდგომა |
|---|---|---|
| აქტივისტი | მგზნებარე<br>იმპულსური<br>იდეური<br>მოქნილი | ჯგუფური პროგრამები, აქტივობაზე ორიენტირებული სწავლება |
| რეფლექსიური | ფრთხილი<br>ყურადღებიანი<br>დაფიქრებული<br>განსჯადი | მეცადინეობა განმარტოებით, საშინაო დავალება – კითხვა, თვითრეგულირებადი დასწავლა. |
| თეორიული | ლოგიკური<br>რაციონალური<br>დისციპლინირებული<br>ობიექტური | კომპიუტერული სწავლება, კონცეპტუალური მოდელები, მეცნიერული მიდგომები |
| პრაგმატული | პრაქტიკული და მიწიერი | მიზანმიმართული, პრაქტიკული გამოცდილება |

ჰუმანიზმი არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ პედაგოგიური მიდგომა, პედაგოგიური მეთოდი. ჰუმანიზმი უფრო მეტია, შეიძლება ითქვას, რომ ის განათლების ფილოსოფიაა. იგი გვირჩევს შეიქნას კლასები, რომელიც უფრო მეტად:

- ორიენტირებულია მოსწავლეზე
- დაფუძნებულია გამოცდილებაზე
- რეფლექსიურია
- გულწრფელი
- სოციალური
- კოოპერაციული
- დემოკრატიული
- კოგნიტური
- ითვალისწინებს განვითარებას (ონტოგენეტურია)
- მასტიმულირებელი

იგი აგრეთვე გვირჩევს, რომ სკოლაში ნაკლები იყოს:

- დირექტიული სწავლება
- მოსწავლეთა მხრიდან პასიურობა (მხოლოდ მოსმენა, ინფორმაციის მიღება)
- აზრს მოკლებული წერითი დავალებები
- სახელმძღვანელოების მექანიკური კითხვა და დაზეპირება
- აქცენტი კონკურენციასა და ნიშნების მიღებაზე
- სტანდარტიზებულ ტესტებზე დაყრდნობა

## საკონტროლო კითხვები

- რაში მდგომარეობს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის არსი?
- რაში მდგომარეობს მასლოუს თეორიის ძირითადი პირობები?
- როგორია კარლ როჯერსის თეორიის ძირითადი პრინციპები?
- რა არის ჰუმანისტური განათლების ძირითადი მიზნები?
- რას მიიაზრებენ სწავლების ჰუმანისტურ პროგრამებში?
- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ გაკვეთილის ჩატარებას თანამშრომლობის საფუძველზე?

## მიუწერეთ ცნებებს მნიშვნელობები:

- ჰუმანისტური ფსიქოლოგია - [illegible]
- ფენომენოლოგია [illegible]
- თვითაქტუალიზაცია - [illegible]
- მოსწავლეზე ორიენტაციული სწავლება _
- შერწყმული განათლება – [illegible]
- თანამშრომლობაზე დაფუძნებული დასწავლა . [illegible]



## დანართი

## სწავლებისადმი სამგვარი მიდგომა

| მიდგომები | ამოსავალი წერტილი | ძირითადი ცნებები | წარმომად-გენლები | ღირებულება მასწავლებლებისათვის |
|---|---|---|---|---|
| ბიჰევიორიზმი | ქცევა | სტიმულები რეაქცია განმტკიცება დასჯა ქცევის მოდიფიკაცია | პავლოვი უოტსონი თორნდაიკი სკინერი ბანდურა | დასწავლას ხსნის ჩვევებით და ასოციაციებით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმტკიცებას. |
| კოგნიტივიზმი | შემეცნება | გადაწყვეტილების მიღება. წვდომა, კოგნიტური სტრუქტურა, აღქმა; ინფორმაციული პროცესები, მეხსიერება. | ოსუბელი ბრუნერი პიაჟე | ხსნის როგორ ხდება აზრის გაგება, ხაზს უსვამს მასალის გააზრების და ორგანიზაციის მნიშვნელობას. |
| ჰუმანიზმი | პიროვნება | „მე" - კონცეფცია, თვითაქტუალიზაცია, საკუთარი ღირსების გრძნობა. | მასლოუ, როჯერსი | კონცენტრირებულია აფექტურ განვითარებაზე, ხაზს უსვამს შეგუებას და კეთილდღეობას. |

**სავარჯიშო:** ჯგუფი იყოფა ოთხ მცირე ჯგუფად. სამი შეესატყვისება სწავლებისადმი სამ განსხვავებულ მიდგომას, მეოთხე კი – მშობელთა ჯგუფია. თითოეული ირჩევს ლიდერს. ჯგუფებს ევალებათ რეკომენდაცია გაუწიონ თავიანთ სკოლებს, ცდილობენ კონტინგენტის მოზიდვას.

გამარჯვებულად გამოცხადდება სკოლა, რომელსაც ყველაზე მეტი მშობელი აირჩევს (სამუშაო ფურცლების შედგენა და პრეზენტაცია).

## პერსონალური დღიური

ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის: [illegible]

[illegible]

განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა:

[illegible]

კითხვები, რომლებიც გამიჩნდა:

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

# თავი XII

## ინტელექტი და შემოქმედებითობა (კრეატულობა)

აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭირო,
ვინც ასეთ ხასიათს მოკლებულია,
მის ხელში პროფესიული განათლებაც
მკვდარი სიმდიდრეა.

დ. უზნაძე

ერთერთი სკოლის მე-8 კლასში მასწავლებელმა გააფრთხილა მოსწავლეები, რომ მათთან ჩატარდება აზროვნების უნარის დამდგენი ტესტი. "თქვენ უნდა შეეცადოთ კარგად შეასრულოთ ეს ტესტი. ის, ვინც არ შეასრულებს კარგად, მიიღებს დაბალ IQ, ბევრს დაკარგავს ცხოვრებაში, ხოლო ვინც მიიღებს მაღალ კოეფიციენტს, ცხოვრებაში წარმატებას მიაღწევს, მსოფლიოსაც ნახავს და დიდ თანამდებობებს დაიკავებს". ერთი კვირის განმავლობაში მოსწავლეები ღელავდნენ თავისი კოეფიციენტების გამო. კვირის ბოლოს სკოლაში მოვიდა ახალგაზრდა კაცი, დაურიგა ტესტები, ჩართო წამზომი და საშინელი ხმით დაიღრიალა "დაიწყეთ!"

რამდენიმე წუთის შემდეგ მოსულმა კაცმა ისევ დაიღრიალა: "დაამთავრეთ". მოსწავლეები დიდი მონდომებით და მღელვარებით ავსებდნენ ტესტებს. გიორგიმ და ანიმ ყველაზე მეტი ტესტის შევსება მოასწრეს. დათომ და ქეთუნამ - ყველაზე ნაკლების. სანდრომ, რომელიც საერთოდ ზარმაც მოსწავლედ ითვლებოდა, ტესტების შესრულების დროს გამოიყენა ორგინალური, თავისებური წესი. შემოწმებამ აჩვენა, რომ გიორგიმ და ანიმ მიიღეს ინტელექტის უფრო მაღალი კოეფიციენტები (IQ), ვიდრე სხვა ბავშვებმა. (სამწუხაროდ, მოსწავლეებს არ შეატყობინეს შემოწმების შედეგები).

## ძირითადი საკითხები:

- ინტელექტის ცნება
- ინტელექტის გაზომვა
- კრეატულობის ცნება
- კრეატულობის გაზომვა
- მიმართება ინტელექტსა და კრეატულობას შორის

ის უნარი, რომელიც გამოვლინდა ამ ტესტების შევსების დროს და რომელმაც განსაზღვრა ტესტების განსხვავებულად შესრულება დასახელებული მოსწავლეების მიერ, ინტელექტის ტერმინით აღინიშნება (ინტელექტი ასახავს ადამიანების უნარს მეტ-ნაკლები სიადვილით გადაწყვიტოს ცხოვრებისეული და ლოგიკური ამოცანები, მეტ-ნაკლები სიადვილით შეიძინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) არის ერთერთი მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს ადამიანებს ერთმანეთისაგან.

დასავლეთში ყველა მოსწავლე გაივლის ინტელექტის გაზომვის პროცედურას, თუმცა ზემოდ აღწერილ შემთხვევაში დარღვეული იყო ერთი მნიშვნელოვანი პირობა: ბავშვებს საგანგებოდ შეუქმნეს ღელვის, შფოთვის მდგომარეობა, რომელმაც ზოგიერთ მოსწავლეს არ მისცა თავისი უნარის გამოვლენის შესაძლებლობა. თუ რა გავლენას ახდენს შფოთვის მდგომარეობა ინტელექტუალური დავალების შესრულებაზე იხილეთ მე - 13 თავში.

არსებობს ინტელექტის მრავალი განსაზღვრება. ცნობილი ფსიქოლოგი ბორინგი ინტელექტს განსაზღვრავს როგორც ისეთ რამეს, რაც იზომება ინტელექტის ტესტებით. გაკმაყოფილებთ ეს განსაზღვრება? ეს ხომ იგივეა, რომ ვთქვათ, ადამიანის სიცხე არის

ას. რაც იზომება თერმომეტრით. სიცხე ხომ გარკვეულ პროცესებს ასახავს ადამიანის ორგანიზმში – თქვენ როგორ ფიქრობთ?

გამოჩენილი შვეიცარელი ფსიქოლოგი *პიაჟე* განსაზღვრავს ინტელექტს როგორც გარემოსთან შეგუების, მასთან წონასწორობის დამყარების აქტიურ პროცესს. დაახლოებით იგივეს აღნიშნავს თანამედროვე მკვლევარი *სტერნბერგი*. სტერნბერგის თანახმად ინტელექტუალური ადამიანები ახერხებენ კონტროლს გარემოზე, ცვლიან გარემოს და ირჩევენ თავისთვის შესაფერისს. ასე, მაგალითად, ადამიანი, რომელსაც არ აქვს მუსიკალური სმენა, არ უნდა ირჩევდეს პროფესიას, რომელიც მოითხოვს მუსიკალურ სმენას. ინტელექტუალურად წარმატებული ადამიანები იყენებენ თავის ძლიერ მხარეებს და ავითარებს სუსტს. სტერნბერგი არჩევს ინტელექტის 3 მხარეს: ანალიტიკურ, შემოქმედებით და პრაქტიკულ უნარებს. მთავარია შემეცნების პროცესში ადამიანმა ისწავლოს გადაარჩიოს შესაფერისი, რელევანტური არსებითი ინფორმაცია არაარსებითისაგან. მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს სამივე მხარის განვითარებაზე.

მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ ინტელექტი შეიცავს განსხვავებულ უნარებს. სწორედ ამას უსვამს ხაზს *გარდნერი*, რომელსაც მიაჩნია, რომ არსებობს ინტელექტის 7 დამოუკიდებელი ტიპი: ლოგიკურ-მათემატიკური, ლინგვისტური, მუსიკალური, სივრცითი, სხეულებრივი, პიროვნებათაშორისი და შიდაპიროვნული. გარდნერი უშვებს, რომ შესაძლებელია სხვა ტიპების არსებობაც, მაგალითად, სულიერი და საბუნებისმეტყველო ტიპების. ზოგიერთი ადამიანი ძლიერია მათემატიკურ აზროვნებაში და სუსტია პიროვნებათაშორისი ინტელექტის მიხედვით და, პირიქით. თითოეულ ტიპს შეესაბამება საქმიანობის სხვადასხვა სფერო. უნდა ითქვას, რომ ამჟამად არსებობს მხოლოდ ზოგიერთი ინტელექტუალური უნარის გაზომვის გამოცდილება. მაგალითად, ჯერ არ დამუშავებულა (არ არის სტანდარტიზირებული) პიროვნებათაშორისი, საბუნებისმეტყველო, სულიერი უნარების გასაზომი ტესტები. ამისთვის უნდა დამუშავდეს სპეციალური დავალებების სისტემა.

## ინტელექტის გაზომვა

ინტელექტის გაზომვის პირველი მცდელობები დაკავშირებულია წინა საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფრანგი ფსიქოლოგების *ბინე*-ს და *სიმონ*-ის სახელებთან.

მათ პირველად შექმნეს ამოცანათა კომპლექსები თითოეული ასაკისათვის, რითაც გამოიანგარიშებოდა ბავშვთა ე.წ. გონებრივი ასაკი. მაგალითად, 8 წლიანი ბავშვებისათვის შეტანილი იყო შემდეგი ტიპის ამოცანები:

1. შეადარე 2 ობიექტი გონებაში. აღნიშნე მათი მსგავსება
2. დათვალე 20-დან 1 მდე
3. აღნიშნე გამოტოვებული დეტალები ადამიანის გამოსახულებაში
4. დაასახელე დღევანდელი დღე, რიცხვი, თვე, წელი
5. გაიმეორე 5 ერთნიშნა რიცხვი

შესატყვისად, სხვა ასაკებისათვის შერჩეული იყო უფრო რთული ან უფრო ადვილი ამოცანები. ამჟამად არსებობს ინტელექტის გაზომვის მრავალი ტესტი: ქეტელის, პიბოდის, ვექსლერის, რავენის, აიზენკის და სხვ. ამ ტესტების საშუალებით დადგენილია თითოეული

ასაკისათვის დამახასიათებელი ნორმა, რითაც დგინდება ბავშვის გონებრივი ასაკი. კონკრეტული ბავშვის ინტელექტის კოეფიციენტი უდრის გონებრივი ასაკის შეფარდებას ბავშვის ქრონოლოგიურ ასაკთან და გამრავლებულს 100-ზე.

$$IQ. = \frac{\text{გონებრივი ასაკი x 100}}{\text{ქრონოლოგიური ასაკი}}$$

მაგალითად, 10 წლის დათოს. გონებრივი ასაკი არის 8. ვყოფთ – მის ქრონოლოგიურ ასაკზე. ვიღებთ 80, რაც დაბალი მაჩვენებელია. საერთოდ, საშუალო ნორმა უდრის 100, 80-დან 120 -მდე ინტელექტის ნორმალურ განვითარებას ნიშნავს. 80-ზე დაბლა –ნორმაზე უფრო დაბალს, ხოლო 120 ზემოთ – ნიჭიერს.

ტესტები, როგორც წესი, ნაწილებისაგან შედგება, ანუ, სხვა სიტყვებით, სუბტესტებისაგან. ზოგი – ვერბალური ანუ სიტყვიერია, მაგალითად, ბავშვმა უნდა ჩამოთვალოს რა ნიშნებით განსხვავდება ახალგაზრდა და მოხუცი ადამიანები. ან ჩამოთვალოს რიცხვების რიგი საპირისპირო კლებადი თანმიმდევრობით, ზოგი ტესტი კი –არავერბალურია - ნახაზებს წარმოადგენენ., მაგალითად, ბავშვმა უნდა შეადგინოს სურათი დაჭრილი ნაწილებისაგან. არსებული ტესტი შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად: სისწრაფის ტესტებად და დონის ტესტებად. პირველ ტიპში მთავარ სიძნელეს დროის შეზღუდვა წარმოადგენს, რომელიც მკაცრადაა ლიმიტირებული. მეორე ტიპის ტესტებში – მთავარია დავალების სიძნელე. პირველ შემთხვევაში მთავარ მაჩვენებლად შესრულებული დავალებების რაოდენობა ითვლება, მერე შეთხვევაში კი – შესრულებული დავალებები სიძნელე.

პირველად ინტელექტის გაზომვის ამ პროცედურას დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ. მიაჩნდათ, რომ ეს პროცედურა ზომავს ბავშვის თანდაყოლილ უნარს ან ცოდნის შეძენის, სწავლის პოტენციალს. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ინტელექტის გამოვლენაზე მრავალი სოციალური ფაქტორი მოქმედებს. ამიტომ ბოლო დროს აღწერილ მიდგომაში გარკვეული ეჭვია შეტანილი. გულუბრყვილოა იმის რწმენა რომ ინტელექტის კოეფიციენტი არის საიდუმლო, საბედისწერი თვისება, რომელიც ახასიათებს ყველა ადამიანს გარკვეული რაოდენობით და ის ადამიანი, რომელსაც აქვს იგი დიდი რაოდენობით, იღბლიანი ადამიანია და ყველაფერს მიაღწევს. ეს უბრალოდ მითია.

მეორე მითი დაკავშირებულია იმ რწმენასთან, რომ ინტელექტი არის უცვლელი სიდიდე. ბოლო წლებში ნათლად დადასტურდა, რომ ყოველი ახალი თაობა აშკარად უფრო მაღალ საშუალო მაჩვენებლებს იძლევა.

მესამე ცრურწმენა მდგომარეობს იმაში, რომ ტესტები ზომავენ ყველაფერს, რაც ადამიანს დასჭირდება ცხოვრებაში. სინამდვილეში ტესტები ვერ ზომავენ ადამიანის ურთიერთობას, პრაქტიკულ უნარჩვევებს, შემოქმედებით მიდგომას.

და ბოლოს, ტესტები შედგენილ იქნა გარკვეული წრის ბავშვების მონაცემებიდან გამომდინარე, არ იყო გათვალისწინებული კულტურის თავისებურებები. სწორედ ამიტომ წლების მანძილზე ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ბავშვების მაჩვენებლები იყო უფრო დაბალი, ვიდრე საშუალო კლასის თეთრკანიანი ოჯახების ბავშვების მაჩვენებლები.

ამჟამად ინტელექტის ტესტები უფრო მეტად გამოიყენება ისეთი ბავშვების დიაგნოსტიკისათვის, რომლებიც საჭიროებენ კორექციას.

მიუხედავად ყველაფერი ხემოთთქმულისა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ინტელექტი

პირდაპირ კავშირშია (კორელაციაშია) სასკოლო მიღწევებთან. თუმცა ინტელექტის კოეფიციენტის ცოდნა არ იძლევა მომავალი წარმატების ზუსტი პროგნოზის საშუალებას, რადგან ინტელექტის განვითარება შესაძლებელია. ასე, მაგალითად ჩვენს მიერ მოყვანილ შემთხვევაში დათო მომავალში კარგი პროფესიონალი დადგა და წარმატებებს მიაღწია. გარემოს გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში. ასეთია ოჯახში არსებული ინტელექტუალური ატმოსფერო, მშობლების ბავშვებთან ურთიერთობის ხანგრძლივობა, ბავშვების რაოდენობა ოჯახში და სხვა. გარემოს გავლენის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის გამოვიყენოთ რეზინის ლენტის მოდელი – მისი სიგრძე ხომ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერად დავჭიმავთ მას. სწორედ გარემო წარმოადგენს ასეთი გაჭიმვის შესაძლებლობას. თანამედროვე ბავშვი ღებულობს დიდ ინფორმაციას გარემოსგან, ოჯახში. ინტელექტის კოეფიციენტს განსაზღვრავს არა მხოლოდ თანდაყოლილი ფაქტორები, არამედ მათი ურთიერთქმედება გარემოსთან. თანდაყოლილი დაჯილდოების შემთხვევაში ლენტი ადვილად იჭიმება, ნაკლები უნარის შემთხვევაში მეტი ძალისხმევაა საჭირო მასწავლებლისაგან. ლენტის სიგრძე იკუმშება არახელსაყრელ პირობებში, ხელსაყრელ პირობებში ინტელექტი მაჩვენებლის დონე შეიძლება გაიზარდოს 30 ერთეულით. 21-ე საუკუნე სკოლისგან 2 ძირითად უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას მოითხოვს: კომუნიკაციურ უნარს და უნარს იაზროვნო. აზროვნების უნართან დაკავშირებით მოგვიწევს კიდევ ერთი ახალი ცნების – კრიტიკული აზროვნების ცნების განხილვა. კრიტიკულ აზროვნებაში სტეინბერგი გულისხმობს ფსიქიკურ პროცესებს და სტრატეგიებს, რომლებსაც იყენებს ადამიანი პრობლემების გადასაჭრელად და ახალი ცნებების შესაძენად.

იაზროვნო კრიტიკულად ნიშნავს იყო ცნობისმოყვარე და იყენებდე კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სტრატეგიებს, აყალიბებდე კითხვებს და მუდამ ეძებდე პასუხებს. კრიტიკული აზროვნება სხვადასხვა დონეზე მუშაობს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით, არამედ მიზეზის ძიებასა და შესაძლო შედეგების განსაზღვრასაც გულისხმობს.

კრიტიკული აზროვნება მოიცავს არა მხოლოდ ორიენტაციას ახალი ინფორმაციის ნაკადში, მისი გააზრების და გამოყენების უნარს, არამედ მიღებული შედეგებისა და დასკვნების შეფასებას. ამ უნარის მქონე ადამიანი კრიტიკულად გაიაზრებს მიღებულ ინფორმაციას, დაიცავს რაციონალურად საკუთარ პოზიციას.

ენისი იძლევა რამდენიმე რჩევას კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ეს რჩევები მასწავლებელმაც უნდა გაითვალისწინოს:

1. უნდა განვასხვაოთ მსჯელობა, რომელიც ეფუძნება ლოგიკას იმ მსჯელობისაგან, რომელიც ეფუძნება ემოციას
2. ნებისმიერ ინფორმაციაში ისწავლეთ დაინახოთ დადებითი და უარყოფითი მხარეები, მინუსები და პლიუსები
3. არაფერია ცუდი იმაში, თუ თქვენ ეჭვი შეგაქვთ ისეთ რამეში, რაც დამაჯერებლად არ გეჩვენებათ
4. ისწავლეთ შეუსაბამობების შემჩნევა
5. არ იჩქაროთ დასკვნის გაკეთება, თუ არა გაქვთ საკმარისი ინფორმაცია.

მასწავლებელმა თვითონ უნდა შეიმუშავოს კრიტიკული აზროვნების განწყობა, რათა გადასცეს ისინი მოსწავლეებს. ნათელია, რომ სწავლების მეთოდიკას შეიძლება გადამწყვეტი როლი ჰქონდეს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში. თუ მასწავლებელი მოითხოვს მოსწავლისგან სასწავლო მასალის დამახსოვრებას ზუსტად იმ ფორმით, რა ფორმითაც

მიეწოდება, აქცენტი დამახსოვრებაზე გაკეთდება. სკოლა უნდა ავითარებდეს აზროვნების დამოუკიდებელი მსჯელობის უნარ-ჩვევებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ბავშვში არსებული ფარული უნარების გამოვლენა.

## კრეატულობა

ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემით - კრეატულობით, შემოქმედებითობით. ზოგადი გაგებით ეს არის უნარი დაინახო საგანი, მოვლენა ახალი კუთხით, მოძებნო პრობლემის თავისებური გადაწყვეტა. კრეატულობას განსხვავებულად განსაზღვრავენ სხვადასხვა ავტორები. *გილფორდს* მიაჩნია, რომ კრეატულობა ნიშნავს აზროვნების სისხარტეს, მოქნილობას და ორგინალობას. გილფორდი უკავშირებს ამ უნარს ე.წ. დივერგენტულ აზროვნებას ანუ აზროვნებას, რომელიც არ ეძებს ერთადერთ სწორ პასუხს, არამედ მიმართულია განსხვავებული ლოგიკური შესაძლებლობების ძიებაზე. *მედნიკი კი* აღნიშნავს, რომ კრეატული პიროვნება ქმნის ახალ, მრავალ კომბინაციას ჩვეულებრივი ელემენტებისაგან. ტორენსი აღწერს კრეატულობას როგორც პროცესს, როდესაც ადამიანი ხდება მგრძნობიარე პრობლემებისადმი, სიძნელეებისადმი, ცოდნის ხარვეზებისადმი, დისჰარმონიისადმი. როდესაც ჩვენ ვგრძნობთ, რომ რაღაც მოვლენა არ არის სრული, მას აკლია ჰარმონიულობა, იზრდება ჩვენი დაძაბულობა, ჩვენ ვეძებთ გამოსავალს, ვაყალიბებთ ჰიპოთეზებს, ვამოწმებთ მათ, ვუზიარებთ მათ სხვებს. დაძაბულობა ჩვენ მაშინ გვეხსნება, თუკი მივალთ გარკვეულ აღმოჩენამდე.

მართალია, არსებობს აზრი, რომ შემოქმედებითი ადამიანები გარკვეული აზრით არასრულფასოვნები არიან, რადგანაც განსხვავდებიან საზოგადოების წევრთა უმრავლესობისაგან. რა თქმა უნდა ეს ასე არ არის. მაგრამ ასეთი ბავშვების ქცევა შეიძლება ზოგჯერ უცნაურად მოგვეჩვენოს. განვიხილოთ მაგალითი: ერთერთი მეორეკლასელი სკოლის ეზოში ყოფნისას, როდესაც ყველა ბავშვი ერთობოდა დასაჯდომ ტრიალაზე, იდგა განზე და არ მონაწილეობდა საერთო გართობაში. როგორც მერე აღმოჩნდა, ის ითვლიდა რამდენ ბრუნვას გააკეთებდა ტრიალა სანამ 20 ჯერ ჩაისუნთქავდა. ამით ის ცდილობდა დაედგინა ტრალას ბრუნვის სიჩქარე.

რას იტყვით ასეთ ბავშვზე?

კრეატიულობის საინტერესო მაგალითია შვეიცარელი გამომგონებლის *მესტრალის* მიერ ყველასათვის ცნობილი ე.წ. "ლიპუჩკის" მოგონების ფაქტი. ეს მან მოახერხა იმის შემდეგ, რაც მიკროსკოპის ქვეშ შეისწავლა, თუ რატომ ეწებებოდა მისი ძაღლის ბეწვს მცენარე ბირკავას ეკლები და შემდეგ ამ ნიმუშით შექმნა წებოვანი სარტყელები ფეხსაცმლებისათვის და შარვლებისათვის

ნათლად რომ გავიგოთ კრეატული ადამიანის თავისებურება, შეიძლება ის შევადაროთ საპირისპირო თავისებურებასთან, რომელსაც რიგიდობას უწოდებენ. რიგიდობა ცნობილი ფსიქოლოგის ზიმბარდოს განსაზღვრებით, არის საგნის ტრადიციული ხედვის შეცვლის უუნარობა. ლაჩინსს ეკუთვნის ცნობილი ექსპერიმენტი რიგიდულობაზე: ცდის პირს უფიქსირებდნენ გარკვეული მოქმედების საკმაოდ რთული წესით შესრულებას. საკონტროლო ცდაში იმავე ტიპის მოქმედება შეიძლებოდა შესრულებულიყო სრულიად მარტივად, მაგრამ ზოგიერთი – რიგიდული – ცდის პირი ისევ აგრძელებდა რთული ხერხით მუშაობას.

ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ განსაზღვრება: კრეატიული, შემოქმედებითი უნარის მქონე შეიძლება იხმარო მხოლოდ ხელოვნებაში, ლიტერატურაში მოღვაწე ადამიანების მიმართ. მაგრამ ბოლო დროს ამ მახასიათებელს ხმარობენ მეცნიერებისა და სხვა სფეროების მიმართაც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კრეატიულობა წარმოადგენს ადამიანის საკმაოდ იშვიათ და განსაკუთრებულ უნარს, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ ზოგადი კრეატიული უნარი ამა თუ იმ ხარისხით ახასიათებს ყველა ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს. სწორედ ამ პრინციპის აღიარებაზეა აგებული კრეატიულობის გამზომი სპეციალური ტესტები. ერთერთ ასეთ ტესტში ცდის პირს სთხოვენ მოიფიქროს რაც შეიძლება ბევრი გამოყენება ჩვეულებრივი ნივთისათვის, მაგალითად აგურისათვის, ნეილონის კოლგოტისათვის. თითოეული პასუხი ფასდება 3 მაჩვენებლის მიხედვით: ა - პასუხების სიმრავლე, ბ – მოქნილობა ანუ უნარი გადაინაცვლო ერთი სფეროდან მეორეზე, გ – ორიგინალობა – პასუხების რაოდენობა, რომელიც გვხდება ჯგუფის 5% ნაკლები სიხშირით. განვიხილით ერთერთი ცდის პირის პასუხები:

ნეილონის კოლგოტი შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგნაირად:

ვატარებთ ფეხებზე ა, ბ

გავიკეთოთ სახეზე ნიღაბივით, ა, ბ

მოვქსოვოთ ხალიჩა, ა, ბ

ჩამოვკიდოთ ყვავილების ქოთანი, ა, ბ, გ

ჩამოვიკიდოთ მობილური ტელეფონი, გ

შევუკრათ ხელები სახლში შემოპარულ ქურდს ა, ბ, გ

არსებობს კრეატულობის გაზომვის სხვა ტესტებიც, მაგალითად კრეატულობას სახვით სფეროში ტორენსი ზომავს მოცემული ნახაზის აზრიანი სურათის სახით დასრულების საშუალებით. ტორენსის ერთერთ ტესტში ბავშვს ეძლევა 30 წრე და სთავაზობენ 30 განსხვავებული ნახატის შექმნას. ასე, მაგალითად, წრე შეიძლება წარმოიდგინო საზამთროს სახით, გლობუსის სახით, ადამიანის თავის სახით, 2 წრე – ველოსიპედის სახით და სხვ.

არსებობს საინტერესო გამოკვლევები კრეატიულობის გამოვლენის შესახებ სხვადასხვა ასაკში. პირველად კრეატიულობა ვლინდება 3 – 5 წლის ასაკში. ამ ასაკში ბავშვი ხშირად ხატავს ორიგინალურად, ყვება თავის შეთხზულ ზღაპრებს. მისთვის ადვილია გამოიყენოს, მაგალითად, კოვზი მუსიკალური ინსტრუმენტის სახით ან ნიჩბის მაგივრად – ეს იმიტომ ხდება, რომ მას ჯერ კიდევ არ აქვს საგნის სტანდარტული გამოყენების სტერეოტიპული ჩვევა, იგი, ფაქტიურად, არ არის შებოჭილი სტერეოტიპებით. კრეატიულობის განვითარების მეორე პიკი, ამაღლება ვლინდება მოზარდობის ასაკში – 12-13 წლიანებთან. ამ ასაკში შემოქმედებითობა უკავშირდება სპეციალურ სფეროს, საკუთრივ, ხელოვნების, ტექნიკის და სხვა. ამ პერიოდის მოზარდის კრეატიულობა ქცევის გარკვეულ დამოუკიდებლობას გულისხმობს, რაც განსხვავდება ჩვეულებრივი, საზოგადოდ მიღებული ქცევისაგან. სწორედ ამიტომ მისი ხელშეწყობა მხოლოდ სპეციალურად ორგანიზებულ გარემოში ხერხდება, მაგალითად, სპეციალურად შექმნილი სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

ინტელექტის და კრეატულობის ურთიერთმიმართება არ არის მარტივი. მართალია, დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანი არასოდეს არ არის კრეატიული, მაგრამ მაღალი ინტელექტი არ ნიშნავს აუცილებლად მაღალ კრეატულობას და დივერგენტული აზროვნების უნარს. ზოგადად, ინტელექტი განსაზღვრავს ახალი მასალის გაგებას და ათვისებას, კრეატულობა კი – შემოქმედებით მიღწევებს. ტორენსი – კრეატულობის ცნობილი მკვლევარი, მასწავლებლებს სთავაზობს რამდენიმე კონკრეტულ რეკომენდაციას

კრეატულობის განვითარებისათვის. პირველ რიგში ეს არის კრეატული ქცევის დაჯილდოება, მაგალითად, პატივისცემა უჩვეულო კითხვებისა და იდეებისადმი, შეფასებითი დამოკიდებულება შემოქმედებითი პროდუქციის მიმართ, თავად მასწავლებლების კრეატული განწყობა.

სამწუხაროდ, მასწავლებლები ხშირად ვერ აფასებენ კრეატულ მოსწავლეებს. ასე, მაგალითად, ამერიკული მონაცემების მიხედვით კრეატული ბავშვების მხოლოდ 20% იყო შენიშნული მათი მასწავლებლების მიერ. თანამედროვე პირობებში მრავალი პრობლემა მოითხოვს ახალ არასტანდარტულ გადაწყვეტას. მასწავლებელს აქვს შესანიშნავი შესაძლებლობა წაახალისოს ბავშვის კრეატული მოქმედება და არ უკუაგდოს მისი ორგინალური პასუხი. სწავლების პროცესში ნაკლები ადგილი უნდა დაეთმოს მასალის დამახსოვრების მოთხოვნას და მეტი – ახალი იდეების პროდუცირებას, საკუთარი ძალებით პრობლემების გადაჭრისა და დასკვნების გამოტანის სტიმულირებას.

## საკონტროლო კითხვები

- რა დასკვნების გაკეთება შეიძლება იმ დებულებიდან, რომ ინტელექტი ექვემდებარება ცვლილებებს?
- როგორ გამოიანგარიშება ინტელექტის კოეფიციენტი?
- რა მოიაზრება კრეატულობის ცნებაში?

## მიუწერეთ ცნებებს მნიშვნელობა

- **ინტელექტი** – [illegible]
- **ინტელექტის კოეფიციენტი** – IQ = გონებრივი ასაკი ×100 / ქრონოლოგიური ასაკი [illegible]
- **დივერგენტული აზროვნება** [illegible]
- **კრეატულობა** – [illegible]
- **კრეატულობის გაზომვა** – [illegible]

# დანართი

| აზროვნების ტიპი | პროფესია | ოპერაციები |
|---|---|---|
| ლოგიკურ-მათემატიკური | მეცნიერი, მათემატიკოსი | მსჯელობათა გრძელი ჯაჭვებით ოპერირება |
| ლინგვისტური | | ბგერების, ენის სტილის გარჩევის უნარი |
| მუსიკალური | | უნარი აღიქვას და გაიმეოროს ბგერის რიტმი, სიმაღლე და ტემბრი |
| სივრცითი | | უნარი ზუსტად აღიქვა ვიზუალურ-სივრცითი სამყარო |
| სხეულებრივი | | სხეულის მოძრაობის ზუსტი რეგულაციის უნარი |
| პიროვნებათაშორისი | | ადამიანთა განწყობის, სურვილების ამოცნობის და ადეკვატური რეაგირების უნარი |
| შიდაპიროვნული | 1. | საკუთარი განცდების, სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზების უნარი |
| საბუნებისმეტყველო | | უნარი გამოავლინოს ორგანიზაციის ფორმები ბუნებაში |
| სულიერი | | ცხოვრების სულიერი მხარისადმი ინტერესი |

1. ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული მასალა, შეავსეთ მე-2 გრაფაში პროფესიები მოცემული ნიმუშის მიხედვით. შეეცადეთ თქვენ თვითონ შეუსაბამოთ ინტელექტის თითოეულ ტიპს გარკვეული პროფესია.

2. ტექსტში მოცემული ნიმუშის მიხედვით დაასახელეთ რაც შეიძლება მეტი აგურის გამოყენების შესაძლებლობა. თქვენი კრეატულობის დონე შეაფასეთ ჯგუფში ტექსტში აღწერილი შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: სისხარტე (პასუხების რაოდენობა), მოქნილობა და ორგინალობა.

## პერსონალური დღიური

1. ის, რაც რეალურად გასწავლეს დღეს, არის [illegible]

[illegible]

2. განხილული საკითხებიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა

[illegible]

3. კითხვა, რომელიც გამიჩნდა, არის

გაიაზრე თავში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე.

# თავი XIII

## მოტივაცია და სასწავლო პროცესი

> სწავლა ამ მომენტის ინტერესს უნდა
> დაუკავშირდებოდეს და აქედან
> მოდიოდეს. მხოლოდ ამ ხაზით არის
> შესაძლებელი ბავშვის გონების
> თვალის გახსნა და შორსმჭვრეტელობისა
> და დაკვირვების უნარის შემუშავება
>
> დ. უზნაძე

სკოლის ლიტერატურის მასწავლებელი შეწუხებული იყო იმით, რომ მის გაკვეთილზე მოსწავლეები მოუსვენრად გრძნობდნენ თავს, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მათი საგნით დაინტერესება. არადა ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა, ყოველთვის კარგ სტუდენტად ითვლებოდა და ახლაც განუწყვეტლივ ცდილობდა კვალიფიკაციის ამაღლებას., ბევრს კითხულობდა.

"საგანი კარგად ვიცი და გადაცემის უნარი, ჩემი აზრით, კარგი მაქვს, რაშია საქმე?". ეკითხებოდა იგი თავის თავს და რაც დრო გადიოდა, მით უფრო აწუხებდა შექმნილი მდგომარეობა. "მოდი მოსწავლეებს დაველაპარაკები, ვნახოთ, რას მეტყვიან ისინი"- გადაწყვიტა მან და ასეც მოიქცა. შემდეგ გაკვეთილზე ის განსაკუთრებული სითბოთი შეხედა თავის მოსწავლეებს და უთხრა, რომ დღეს ისაუბრებდნენ იმ მიზეზების შესახებ, რომელიც ხელს უშლის მათ საგნის ენთუზიაზმით სწავლას. მასწავლებელი გაოცებული დარჩა მოსწავლეთა გულწრფელობით და იმ პრობლემებით, რომლებიც მათ აწუხებდა. აი, როგორი იყო მოსწავლეთა პასუხები: "ვერ ვხედავ ამ საგნის სწავლის აუცილებლობას ჩემს მომავალ პროფესიასთან მიმართებაში", "პრობლემები მაქვს მეტყველებაში და მირჩევნია ჩუმად ვიყო", "შეკითხვის დასმის მრცხვენია, მეშინია უცოდინარობა არ გამოვავლინო", " მწერლობას ვაპირებ და არ მინდა ისე ღრმად შევისწავლო სხვისი ნაწერები, რომ შემდეგ ვინმეს ზემოქმედების ქვეშ აღმოვჩნდე" და ა.შ. ყველა მოსწავლე ერთხმად აღიარებდა, რომ მასწავლებლის მიმართ პრეტენზია არ აქვთ, მან საგანი კარგად იცოდა და გადაცემის უნარი კარგი ჰქონდა, მაგრამ . . .

მასწავლებლისათვის ბევრი რამ გახდა ნათელი – "ვიცი, რაც უნდა გავაკეთო გაიფიქრა მან. "მოტივაცია უნდა შევუქმნა, უფრო სწორად, უნდა დავეხმარო თვითონვე გაუჩნდეს სურვილი, მისათვის კი რაიმე უნდა მოვიმოქმედო".

***იმუშავეთ შეკითხვაზე სალექციო ტექსტის გაცნობის შემდეგ.***

### ძირითადი საკითხები:

- ადამიანის ქცევის მიზეზების ახსნა.
- მითები, რომლებიც არსებობს მოტივების შესახებ.
- შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.
- მოტივაციის ჰუმანისტური თეორია
- თვითეფექტურობა და ატრიბუციის თეორია.
- შფოთვის როლი სწავლის პროცესში.

მოტივაციის პრობლემა თვალსაჩინოს ხდის იმას, თუ რიგორ შეიძლება ფსიქოლოგია ღრმად შევიდეს საკლასო ოთახში და ბევრი რამ განსაზღვროს.

თვით რავენიც კი – ინტელექტის ყველაზე პოპულარული ტესტის ავტორი, თავის წიგნში "კომპეტენტურობა თანამედროვე სამყაროში", წერდა: "ქცევა განისაზღვრება მოტივაციით ბევრად მეტად, ვიდრე უნარით. ფსიქოლოგების, პედაგოგების ძირითადი ამოცანაა მოახდინოს თავისი ძალების კონცენტრაცია მოტივაციის შეფასებაზე".

მაინც რა არის მოტივი? ამისი მრავალგვარი განმარტება არსებობს. დ. უზნაძე მოტივს ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველს უწოდებდა.

თანამედროვე ამერიკელი ფსიქოლოგები მიუთითებენ მოტივის სამგვარ ფუნქციას: მოტივი აღძრავს ქცევას, აძლევს მას მიმართულებას და უზრუნველყოფს მას.

განასხვავებენ ფარულ და გამოვლენილ მოტივებს. ფარული მოტივები უცნაური და მავნე რამეა. ფარული მოტივები იგივე საიდუმლო და უცნობი მოტივაცია, რომელიც თავისთავად ვლინდება, ქცევის მიზეზი, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს. ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ არა ფარულ, არამედ გამოვლენილ მოტივებზე – ეს არის ის, რაც გვამოძრავებს და განაპირობებს ჩვენს ქცევას. აღმძვრელი – ეს არის ძალა, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. მოტივები წარმოადგენენ ჩვენი ქცევის მიზეზს იმ აზრით, რომ მოტივი არის ახსნა. მოტივები ხსნიან ჩვენს ქცევას და პასუხობენ კითხვაზე რატომ?, მაშინ, როდესაც სწავლის თეორია პასუხობს კითხვას: როგორ? და რა?

მასწავლებლისათვის უფრო საჭირო მოტივებს წარმოადგენენ ის მოტივები, რომლებიც ეხება სწავლას და მიღწევებს. მასწავლებლისათვის მთავარია იცოდეს თუ რატომაა, რომ მოსწავლეების ერთი ნაწილი ძალ-ღონეს არ იშურებს მიაღწიონ მაღალ შედეგებს სწავლაში, მეორენი კი არა.

ქეიტი და კული 2500 მოსწავლის შერჩევაზე შეეცადნენ განესაზღვრათ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მიღწევებს სწავლაში. ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უნარი. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი – მოტივაცია და სწავლების ხარისხი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ კარგ სკოლებში, სწავლების საუკეთესო პროგრამებით, უფრო მოტივირებულები არიან. მაღალი მოტივაციის მქონე მოსწავლეები მეტს მუშაობენ, ასრულებენ დიდი მოცულობის დავალებების, და შესაბამისად შედეგებიც უკეთესი აქვთ.

მრავალი მითი არსებობს მოტივის შესახებ.:

მითი 1: თუ მოსწავლეები აქტიურად არ არიან ჩართულნი თავის სამუშაოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან მოტივირებულნი.

მითი 2: მარცხი კარგი მოტივაციაა

მითი 3 სწავლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოტივაცია

მითი 4: მასწავლებლები უქმნიან მოსწავლეებს მოტივაციას,

მითი 5: მუქარა ზრდის მოტივაციას,

მითი 6: მოტივაციის გაზრდა ავტომატურად ზრდის სწავლების ეფექტს.

ვნახოთ, რას ფიქრობენ ფსიქოლოგები ამ მითების შესახებ.

1. მოსწავლეებს შეიძლება არ გააჩნდეს სწავლის მოტივაცია, მაგრამ სხვა რამის კეთების მოტივაცია ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია კლასში დისციპლინის პრობლემები შეგვექმნას.

2. მარცხი სასარგებლო გამოცდილებაა, მაგრამ ქრონიკულ მარცხს უამრავი პრობლემა შეიძლება მოჰყვეს.

3. ზოგი იტყვის, რომ სკოლაში მთავარია შინაარსი, მაგრამ იგი სწავლის მისიას ვერ შეასრულებს, ვიდრე სწავლა მნიშვნელობას იქნება მოკლებული.

4. მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება მოსწავლეებს შეექმნათ შინაგანი მოტივაცია.

5. კლასის უარყოფითი ატმოსფერო სწავლის მოტივაციას ასუსტებს.

6. მოტივაცია თანდათან სუსტდება და შეიძლება გაქრეს თუ სხვა მომენტები არ არის გათვალისწინებული: მაგალითად, ცუდი დაგეგმვა, სუსტი კონტროლი და სხვა ამცირებს სწავლის მოტივაციას.

## შინაგანი და გარეგანი მოტივები

შინაგანი მოტივაცია: როდესაც მოქმედებას აღძრავს ამ საქმიანობისაგან (ჩვენ შემთხვევაში – სწავლისაგან) მიღებული სიამოვნებისკენ სწრაფვა, ანუ ინტერესი.

გარეგანი მოტივაცია – როდესაც ადამიანში (ჩვენ შემთხვევაში სწავლის) სურვილს აღძრავს გარედან მოსული სტიმული.

ქართულ ფსიქოლოგიაში სწავლის მოტივაციის საკითხი საფუძვლიანად დაამუშავა შ.ჩხარტიშვილმა. მოტივაციური საფუძვლის მიხედვით ის არჩევს სწავლის სამ სახეს: ლატენტურს, სწავლას ჰეტეროგენული მოტივაციით და სწავლას ჰომოგენური მოტივაციით. ლატენტური სწავლა ხდება მთელი ცხოვრების მანძილზე მიზანდასახულობის გარეშე გაუცნობიერებლად. ექვს წლამდე ბავშვი ძირითადად ასე სწავლობს, ეუფლება მშობლიურ ენას, თამაშის პროცესში იძენს უნარ-ჩვევებს.. ჰეტეროგენული მოტივით აღძრული სწავლა კი ცნობიერია, მიზანდასახული. ბავშვმა იცის რა უნდა ისწავლოს, მაგრამ არც სასწავლო აქტივობით, არც ცოდნის დაუფლებით არ არის დაინტერესებული, მას სხვა რამე იზიდავს.. ასე, მაგალითად, ისწავლე და ბურთის სათამაშოდ ეზოში წახვალ – ეუბნებიან ბავშვს და ისიც სწავლობს. სასკოლო ცხოვრებაში ასეთ სწავლას დიდი ადგილი უკავია. ბავშვი სწავლობს იმიტომ რომ მშობლის ეშინია, უნდა დაიმსახუროს ჯილდო, სათამაშოდ წასვლა უნდა და ა.შ. დაწყებით კლასებში ბავშვს ჯერ კიდევ არ შეუძლია ცოდნის ობიექტური ღირებულების გაცნობიერება. მალე სიტუაცია იცვლება. ხდება სწავლის სტრუქტურაში გარდატეხა, იგი საკუთარ ჰომოგენურ მოტივებზე აიგება. შ.ჩხარტიშვილის აზრით, ეს არის ინტელექტის ფუნქციობის მოთხოვნილების გაძლიერება, ცნობისმოყვარეობის თეორიულ მოთხოვნილებად გადაზრდა. ამავე დროს მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება ნებისყოფის განვითარებაში – მოსწავლე სასწავლო აქტივობას ცოდნის ობიექტურ ღირებულებას აფუძნებს.

ფსიქოლოგიაში დიდი ხანია მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს სწავლა. მხოლოდ მოსწავლის შინაგანი მოტივებია განმსაზღვრელია, თუ საჭიროა, რომ მასწავლებელმა შექმნას გარკვეული მასტიმურილებული გარემო? ამ საკითხის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს.

განვიხილოთ ასეთი შემთხვევა.

ერთი მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებაში ყოველთვის მოსწავლის სასრგებლოდ წერს ნიშანს, მაგალითად. თუ მას ეკუთვნის 4+, ყოველთვის 5 წერს. მას მიაჩნია, რომ ამ გზით მოსწავლეებს სასწავლო მოტივებს უძლიერებს.

ბევრი ფსიქოლოგი თვლის, რომ გარეგანი მოტივაცია არ არის სწორი ცნება. მოტივაცია – პიროვნებაშია და ამ გაგებით ის ყოველთვის შინაგანია. უნდა ითქვას, რომ მოტივაციის სფეროში ბევრი რამ სადავოა. მეცნიერები განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ.

## მოტივაცია და ფსიქოლოლოგიური მიმდინარეობები

მოტივაციის შესახებ ძირითადი თანამედროვე თეორიები შეიძლება დავყოთ სწავლებისადმი ძირითადი მიდგომების მიხედვით: ბიჰევიორისტულ, ჰუმანისტურ, და კოგნიტივისტურ მიდგომებად.

გაგახსენებთ, რომ ბიჰევიორიზმი შეისწავლის ქცევის შედეგების მარეგულირებელ გავლენას მომდევნო ქცევაზე, ჰუმანისტური მიდგომას აინტერესებს მოსწავლის

დამოუკიდებლობის, ღირსების გრძნობა, კოგნიტივიზმი იკვლევს შემეცნებითი პროცესების როლს სწავლაში. ამრიგად, ბიჰევიორისტული მიდგომა ხაზს უსვამს გარეგან მოტივებს: წაქეზებას, ჯილდოს, ჰუმანისტური მიდგომა – შინაგან მოტივებს – პოტენციალური შესაძლებლობების რეალიზებას, კოგნიტური მიდგომა სწავლობს თითოეული ადამიანის მოთხოვნილებას კომპეტენტურობაში.

წახალისების და დასჯის პრინციპი ანუ ფსიქოლოგიური ჰედონიზმი მოტივაციის ძირითადი ბიჰევიორისტული პრინციპის ანალოგიურია – მიიღო სიამოვნება და აიცილო უსიამოვნება. მე-8 თავში იყო საუბარი პოზიტიურ და ნეგატიურ განმტკიცებაზე. უნდა ითქვას, რომ ყველაზე ჰუმანური მასწავლებლებიც კი მიმართავენ განმტკიცების ორივე სახეს: აქებენ და ეხუბებიან მოსწავლეებს, წერენ მაღალ და დაბალ ნიშნებს. მაგრამ მოსწავლე არ არის საცდელი თაგვი. მისი ქცევა ივსება შემეცნებით და ემოციებით.შექება ან მისი არარსებობა აძლევს მოსწავლეს მნიშვნელოვან ინფორმაციას მისი კომპეტენტურობის შესახებ. მაგრამ შექება ყველა მასწავლებელს ერთნაირად სწორად არ აქვს გამოყენებული. ბროფი აღნიშნავს, რომ ხშირად მასწავლებლის შექება განისაზღვრება არა მოსწავლის რეალური მოქმედებით, არამედ მასწავლებლის წარმოდგენით მოსწავლის შესახებ.

ყოველი შექება არ არის ეფექტური. იგი ეფექტურია, თუ აამაღლებს მოსწავლის თვითპატივისცემას და მას ახლავს კონსტრუქტული, კონკრეტული რჩევა. შექება უნდა იყოს გულწრფელი და არ უნდა შეიცავდეს სხვასთან შედარებას. ცხრილის სახით შექების ეფექტურობა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

| ეფექტური შექება | არაეფექტური შექება |
|---|---|
| 1. ხორციელდება დასაბუთებით | გამოიყენება შემთხვევით, უსისტემოდ |
| 2. აკონკრეტებს შესაქებ მოქმედებას | ატარებს ზოგად ხასიათს |
| 3. სპონტანურია და გულწრფელია | სტანდარტულია |
| 4. აქეზებს სიბეჯითეს | აქეზებს უბრალო მონაწილეობას |
| 5. იძლევა ინფორმაციას კომპეტენტურობის შესახებ | არ იძლევა არავითარ ინფორმაციას |
| 6. განაწყობს მოსწავლეს დადებითად დავალების მიმართ | კონკურენციის სტიმულირებას ახდენს |
| 7. იყენებს მოსწავლის წინა მიღწევებს | თანაკლასელების მიღწევებს იყენებს |
| 8. ითვალისწინებს წარმატებას ძნელ დავალებებში | არ ითვალისწინებს დახარჯულ შრომას |
| 9. ხაზს უსვამს მომავალ წარმატებას | წარმატებას მიაწერს გარეგან ფაქტორს |
| 10. აქცენტს უკეთებს დავალების შესრულების პროცესს | აქცენტს უკეთებს მასწავლებლის ავტორიტეტს |

# მოტივაციაზე ჰუმანისტური შეხედულება

ჰუმანისტური ფსიქოლოგია სწავლობს შინაგან მიტივებს. ამის ყველაზე ნათელ გამოვლენას *მასლოუს თეორია* წარმოადგენს. მასლოუს მიერ გამოყოფილი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების კლასიფიკაცია გარკვეულ იერარქიულ სისტემაში ანუ პირამიდაშია მოთავსებული, რომლის ძირში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებია, ხოლო უმაღლეს დონეზე – თვითრეალიზაციის, თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებაა. უფრო მაღალი დონის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელია, როდესაც დაკმაყოფილებულია უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები. ადამიანი, რომელიც განიცდის მწვავე შიმშილს, ძნელად იფიქრებს სხვა მოთხოვნილებებზე, თუმცა არის საპირისპირო შემთხვევებიც...




მასლოუ განასხვავებს მოთხოვნილებების 2 კლასს: **საბაზისო** ანუ **დანაკლისის მოთხოვნილებებს** (ფიზოლოგიურს, დაცულობის, მიკუთვნების, სიყვარულის და თვითპატივისცემის) და **ზრდის** ანუ **მეტამოთხოვნილებებს**. მათ მიეკუთვნება ცოდნის მოპოვების, სილამაზის, სამართლიანობის და თვითრეალიზაციის ანუ თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები.

თვითრეალიზაცია – რთული ცნებაა. ეს არის ზრდის პროცესი, ქმნადობა, რომელიც პიროვნების ძალების გაშლას გულისხმობს. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ თვითრეალიზაცია არის ადამიანის ნორმალური არსებობის ცენტრალური ფაქტორი, მაგრამ თვითონ მასლოუ აღნიშნავდა, რომ მის მიღწევას დიდი სიმტკიცე და ნებისყოფაა სჭირდება, ამიტომ ის საკმაოდ იშვიათია.

საყურადღებოა თვითრეალიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი – მისწრაფება კომპეტენტურობისაკენ., რომელიც გამოიხატება ბავშვის მცდელობაში იყოს საკმარისად კომპეტენტური წარმატების მისაღწევად. ეს ფაქტორი უფრო გაშლილად კოგნიტურ თეორიაშია მოცემული.

მოტივაციისადმი ჰუმანისტურ მიდგომას აქვს თავისი ღირებულება სასკოლო პრაქტიკისათვის. იგი უსვამს ხაზს მოსწავლის ქცევაზე მომქმედ შინაგან ფაქტორებს.

სკოლა, რომელსაც აქვს ჰუმანისტური ორიენტაცია, მიმართულია არა მასწავლებელზე და საგნებზე, არამედ მოსწავლეებზე, ამ მიდგომისათვის მთავარია ბავშვის პიროვნული განვითარება, პოზიტიური თვითშეფასების ზრდა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებელს და მოსწავლეს შორის ჰუმანური დამოკიდებულების განვითარების ხაზსგასმა.

კარლ როჯერსი თავის ბრწყინვალე წიგნში "სწავლის თავისუფლება" აღნიშნავს, რომ განათლებულობა ეფუძნება არა ცოდნაზე, არამედ მისი მოპოვების უნარზე. კი არ ასწავლო, არამედ ხელი შეუწყო სწავლას. – ეს არის მასწავლებლის მთავარი ფუნქცია!"

## მოტივაციაზე კოგნიტური შეხედულება

მოტივაციის ადრინდელი თეორიები იხილავდნენ ადამიანს როგორც პასიურ არსებას, რომელსაც მართავს ან შინაგანი მოთხოვნილება, ან გარეგანი აქტივაციის სტიმულირება. თანამედროვე თეორიების მიხედვით მოსწავლე აქტიური არსებაა, რომელიც შეგნებულად აფასებს თავისი ქცევის შედეგებს.

ერთერთ ასეთ მომენტს წარმოადგენს ადამიანის უნარი შეაფასოს საკუთარი კომპეტენტურობა ანუ თვითეფექტურობა.

ბანდურას შეხედულების მიხედვით, თვითეფექტურობა არის რომელიმე მოქმედების ორგანიზაციის და მიზნის მიღწევის საკუთარი შესაძლებლობის რწმენა. თვითეფექტურობა მოიცავს წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს და კომპეტენტურობის თვითშეფასებას.

ბავშვის რწმენა საკუთარი კომპენტურობის შესახებ სისტემატურად იცვლება სასკოლო სწავლების განმავლობაში. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები, როგორც წესი, ოპტიმისტურად აფასებენ საკუთარ კომპეტენტურობას, მაგალითად კითხვაში. ასაკთან ერთად საკუთარი კომპეტენტურობის შეფასება თანდათანობით უკავშირდება რეალურ აკადემიურ მოსწრებას. მაგრამ დავალებათა რეალური შესრულება არ იწვევს ყოველთვის თვითშეფასების გაზრდას. ზოგიერთი ადამიანი წარმატებას იღბლიანობას მიაწერს, შემთხვევით პირობებს, ხოლო წარუმატებლობას - არახელსაყრელ ვითარებას. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი შედეგების შედარება სხვის, განსაკუთრებით თანატოლების, შედეგებთან. ჩვენი კომპეტენტობის დადებით შეფასებაზე გავლენას ახდენს შეჯიბის მომენტი, მასწავლებლის დამაჯერებელი დადებითი შეფასება.

ამრიგად, ჩვენი აზრი საკუთარი ეფექტურობის შესახებ გავლენას ახდენს მოტივაციაზე და ძალისხმევაზე მიზნის მისაღწევად. მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვები მიდიან რისკზე, დაბალი თვითშეფასების მქონეები კი - კი გაურბიან რისკთან დაკავშირებულ სიტუაციებს, ისახავენ მარტივ მიზნებს.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, წარმატება და წარუმატებლობა ახდენს გავლენას საკუთარი კომპეტენტურობის შეფასებაზე, მაგრამ ეს კავშირი არ არის მარტივი: ჩვენ მივაწერთ ჩვენ შედეგებს განსხვავებულ ფაქტორებს. სწორედ ამას ეხება ე.წ. ატრიბუციის თეორია, რომელიც სწავლობს თუ რა მიზეზებს ასახელებს ადამიანი საკუთარი შედეგების ახსნის დროს. ამ თვალსაზრისით არჩევენ 2 ძირითად სახეს: კონტროლის შინაგან ,ლოკუსს, როდესაც ადამიანი თავის წარმატებას და წარუმატებლობას საკუთარ უნარს მიაწერს. კონტროლის გარეგანი ლოკუსი გულისხმობს, რომ ადამიანი საკუთარ წარმატებას ან

ჰარცხს გარეგან ფაქტორებს მიაწერს. კონტროლის ლოკუსი, პირადი პასუხისმგებლობა და სტაბილობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ადამიანის მოტივაციას.

შინაგნად ორიენტირებულ მოსწავლეებს აქვთ უფრო მაღალი მიღწევის მოტივაცია, უფრო მეტად კმაყოფილები არიან სწავლებით. მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია იცოდნენ რამდენად შეიძლება გარეგანი ატრიბუცია შეცვალონ შინაგანით, ე.ი. დააჯერონ, რომ წარმატება დამოკიდებულია საკუთარ ძალისხმევაზე. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს შექებას, მაგრამ არა ინტელექტისა, არამედ დახარჯული შრომის და ძალისხმევის გამო. განმეორებით განცდილი წარუმატებლობა უარყოფით გავლენა ახდენს კომპეტენტურობის თვითშეფასებაზე, იწვევს უმწეობას. მასწავლებელს შეუძლია ცვალოს დავალებების სიძნელე ისე, რომ მოსწავლეს არ დაუფიქსირდეს მარცხის განცდა, დაბალი თვითშეფასება. აღწერილი თავისებურებები ადამიანთა ორ ტიპს: ექსტერნალებს და ინტერნალებს ახასიათებთ. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ეს განსხვავება,რადგან დაეხმარება მოსწავლეებთან ურთიერთობის დამყარებაში, მათ გაგებაში.

| ინტერნალები არიან | ექსტერნალები არიან |
|---|---|
| ფრთხილები, | უყურადღებო, |
| კომპეტენტური, | დაბნეული, |
| შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა, | საზოგადოების აზრის გავლენის ქვეშ ექცევა, |
| ძალაუფლების მოყვარულნი წარმატებაზე ორიენტირებულნი, | სხვები აკონტროლებენ, დაურწმუნებლები საკუთარ შესაძლებლობებში, |
| დამოუკიდებლები, | მოუწესრიგებლები, |
| თვითდაჯერებულები, უნარიანი | არაადექვატური რეაქციების. |

ატრიბუციის თეორიის მნიშვნელობა მოსწავლეთა ქცევის გასაგებად ნათელი ხდება, როდესაც მას ვუკავშირებთ მიღწევის მოტივაციას. ზოგიერთი ადამიანი იქცევა ისე, თითქოს მათთვის მთავარია წარმატების მიღწევა, ზოგი კი – ისე, თითქოს მთავარია აიცილო წარუმატებლობა, მარცხი. მაკკლელანდის აზრით ადამიანები, რომლებსაც წარმატების მიღწევის ძლიერი მოთხოვნილება აქვთ, მიზნებს აღწევენ კიდეც. ამ მოთხოვნილების ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მშობლების განწყობებს. ძლიერი მიღწევის მოთხოვნილების მქონე მშობლები ბავშვებისაგანაც მეტს ითხოვენ და დამოუკიდებლებად ზრდიან, მაშინ, როდესაც ამგვარი მოთხოვნილებების არმქონე მშობლები ბავშვების მიმართ ზემზრუნველობას იჩენენ და პასიურ პიროვნებებად ზრდიან. გამოკვლევები აჩვენებენ, რომ მიღწევის მაღალი მოთხოვნილების მქონე ბავშვები უფრო კარგ შედეგებს აღწევენ სკოლაში. ამ თავის დანართში მოცემულია მიღწევის მოტივეს დონის დამდგენი ტესტი, ჩაატარეთ ის თქვენზე.

ქვემოდ მოცემულ ცხრილში თავმოყრილია მოტივაციისადმი სხვადასხვა თეორიული მიდგომა...

**ცხრილი № 13.** მოტივაციის თეორიები

| ავტორი | თეორია | თეორიის ცენტრალური ელემენტი | მოტივაციის ახსნა |
|---|---|---|---|
| სკინერი | ბიჰევიორიზმი | განმტკიცება | განმამტკიცებლის აღწერა |
| ბანდურა | სოც.კოგნიტური | წაბაძვა | მოდელირება |
| ბრუნერი | კოგნიტური | აღმოჩენა | მოტივთა კომპლექსი |
| მაკლელანდი | მიღწევის | მიღწევის მოთხოვნილება | ცვლილებები მიღწევის მოთხოვნილებაში |
| ვაინერი | ატრიბუციის | ქცევის მიზეზები | ქცევის მიზეზების წვდომა |
| მასლოუ | ჰუმანისტური | მოთხოვნილებათა იერარქია | მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება |

მოტივაციის ჩამოყალიბების ბუნებრივ ფაქტორებში, პირველ რიგში გასათვალისწინებელია ცნობისმოყვარეობა, რომელიც წარმოადგენს შემეცნებითი ინტერესის საწყის საფეხურს. როჯერსი პირდაპირ წერს, რომ სწავლის ქვეშ ის გულისხმობს დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას, რომელიც ამოძრავებს მოზარდის გონებას.

მშვიდი ატმოსფერო, მეგობრული ურთიერთობა, საინტერესო სამუშაო წარმოშობს ცნობისმოყვარეობას და ცოდნისმოყვარეობას (ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ როგორც ცნობისმოყვარეობის განვითარებული ფორმა). ამ უნარის განვითარებას ადრეული ასაკიდან უნდა შევუწყოთ ხელი. სასკოლო ასაკი კოგნიტური სტრუქტურების განვითარების ასაკია, რომელსაც ემყარება ამ უნარის განვითარება. ცნობისმოყვარეობას ხელს უწყობს გარე სტიმულაციაც.

მასწავლებლის რამდენიმე ზემოქმედება, რომელიც გააძლიერებს ცოდნისმოყვარეობას:

- დაანახეთ თქვენი ენთუზიაზმი საგნის ან მოვლენის მიმართ. დააინტერესეთ მოსწავლეები.
- აჩვენეთ წინააღმდეგობები მოვლენების ახსნაში,
- მოსწავლეებს ნება მიეცით შეარჩიონ თემები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მათ ცნობისმოყვრეობას,
- მოახდინეთ ასეთი სიტუაციის მოდელირება – რას აკეთებს ცნობისმოყვარე ადამიანი პრობლემის გადასაჭრელად.

მოტივაციის და სწავლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განხილვის დროს უნდა გამოვყოთ: მოტივაცია სწავლის დაწყებისას, მოტივაცია სწავლის პროცესში და სწავლის ბოლოს.

სწავლის დაწყება:

ამ ეტაპზე არსებობს 2 მთავარი მოტივაციური ფაქტორი. ატიტუდები და მოთხოვნილებები. ატიტუდები გულისხმობენ თუ რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს სკოლის, მასწავლებლების, საგნების მიმართ. თუ თქვენ ზუსტად განსაზღვრავთ დამოკიდებულებებს, უფრო ადვილად გადაჭრით პრობლემებს.

ერთერთ ცნობილ გამოკვლევაში, სადაც შესწავლილ იქნა მოსწავლეთა დამოკიდებულება უცხოური ენის მიმართ, დადგენილ იქნა, რომ ეს ფაქტორი უფრო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმატებას, ვიდრე უნარი. აგრეთვე დადგინდა, რომ ზოგადი ინტერესი

შესასწავლი ენის მატარებელი ხალხის ცხოვრების წესისა და კულტურისადმი (ე.წ. ინტეგრალური მოტივი) უფრო მეტად განსაზღვრავს წარმატებას, ვიდრე პრაქტიკული ინტერესი (ე.წ. ინსტრუმენტული მოტივი).

მოთხოვნილებების დიაპაზონი მეტად ფართოა, დაწყებული ფიზიოლოგიურით, ესთეტიკურით დამთავრებული. ზოგიერთი მათგანი დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას მოითხოვს., წინააღმდეგ შემთხვევაში გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. ( განა იშვიათია, როდესაც მასწავლებელი უარს ეუბნება მოსწავლეს ტუალეტში გასვლაზე). ზოგიერთ მოსწავლეს სიბნელის შიში აქვს, ზოგს ცხოველის ეშინია. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ბავშვის თავისებურება და ძირითადი რჩევა, რომელიც შეიძლება ფსიქოლოგმა მათ მიეცეთ, ასეთია:

***შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო საკლასო ოთახში.***

## მოტივაცია სწავლის პროცესში

ამ ეტაპზე არსებობს 2 მთავარი რამ: სტიმულაცია და ზეგავლენა.

მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მოსწავლეები განსხვავებულები არიან და მათთან მუშაობა სტიმულაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენებას მოითხოვს. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ უპირველეს ყოვლისა თვითონ ჰქონდეს მუშაობის ინდივიდუალური სხვაობების გამოვლენის ხერხები. ამის ერთერთი საინტერესო ტექნიკაა – "სიბრმაობანას" თამაში: ერთი ვითომ ბრმაა, მეორე უნდა დაეხმაროს ჭამაში. რამდენი მეგზურიც წაიყვანს ბრმას სასადილო ოთახში და ეხმარება ჭამაში, იმდენნაირი დახმარების ტექნოლოგია არსებობს, ასევე ყველას განსხვავებული დახმარება სჭირდება... ასეთივე სიტუციაა საკლასო ოთახში.

*მოტივაცია სწავლის ბოლოს:* აქ 2 მთავარ მომენტს არჩევენ: კომპეტენციას და განმტკიცებას. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ მოსწავლეებს თავისი შესაძლებლობების რწმენა შეუქმნას, დაეხმაროს იმ უნარების მოძებნაში, სადაც მოსწავლე წარმატებულად იგრძნობს თავს, განუმტკიცოს მოსწავლეს სწორი ქცევა.

მოტივაციის კიდევ ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს მისი ინტენსივობა (სიძლიერე), რომელსაც ხშირად ემოციის, კერძოდ შფოთვის, ფაქტორს უკავშირებენ. . ამ თვალსაზრისით მოტივაცია მოიცავს ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ფაქტორებს. ფიზიოლოგიური ცვლილებები ხდება ნერვული სისტემის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია ემოციებთან. ეს ცვლილებები აქტივაციაში ვლინდება. აქტივაცია ფსიქოლოგიურად ვლინდება შფოთვისა და ყურადღების განსხვავებული დონეების სახით. აქტივაციის დაბალ დონეზე ადამიანი აბსოლუტურად მოკლებულია ყურადღების კონცენტრაციის უნარს. ეს ფაქტიურად ძილის მდგომარეობას უახლოვდება. აქტივაციის მაღალ დონეზე ადამიანის ძლიერი შფოთვის მდგომარეობა პანიკამდეა მისული. ამ გამოვლენებს თან ახლავს გარკვეული ფიზიოლოგიური ცვლილებები: გულის რითმის, სუნთქვის სიხშირის ცვლილებები, კანკალი და სხვა. მოსწავლეს მრავალი რამ აღელვებს: მასწავლებელთან დამოკიდებულება, გამოცდები, ურთიერთობები თანაკლასებთან და სხვ.

დამოკიდებულება შფოთვის დონესა და ქცევის წარმატებულობას შორის არ არის სწორხაზობრივი ეს კი ნიშნავს, რომ შფოთვის დაბალი დონეზე ქცევა არაეფექტურია, ადამიანი უბრალოდ არ არის დაინტერესებული და მოტივირებული შედეგზე. აქტივაციის

მომატებით ქცევის, მათ შორის სწავლის ეფექტურობა იზრდება და თავის ოპტიმალურ დონეს აღწევს. ე.ი. ადამიანი მისთვის საუკეთესო შედეგებს აჩვენებს. მაგრამ შფოთვის შემდგომი მომატებისას, მაგალითად ძლიერი სტრესის დროს ადამიანი კარგავს ქცევის შესრულების ეფექტურობას, მოსწავლე ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს. სწორედ ასეთი ვითარებაა ასახული ე.წ. საგამოცდო შფოთვაში, რაც, როგორც წესი, აუარესებს მოსწავლეების წარმატებულობას. ასეთი შფოთვა აღწერილია ბოლო წლების გამოკვლევებში კომპიუტერებზე მუშაობის მიმართაც. ნახაზზე ჩანს ეს დამოკიდებულება.




მაგრამ არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც საგამოცდო და საკონტროლო სიტუაციებში აუმჯობესებენ თავის შედეგებს, კერძოდ, საქართველოში ჩატარებულ რამდენიმე გამოკვლევაში გამოვლინდა ასეთი ბავშვების არსებობა. ეს შედეგი ნაწილობრივ დაკავშირებულია იმ ხერხებთან, რომლითაც ხდება სტრესის დაძლევა. ასეთ ბავშვებს შემუშავებული აქვთ სტრესის, ჭარბი მოტივაციის დაძლევის სხვადასხვა სტრატეგია. ზოგიერთი სტრესის გამომწვევ პრობლემას ებრძვის, ზოგი – თავს საყვარელი მუსიკის მოსმენით იმშვიდებს, ზოგი – რელიგიას მიმართავს ან უფროსის დახმარებას. არსებობს აგრეთვე სპეციალური პედაგოგიური მიდგომა სტრესის, საგამოცდო შფოთვის უარყოფითი შედეგების დასაძლევად. მასწავლებელს შეუძლია ბავშვს შეუმუშავოს დადებითი განწყობა შესასრულებელი სამუშაოს მიმართ, არ შეზღუდოს დროში, არ გამოიყენოს დაშინების ხერხები, ასწავლოს გამოცდაზე გამოყოფილი დროის რაციონალური გამოყენება, ჩაუტაროს სპეციალური დამამშვიდებელი ტრენინგი.

ამრიგად, არც ნახევრად მთვლემარე მოსწავლე და არც პანიკაში ჩავარდნილი არ არიან მზად სასწავლად. ოპტიმალური პირობა იქმნება მაშინ, როდესაც მოსწავლის შფოთვა ზომიერ ფარგლებში მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში ის ეფექტურ მოტივაციად გადაიქცევა.

## საკონტროლო კითხვები:

- თვლით თუ არა, რომ დაჯილდოების სისტემის გამოყენება აქვეითებს შინაგან მოტივაციას?
- აღწერეთ მასლოუს სისტემა. როგორ შეიძლება მისი გამოყენება პრაქტიკაში?

## შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები:

1. ზოგიერთი სამეცნიერო კვლევის შედეგები მიუთითებენ იმაზე, რომ ბავშვები, რომლებიც დილით სკოლაში წასვლამდე კარგად საუზმობენ, ხშირ შემთხვევაში კარგი აკადემიური მოსწრებითაც ხასიათდებიან. თქვენი აზრით, რა კავშირი შეიძლება არსებობდეს კარგად ორგანიზებულ საუზმესა და ბავშვის მიერ გაკვეთილზე ცოდნის ათვისების ხარისხს შორის?

2. კონკურენტული შეკითხვები. აღნიშნეთ „სწორია", „მცდარია".

1) მასლოუს მიხედვით ჯერ უნდა დაკმაყოფილდეს ზედა, შემდეგ ქვედა საფეხურის მოთხოვნილებები.

2) ადამიანის ზოგიერთი მოქმედების ახსნა ვერ ხერხდება მასლოუს მიხედვით.

3) ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი მიაღწიონ თვითრეალიზაციას, სულ მცირე რამითაც ხარობენ.

4) თუ მხატვარს გადაუხდიან ნახატში, მისი შინაგანი მოტივაცია გაიზრდება.

5) საზოგადოებრივი მოწონება, როგორც წესი, ასუსტებს შინაგან მოტივაციას.

## ტესტი

### (მიღწევის მოტივაცია)

შეაფასეთ თითოეული დებულება "დიახ" ან "არა"- თი

1. ვფიქრობ, რომ წარმატება ცხოვრებაში უფრო მეტად დამოკიდებულია შემთხვევაზე, ვიდრე დაგეგმვაზე.
2. თუ არ მექნება საყვარელი საქმიანობა, ჩემი ცხოვრება დაკარგავს აზრს.
3. ნებისმიერ საქმიანობაში ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია შესრულება, ვიდრე საბოლოო შედეგი.
4. ვთვლი, რომ ადამიანები სამუშაოში წარუმატებლობას უფრო მეტად განიცდიან, ვიდრე ახლობლებთან ცუდ ურთიერთობას.
5. ჩემი აზრით, ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრობს შორეული მიზნებით, და არა ახლო მიზნებით.
6. ცხოვრებაში მე მეტი წარმატება მქონდა, ვიდრე წარუმატებლობა.
7. ემოციური ადამიანები უფრო მომწონს, ვიდრე საქმიანი.
8. ჩვეულებრივი მუშაობის დროსაც კი ვცდილობ გავაუმჯობესო მისი ელემენტები
9. როდესაც ჩართული ვარ წარმატებაზე ფიქრში, შეიძლება დამავიწყდეს სიფრთხილე.
10. ჩემი ახლობლები ზარმაცად მთვლიან.
11. ვფიქრობ, რომ ჩემი წარუმატებლობები უფრო ვითარებების ბრალია და არა ჩემი.
12. მოთმინება მეტი მაქვს, ვიდრე ნიჭი.
13. ჩემი მშობლები ზედმეტად მკაცრად მაკონტროლებდნენ.
14. ჩემს განზრახვაზე უარს ხშირად სიზარმაცე მათქმევინებს და არა წარმატებაში დაეჭვება.

15. ვფიქრობ, თავდაჯერებული ადამიანი ვარ.

16. წარმატების გულისთვის მზად ვარ წავიდე რისკზე მაშინაც, როცა შანსები არ არის დიდი.

17. მე ბეჯითი ადამიანი ვარ.

18. როდესაც ყველაფერი დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, ენერგია მემატება.

19. ჟურნალისტი რომ ვიყო, ორიგინალურ აღმოჩენებზე უფრო დავწერდი ვიდრე შემთხვევებზე.

20. ჩემი ახლობლები როგორც წესი არ იზიარებენ ჩემს გეგმებს.

21. ჩემი მოთხოვნები უფრო დაბალია, ვიდრე ჩემი ამხანაგებისა.

22. მეჩვენება, რომ დაჟინებულობა უფრო მეტი მაქვს, ვიდრე უნარები.

კოდი: პასუხი "დიახ" კითხვებზე: 2, 6, 7, 8, 14, 16, 18, 19, 21, 22.
პასუხი "არა" კითხვებზე 1, 3, 4, 5, 9, 10, 11, 12, 13, 15, 17, 20. შეაჯამეთ თქვენს მიერ შესრულებულ ტესტში კოდის შესატყვისი პასუხების რაოდენობა.

2–11 მიღწევის მოტივის დაბალი დონე

12–15 მიღწევის მოთხოვნილების საშუალო დონე

16–19 მიღწევის მოტივის მაღალი დონე

# პერსონალური დღიური

1. ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის ______

[illegible]

[illegible]

2. განხილული საკითხებიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ______

[illegible]

3. კითხვა, რომელიც გამიჩნდა ______

4. გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება. ნახატე ან ნახაზე. ______

# თავი XIV

## კლასის მართვა: ორგანიზაცია, კონტროლი

> ნამდვილი დისციპლინა შეგნებული ხასიათისაა
> დისციპლინას მხოლოდ მაშინ ექნება
> მაქსიმუმი აღმზრდელობითი მნიშვნელობისა,
> როდესაც ბავშვები თვითონ იმსჯელებენ
> იმის შესახებ თუ როგორ უნდა იქცეოდნენ და
> თვითონვე ცდილობენ თავისი შეგნებული
> გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების შესახებ
>
> დ. უზნაძ

ოქტომბრის ერთ მშვენიერ დილას მასწავლებელი საკლასო ოთახში ელოდებოდა მოსწავლეებს. უცბად კარი გაიღო და კლასში მეხუთე კლასელი მოსწავლეები ხმაურითა და ყივილ-ხივილით შემოცვივდნენ. ზოგი საკუთარ ადგილას დაჯდა. ზოგმა ქურთუკის კედლის საკიდზე ჩამოკიდება დაიწყო, რამდენიმე მოსწავლემ კი საკლასო ოთახის ბოლოში საუბარი გააბა. ამ დროს ანდრო, ერთერთი საკმაოდ ენერგიული მოსწავლე გამოექანა და ერთერთ მოსაუბრეთაგანს მაგრად წამოარტყა.. ბიჭებმა ერთმანეთში კინკლაობა დაიწყეს. მასწავლებელმა ყვირილი დაიწყო: ანდრო, ნუღარ ურტყამ, ახლავე შეწყვიტე!"უეცრად ბიჭმა მთელი კლასის წინაშე მასწავლებელს ენა შეუბრუნა და უყვირა: „რა გინდათ ჩემგან, სულ მე მადანაშაულებთ!" მასწავლებელი შეცბა, ანდრო აქამდე მართლაც არასოდეს ყოფილა შემჩნეული სერიოზულ უსაქციელობაში. მასწავლებელი ჯერ დაიბნა, შემდეგ ბიჭები ერთმანეთს დააშორა, მაგრამ მთელი დღე ამ ამბავზე ფიქრობდა. რამ გამოიწვია ეს ინციდენტი? რა გააკეთა მან და რა ვერ გააკეთა? რა ვერ განჭვრიტა? ეს ფიქრები მას მოსვენებას არ აძლევდა.

*უპასუხეთ ამ კითხვებს საკითხის შესწავლის შემდეგ.*

## ძირითადი საკითხები:

- კლასის მართვის მოდელების გაცნობა:

ა) თავისუფლება სწავლაში – კარლ როჯერსი;
ბ) ბავშვებისადმი სიყვარული - მაიკლ მარლენდი;
გ) „შინაური" მასწავლებელი – იაკობ კუნინი;
დ) ლოგიკური მიგნებები - რუდოლფ დრეიკერსი;
ე) ქცევის მოდიფიკაცია - სკინერი;
ვ) მკაცრი დისციპლინა - კანტერი

- სტრატეგიები კლასში მოსწავლეთა არასასურველი დისციპლინის პრევენციისთვის

## შესავალი

საკლასო ცხოვრების მართვა, ხელმძღვანელობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ქაოსის თავიდან აშორებას. იგი გულისხმობს ისეთი წესების, ნორმების შემუშავებას და განხორციელებას, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს შეუფერხებლად მართოს სასწავლო პროცესი. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რას მოელიან მათგან, რას ნიშნავს მასწავლებლის განსხვავებული სიგნალები. თუ მასწავლებელი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მან იცის რასაც აკეთებს, კონტროლის ეფექტური შესაძლებლობები იზრდება. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კარგად მართულად ითვლება კლასი, სადაც ბუზის გაფრენის

ხმაც კი ისმის. პირიქით, საუბარი, კამათი, დიალოგი კლასში უნდა იყოს, თუმცა ეს ყველაფერი კონკრეტული თემის ფარგლებს უნდა მოიცავდეს და არა დისციპლინის დარღვევას. მოკლედ, მასწავლებელმაც და მოსწავლეებმაც ზუსტად უნდა იცოდნენ რა ხდება კლასში, რას აკეთებენ ისინი. კლასის ორგანიზება კლასის მართვის პირველი უმნიშვნელოვანესი საფეხურია.

მოსწავლის განვითარება დაკავშირებულია ცვლილებებთან. მასწავლებელმა ამ ცვლილებებს უნდა მიუსადაგოს მართვის ტექნიკა. მოსწავლის ცვალებადი მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად იცვლება მის მიერ სოციალური ქცევის, სკოლის ცხოვრების წესების გაგება. მიმდინარეობს ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესი: სასურველი სოციალიზაცია (აუცილებელი კონფორმულობა) და ინდივიდუალიზაცია (თვითგამოხატვა). მასწავლებელმა უნდა მოახდინოს სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) ადაპტაცია მოსწავლის ასაკობრივი მოთხოვნილებების, შესაძლებლობების და ზოგადად, კლასის ატმოსფეროს გათვალისწინებით.

## როდესაც საკლასო ოთახის კარს შეაღებთ

მომავალმა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორი მასწავლებლების ხილვა სურთ მოსწავლეებს. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მოსწავლეები აფასებენ ისეთ მასწავლებელს, რომელიც

- არ აძლევს დამატებით სამუშაოს იმ მოსწავლეებს, ვინც ყველაზე ადრე დაასრულა საკლასო დავალება.
- არ არის ზედმეტად შემოფარგლული სასწავლო პროგრამით, არის მრავალმხრივი, იყენებს დამხმარე ლიტერატურას.
- არ ეუბნება ყველაფერზე უარს მოსწავლეს (მაგალითად ტუალეტში გასვლაზე).
- მხარს უჭერს მოსწავლეთა საინტერესო წამოწყებებს.
- იუმორის გრძნობითაა დაჯილდოებული.
- ეფექტურად აკონტროლებს მოსწავლეთა საქმიანობას და ობიექტურად აფასებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს.
- კარგად ფლობს თავის საგანს.
- ხსნის და ასწავლის ასაკის შესაბამისად.
- არ არის პრეტენზიული და წუწუნა.
- არ კიდებს მოსწავლეებს "იარლიყებს", არ ჰყავს ფავორიტები.
- არის გემოვნებით ჩაცმული და ყველა ასაკში ახალგაზრდული

ძალზე მნიშვნელოვანია კლასთან პირველი შეხვედრა. პირველი ორი კვირის განმავლობაში იქმნება კლასის ატმოსფერო. თუ მასწავლებელი ამ პერიოდში მოახერხებს წესრიგის დამყარებას, კლასის სწორ ორგანიზაციას, კლასის ეფექტური მართვის ალბათობა იზრდება, თანდათან ხდება სასურველი ქცევის განმტკიცება, იკლებს დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

*დისციპლინა* სწავლების პროცესის მართვის ასპექტია. მას მიეკუთვნება ის ღონისძიებები, რომელთაც ღებულობს მასწავლებელი მოსწავლეთა ქცევის პრობლემების მინიმუმამდე

დასაყვანად. დისციპლინაში ასევე იგულისხმება მასწავლებლის რეაგირების უნარი მოსწავლეთა პრობლემურ ქცევაზე.

განსხვავებულ ეპოქებში დისციპლინა განსხვავებულ ნორმებს მოიცავდა. თუმცა დისციპლინის საკითხი სასწავლო პროცესში ყველა ეპოქისთვის თანაბრად აქტუალურია.

უდისციპლინობის პრევენცია ასევე ფართოდ გამოიყენება განათლების სფეროში. პრეპრევენციული სტრატეგია მიმართულია დისციპლინის მოსალოდნელი პრობლემების დასაწყისშივე შემჩნევის, რეაგირების და შედეგად მისი აღმოფხვრისკენ.

განვიხილოთ კლასის მართვის რამდენიმე მოდელი (იხილეთ დანართი).

## კლასის მართვის ჰუმანისტური მოდელები

ეს მოდელები მიმართულია არა მასწავლებელზე, არამედ მოსწავლეზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლის ღირსებას. ამ მოდელების მიხედვით მასწავლებელი მინიმალურად ერევა კლასის დინამიკაში და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი გაკვეთილის მსვლელობის პროცესში. მასწავლებელი, ამ მოდელის თანახმად, ცდილობს მოსწავლეებს შეუქმნას მხარდაჭერის ატმოსფერო. ჰუმანისტური მოდელის წარმომადგენელთა შორის აღსანიშნავია *კარლ როჯერსი* და *მაიკლ მარლენდი*.

## თავისუფლება სწავლაში – კარლ როჯერსი

*კარლ როჯერსს* მიაჩნია რომ ჰუმანისტური პედაგოგის მიზანი უნდა იყოს მოსწავლეში შინაგანი დისციპლინის ჩამოყალიბება. ზოგადად, შინაგან დისციპლინაში იგულისხმება მოსწავლის მიერ საკუთარი თავის ცოდნა, რაც მას დაეხმარება პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მშობლებმა და მასწავლებლებმა კი ბავშვის პიროვნების განვითარებას უნდა შეუწყონ ხელი. ამიტომ სწავლების პროცესში ჰუმანისტური პედაგოგი კი არ მართავს მოსწავლეს, არამედ მიმართულებას აძლევს მას. მოსწავლეა ამ პროცესში მთავარი შემსრულებელი და არა მასწავლებელი. სამწუხაროდ, როჯერსი კლასის მართვის კონკრეტულ ტექნიკებს არ გვთავაზობს. ეს შეიძლება ლოგიკურადაც კი მოგვეჩვენოს, რადგან მისი მოდელი ხომ სწორედ სწავლების პროცესში მასწავლებლის ზედმეტი ჩარევის წინააღმდეგია.

როჯერსის მომდევარ სკოლებში აქცენტი კეთდება შემდეგ მომენტებზე:

- განხილვა. ხდება მოსწავლეთა ქცევის და ვერბალური კომენტარების განხილვა. ამით მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, თავად გააანალიზოს საკუთარი აზრები და სურვილები, ისწავლოს მათი მართვა.
- მოსწავლეთა მხარდაჭერა. მასწავლებელი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა მოსწავლეს, როგორც პიროვნებას.
- მოსწავლეთა მიერ საკუთარი თავის და ქცევის შეფასების ხელშეწყობა. მაგალითად, მასწავლებელი შესაძლოა შეეკითხოს მოსწავლეს: "როგორ შეაფასებდი დღეს შენს მიერ შესრულებულ დავალებას?
- მოსწავლეთა თვითაქტუალალიზაციისთვის ხელის შეწყობა. მასწავლებელი ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეში არსებული ტალანტის განვითარებას.

## ბავშვებისადმი სიყვარული - მაიკლ მარლენდი

მაიკლ მარლენდი გვთავაზობს ხუთ ძირითად რეკომენდაციას, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს მის პედაგოგიურ ოვალთახედვას:

1. *ბავშვებისადმი სიყვარული.* მასწავლებელს უნდა უყვარდეს ბავშვი და ეს არ უნდა დამალოს. ეს იმაში გამოიხატება, რომ მან რაც შეიძლება ბევრი რამ უნდა იცოდეს კონკრეტული ბავშვის შესახებ.
2. *წესების დამყარება.* წესები უნდა ეხებოდეს მასწავლებელს და არა სიტუაციასა და მოსწავლეებს. ანუ, მასწავლებელმა წლის დასაწყისშივე უნდა მოახდინოს სასწავლო პროცესისთვის ხელსაყრელი, ნათელი წესების ჩამოყალიბება. თუმცა ამ წესების ყოველთვის დაცვა შეუძლებელია. მაგალითად, მასწავლებელი და მოსწავლეები თანხმდებიან წლის დასაწყისში, რომ გაკვეთილზე არ უნდა ილაპარაკოს მოსწავლემ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა შენიშვნა მისცეს მოსწავლეს მის მიერ წარმოთქმული ნებისმიერი ფრაზისთვის, რადგან ეს სიტუაციაზეცაა დამოკიდებული. მოსწავლეები, თავის მხრივ, უნდა ცდილობდნენ ამგვარი წესები დაიცვან.
3. *სამართლიანი შექება.* მაიკლ მარლენდი თვლის რომ მოსწავლის შექება მასწავლებლისთვის ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტია, რადგან ეს ურთიერთგაგების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად შექება ზრდის მოსწავლის თვითშეფასებას. რაც შეეხება შენიშვნას, მასწავლებელმა ის ცალკე უნდა მისცეს და არა სხვების თანდასწრებით, რათა მოსწავლეში საკუთარი ღირსების გრძნობა არ შელახოს.
4. *იუმორი გაკვეთილზე.* სასარგებლოა, თუკი მასწავლებელი ბავშვის გარკვეულ ქცევებს იუმორით მოეკიდება, ეს იძლევა სიტუაციის განმუხტვის საშუალებას.
5. *სასწავლო პროცესისთვის კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა.* მარლენდი თვლის, რომ კეთილგანწყობილი გარემო კლასის მართვის სასურველ პირობებს იძლევა. მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ მასწავლებელი მის პიროვნებას პატივს სცემს.

## ჰუმანისტური მოდელების უპირატესობა და ნაკლი

ამ მოდელების ძირითადი უპირატესობაა ის, რომ კლასში ყოველი ბავშვი აღიქმება პიროვნებად და მასწავლებელი პატივს სცემს მათ როგორც პიროვნებებს. ეს ქმნის პატივისცემის, ნდობის და სიყვარულის გარემოს.

ნაკლი კი ისაა, რომ ეს მოდელები დამწყები მასწავლებლებისთვის არ იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის დროს.

## კლასის მართვის დემოკრატიული მოდელები

ისევე, როგორც ჰუმანისტური მოდელები, დემოკრატიული მოდელებიც მიმართულია მოსწავლეზე და მისი პიროვნების პატივისცემაზე. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ კლასის მართვაში. თუმცა ჰუმანის-ტურისგან განსხვავებით, ეს მოდელები მასწავლებელს მეტ როლს ანიჭებენ ამ პროცესში. აქ წარმოდგენილია *კუნინის* და *დრეიკერსის* მოდელები.

## „შინაური" მასწავლებელი – იაკობ კუნინი

იაკობ კუნინს მიაჩნია, რომ მოსწავლეებში მეტი წარმატება აქვს ისეთ მასწავლებელს, რომელსაც მოსწავლეები აღიქვამენ როგორც ახლობელ, შინაურ ადამიანს.

ავტორი აღნიშნავს, რომ სწავლების პროცესში ხშირად ადგილი აქვს ე. წ. „ტალღის" ეფექტს - მასწავლებლის მიერ ერთი მოსწავლისთვის რაიმე ინსტრუქციის თუ შენიშვნის მიცემა სხვა დანარჩენ მოსწავლეებზეც ახდენს გავლენას.

კლასის სიმშვიდის შესანარჩუნებლად ასევე მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მასწავლებელმა შეძლოს ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რა ხდება კლასში და ამავე დროს ეცადოს შეინარჩუნოს გაკვეთილის ჩვეული ტემპი. როგორც კუნინი აღნიშნავს, გამოცდილი მასწავლებლები ახერხებენ ერთი აქტივობიდან მეორეზე ისე გადასვლას, რომ ტემპიდან არ ამოვარდნენ და ამით არ გამოიწვიონ კლასის აფორიაქება.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გაკვეთილზე მოსწავლეთა ყურადღების შენარჩუნებას. ამისთვის კუნინი გვავაზობს რამდენიმე რჩევას: ეცადეთ მოსწავლეებს პასუხი გააცემინოთ შეკითხვებზე (ჯგუფურად ან ინდივიდუალურად); აკონტროლეთ ჯგუფის წევრთა სიგნალები, რათა დარწმუნდეთ რომ ისინი მართლა გისმენენ; მიმართეთ ბავშვებს შეკითხვით ისე, რომ სხვა ბავშვებსაც გაუჩნდეთ იმის მოლოდინი რომ მათაც შეეკითხებიან.

## ლოგიკური მიზნებები - რუდოლფ დრეიკერსი

რუდოლფ დრეიკერსი თვლის რომ მოსწავლეთა ყოფაქცევის დარღვევები ხშირად გამოწვეულია მათი მოთხოვნილებით – იპოვონ საკუთარი ადგილი, მოიპოვონ გარკვეული სტატუსი, ან სხვანაირად რომ ვთქვათ მიიქციონ ყურადღება. რა თქმა უნდა, ზოგი მოსწავლისთვის ყურადღების მიქცევის საშუალება კარგი ყოფაქცევა და წარმატებებია. სხვებისთვის კი, სამწუხაროდ, ასეთი საშუალება შესაძლოა იყოს სიზარმაცე და უხეშობა.

თუკი ბავშვი ვერ იპყრობს ყურადღებას, ის ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას. თუკი ესეც არ გამოუვა, მაშინ ის ეცდება იუხეშოს და ამით სამაგიერო გადაუხადოს მასწავლებელს. თუკი ხედავს რომ არც ამაში აქვს წარმატება, მაშინ ის თავს დამარცხებულად და წარუმატებლად გრძნობს და ეცდება მასწავლებელს თავი შეაცოდოს და უსუსურად მოაჩვენოს.

რა რეაქცია უნდა მოახდინოს მოსწავლის ასეთ უცნაურ მოქმედებებზე მასწავლებელმა? დრეიკერი სთავაზობს მასწავლებლებს, რომ მოსწავლეს ყურადღება არ მიაქციონ. რადგან თუკი მოსწავლემ მიიღო ის, რაც უნდოდა, მაშინ ის ეცდება ამგვარი ქცევა კვლავ გაიმეოროს. სხვაგვარად, ამ დროს: ნუ დატუქსავთ, ნუ შეებრძოლებით, ნუ მოეფერებით, ნუ გამოხატავთ განსაკუთრებულ ინტერესს მოსწავლის მიმართ. ასევე ეცადეთ არ გამოხატოთ თქვენი წყენა მოსწავლის ქცევის გამო, რადგან ამას ბავშვი აღიქვამს, როგორც დასახული მიზნის მიღწევას. თუმცაღა ყურადღება მიაქციეთ მაშინ, როცა ის წესიერად იქცევა. ამ დროს ბავშვი ხედავს, რომ მასწავლებლის ყურადღება დაიმსახურა სწორედ კარგი ყოფაქცევით – ასეთია დრეიკერსის რჩევა პედაგოგთათვის.

## დემოკრატიული მოდელების უპირატესობა და ნაკლი

ამ მოდელების ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ის აღიარებს მოსწავლის უფლებებს. ამავე დროს იძლევა ძალიან კონკრეტულ და სასარგებლო რეკომენდაციებს მასწავლებლებისთვის. ეს კი ქმნის დამწყები მასწავლებლის მოლოდინს შესაძლო პრობლემებზე და რეაგირების თავისებურებებზე.

ამ მოდელების ხარვეზი ისაა, რომ ისინი ნაკლებად არის მიმართული მოსწავლის ცუდი ყოფაქცევის მოტივების და მიზეზების გარკვევაზე ანუ რატომ იქცევა ის ასე?

## კლასის მართვის ბიჰევიორისტული მოდელები

კლასის მართვის ბიჰევიორული მოდელებისთვის დამახასიათებელია ის, რომ მასწავლებელი კლასში ახორციელებს მკაცრ ხელმძღვანელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლე ეჩვევა ცუდ ყოფაქცევას, მასწავლებელმა კი ეს არ უნდა დაუშვას. მართვის ძირითად ხერხებს კი წარმოადგენს მასწავლებლის მიერ მოსწავლის დასჯა და წახალისება. ეს მოდელები გვთავაზობენ ქცევის არა პრევენციულ, არამედ მოდიფიკაციის გზებს, ანუ როგორ უნდა მოახდინოს მასწავლებელმა მოსწავლეთა არასასურველი ქცევის კორექცია – ნეგატიური ქცევების აღმოფხვრა და პოზიტიურის გამტკიცება. განვიხილოთ სკინერის და კანტერის მოდელები.

## ქცევის მოდიფიკაცია – სკინერი

ამ მიდგომის ძირითადი მიზანია მოახდინოს მოსწავლის ამა თუ იმ მიუღებელი ქცევის კორექცია. ის მიმართულია სწორედ ამგვარი ქცევების კორექციისკენ.

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თანმიმდევრული საფეხური, რომლისგანაც შედგება ეს ინტერვენცია, ანუ ჩარევა:

1) პრობლემის განსაზღვრა. ანუ მოსწავლეთა იმ პრობლემური ქცევების აღნუსხვა, რომელთაც ყველაზე ხშირად აქვთ ადგილი კლასში.

2) პრობლემის სერიოზულობის განსაზღვრა. მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს რამდენად სერიოზული ან მწვავეა მოცემული პრობლემა.

3) წინამდებარე ქცევების და მათი შედეგების დადგენა, ანუ იმის დადგენა, თუ რამ გამოიწვია მოსწავლეთა უდისციპლინობა. რამ მოახდინა ამ ნეგატიური ქცევის განმტკიცება?!

4) მასწავლებლის მიერ გადაწყვეტილების მიღება, თუ როგორ მოახდინოს მოსწავლის ქცევის შეცვლა, გამოსწორება.

5) ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება. ხშირად ამგვარი დაგეგმვა მოსწავლეებთან ერთად ხდება.

6) შეფასება-სრულყოფა. მასწავლებელი შეაფასებს გამოყენებული ხერხების ეფექტურობას, იმას თუ რამდენად მიაღწია დასახულ მიზანს და რა უნდა გააკეთოს შემდგომში ამ შედეგების შესანარჩუნებლად.

მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა პოზიტიური ქცევის შექება ან საყვედური უნდა ხდებოდეს უმალვე ამ ქცევის კვალზე, რათა მოსწავლე მიხვდეს, რომ სწორედ ეს ქცევაა

მისი შექების თუ დასჯის მიზეზი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასწავლებლის რეაგირება უნდა იყოს თანმიმდევრული.

ამასთანავე მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვადასხვა ბავშვზე ერთი და იგივე *სტიმულმა*, მაგალითად მეტი ყურადღების მიქცევამ, შესაძლოა განსხვავებული რეაქცია გამოიწვიოს. მაგ. თამამი მოსწავლე მეტისმეტად გათამამდეს, ხოლო მორცხვი მოსწავლე გამოცოცხლდეს.

პოზიტიური ქცევების განმტკიცების ერთ-ერთი გზაა *მოდელირება*, რაც მასწავლებლის მიერ ამა თუ იმ მოსწავლის დადებითი ქცევის კლასის წინაშე შექებაში და უარყოფითი ქცევის განსჯაში მდგომარეობს. ეს კონკრეტული შემთხვევა სხვა ბავშვებისთვის დადებითი თუ უარყოფითი ქცევის მაგალითად იქცევა.

დასჯის ცნება ბიჰევიორისტული მოდელებისთვის საკმაოდ ტიპიურია. *დასჯა* ორი ძირითადი სახის შეიძლება იყოს: 1. მოსწავლისთვის არასასიამოვნო სტიმულით ზემოქმედება, მაგ. კუთხეში დაყენება, კლასიდან გაძევება, დამატებითი დავალების მიცემა და ა. შ. 2. მოსწავლისთვის სასიამოვნო სტიმულის მოკლება, მაგ. ექსკურსიაზე არ წაყვანა, თამაშში მონაწილეობაზე უარის თქმა და ა. შ. შენიშვნაც ასევე დასჯის ძალიან ზოგადი ფორმაა, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც ძლიან მსუბუქი, ასევე ძალიან უხეშიც.

## მკაცრი დისციპლინა - კანტერი

მასწავლებლები ხშირად ხდებიან ძალიან ლიბერალურები და რბილები. ეს მოდელი აღიარებს, რომ ამით ზარალდება მასწავლებლის უფლებები ამიტომ ის სწორედ მასწავლებელს და მის უფლებებს სწევს წინ. მასწავლებელს უფლება აქვს: ა) კლასში დაადგინოს წესები და მისაღები თუ მიუღებელი ქცევების ზღვრები; ბ) მიმართოს მშობლებს ან დირექციას მხარდაჭერისთვის, რათა თავი გაართვას მოსწავლის ყოფაქცევის პრობლემას. ის არ გამორიცხავს დასჯას, თუმცა ამასთანავე მიუთითებს, რომ დასჯის მეთოდები არ უნდა იყოს სასტიკი და მასწავლებელი უნდა ფიქრობდეს მის შედეგებზე.

მასწავლებელი აგრეთვე მოძღვრავს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ და ასწავლის, თუ რა არის მისაღები და მიუღებელი ქცევები. ამისათვს მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კლასის მართვის ნათელი, დეტალური გეგმა, თუ რა ევალებათ მოსწავლეებს შეუსრულებლობის შემთხვევაში რა ღონისძიებები უნდა გატარდეს. წესები უნდა იყოს კონკრეტული და ნათელი. ასე, მაგალითად: არა „ნუ სულელობ"!, არამედ „ნუ ეჯახებით ერთმანეთს"!

კანტერი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა წახალისებას დადებითი საქციელის გამო, რაც გამოიხატება შექებაში, მშობლისთვის სამადლობელი წერილის მიწერაში და ა. შ.

## ბიჰევიორისტული მოდელების უპირატესობა და ნაკლი

ეს მოდელები გვაწვდიან პრაქტიკულ რჩევებს, თუ როგორ დავამყაროთ წესები კლასში, როგორ ვებრძოლოთ მოსწავლეთა ცუდ ყოფაქცევას. ის ასევე აქცენტს აკეთებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებებზე. თუმცა ჰუმანისტური მოდელებისგან განსხვავებით ის არ ითვალისწინებს მოსწავლეთა პიროვნებას და მათ ღირსებას. ამიტომ ზოგიერთი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა მას „სასტიკს" უწოდებს.

მიუხედავად ამისა, ბიჰევიორული მიდგომის პოზიტიური ასპექტია ის, რომ ის მოსწავლეთა მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობას დიდ ყურადღებას აქცევს.

## კლასში მოსწავლეთა დისციპლინის მართვის ზოგადი რეკომენდაციები

როგორც ზემოთ დავინახეთ, უამრავი რეკომენდაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომელთაც განსხვავებული მოდელები გვთავაზობენ. არიან ავტორები, რომლებიც ცდილობენ ისინი შეაჯერონ და კონკრეტული რეკომენდაციები ჩამოაყალიბონ. ერთ-ერთ ასეთ ავტორთთაგანნი არიან გროსნიკლი და სისკო (1990), რომლებიც ასეთ რეკომენდაციას გვთავაზობენ:

1) შეიმუშავეთ ქცევის მტკიცე პრინციპები, რადგან მასწავლებელს, მოსწავლეებს და მშობლებს ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა და მოლოდინები იმის შესახებ თუ რა ტიპის ქცევები მოეთხოვებათ;

2) ითანამშრომლეთ. მასწავლებელმა, სკოლის დირექციამ და მშობლებმა და იმუშავეთ ერთად..

3) შეადგინეთ მოწესრიგებული სრულყოფილი გეგმა. მაგ. რა ქცევის შემთხვევაში რა მოელის მოსწავლეს და ა. შ.;

4) გამოიმუშავეთ შინაგანი დისციპლინა.;

5) წაახალისეთ მოსწავლეები კარგი დისციპლინისთვის;

6) შეაქეთ მოსწავლეთა წარმატებები და აამაღლეთ მათი თვითშეფასება;

7) თვალყური ადევნეთ კლასში დადგენილი წესების რეგულარულად შესრულებას;

8) ყოველი გაკვეთილი დაგეგმეთ წინასწარ დეტალურად;

9) მუდმივად ადევნეთ თვალყური კლასში არსებულ სიტუაციას;

10) პრობლემის გაჩენის არდეულ ეტაპზევე, შეეცადეთ ეს პრობლემა მაშინვე დაიყვანოთ მინიმუმამდე.

უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს უნივერსალური რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება ყველა მოსწავლისთვის, ყველა სიტუაციისთვის და ყველა შემთხვევისთვის ერთნაირად მოსარგები იყოს. ამიტომ, ყველა ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაცია საჭიროებს მასწავლებლის მიერ სერიოზულ გააზრებას და შემოქმედებით მიდგომას.

## თავად ნუ შექმნი პრობლემებს

აქამდე საუბარი ძირითადად კლასისა და მოსწავლეთა ორანიზაციის საკითხებს შეეხებოდა. რა მოეთხოვება თავად მასწავლებელს? ეს შეკითხვა ხშირად უნდა დაისვას, რადგან შესაძლოა პრობლემ-ის მიზეზი თვითონ მასწავლებელი იყოს. რა შეკითხვები უნდა დასვას მასწავლებელმა?

- უსამართლოდ ხომ არ ვიქცევი? (მაგ., ზოგიერთ მოსწავლეს მეტ შენიშვნას ვაძლევ, ვიდრე სხვებს იგივე საქციელის გამო. თუ ეს ასეა თქვენ სერიოზულ პრობლემებს უნდა ელოდეთ).

- მერყევი. არათანმიმდევრული ხომ არა ვარ? (ერთ დღეს ძლიერ უარყოფითად რეაგირებთ მოსწავლის საქციელზე, მეორე დღეს საერთოდ არ რეაგირებთ)
- გაკვეთილზე მოსაწყენი ხომ არ ვარ? (ატყობთ მთელ კლასს მოწყენილობას, მოდუნებას, ვიღაც ვერ ისვენებს. ამ დროს აუცილებელია კლასის ახალ, საინტერესო აქტივობაში ჩართვა, დისკუსიის წარმართვა, ჯგუფური მუშაობები და ა.შ. ამგვარი ელემენტები კლასში სიცოცხლეს შემოიტანს, ყურადღების კონცენტრაციას გამოიწვევს)
- მაქვს დადგენილი წესები? (იციან მოსწავლეებმა რა დროს როგორ უნდა მოიქცენ, რა მოეთხოვებათ, გააგებინეთ ეს მათ? თუ ეს წესები დაადგინეთ და აათვისებინეთ კიდეც, თანდათან შეგიძლიათ მათში საჭიროების მიხედვით ცვლილებების შეტანა).
- კარგად ვიცი ჩემი საგანი? (ეს არის ის, რასაც მოსწავლეები ყველაზე კარგად გრძნობენ. თუ მასწავლებელს ცოდნის დეფიციტი აქვს, კლასის ხელმძღვანელობა. გაუჭირდება).
- ვაკონტროლებ ჩემ ხასიათს, გუნებ-განწყობილებას? (ხომ არ ხდება, რომ ზოგჯერ მოსწავლეს არასასურველი ქცევის გამო მკაცრად სჯით, იმიტომ რომ ცუდ გუნებაზე ხართ. სხვა დროს კი იგივე ქცევას უყურადღებოდ სტოვებთ. ეცადეთ ასეთი რამ თავიდან აიცილოთ).

მასწავლებელი მუდამ უნდა ცდილობდეს თვითდახელოვნებაზე და მუდმივად უნდა აფასებდეს თავის კომპეტენტურობას. ამ მიზნით აუცილებელია მასწავლებლის საქმიანობა შეფასებულ იქნას არა მხოლოდ კოლეგების, არამედ მოსწავლეების მიერ. ამ გზით მიღებული ინფორმაცია დიდ დახმარებას გაუწევს პედაგოგს. თუ მოსწავლეების მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ ამდიდრებს მასწავლებლის მიერ სიტუაციის აღქმას, ძნელია (თითქმის შეუძლებელია) სწორად განსაზღვრო რა უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. არის შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე პროცესზე მასწავლებლის და მოსწავლეების აზრი არ ემთხვევა. ობიექტურობის გარანტია სწორედ ორმხრივი შეფასება შეიძლება იყოს.

სწავლება ორმხრივი პროცესია და მისი ეფექტურობის შესახებ დასკვნა ლოგიკურია, რომ ორივე მხარის შეფასებას ეყრდნობოდეს.

## საკონტროლო კითხვები

- დისციპლინა მხოლოდ მოსწავლეთა ქცევას მოიცავს, თუ მათ ქცევებზე მასწავლებლის რეაგირების თავისებურებასაც?
- რას გულისხმობს პრევენციული სტრატეგია?
- რა ადგილი უკავია მასწავლებელს და მოსწავლეს ჰუმანისტურ მოდელებში?
- რა ადგილი უკავია მასწავლებელს და მოსწავლეს დემოკრატიულ მოდელებში?
- რა ადგილი უკავია მასწავლებელს და მოსწავლეს ბიჰევიორისტულ მოდელებში?
- თქვენ თავად რომელ მოდელს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?
- რას ფიქრობთ მოსწავლეების მიერ მასწავლებლის შეფასებაზე?

# დანართი

## კლასის მართვის მოდელების სქემა

| სწავლების ფილოსოფია | | თეორიული საფუძველი | მოსწავლეთა არასასურველ ქცევათა მიზეზები | რეკომენდაციები | წარმომადგენლები |
|---|---|---|---|---|---|
| ყველაზე ლიბერალური მოდელი | მოსწავლეთა დიდი თავისუფლება | ჰუმანისტური | უარყოფითი "მე" კონცეფცია | მასწავლებლიმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები და თავად ნაკლებად ნაურიოს. | კარლ როჯერსი<br>მაიკლ მარლენდი |
| | მოსწავლეების აქტივობა, რასაც მასწავლებე ლი ხელმძღვანელობს | დემოკრატიული | მიუღებელი მიზნები, არალოგიკური დასკვნები | მასწავლებელი უნდა იყენებდეს ახსნას, ლოგიკას, წესებს და მოსწავლეებთან ერთად თანამშრომლობით ადგენდეს წესებს. | იაკობ კუნინი<br>რუდოლფ დრეიკერსი |
| ყველაზე დირექტიული მოდელი | მასწავლებელი - კლასში ძირითადი ხელმძღვანელი | ბიჰევიორისტული | ბავშვები სწავლობენ ცუდ ქცევას | მასწავლებელი უნდა ახდენდეს მოსწავლეთა ქცევის მოდიფიკაციას | ბ. სკინერი<br>ლი კანტერი |

# პერსონალური დღიური

1. ის, რაც რეალურად გასწავლეს დღეს, არის

2. განხილული საკითხებიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა

3. კითხვა, რომელიც გამიჩნდა, არის

გაიაზრე თავში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე

# თავი XV

## პედაგოგიური მიზნები და შეფასება

> ნიშანი, როგორც შედეგი შეფასებისა, ყოველთვის სუბიექტური ხასიათისაა და, როგორც წესი, მოწაფესა და მასწავლებელს შორის მუდამ გაუგებრობას ბადებს.
>
> დ. უზნაძე

ერთ-ერთი პედაგოგი ძალიან დააფიქრა საკონტროლოებსა და ტესტებში ერთი უფროსკლასელი მოსწავლის დაბალმა აკადემიურმა მიღწევებმა. დამაფიქრებელი აქ ის იყო, რომ გოგონა კლასში ზეპირი გამოკითხვების ყველაზე უკეთეს შედეგებს აჩვენებდა, საკონტროლო და საგამოცდო სიტუაციებში კი, საკმაოდ არასასურველი შედეგები ჰქონდა. მასწავლებელმა გადაწყვიტა გაერკვია ეს პრობლემა. ამისათვის ის მოსწავლეს გაესაუბრა. მოსწავლემ გულწრფელად აღიარა შემდეგი: „იცით რა მასწავლებელო, მე ახლა უკვე ვიცი, რომ ამ წლის ბოლოსათვის განკუთვნილ ტესტირებაში ისევ დაბალ შედეგებს ვაჩვენებ, ზოგ კითხვებზე დიდი დრო დამეხარჯება, ან სულაც არ მეყოფა: მინდა, რომ კარგად შევასრულო ყველაფერი, მაგრამ ძალიან ვღელავ".

***საკითხის შესწავლის შემდეგ გააანალიზეთ ეს შემთხვევა.***

## ძირითადი საკითხები

- პედაგოგიური მიზნები და შეფასება
- მოსწავლეთა შეფასების მეთოდები
- ბლუმის პედაგოგიური მიზნების ტაქსონომია
- ტესტები, მათი სახეები, შედგენის წესები
- შეფასების ალტერნატიული მეთოდები

სწავლისა და სწავლების პროცესის ცენტრალური რგოლი სწავლების ხარისხის შეფასებაა. შეფასება სწავლების ფუნდამენტური ნაწილია. იგი მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლისათვის. ზოგადად შეფასება არის მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, ქცევის შესახებ ინფორმაციის თავმოყრის პროცესი.

შეფასება შეიძლება იყოს რაოდენობრივი (გაზომვა) ან თვისობრივი. „ტესტებში თქვენ მიიღეთ 75 ქულა" – სწორედ რაოდენობრივ შეფასებას გამოხატავს, ხოლო თვისობრივი შეფასება გამოიყენება სწავლების პროცესში გამოყენებული პროცედურების ადეკვატურობის განსასაზღვრავად, მოსწავლეთა მზაობის და დასახული მიზნის მიღწევის ხარისხის დასადგენად. აუცილებელი არ არის, რომ შეფასება გაზომვას ეფუძნებოდეს. პირიქით თვისობრივი მსჯელობები მოსწავლის უნარებზე, მის პიროვნულ თვისებებზე, მოტივაციაზე, როგორც წესი, კეთდება რაოდენობრივი შეფასების გარეშე. ტერმინი შეფასება ზოგადად გამოიყენება შეფასების ყველა პროცედურის აღსანიშნავად და იგი მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მონაცემებს.

კლასში მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეფასების პროცედურებს უკავია. სასკოლო დროის 5%-დან 15 %-მდე ტესტირებაზე იხარჯება (დაწყებით კლასებში 5%, უფროს კლასებში 15%). ამ სტატისტიკაში არ არის გათვალისწინებული დრო, რომელსაც მასწავლებელი ხარჯავს ტესტირებისა და შეცდომების შესწორებაზე. ტესტების ჩატარების ,გარდა მასწავლებელი სკოლაში ზევრ შეფასებით ოპერაციას ასრულებს: კომენტარებს აძლევს მოსწავლეთა პასუხებს, არაფორმალურად აკვირდება კლასის მუშაობას, მიღწევებს აფასებს

სხვადასხვა საგანში, ასწორებს საშინაო დავალებებს, არაფორმალურად აფასებს მოსწავლეთა მოტივაციას და მცდელობას. დაწყებით კლასებში თვისობრივი შეფასება ეფუძნება უფრო მეტად ამგვარ არაფორმალურ დაკვირვებებს, ვიდრე შედეგებს.

## შეფასების გავლენა მოსწავლესა და მასწავლებლებზე

მოსწავლეები შეფასებას თვლიან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს სწავლებაზე. ამავე დროს მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა სახის შეფასება გამოიყენება. XX საუკუნის 80-იან წლებში ა.შ.შ.-ში განათლებაში გაბატონებული იყო მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავდა სწავლებაში მაქსიმალური შედეგების მიღებას ტესტების გამოყენებით. ასეთ სწავლებას „რაოდენობაზე ორიენტირებულ სწავლებას" უწოდებდნენ. ამ სახის მიდგომის შედეგად მოსწრება ამაღლდა, მაგრამ მისი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლეს უბიძგებდა მასალის უბრალო დასწავლისაკენ. ცნობილია, რომ არსებობს ორი ფართო მიდგომა სწავლებისადმი: ზედაპირული მიდგომა, რომელიც მასალის დასწავლას გულისხმობს და სიღრმისეული მიდგომა, რომელიც მოქმედების პრინციპებისა და ძირითადი ცნებების გაგებას გულისხმობს.

ტესტირება მიზნად ისახავს ზედაპირული ცოდნის შეფასებას, ამდენად შესასწავლი მასალა იფარგლება თემის ზედაპირული განხილვით და არ ეხება მნიშვნელოვან ასპექტებს. ის მასწავლებელი, რომლის პედაგოგიური მიზანია მხოლოდ რაოდენობრივი შედეგების გაუმჯობესება, აშკარა მომხრეა სწავლების ზედაპირული მიდგომისა.

მრავალი მეცნიერი თვლის, რომ სასწავლო პროცესის შეცვლის უსწრაფესი გზა შეფასების სისტემის შეცვლაში მდგომარეობს. მასწავლებელმა სწორად უნდა შეაფასოს მოსწავლე: შეაფასოს მისი ცოდნა და მოვლენათა არსის გაგების უნარი, თანაც ობიექტურად და საფუძვლიანად. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს არა მხოლოდ ზუსტ რაოდენობრივ მონაცემებს, არამედ არაფორმალურ დაკვირვებასაც.

## პედაგოგიური მიზნები და შეფასება

განათლების მიზანი მიუთითებს იმაზე, თუ რა უნდა ასწავლონ და რა უნდა შეფასდეს. შეუძლებელია სწავლების ეფექტურობის შეფასება, თუ არ არის ცნობილი რა შედეგის მიღებაა გათვალისწინებული. ისევე როგორც არ შეიძლება განისაზღვროს მიზნის მიღწევის ხარისხი შეფასების პროცედურების გარეშე.

განათლების მიზნებს აქვს ზოგადი ხასიათი. ეს არ შეიძლება იყოს ორიენტირი კლასში ყოველდღიური მუშაობისათვის. მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია კონკრეტული ყოველდღიური, უფრო სპეციფიკური პედაგოგიური მიზნები. მიზნები მიმართულებას აძლევს მოსწავლის ეფექტურ განვითარებას.

პედაგოგიური მიზნები შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

# პედაგოგიური მიზნების ტაქსონომია

მიზანი - ეს არის სასურველი შედეგი. სასკოლო განათლების მიზნები მოიცავენ სპეციფიკურ პედაგოგიურ მიზნებს და უფრო ზოგად მიზნებს, მაგ., როგორიც არის „აზროვნების უნარ-ჩვევა“, „მოქალაქეობივი პასუხისმგებლობა“. ტრადიციულად ზოგადი მიზნები ფილოსოფოსების, პოლიტოლოგების, ეკონომისტების პრეროგატივა იყო, ნაკლებად ფსიქოლოგების. მასწავლებელი კი ძირითადად ცდილობს თავისი სპეციფიკური მიზნების განხორციელებას.

პედაგოგიური მიზნების განსაზღვრის მრავალი მცდელობა არსებობს, რომელთა შორის დიდ ინტერესს იწვევს ბლუმის პედაგოგიური მიზნების ტაქსონომია. „ტაქსო“ ბერძნული სიტყვაა და რიგის მიხედვით განლაგების კანონს ნიშნავს. 1956 წელს გამოვიდა ბლუმის ცნობილი წიგნი „ტაქსონომია“, რომელიც მიეძღვნა კოგნიტური სფეროს მიზნების შინაარსის აღწერას და მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ბლუმის პედაგოგიური მიზნების ტაქსონომია ეხმარება მასწავლებელს გაერკვეს სწავლების მიზნებში და ეს მიზნები დაალაგონ მათი მნიშვნელობის მიხედვით, როგორც მასწავლებლისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის.

კოგნიტური მიზნების იერარქიაში გამოიყოფა ექვსი კლასი (დაბალიდან მაღალი დონისაკენ): ცოდნა (ფაქტობრივი ინფორმაცია); გააზრება (აზრის გაგება); გამოყენება (მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენების უნარი); ანალიზი (ინფორმაციის კომპონენტებად დაყოფა მოვლენის არსის გაგების გასაადვილებლად); სინთეზი (მოვლენის მთლიანობაში განხილვა); შეფასება (დირებულებითი მსჯელობები, შედარებითი შეფასებები).

**ცხრილი № 14.** კოგნიტური მიზნების საფეხურები

| მიზნების კლასი | მაგალითები |
|---|---|
| 1. ცოდნა (ფაქტობრივი ინფორმაცია) | ვინ დაწერა „X“ ნაწარმოები? |
| 2. გაგება (ინფორმაციის არსის წვდომა) | რისი გადმოცემა სცადა ავტორმა თავის ნაწარმოებში? |
| 3. გამოყენება (მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება) | წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ზუსტად იცით, რომ ავტორის მიერ აღწერილი ამბავი არის ნამდვილი ისტორიული ფაქტი. როგორ ფიქრობთ, როდის დაიწერა ეს ნაწარმოები? |
| 4. ანალიზი (დაყოფა ნაწილებად მოვლენის არსის წვდომის გასაადვილებლად) | გამოყავით ძირითადი მეტაფორები და ახსენით მათი მნიშვნელობა. |
| 5. სინთეზი (მოვლენის განხილვა მთლიანობაში) | გამოყავით ოთხი ძირითადი თემა ნაწარმოებში და განიხილეთ მათი ურთიერთკავშირი ნაწარმოების ძირითად სიუჟეტთან. |
| 6. შეფასება (დირებულებითი მსჯელობები) | ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ მწერლის ეს ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს შედევრად? ახსენით თქვენი პოზიცია |

დანართში მითითებულია ზმნები, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებისას.(იხ.დანართი)

პედაგოგიური მიზნების ტაქსონომიის შექმნა მეტად სასარგებლოა პრაქტიკოსი პედაგოგებისათვის, რადგან:

- ხდება კონცენტრაცია მთავარზე. მასწავლებელი არა მარტო გამოყოფს და აკონკრეტებს მიზნებს, არამედ აწესრიგებს მათ, განსაზღვრავს ამოცანების თანმიმდევრობას.
- მასწავლებლისა და მოსწავლის მუშაობა შეთანხმებულია. კონკრეტული სასწავლო მიზნები მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს აუხსნას ძირითადი ორიენტირები, შემდეგ ხდება მათი განხილვა.
- ამ სახით ფორმულირებული სასწავლო მიზნები შედარებით ადვილად და ობიექტურად შეიძლება შეფასდეს.

ერთი შეხედვით ტაქსონომია შეიძლება საკმაოდ მოუქნელ სისტემად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არ არის. იგი არ გულისხმობს არც მოსწავლის და არც მასწავლებლის ერთფეროვანი მუშაობის სტილს.

მოგვიანებით ასეთივე ტაქსონომია შეადგინა სხვა სფეროებშიც. კოგნიტური მიზნების ობიექტივირება უფრო ადვილია, ამიტომ ბლუმის ტაქსონომია ძირითადად ამ სფეროში გამოიყენება.

## მოსწავლეთა შეფასების მეთოდები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასების მიზანს მოსწავლის შესახებ გარკვეული გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გამოხატული იყოს ნიშნით, ქულებით და ა.შ. ტერმინი შეფასება მოიცავს ტერმინთა მთელ რიგს. განვმარტოთ ზოგიერთი მათგანი:

- ტესტირება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოსწავლის ცოდნის დონე, შესაძლებლობები, მისი სწავლისა და ქცევის თავისებურებები.
- ნიშნის დაწერა, რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი.
- რანგების მინიჭება. ეს გზა განსაკუთრებით გამოიყენება დასავლურ სკოლებში.

ამ დროს ხდება კლასის პირობითად დაყოფა დონეებად ანუ რანგებად. მაგ., A დონეში ერთიანდებიან საუკეთესო მოსწრების ბავშვები, B-ში საშუალონი, ხოლო C-ში დაბალი მოსწრების მოსწავლეები. შესაბამისად, ერთი მთლიანი ჯგუფის შიგნით A დონის მოსწავლეებს ახალი დავალებები ეძლევათ, B დონისები ძველის განმტკიცებაზე მუშაობენ, ხოლო C დონისებს ძველი მასალის ხელახლა გავლა უწევთ. ეს ინტეგრირებული სწავლების მაგალითია, როდესაც ჯგუფში სხვადასხვა შესაძლებლობების ბავშვები არიან და მათთან მასწავლებელი განსხვავებული მეთოდებით მუშაობს.

კლასში მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების მრავალი ფორმა არსებობს. შეფასების ზოგიერთი ფორმა არის ფორმალური, ზოგი კი არაფორმალური. ზოგიერთი მათგანი მოსწავლის ინდივიდუალურ შეფასებას გულისხმობს, ზოგი კი ჯგუფურს. ზოგიერთი მათგანი ყველა კლასისთვისაა განკუთვნილი, ზოგი-კი მხოლოდ სპეციფიკურ საკლასო კონტექსტში გამოიყენება და ა.შ. ზოგადად ეს შეფასებები შეიძლება იყოს: მოსწავლის ზეპირი გამოკითხვით შეფასება, მისი წერითი ნამუშევრების მიხედვით შეფასება და მოსწავლის შეფასება სტანდარტიზირებული ტესტების საფუძველზე.

## ტესტების შედგენის საკითხები

ტესტების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- რას ვამოწმებთ ტესტით
- ტესტის სანდოობა
- ტესტის ვალიდობა

რას ვამოწმებთ? როგორც წესი მასწავლებლისათვის შეკითხვა - რას ვამოწმებთ? გაგებულია შემდეგნაირად: ვამოწმებთ და ვზომავთ იმას, თუ მოსწავლეების მიერ რა იქნა შესწავლილი. ზოგჯერ ხდება ისე, რომ მასწავლებელი კლასში რაიმე თემის გავლისას გარკვეულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, შემდგომში კი ტესტებსა თუ საკონტროლო წერებში სწორედ ეს საკითხებია ყველაზე ბუნდოვნად წარმოდგენილი. გამოდის, რომ მოსწავლეს ვეკითხებით იმას, რაც სრულყოფილად არ გვისწავლებია.

სხვაგვარად, შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ ვაძლევთ მოსწავლეს დაბალ შეფასებას, როცა მის მიმართ დასმული შეკითხვები არ იძლევა ამ მოსწავლის შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას? ნიშნავს ეს იმას, რომ ეს მოსწავლე სუსტია თავის საგანში?

მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა და გადაწყვეტა, თუ:

- რა უნდა შემოწმდეს ან გაიზომოს.
- როგორ უნდა შემოწმდეს თუ გაიზომოს.

## სანდოობა

ტესტი სანდოა, თუ მოსწავლის შეფასება ამ ტესტის საშუალებით განმეორებითი შეფასებისას მსგავს შედეგებს გვიჩვენებს.

ტესტის სანდოობა ანუ სიმტკიცე და ვალიდობა ანუ მიზანშეწონილობა ერთი და იგივე არ არის. ვალიდური ტესტი უნდა იყოს სანდო, მაგრამ სანდო ტესტი შეიძლება არ იყოს ვალიდური.

მივაქციოთ ყურადღება, მეტი სანდოობით ხასიათდებიან:

- ვრცელი ტესტები.
- ჰომოგენური, ბევრი მსგავსი პუნქტების შემცველი ტესტები.
- „სწრაფი" ტესტები (ვიდრე ტესტები, რომლებიც ძალიან დიდ დროს მოითხოვენ).

ტესტი შეიძლება იყოს: ა) სტანდარტიზებული ან ბ) მასწავლებლის მიერ შედგენილი. სტანდარტიზებული ტესტი წინასწარ დიდი რაოდენობის მოსწავლეებთანაა ჩატარებული, რის შედეგადაც მიღებულია სტანდარტული ქულები. შედეგების შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ სტანდარტებს. სტანდარტიზებული ტესტების ნაკრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის. ეს ტესტები შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერ სკოლაში. იგი იძლევა ინფორმაციას მოსწავლის, კლასის და მთლიანად სკოლის შესახებ. სტანდარტიზებული ტესტები ძირითადად გამოიყენება მოსწავლეთა მიღწევის დიაგნოსტიკისათვის, მასწავლებელთა პროფესიონალიზმის შესაფასებლად და პედაგოგიური დიაგნოსტოკისათვის. წარმატების მაჩვენებელი მიიღება ტესტირების შედეგების მოცემული ტესტების ნორმებთან შედარებით. ყველა სტანდარტული ტესტი მოიცავს ტესტურ მასალებს

და სახელმძღვანელოს, რომელშიც განმარტებულია ტესტის ნორმები და მიზნები (რა იზომება), ასაკი და დონე, რომელიც შეესაბამება მოცემულ ტესტს და ცხრილები შედეგების ნორმასთან შესადარებლად.

არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი სკოლებში სტანდარტიზებული ტესტების გამოყენების შესახებ. შეიძლება მრავალი სტანდარტიზებული ტესტი არ იყოს საკმაოდ ობიექტური, საიმედო და ვალიდური, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტანდარტიზებული ტესტები უფრო სანდო და ვალიდურია, ვიდრე ინფორმაციის სხვა წყაროები, რომელსაც მრავალი მასწავლებელი ეყრდნობა თავის მუშაობაში.

## მასწავლებლის მიერ შედგენილი ტესტი

ტესტების უმრავლესობა, რომელიც გამოიყენება კლასში, მასწავლებლის მიერ არის შემუშავებული. ზოგიერთი მათგანი ზუსტად ასახავს პედაგოგიურ მიზნებს. მასწავლებლის მიერ შედგენილი ტესტი შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიზნებისათვის. მაგ., შემაჯამებელი და მაფორმებელი შეფასებისათვის. შემაჯამებელი შეფასება სწარმოებს სწავლების ბოლო პერიოდში. იგი განსაზღვრავს მიღწევის დონეს. მაფორმებელი (მიმდინარე) შეფასება კი ეს არის შეფასება სწავლების დაწყებამდე და სწავლების დროს. ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება განსაზღვრონ თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

მაფორმებელი (მიმდინარე) შეფასება ეს არის სწავლების პროცესის ფუნდამენტური შეფასება. მაფორმებელი შეფასების საფუძველზე განისაზღვრება მოსწავლის მზაობა სწავლებისადმი, სასწავლო პროცედურების ეფექტურობა, მოსწავლის ცოდნის დონე და მოტივაცია, გამოვლინდება სირთულეები სწავლებაში. მაფორმირებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტურობის ამაღლებას.

ხშირად მასწავლებლის მიერ შემუშავებული ტესტი წერითია, თუმცა ზოგჯერ გამოიყენება შეფასების არავერბალური მეთოდებიც. მაგ., ხელოვნების სფეროში, როგორც წესი სთხოვენ რაღაც გააკეთოს, უჩვენოს თავისი შესაძლებლობები თვალსაჩინოდ. ასეთი პროცესუალური შეფასება შეიძლება გამოყენებული იყოს მათემატიკაშიც, სადაც კარგი მასწავლებელი მოსწავლისაგან მოითხოვს არა უბრალოდ მოქმედების შესრულებას, არამედ თვითონ მიხვდეს ამოხსნის ხერხს.

## „ესე“ და „ობიექტური ტესტები“

ევროპულ და ამერიკულ განათლების სისტემაში ფართოდ გამოიყენება მოსწავლეთა და სტუდენტთა შეფასების ისეთი ფორმა, როგორიცაა ე.წ. „ესე“ და „ობიექტური“ (მოკლე პასუხიანი – ცოდნის) ტესტები.

ესეს გააჩნია თავისი თემა და შედგება რამდენიმე სახელმძღვანელო კითხვისაგან. მათ საფუძველზე თითოეულ მოსწავლეს ევალება დაწეროს გარკვეული პატარა ამბავი, ისტორია ან თავისი მოსაზრება. ესეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან მასში მოსწავლეს შეუძლია იყოს შემოქმედებითი და თავისუფალი, გამოხატოს ცოდნა, აზროვნების უნარი, პიროვნული მომენტები და სხვ.

ესე კარგად მოფიქრებულ კითხვებს უნდა შეიცავდეს. კითხვების შედგენაში დაგვეხმარება შემდეგი მომენტების ცოდნა:

- კარგად უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ესეს შეკითხვები ასახავენ იმას, რაც მოსწავლეებს ნასწავლი ან წაკითხული აქვთ.
- შეკითხვებით ზუსტად უნდა გავაგებინოთ მოსწავლეს ის, თუ რა მოეთხოვება მას. თავიდან უნდა ავიცილოთ ორაზროვნება.
- გონივრული აზრიანი შეკითხვები მოსწავლეს მიეხმარება ესესთვის განსაკუთრებულ დროში გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა, აზროვნების უნარი.

## რჩევები ესეს შედეგების დამუშავებისთვის

ესეს შედეგების დამუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ჩვენთვის განვსაზღვროთ ესეს თითოეული კითხვის წონა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი შეკითხვიდან მივიღებთ უფრო მეტ, მნიშვნელოვან, ღირებულ ინფორმაციას, ზოგიერთისაგან კი შედარებით ნაკლებს.

ყოველ კითხვაზე ჯგუფის ყველა წევრის პასუხები, მოსაზრებები წავიკითხოთ. მაგ., პირველ კითხვაზე რა მოსაზრებები გამოთქვეს V კლასის მოსწავლეებმა, როგორი იყო მეორე კითხვის პასუხები და ა.შ. ეს თავის მხრივ, მოსწავლეთა შემოქმედებითობის და სხვა მნიშვნელოვანი უნარების შედარების საშუალებას მოგვცემს. ეს მეთოდი დაგვეხმარება იმაშიც, რომ კრიტიკულად შევაფასოთ ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები. მაგ., თუ რომელიმე შეკითხვა კლასმა „ჩააგდო", ან მას არასრულყოფილად გასცა პასუხი, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს, შესაძლოა ეს გამოიწვია იმან, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს თავის დროზე მასალა ვერ მიაწოდა გასაგებად, ან თავად შეკითხვა ვერ ჩამოაყალიბა მისაწვდომად.

## ობიექტური (მოკლე პასუხიანი, ცოდნის) ტესტების შედგენა

ობიექტური ტესტების გამოყენება მოსახერხებელია იმდენად, რამდენადაც ეკონომიურია დროის თვალსაზრისით და მისი შედეგების დათვლა, დაჯამება შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით იოლია. თუმცა კრიტიკის ძირითად საგნად მიიჩნევენ მასში ფრაგმენტებზე ზედმეტად ყურადღების გამახვილებას და ცოდნის და არა შემოქმედებითობის გამომჟღავნებას.

**განვიხილოთ ზოგიერთი ტესტის ნიმუში**

**შეავსეთ პუნქტები**

ეს ტესტი გარკვეული ინფორმაციის დამატებას ან შეცვლას მოითხოვს, მაგალითად:

1. ვინ იყო რუსეთის წინა პრეზიდენტი? (ჩასვით)
2. საქართველოს ბოლო არჩევნები ჩატარდა (დაასრულეთ)

***ასეთი პუნქტების შედგენისას უნდა ვეცადოთ:***

- მოვერიდოთ სახელმძღვანელოს ენით სარგებლობას.
- გამოვიყენოთ ისეთი საკითხები, რომლებიც ზუსტ პასუხს საჭიროებენ.

## შერჩევითი პუნქტები

შერჩევით პუნქტებს მიეკუთვნება:

1) ალტერნატიული კითხვები,

2) მრავალი ვარიანტიდან ერთის არჩევა,

3) დასაკავშირებელი წყვილები.

## ალტერნატიული პუნქტები

ალტერნატიულ პუნქტებს მიეკუთვნება ისეთი კითხვები, სადაც ალტერნატივების სახით მოცემულია მსჯელობები და ინსტრუქციით მოგვეთხოვება მივუთითოთ - ჭეშმარიტი/მცდარი, დიახ/არა პასუხები. მაგ., საქართველომ ქრისტიანული რელიგია მიიღო 521 წელს. ჭეშმარიტი/მცდარი.

უნდა გავითვალისწინოთ რომ:

• კითხვაში ჩამოყალიბებული მსჯელობა უნდა იყოს ნამდვილად ჭეშმარიტი ან მცდარი.

• დაუშვებელია ორაზროვნება.

• მსჯელობას ნუ შევადგენთ უარყოფითი ფორმით. მაგ., საქართველომ ქრისტიანული რელიგია არ მიიღო 337 წელს.

• თავიდან ავიცილოთ ნათლად მოცემული მოდელები: მაგ., ორი სწორი მსჯელობა და შემდეგ ორი მცდარი.

მოვერიდოთ სახელმძღვანელოს ენის გამოყენებას.

მოვერიდოთ ისეთი სიტყვების გამოყენებას, როგორიცაა: „ყოველთვის", „არასოდეს"...

• ჭეშმარიტი მსჯელობა დაახლოებით იგივე სიგრძის უნდა იყოს, რაც მცდარი.

## მრავალი ვარიანტიდან ერთის არჩევა

ეს ისეთი პუნქტია, რომელიც მრავალ შესაძლო ალტერნატიულ პასუხს შეიცავს. მათ შორის კი მხოლოდ ერთია სწორი. მოსწავლემ სწორედ ეს ერთი პასუხი უნდა მოძებნოს და მონიშნოს. მაგ., ვის ეკუთვნის „მგზავრის წერილები"?

ა) ვ. ფშაველას

ბ) ალ. ყაზბეგს

გ) ი. ჭავჭავაძეს

დ) ა. წერეთელს

## დასაკავშირებელი პუნქტები (წყვილები)

ამ ტიპის ტესტებში ერთმანეთთან დასაკავშირებლად წარმოდგენილია ორი სვეტი. მაგ., მითითება ქვეყნები დაუწყვილეთ მათ დედაქალაქებს:

| | |
|---|---|
| 2. პარიზი | 1. იაპონია |
| 4. თეირანი | 2. საფრანგეთი |
| 1. ტოკიო | 3. რუსეთი |
| 5. მადრიდი | 4. ირანი |
| 3. მოსკოვი | 5. ესპანეთი |

საერთოდ დასაკავშირებელი, დასაწყვილებელი პუნქტები ცოდნის შემოწმების კარგ შესაძლებლობას იძლევა. გასათვალისწინებელია, რომ

- მითითება ძალიან ნათლად და გასაგებად უნდა იქნეს წარმოდგენილი. ეს მოსწავლეებს თავიდან ააცილებს გაურკვევლობას.
- სვეტებში მოცემული ჩამონათვალი ნუ იქნება ძალიან მოკლე. ვრცელი ჩამონათვალი თავიდან აგვაცილებს შემთხვევით სწორი პასუხების მონიშვნას.
- დასაკავშირებელი, დასაწყვილებელი პუნქტები აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმ მასალას, რაც კლასმა გაიარა.

## მოსწავლის შეფასება და კომენტარები

როგორ ფიქრობთ, მოსწავლისათვის აქვს თუ არა მნიშვნელობა ნიშნის, ქულების გამოცხადებას ან მის ნამუშევარზე რაიმე კომენტარის გაკეთებას?

განვიხილოთ ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგები. ჯერ კიდევ 1958 წელს ელის ფეიჯის მიერ გაშუქებული იქნა შეფასებისა და მასზე კომენტარების გაკეთების საკითხი. მის მოსაზრებებზე დაყრდნობით ჩატარებული იქნა ექსპერიმენტი. მასში მონაწილეობას ღებულობდა 2139 მოსწავლე. გამოყენებული იქნა ტესტური შეფასების შემდეგი ფორმები:

I ჯგუფის მოსწავლეებს ეუბნებოდნენ მხოლოდ ტესტის საბოლოო შედეგებს რაიმე კომენტარის გარეშე. მაგ., 90 ქულა.

II ჯგუფის მოსწავლეებს ქულასთან ერთად ეუბნებოდნენ პასუხს წინასწარ შედგენილი კომენტარით. მაგ.:

ა. ძალიან კარგია, ასე განაგრძეთ

ბ. კარგია, ეცადეთ შეინარჩუნოთ.

გ. საშუალოა, ეცადეთ გააუმჯობესოთ.

III ჯგუფს აცნობებდნენ ტესტის შედეგს. მაგ., 90 ქულა ან  დონე და ამასთან ერთად სამართლიან, მაგრამ, წამახალისებელ რეკომენდაციებსაც უკეთებდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა, რომლებსაც კომენტარის გარეშე, მხოლოდ შედეგებს უცხადებდნენ, შემდგომში მოსწრება გააუარესეს ამ საგანში. მათ ვისაც წინასწარ შაბლონურად შედგენილ კომენტარებს აცნობებდნენ, წინ ვერ  წაიწიეს. ხოლო ვისაც შედეგსაც აცნობებდნენ და სამართლიან წამახალისებელ კომენტარს უკეთებდნენ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ეს შედეგები.

## ნიშანი, ქულა და კომენტარი

მოსწავლისათვის მის ნამუშევარში მიღებული ნიშნის ან ქულების გამოცხადების, გაცნობის დროს გავითვალისწინოთ შემდეგი:

- თუ ჯგუფს ან მოსწავლეს უტარდება ტესტირება, ესე, გამოცდა ან ზეპირი გამოკითხვა, შეფასების პასუხები (ნიშანი, ქულა და ა.შ.) აუცილებლად უნდა ეცნობოს მას. ამით მისი სწავლებისადმი პასუხისმგებლობა უფრო იზრდება.
- ნუ გადავდებთ მომავლისათვის შედეგების გაცნობას. გარკვეული დროის შემდეგ მოსწავლისთვის მისი ნამუშევრების შედეგების გაცნობა ძნელად აღსაქმელი ხდება. ამასობაში მასწავლებელსაც და მოსწავლესაც ავიწყდება შესრულებული სამუშაოს დეტალები და შენიშვნებიც ბუნდოვანი ხდება.

• კომენტარი მხოლოდ იმას არ უნდა გამოხატავდეს, მოსწავლემ მოცემული დავალება კარგად შესარულა თუ ცუდად. კომენტარი იმასაც უნდა შეიცავდეს, თუ რატომ იყო ის კარგი ან ცუდი. თუ ნამუშევარი ცუდი იყო, რაზე გაამახვილოს მოსწავლემ ყურადღება და როგორ აღმოფხვრას ეს შეცდომები.

• შევაფასოთ მოსწავლის ნაშრომი და არა თავად მოსწავლე. მაგ., სუსტია მოსწავლის მიერ შესრულებული ნაშრომი და არა თავად ეს მოსწავლე.

• შენიშვნის მიცემისას მოვერიდოთ სარკაზმის გამოყენებას. ამან შეიძლება მოსწავლეს გული აუცრუოს სწავლაზე, შეასუსტოს მისი მოტივაცია.

## ალტერნატიული მეთოდები და შეფასების ახალი მიმართულებები

თანამედროვე განათლების სისტემაში შეფასების მთელმა რიგმა ალტერნატიულმა მეთოდებმა და ტენდენციებმა იჩინა თავი.

ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, როგორიც არის კურიკულუმზე დამყარებული შეფასება და აუტენტური შეფასება, შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენს სკოლებში.

## კურიკულუმზე დამყარებული შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ეს სახე ახალ მიდგომად ითვლება, უნდა ითქვას, რომ მისი არსი ისეთივე ძველია, როგორც თავად განათლება.

მოსწავლეების სწავლება ხდება კურიკულუმით ანუ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის მიხედვით. კურიკულუმზე დამყარებული შეფასების დროს მასწავლებელი ამოწმებს:

• აითვისეს თუ არა მოსწავლეებმა კურიკულუმით გათვალისწიმებული ესა თუ ის კონკრეტული მასალა.

• რა ასწავლა მოსწავლეებს და რა იქნა მათ მიერ ათვისებული.

• მოსწავლეებს რა ესაჭიროებათ ანუ სწავლებაში მასწავლებელმა რა უნდა შეცვალოს, გააუმჯობესოს.

კურიკულუმზე დამყარებული შეფასება შესაძლოა წინასწარ სტანდარტიზებული ტესტების, ზეპირი გამოკითხვის თუ სხვა სახით ტარდებოდეს, მაგრამ მისი მიზანი ყველა შემთხვევაში სასწავლო გეგმით, კურიკულუმით გათვალისწინებული მასალის შემოწმებას ემსახურება. ამ შემთხვევაში მასწავლებელი აკონტროლებს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის დონეს და მოსწრებას, არამედ სწავლების საკუთარი ხერხების ეფექტურობასაც.

## აუტენტური-ჭეშმარიტი, უტყუარი შეფასება

აუტენტურ, პროცესუალურ შეფასებას მიაკუთვნებენ შეფასების ისეთ მეთოდებს, რომლებიც ემსახურება მოსწავლის მიერ შესრულებული და ათვისებული მასალის, შეძენილი უნარ-ჩვევების ამსახველი პრაქტიკული მონაცემების თავმოყრას.

სტანდარტული ტესტები იშვიათად ემსახურება ზემოაღნიშნულ მიზნებს.

აუთენტური შეფასების მიზნით გამოიყოფა ე.წ. პორტფოლიო. ეს არის მოსწავლის ან სტუდენტის „პირადი საქმე", რომელიც მოიცავს სწავლის პირველიდან ბოლო დღის ჩათვლით მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს, დავალებებს და მათ შეფასებებს (თვითშეფასება, მასწავლებლის მიერ შეფასება). პორტფოლიო მასწავლებელს მოსწავლის განვითარების შეფასების საშუალებას აძლევს მასში მოცემული მასალების შედარების და თვით შეფასების საფუძველზე.

აუთენტური შეფასების ერთერთი სახეა გამოფენა – პრეზენტაცია, რომელიც ხშირად მოსწავლის შემდეგ საფეხურზე ან კლასში გადასვლას ემსახურება. მაგ., მოსწავლემ წლის ბოლოს უნდა მოახდინოს საკუთარი ნამუშევრების თუ სხვა მასალების პრეზენტაცია ზეპირი კომენტარების თანხლებით.

აუთენტური შეფასებისათვის გამოიყენება კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასება, რომელიც აჩვენებს იმას, თუ მოსწავლე თავის მოსწრებით რამდენად მიუახლოვდა დადგენილ სტანდარტს ამა თუ იმ საგანში ან მისი დონე ზოგადად შეესატყვისება თუ არა მისი ასაკისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

## კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასება

ტესტით ან სხვა რაიმე გზით წინასწარ არის განსაზღვრული სტანდარტი – მიღწევის საუკეთესო მაჩვენებელი. მოსწავლის მოსწრება უნდა შეედაროს ამ სტანდარტს. ეს მოსწრება შეიძლება პასუხობდეს ან არ პასუხობდეს მოცემულ სტანდარტს. მაგ.,

1. ელენე წელს უნივერსიტეტში ვერ მოხვდა. მან საკმაოდ მაღალი ქულები დააგროვა, სულ 22 ქულა. თუმცა უნივერსიტეტის მოთხოვნა იყო, ჩარიცხულიყვნენ მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც 23 და მეტ ქულას დააგროვებდნენ.

2. გიორგი ახალ სკოლაში გადავიდა. თავის ძველ კლასში მას სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგები ჰქონდა. ახალ სკოლაში მას მოულოდნელი პრობლემები გაუჩნდა. გიორგი წელს ფიზკულტურის ტურზე ვერ გავა, რადგან დადგენილი 2,5 მეტრზე ვერაფრით ვერ გადახტა.

## ნორმაზე ორიენტირებული შეფასება

ამ ტიპის შეფასება ეყრდნობა მოსწავლეთა ერთმანეთთან შედარებას: მისი არსის უკეთ გასაგებად მივმართოთ მაგალითებს:

1. კლასში წელს ანას მოსწრება საშუალო იყო. ასეთი იყო მისი მოსწრება ამ კლასის სხვა მოსწავლეებს შორის, თუმცა ანას მოსწრება სხვა კლასში შეიძლება მაღალი ან დაბალი ყოფილიყო. ეს კი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რა დონის მოსწავლეები იქნებოდნენ კლასში.

2. ანდრო წელს 20 კაციან ჯგუფში მეხუთე ადგილზეა. აქაც მსგავსი სიტუაციაა. ანდროს ადგილი ჯგუფის მოსწრების შესატყვისად განისაზღვრა.

## საკონტროლო შეკითხვები:

- რა განსხვავებაა რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებას შორის?
- რა იგულისხმება პედაგოგიურ მიზნებში?
- რა არის ტესტი? რა ტიპის ტესტებია ცნობილი?
- რას ნიშნავს ტესტის სანდოობა და ვალიდობა?
- რა არის ესე?, როგორ ხდება მისი შედგენა?. რით განსხვავდება ესე ტესტისაგან?
- რა არის ობიექტური ტესტის არსი?
- შეფასების რა ახალ ალტერნატიულ მეთოდებს იცნობთ?
- რა არის კურიკულუმზე დამყარებული შეფასება? როგორ გესმით აუტენტური შეფასება?
- რა არის ნორმაზე ორიენტირებული შეფასება? აღნიშნეთ მისი დადებითი მხარე. რა არის კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასება? აღნიშნეთ მისი დადებითი მხარე.

## დანართი

ზმნები, რომელიც დაგვეხმარება ბლუმის ტაქსონომიის პრაქტიკულ გამოყენებაში.

ცოდნა - შესწავლილი მასალის გახსენება.

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩამოთვალეთ | მოახდინეთ კატეგორიზაცია | დაასახელეთ | აღადგინეთ ინფორმაცია |
| განსაზღვრეთ | შეადგინეთ ნუსხა | მოიყვანეთ ციტატა | გამოთქვით აზრი |
| გააკეთეთ იდენტიფიკაცია | მიუსადაგეთ | თქვით ლექსი | დაადგინეთ |

გაგება - მასალის არსის წვდომის უნარი

| | | | |
|---|---|---|---|
| შეიტანეთ ცვლილებები | მიაკვლიეთ | თავი გაართვით | დააკავშირეთ |
| გადაანაცვლეთ | ახსენით | შეცვალეთ ფრაზა | ჩაანაცვლეთ |
| გარდაქმენით | დაასახელეთ მაგალითები | სცადეთ სიმბოლოთი წარმოსახოთ | განმარტეთ |
| წარმოისახეთ | გადმოეცით მთავარი აზრი | ხელახლა წარმოთქვით | განასხვავეთ |
| აღწერეთ | სცადეთ ილუსტრირება | გაიმეორეთ | |
| სცადეთ ინტერპრეტაცია | სცადეთ პერიფრაზირება | | |

**გამოყენება** – ნასწავლი მასალის ახალ და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენება.

| | | | |
|---|---|---|---|
| მიუსადაგეთ | აღმოაჩინეთ | სცადეთ ორგანიზება | დააკავშირეთ |
| სცადეთ კლასიფიკაცია | გამოიყენეთ | განჭვრიტეთ | აჩვენეთ |
| გამოთვალეთ | დაამტკიცეთ | მოამზადეთ | გადაწყვიტეთ |
| სცადეთ დემონსტრირება | გააცნობიერეთ | წარმოადგინეთ | სცადეთ უტილიზება |
| სცადეთ ხელმძღვანელობა | | | |

**ანალიზი** - მთლიანი მასალის დანაწილება კომპონენტებად.

| | | | |
|---|---|---|---|
| დაარწმუნეთ | სცადეთ დიაგნოსტირება | განასხვავეთ | გამოყავით ძირითადი |
| გააანალიზეთ | შეადგინეთ დიაგრამა | დაყავით | მიუთითეთ |
| სცადეთ დასკვნის გამოტანა | გამოყავით | იპოვეთ | განაცალკევეთ |
| დაახარისხეთ | დაანაწევრეთ | გამოიტანეთ დასკვნა | განსაზღვრეთ |

**სინთეზი** – ნაწილების დაკავშირება და ერთ მთლიანობად ჩამოყალიბება.

| | | | |
|---|---|---|---|
| სცადეთ კომბინირება | მოიფიქრეთ | სცადეთ წარმოქმნა | შეამოწმეთ, შეასწორეთ |
| დააგროვეთ | გაამრავალფეროვნეთ | სცადეთ დაგეგმვა | სცადეთ გადაწერით |
| შეადგინეთ | განავრცეთ | სცადეთ ფორმულირება | სცადეთ სინთეზირება |
| სცადეთ აზრის დაფიქსირება | განაზოგადეთ | გადმოეცით აზრი | გადმოეცით თეორიულად |
| სცადეთ შექმნა | სცადეთ მისცეთ დასრულებული სახე | სცადეთ პროექტის შედგენა | დაწერეთ |
| სცადეთ კონსტრუირება | სცადეთ გამოიგონოთ | სცადეთ გადაახარისხოთ | |
| სცადეთ განავითაროთ | სცადეთ მოდიფიცირება | | |

შეფასება - იმსჯელეთ რამდენად ღირებულია მასალა მოცემული მიზნისათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| განსაჯეთ | გააკეთეთ დასკვნა | სცადეთ დაწერეთ რეცენზია | იმსჯელეთ |
| შეაფასეთ | შეაპირისპირეთ | გამოიტანეთ აზრი | აწონ-დაწონეთ |
| შეადარეთ | გააკრიტიკეთ | | |

## დავალება

შეარჩიეთ რომელიმე ნაწარმოები ან ისტორიული ფაქტი და ბლუმის ტაქსონომიის და დანართში მოცემული ზმნების საშუალებით შეადგინეთკოგნიტური მიზნების იერარქი

# პერსონალური დღიური

- ის, რაც რეალურად ვისწავლე დღეს, არის ______________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

- განხილული მასალიდან ყველაზე მეტად დამაინტერესა ____________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

- კითხვები, რომლებიც გამოჩნდა ______________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

გაიაზრე თემაში განხილული იდეები და მათდამი შენი დამოკიდებულება ჩახატე ან ჩახაზე.

## ლიტერატურა:


1. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე, "მეცნიერება",1967
2. კახიანი დ. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი, თბილისი, 2002
3. ფრანგიშვილი ა. სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1962
4. უზნაძე დ. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, "სკოლა და ცხოვრება", 1971,№1
5. უზნაძე დ.შრომები ტ.3-4-, ზოგადი ფსიქოლოგია, "მეცნიერება", 1964
6. უზნაძე დ. შრომები ტ.5, ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 1967, 2004
7. ყოლბაია მ. ბავშვის ფსიქოლოგია.პედ.უნივერსიტეტის გამ. თბილისი 1998
8. ჩხარტიშვილი შ. 6 წლის ბავშვის სასკოლო სწავლების მოტივაციური თავისებურებები, "სკოლა და ცხოვრება", 1971,№1
9. Брунер Дж. Психология познания, М."Прогресс", 1977
10. Дружинин, В. Психология общих способностей, ''Питер'', 2000
11. Зимняя И. Педагогическая психология, М. ''Логос'', 1999
12. Квинн В., Прикладная психология, ''Питер'',2000
13. Кларин М. Инновационные модели обучения в зарубежных поисках, М.''Арена'',1994
14. Крайг Г.Психология развития, ''Питер'', 2000
15. Лефрансуа Ги, Психология для учителя; ,М."Олма-пресс", Санкт-Петербург ''Прайм-Еврознак'', 2003
16. Мацумото Д."Психология и культура", Санкт-Петербург, ''Прайм-Еврознак'' Изд. дом ''Нева'', 2002
17. Стоунс Э.. Психопедагогика, Психологические теории и практика обучения, М. "Педагогика", 1984
18. Хьелл У, Зингер Д. Теории личности, Санкт-Петербург. Москва, ''Питер», 1997
19. Фрейджер Р. Фрейдимен Дж., Личность, Санкт-Петербург, «Прайм-Еврознак» изд. дом ''Нева'', 2002
20. "Энциклопедия психологических тестов (Личность, мотивация, потребность), М, 1997
21. Adams Fr. Case Studies in Educational Psychology, Routledge Falmer, N.Y. London, 2001
22. Donald D.Lasarus S.Lolwana P. Psychology in Social Context, Oxford University Press,2002
23. Travers, Elliot, Kratchwill, Educational Psychology, Brown, Benchmark, 1996
24. Torrance E., Teaching creative and gifted learners, in Wittrock, Handbook of research on teaching (p.630-847) N.Y., Macmillan, 1986
25. Wallfolk A. Educational Psychology, ''Ällyn and Bacon'',Boston, London, 2002

ანკეტა ანონიმურია

# კურსის შეფასება

ინსტრუქცია: პარამეტრის ჩამონათვლისა და შეფასების სკალის გადაკვეთის ადგილას დასვით ნიშანი “+”

| № | შეფასების შკალა / პარამეტრები | ძალიან კარგი  | კარგი  | არ ვიცი  | ცუდი  | ძალიან ცუდი  |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | კურსის შინაარსი | | | | | |
| 2. | კურსის პრაქტიკული საჭიროება | | | | | |
| 3. | კურსის სტრუქტურა /შინაარსის ორგანიზაცია | | | | | |
| 4. | სწავლების მეთოდური ხერხები | | | | | |
| 5. | პრაქტიკული სამუშაოების რაოდენობა | | | | | |
| 6. | თვითონ ჩემი ცოდნა | | | | | |
| 7. | ურთიერთობა ლექტორსა და სტუდენტს შორის | | | | | |
| 8. | პედაგოგის მიერ აღნიშნული კურსის ცოდნა | | | | | |
| 9. | სხვა . . . | | | | | |

## რჩევები და შენიშვნები

შესაძლებლობა რომ გქონდეთ, რას შეცვლიდით.

- კურსის შინაარსში

- სწავლების მეთოდიკაში

- კიდევ რას იტყოდით კურსის შესახებ